

მეცნიერებათა



14 / 4
933 / 4

3

1

2

3

3



მნათობი

სრულიად საქართველოს სამჭითა მწ-
ლების კავშირის ყოველთვიური სალიცე-
რაცური, სახელმწიფო და საბჭოთაობრივ
საპოლიტიკო აქტინალი

3

ქელიწადი მკათე

5236
59498



პ/მ გ. რედაქტორი: გიორგი შუკურაშვილი

რედკოლეგიის წევრები: იმ. ვაშაშვიძე

ს. იული

ზ. კადიანი

გალ. ტაბიძე

ბიძ. ტაბიძე

დ. სულიაშვილი

სიმ. ჩიქოვანი

პ. ჩხიკვაძე

რედკოლეგ. მდივანი: ლომ. ასათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა


შტ. № 448. ტირ. 3000
შთალიტ. № 709ა.

ტფილი, მაჩაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ვან. ნინოშვილის სახელ. შვერალთა სასახლე, ტელ. № 1-65

ქანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 34, პერიოდსექტორი

50 წლის თავი
პაულ მარკსის გერმანულენოვანი



1883 წლის „14 მარტს, ნაზუადღების 2 საათსა და 45 წუთს,
შინაწვრიტა აჯროვნება უდიდესმა თანამედროვე მოაჯროვნე-
თაგან“

ფრ. ენგილსი

პარლ მარქსი

1818—1888

ბ ი ო ზ რ ა ზ ი ა

ოჯახი, გიმნაზია, უნივერსიტეტი

კარლ მარქსი დაიბადა ქ. ტრირში (რეინის ოლქი) 1818 წლის 5 მაისს. მისი მამა ეკუთვნოდა ღრმად მორწმუნე ებრაელთა ოჯახს. მამრამ მან აღრე გასწყვიტა კავშირი რაბინობასთან — პროტესტანტიზმის მიღებით.

სწავლობდა ახალგაზრდა კ. მარქსი ტრირის გიმნაზიაში, რომელიც 1835 წელს დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების მოწმობაში განსაკუთრებით არის აღნუსხული მარქსის დიდი ნიჭი ძველი კლასიკოსების თარგმანში და ძნელად გასაგებ ადგილების ახსნაში, როგორც ეგზემენატორები აღნიშნავენ, მარქსმა ჯერ თავის გამოსაშვებ ნაწერში: „უმაწვილის მოსაზრებები ცხოვრების მოწოდების არჩევაში“ გამოიჩინა შესანიშნავი ნიჭი დამოუკიდებელი აზროვნებისა და ზოგიერთი ისეთი საინტერესო აზრები გამოსთქვა, რომ ეგზემენატორებიც კი ჩააფიქრა.

იმვე 1835 წ. მარქსი შედის ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს იყო წლები, როცა გერმანიის მოწინავე სტუდენტობა მზურვალედ ემზურებოდა საფრანგეთიდან შემოპრილ რევოლიუციონურ იდეებს.

დღე-ღამეები მუშაობს მარქსი, უძილოდ ატარებს ღამეებს, მისი ტვინი დაუღალავად ინელებს ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის გამოჩენილ წარმომადგენელთა შრომებს.

აი რას სწერდა მარქსი თავის მამას ამ მუშაობის შესახებ 1837 წ. ნოემბერში:

„მთელი ეს მუშაობა მაიძულებდა მრავალი ღამე უძილოთ გამეტარებია, ვადამეტანა შინაგანი ბრძოლის ტანჯვა, რომლიდანაც, ბოლოს და ბოლოს, მე არც ისე გამდიდრებული გამოვედი, ამასთან ერთად დავივიწყე ბუნება, ხელოვნება, ქვეყნიერება, ჩამოვიცილე მეგობრები, შევარყიე ჩემი ჯანმრთელობა ისე, რომ ექიმმა მიჩრია წავსულიყავი სოფლად და მე პირველად ვიმგზავრე მთელი ქალაქის გავლით ბეტრალოეში“.

ფარდა დაეშვა. ჩემი წმინდანი დამთხვეულია და მე ხელი უნდა მომეციდებია ახალი ღმერთების შექმნისათვის.

იდეალიზმისაგან, რომელსაც სხვათაშორის უნდა ითქვას, მე ვაიგრეებდი კანტიანელობას და ფიხტენელობას, მე მივედი დასკვნამდე, რომ საჭიროა იდე-

* ბერლინის გარე-უბანი.



ები ვეძიოთ თვით სინამდვილეში. თუ წინათ ღმერთები მიწის ზვევით ცხოვრობდნენ, ახლა ისინი მის ცენტრში გადასახლდნენ“.

მოსიყვარულე მამას, რომელიც ნათლად ხედავდა თავის შვილის აზრწვეულგბრივი ნიჭიერობის ნიშნებს, საგონებელში აგდებდა შვილის სულიერი მფოთვა და დაუდგრომლობა. საპასუხო წერილში მარქსი-მამა სასტიკად ჰკიცხავს თავის შვილს უწესრიგობისათვის, უძილო ღამეებისათვის:

„სხვები, რასაკვირველია, „ჩვეულებრივი“ სტუდენტები, — გესლიანი კილოთი უპასუხებს კარლს მისი მამა—თავისი სულიერი უბრალოების გამო დადიან ლექციებზე, ღამით დამშვიდებით სძინავთ და აფართოებენ ნაცნობობას. ჩემი სახელოვანი, ნიჭიერი კარლი კი, მთელ ღამეებს უძილოთ ატარებს, მომქანცველი მუშაობით აუძლურებს სულსა და ტანს, უარს ამბობს ყოველგვარ დროს გატარებაზე. რომ თავი მისცეს აბსტრაქტულ მეცნიერებას და იმას, რასაც ის დღეს ქმნის, მეორე დღეს ანგრევს. და, ბოლოს და ბოლოს, მთელი თავისი მანდანგრია, სხვისი კი არ შეითვისა. შედეგად—სხეული დაუძლურებულია, გონება კი სრულიად აფორიაქებული“...

მაგრამ თეორეტიული საკითხები უფრო და უფრო ღრმად იპყრობენ მარქსს. ახალგაზრდა მარქსი იმდენად მცოდნე და მრავლამხრივ განვითარებული სტუდენტი იყო, რომ მას ემეგობრებოდნენ და აფასებდნენ ამ მეგობრობას უკვე სამეცნიერო ასპარეზზე გამოსული პიროვნებები.

ბერლინში, მაგალითად, მარქსს დაუმეგობრდნენ სახარების ცნობილი მკვლევარი ბრუნო ბაუერი და ისტორიკოსი კოპენი. თუ რამდენად იმორჩილებდა მარქსი თავისი ცოდნით და ერუდიციით მის გარშემო მყოფთ, ამას ამტკიცებს კოპენის წერილი მარქსისადმი. ის სწერს, რომ მარქსის ბერლინიდან წასვლის შემდეგ, მან, კოპენმა, კვლავ დაიბრუნა „თავისი საკუთარი ასე ვსთქვათ დამოუკიდებლად მოფიქრებული აზრები, მანამდე კი ყველა ჩემი აზრები შიურტცენშტრასედან (ქუჩა ბერლინში, სადაც ცხოვრობდა მარქსი) მოდიოდა“-ო. ამას სწერს მარქსს-სტუდენტს კაცი, რომელიც ამ დროს უკვე გონებრივად სავსებით ჩამოყალიბებული იყო. იმავე წერილში კოპენი მიუთითებს ბაუერის ერთ-ერთ სტატიასზე და სწერს მარქსს, რომ ბაუერი ბევრ რამეს უნდა მას უმადლოდეს: „როგორც ხედავ—შენ ხარ აზრების მთელი მალაზია“...

ბერლინში (სადაც მარქსი ისევ იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა 1836 წ.) მარქსი უახლოვდება ახალგაზრდა ჰეგელიანელების წრებს, რომლებიც ცდილობდნენ განეციოთარებიოთ თავიანთი მასწავლებლის მოძღვრების რევოლუციონური მხარე—მის დიალექტიკური მეთოდი, გაეკეთებიათ ჰეგელის ფილოსოფიიდან ატეისტური და რევოლუციონური დასკვნები. ცხადი იყო, რომ ამის შედეგად ბოლო უნდა მოეებოდა „იმ კეთილგონიერებაზე აგებულ ქორწინებას“, რომელიც აკავშირებდა ჰეგელის ფილოსოფიას და პრუსიის აბსოლუტობს. ეკლესია ამ აბსოლუტობის ერთ-ერთი ბურჯი იყო, ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა კი შტრაუსისა და ბაუერის სახით და შემდეგ ლ. ფეიერბახმა პრუსიის სახელმწიფოს ეს ბურჯი შეარყიეს, როცა ქვა-ქვაზე არა დასტოვეს რა სახარებიდან. მართალია, სარწმუნოების ეს კრიტიკა დაკავშირებული იყო მემარცხენე ჰეგელიანელების მხრივ იმის დაპირებასთან ზელისუფლებებისათვის, რომ

მეცნიერება დაიცავს სახელმწიფო იდეას სამღვდლოების იერიშებთანაგანო, მაგრამ პრუსიის მონარქისტებმა ძველი ნაცადი, თუცა ცბიერად, მუკუდგინეს—ეკლესია ამჯობინეს ახლად მოვლენილ საშიშ „მეგობრებს“ და დამწერს მემარცხენე ჰეგელიანელების დევნა, კათედრების წართმევა მათთვის და სხვ.

მარქსმა, რომელმაც 1841 წ. ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ თავისი მეგობრის—ბრუნო ბაუერის დაეინებითი მიწვევით ბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრა დაიკავა, დაინახა 1841 წ. ბრუნო ბაუერისათვის მთავრობის მიერ კათედრის წართმევის და მთელ რიგ უნივერსიტეტებში მემარცხენე ჰეგელიანელების დევნა-შევიწროების მაგალითებზე, თუ რამდენათ შესაძლებელია მისებრ თავისუფალ მოაზროვნესათვის მეცნიერული მუშაობა პრუსიის აბსოლიუტიზმის პირობებში. და მანაც აიღო ხელი პროფესორის კარიერაზე და ხელა მოჰკიდა პობლიცისტის ტიკას.

ცხოვრების თანამგზავრი და მეგობარი

მარქსი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა ფართოდ გაიშალა მისი პირველი და ერთადერთი საყვარელი მისი სიყრმის მეგობრის—ენენი ვესტფალენისადმი, სიყვარული, რომელიც მასში არ შენელებულა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ენენი ფონ-ვესტფალენი იყო მსხვილი მოხელის—წარმოშობით შოტლანდიელი თავადის ლიუდვიგ ფონ-ვესტფალენის შვილი. მისი ძმა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, უსაშინლესი რიაქციის წლებში (1850—1858 წ.). ამ ძმასთან ენენის თითქმის არავეითარი ურთიერთობა არ ჰქონებია; სამაგიეროდ უმცროსს ძმასთან—ედგარ ფონ-ვესტფალენთან ენენის და კარლ მარქსს მეგობრობის და სიყვარულის ძლიერი ძაფები აკავშირებდა.

არაჩვეულებრივის სიმტკიცით იტანდა ენენი ათასგვარ გაკვირვებას, რომლითაც სავესე იყო პროლეტარიატის უდიდესი მასწავლებლის ცხოვრება. მისთვის ნათელი იყო, რომ „ჩვენი ბრძოლა არ არის განცალკევებული“ (იხ. წერილი ვეიდემეირისადმი, 1851 წ. 20 მაისი).

თავის სამშობლო ქალაქში—ტრირში „პირველ ლამაზ ქალად“ და „ბაღების მშვენივალად“ აღიარებულმა ენენი ფონ-ვესტფალენმა—განსაკვიფრებლის სიმტკიცით გადაიტანა უსაშინლესი გაკვირვების და დევნის დღეები, რომლითაც სავესეა მარქსის ცხოვრება.

მაკძის პირველი გამოცემა კუბლიციხისტიკაში

პრუსიის ახალმა მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ IV, რომელზედაც ახილგაზრდა ბურჟუაზია და მოლიბერალო არისტოკრატიული წრეები დიდ იმედებს ამაყრებდნენ იმ მხრივ, რომ იგი შეარბილებდა მისი მამის მიერ შემოღებულ მთარაბის პოლიტიკას, არ ვაამართლა ეს იმედები. ვარეგნულად ის თითქო ერთ-

ვეარ დათმობებზე წაჭიდა ეპოქის მოთხოვნილებების წინაშე, მაგრამ სინამდვილეში ეს „დათმობები“ წმინდა დაცინვა იყო. თავისი გამეფება მან პირველ ყოვლისა აღნიშნა შემარცხენე ჰეგელიანელების დევნით. სიტყვით კვლიერა სიტყვის „თავისუფლება“, მაგრამ ეს იპდენად, რამდენადაც ეს „თავისუფალი სიტყვა“ არ ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის და მის „სამღეთო უფლებებს“, პრესის „თავისუფლების“ აღიარების პირველი შედეგი იყო ის, რომ ფრიდრიხ IV პირადი ბრძანებით არაოლდ რუგეს (გერმანელი ბურჟუაზიული დემოკრატი, პუბლიცისტი) წინადადება მიეცა მისი „ყოველწლიური კრებული“, რომელიც ლეიპციგში გამოდიოდა, პრუსიის ცენზურისათვის დაემორჩილებია, თუ არ უნდოდა, რომ ჟურნალის გავრცელება აეკრძალათ. ა. რუგე იძულებული გახდა ჟურნალის ბეჭედა (1841 წ. ივლისიდან) დრეზდენში გადაეტანა და უფრო მკაცრი კილო აეღო დესპოტიზმის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ რუგეს ჟურნალს დაუახლოვა ბრუნო ბაუერი და მარქსი, რომლებსაც წინად არ აკმაყოფილებდა ჟურნალის თავდაპირველი ტონი და რომლებმაც ბაუერის მოხსნის შემდეგ ბონის უნივერსიტეტიდან ხელი აიღეს რადიკალური ორგანოს გამოცემის განზრახვაზე. და საკუთარ ორგანოს გამოცემის ნაცვლად, გადასწყვიტეს თანამშრომლობა რუგეს ჟურნალში.

მარქსმა 1842 წ. თებერვლამდე ვერ შესძლო აქტიური მონაწილეობის მიღება რუგეს ჟურნალში. მხოლოდ 1842 წ. 10 თებერვალს გაუგზავნა მარქსმა რუგეს პირველი სტატია, რომელიც ეხებოდა პრუსიის მთავრობის ოინბაზობას ცენზურის დარკში.

ეს იყო სწორედ იმ ხანებში, როცა ცენზურა განსაკუთრებით ბობოქრობდა ბრუნო ბაუერის პამფლეტის აკრძალვასთან დაკავშირებით. ამ პამფლეტში, სახელწოდებით — „საშინელი სამსჯავროს ზარი — ჰეგელზე, ატეისტზე და ანტიქრისტიანზე“ — ავტორი მართლმორწმუნის გრძნობებში შეურაცყოფილის კილოთი „ამხელდა“ ჰეგელს და ამონაწერებით მისი შრომებიდან ამტკიცებდა, რომ ჰეგელი მართლა ატეისტი იყო. პამფლეტმა მთელი სენსაცია მოახდინა, ცენზურა მიხედა სად ურტყამდა ავტორი და პამფლეტი აკრძალა. ამის შედეგად გაძლიერდა ცენზურული რეპრესიები რუგეს ჟურნალის წინააღმდეგ: 1842 წ. 25 თებერვალს რუგე სწერდა მარქსს ცენზურის „მუშაობის“ შესახებ სხვათა შორის შემდეგს:

„ცველაფერს, რაც მოაგონებსთ ბაუერს, ფეიერბახსა და ჩემს შესახებ, არ უშვებენ. ამის გამო ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა შერჩეული მშვენიერი და პიკანტური მასალები, რომლებიც ცენზურას გამაყრუებელ სილის გაწინევას უშაადებენ. ხომ არ დასთანხმდებით თქვენ, რომ თქვენ, სტატიაც სხვა აკრძალულ წერილებთან ერთად დაიბეჭდოს შვეიცარიაში ფეიერბახის, ბაუერის, რუგეს და სხვ. (თუ თქვენ არ მოისურვებთ, რომ თქვენი სახელი დასახელებული იქნას) კრებულში „Anecdota philosophica“. მარქსი დასთანხმდა და იმავე წლის მარტში გამოვიდა კრებულის ორი ტომი, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო მარქსის წერილი („რეინის მცხოვრების“ ფსევდონომით), რომელმაც მაშინვე მიიჭვია საერთო ყურადღება.

სწორედ ამ ხანებს ეკუთვნის მარქსის დაკავშირება „რეინის გაზეთთან“, რომელიც კელნიში გამოდიოდა 1842 წ. იანვრიდან. მარქსი გახდა ინტერეთი თვალსაზრისით წარმომადგენელი ამ ოპოზიციონური გაზეთის, რომელსაც ექვსი რედაქტორი რადიკალური ბურჟუაზია სცემდა მემარცხენე ჰეგელიანელების უახლოესი მონაწილეობით. 1842 წლის შემოდგომაზე მარქსი დანიშნულ იქნა გაზეთის მთავარ რედაქტორად და ამ დროიდან გაზეთის რევოლუციონურ-დემოკრატიულ მიმართულებას უფრო მკაფიო ხასიათი მიეცა, მარქსის შესანიშნავმა წერილებმა ის გერმანიის იმ დროინდელ გერმანულ პუბლიცისტების პირველ რიგში დააყენეს. მაგრამ მარქსს ამ დროს კიდევ არ აქვს თავისი დასრულებული მსოფლმხედველობა. სახელმწიფოსა და უფლების საკითხში ის ჯერ კიდევ იდეალისტურ-ჰეგელიანურ პოზიციებზე დგას. მაგრამ აქ ის პირისპირ ხედება სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს და რწმუნდება, რომ ამ დარგში მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა შეიძინოს და სერიოზულად ჰკიდებს ხელს პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლას.

მთავრობამ 1843 წ. 1 იანვარს გადასწყვიტა სულ დაეხურა „რეინის გაზეთი“, 1-ლ აპრილიდან გაზეთის ლიკვიდაციისათვის დატოვებული სამი თვე რედაქციას უნდა გამოეყენებია „აქციონერების და ხელის ნომწერთა ინტერესების უზრუნველსაყოფად“. შექმნილი პირობების გამო მარქსმა ხელი აიღო რედაქტორობაზე. 18 მარტის ნომერში დაიბეჭდა მარქსის განცხადება: „ქვემოთ ხელის მომწერი აცხადებს, რომ შექმნილი საცენზურო პირობები აიძულებენ მას გამოვიდეს რედაქციის შემადგენლობიდან“-ო.

მაგრამ გაზეთს არც მარქსის წასვლამ უშველა და იგი საბოლოოდ დახურეს დანიშნულ ვადაზე.

შეიარაღი

„რეინის გაზეთიდან“ წასვლა მარქსმა გამოიყენა თვისი სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობის შესამუშავებლად, რომლის აუცილებლობა მას თვალსაზრისით დაუმტკიცა გაზეთში მუშაობამ. მაგრამ ღრმა ფილოსოფიურმა განათლებამ, რომელიც მარქსმა მიიღო და შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავა, თავისი გავლენა იქონია მარქსის მუშაობაზე სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შემუშავების დარგში. ჰეგელის ფილოსოფიამ ვერ გაუძლო შეჯახებას პრუსიის მწარე სინამდვილესთან, მაგრამ ამ ფაქტიდან მარქსს არ გამოუტანია დასკვნა საერთოდ ფილოსოფიის უყუდების შესახებ. მის მაღალ გონებას ვერ წარმოედგინა ფილოსოფიით გაუშუქებული მთლიანი სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მარქსისათვის ჯერ კიდევ უნივერსიტეტში იყო ცხადი ჰეგელის ფილოსოფიის ნაკლი. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მარქსი მაშინაღმომიწერილ წერილში სცნობდა „იდეები ეძია თვით სინამდვილეში“. და როცა ლ. ფეიერბახმა „ჰეგელის აბსტრაქციების ნაცვლად ფილოსოფიური სისტემის ცენტრში ზემოთ წამოაყენა ცოცხალი და მომქმედი ადამიანი“, მთელი გერმანიის მოწინავე ინტელიგენცია და მარქსიც აღფრთოვანებით შეხედდნ ამ ახალ იდეებს.



1841 წ. გამოვიდა ფეიერბახის ცნობილი „ქრისტიანობის არსი“, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი სწერდა: „მე სრულიად არ ვგვეარსებოდა იმის შესახებ მოფიქრებებს, რომლებიც განზრახ ხუჭუყენ თვალს, რომ უფრო გაიადვილოს აზროვნება, პირიქით. აზროვნების პროცესში მე მივმართავ ყველა გრძობათა და, პირველ ყოვლისა, თვალების დახმარებას; მე ჩემს აზრებს და იდეებს ვაშენებ ისეთ მასალაზე, რომელსაც ჩვენ ვითვისებთ მხოლოდ გრძობათა მოქმედების საშუალებით, მე საგნებს კი არ ვქმნი იდეებიდან, არამედ პირიქით—იდეებს საგნებიდან, საგნად კი მე ვთვლი მხოლოდ იმას, რაც არსებობს ჩემი თავის გარეშე“...

ფეიერბახის ფილოსოფიის სახით გერმანიის მოწინავე რევოლუციონურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მაშინ ბრძოლის მძლე იარაღი მიიღო. ზევით უკვე ნახსენებ კრებულში, რომელიც ბრუნო ბაუერის, რუგეს, ფეიერბახის, მარქსის და სხვ. მონაწილეობით გამოვიდა შვეიცარიაში, ა. რუგე აღტაცებულ წერილს უძღვნოდა ფეიერბახის წიგნს და აღნიშნავდა, რომ ფეიერბახის ფილოსოფია—ეს არის მოწოდება გაბედულ პოლიტიკური ბრძოლისაკენ რეაქციის წინააღმდეგო. მიუხედავად იმისა, რომ ფეიერბახის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები მეტად ბუნდოვანი და დაბნული იყო, მისმა ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა გერმანიის მოწინავე ინტელიგენციაზე. „ვისაც ამ წიგნის განმათავისუფლებელი გავლენა არ განუტღვია, მას არ შეუძლია ის წარმოიდგინოს. ჩვენ ყველანი აღტაცებული ვიყავით და ყველანი დროებით ფეიერბახის მიმდევრები ვაგებდითო“,—სწერს ფრ. ენგელსი „ლიუდვიგ ფეიერბახში“ იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მასზე და მარქსზე მოახდინა „ქრისტიანობის არსი“.

პარიზში

1843 წ. 25 იანვარს მარქსი სწერდა ა. რუგეს:

„საშინელებაა თუგინდ თავისუფლების გულისთვის მოჯამაგირის მოვალეობის შესრულება და კომბლის ნაცვლად ჭინძისთავებით ბრძოლა. მე მოვიღალე ფარისევლობისაგან. სისულელისა და ტლანქი ავტორიტეტისაგან, მე დავიღალე ჩვენი შეგუების, გაძრომა-გამოძრომისა და ლაყბობისაგან“. და მეორე წერილში კიდევ უფრო კატეგორიულად ამბობს:

„მე არ შემიძლია წერა პრუსიის ცენზურის პირობებში და ცხოვრება პრუსიის ატმოსფეროში“.

ასეთივე აზრის იყო რუგეც და მიწერ-მოწერის შედეგად გადაწყდა „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიური კრებულის“ გამოცემა საზღვარგარეთ—პარიზში.

სანამ რუგე გამოცემის საქმეს აწყობდა, მარქსი საბოლოოდ დაუკავშირდა თავის დანიშნულს ენნი ვესტფალენს და 1843 წ. ნოემბერში ცოლთან ერთად გაემგზავრა პარიზში. გამგზავრების წინ მან წერილი მისწერა ფეიერბახს თხოვნით—ეთანამშრომლა ახალ ჟურნალში და თან თემაც შესთავაზა—დაეწერა კრიტიკული წერილი შელინგის შესახებ.

ფრანგ მოღვაწეთა ჩაბმა თანამშრომლობაში არ მოხერხდა, ფინანსიური შესაძლებლობანი შეზღუდული იყო. ამიტომ გამოვიდა *ჟურნალი* მხოლოდ ერთი ორმაგი ნომერი (1844 წ. თებერვალში). მარქსს არ ჰქონდა განზრახული ფარხმალის დაყრა, მაგრამ რუგე შიშმა შეიპყრო, როცა გაიფიქრა, რომ შესაძლებელია ჟურნალის გამოცემის გაგრძელებამ მისი პირადი სახსრების მონაწილეობა მოითხოვოს. ამასთან ერთად პარიზის ხელოსნების და მუშების კომუნისტურმა განწყობილებებმა მასში გერმანელი ბურჟუა ვაიფიძეს და პანიკა გამოიწვიეს. გარეგნულად სრულიად უმნიშვნელო საბაბით—უთანხმოებით პოეტ გერვეგის საკითხში—მარქსი და რუგე ერთმანეთს გახშორდნენ—პირველი წავიდა პროლეტარიატის ბელადთა განვითარების გზით, მეორე კი—1848 წლის რევოლუციაში მონაწილეობის შემდეგ ბისმარკის მიმდევრად გადაიქცა.

ჟურნალის გამოსვლამ პრუსიის ხელისუფლება ფეხზე დააყენა. როცა დიპლომატიურმა იერიშებმა ჟურნალის წინააღმდეგ ვერც მეტერნიხსა და ვერც გიზოში ვერავითარი გამომხაურება ვერ ჰპოვა, პრუსიის მთავრობამ ეს მაინც ჰქნა, რომ აკრძალა ჟურნალის შეტანა პრუსიაში და გასცა განკარგულება მარქსის, რუგეს და ბერნაისის დაპატიმრების შესახებ, როგორც კი ისინი პრუსიაში შესდგამდნენ ფეხს. ამრიგად, მარქსი ემიგრანტი გახდა.

მაგრამ ერთ მეგობარს, რომელიც მარქსმა შეიძინა პარიზში. ვერ შეედრებოდა ათასი რუგე, ერთად აღებული, თუნდაც მისი ბისმარკითან შერიგების პერიოდამდეც. ეს მეგობარი იყო ფრიდრიხ ენგელსი. რომელიც ამ დროიდან (1844 წ.) მარქსის განუყრელი თანამებრძოლი და დამხმარე იყო, როგორც სამეცნიერო და პოლიტიკურ მუშაობაში, ისე ბევრ საბედისწერო გაჭირვების მომენტებში. პროლეტარიატის მოძღვრების არა ერთი ისტორიული დოკუმენტი ეკუთვნის მარქს-ენგელსის საერთო კალამს. მათი ურთიერთობის 40 წლის ისტორია იძლევა იშვიათ მეგობრობის ნიმუშს, გამთბარს ურთიერთ გაგების, სიყვარულის და პატივისცემის გრძობით და გაშუქებულს პროლეტარიატის განთავისუფლების დიადი იდეით.

ჯერ კიდევ „გერმანულ-ფრანგულ ყოვილწლიურ კრებულში“ მოთავსებული წერილები „მარქსი მთელს იმედებს ამყარებს პროლეტარიატზე და მის ისტორიულ მოწოდებაზე“. მაგრამ ამ წერილებში ჯერ კიდევ ძლიერია ჰეგელ-ფეიერბახის ფილოსოფიის გავლენა. საფრანგეთს მაშინ უფრო განვითარებულ სოციალური ურთიერთობით, უფრო დიფერენცირებული კლასობრივი ძალებით და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ატმოსფერით არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მარქსზე. ივლისის რევოლუციის ნანგრევებზე ხელისუფლების სათავეში მოქცეული ფინანსიური არისტოკრატია და მსხვილი ბურჟუაზია ყოველშრივ იყენებდა ამ ძალაუფლებას გამდიდრებისათვის. მასების ქვედა ფენებში იზრდებოდა სიღატაკე და მასთან ერთად აღშფოთება არსებული წყობილებით. მწიფდებოდა ახალი რევოლუციონური ქარიშხალი.

მარქსმა და ენგელსმა,—სწერს ლენინი მარქსის ბიოგრაფიაში, „უაღრესად მზურვალე მონაწილეობა მიიღეს პარიზის რევოლუციონური ჯგუფების მაშინდელ ამბოპოქრებულ ცხოვრებაში (განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარის მოძღვრებას, რომელთანაც მარქსმა გადაჭრით გაასწორა ანგარიში



თავის „ფილოსოფიის სილატაკე“-ში, 1847 წ.) და წერილ-ბუჩქუაზიული სოცი-
ალიზმის სხვადასხვა მოძღვრებებთან სასტიკად ბრძოლაში შეიმუშავდა რევოლუ-
ციონური პროლეტარული სოციალიზმის ანუ კონსტრუქციონის (მარქსი-
ზმის) თეორია და პრაქტიკა“.

გამომავალ პარიზიდან

ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შემდეგ, მარქსი პარიზში ცხოვრების დროს
თანამშრომლობდა პარიზის გერმანულ გაზეთში „წინ“. ამ გაზეთის გამომცემე-
ლმა ვინმე ბერნტეინმა მას შემდეგ, რაც პრუსიის მთავრობამ აკრძალა ეს
გაზეთი გერმანიაში, გადასწყვიტა უფრო გაბედული რევოლუციონური ტონი
მიეცა მისთვის და თანამშრომლებად მიიწვია ჰენრი ჰეინე, პერვევი, მარქსი,
ენგელსი, ბაქუნინი, რუგე და სხვ.

ათასგვარ პოლიციურ ზღუდეების მიუხედავად, გაზეთი მაინც ვრცელდე-
ბოდა გერმანიაში და მოთმინებიდან გამომჟავავდა აბსოლუტიზმის ყველა მომხრე-
ები. პრუსიამ საფრანგეთის მთავრობას მოსთხოვა გაზეთის დახურვა. მაგრამ
უკანასკნელი საზოგადოებრივი აზრის შიშით მოერიდა ამ მოთხოვნის პირდაპირ
შესრულებას, მაგრამ პრუსიის მთავრობის დაქმნულთა მიზნით, გაზეთის
რედაქტორი პასუხისგებაში მისცა გაზეთის გამოსაცემად კანონით გათვა-
ლისწინებულ ბეს შეუტანლობისათვის.

სწორედ იმ ხანებში, როცა უნდა მომხდარიყო გაზეთის გადაკეთება ყო-
ველთვიურ ჟურნალად, რომლისთვისაც აღარ იყო საჭირო ბეს შეტანა, „წინ“-ის
ყველა უახლოესმა თანამშრომლებმა, მათ შორის მარქსმაც, მიიღეს ბრძანება
პარიზის დატოვების შესახებ 24 საათში.

მარქსი გაემგზავრა ბრიუსელში (1845 წლის იანვარში).

პარიზულში

ბრიუსელის ემიგრაციის ხანას ეკუთვნის მარქს-ენგელსის მიერ საბოლოოდ
კავშირის გაწყვეტა იდეალიზმთან, გაწყვეტა იმ ძაფების, რომლებიც ჯერ კიდევ
იყო დარჩენილი მათსა და გერმანულ „მემარცხენე“ ფილოსოფიურ სკოლას შო-
რის (ბრუნო ბაური და სხვ.) და მარქს-ენგელსის უკანასკნელი წლების (ბრიუს-
ელის ემიგრაციამდე) ნაწერებში თანდათანობით ნათელი ხდებოდა ჯერ ბზა-
რი და შემდეგ უფსკრული, რომელიც მათ აშორებდა გერმანულ სუბიექტივისტ-
ინდივიდუალისტების სკოლას. ახლა მათ გადასწყვიტეს ანგარიშის საბოლოოდ
გასწორება მათთან და საკუთარი ფილოსოფიური ემანსიპაციის ცხადყოფა. ამის
ნაყოფია „წმინდა ოჯახი“ ანუ „კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა“.

ბრუნო ბაური, მარქსის ყოფილი გულითადი მეგობარი, ერთ-ერთი რე-
დაქტორი იმ რადიკალური ორგანიზაციის, რომელიც მარქსს და მას ჰქონდათ გან-
ზრახული, თავის „საყოველთაო ლიტერატურულ გაზეთში“ ქადაგებდა, რომ
ისტორია წინ მიჰყავთ „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებს“ და არა მასებს.
დასცინოდა მასების მოძრაობას და მას უპირისპირებდა „კრიტიკულ სულს“.
სანამ ეს „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები“ ერთად-ერთ ძალას წარმოა-

დგენდნენ ძველ წყობილებასთან ბრძოლაში და გაბედულად აბსოლუტუნიზმის რელიგიურ და ფილოსოფიურ ბურჯებს, ისინი უსათუოდ წარმოადგენდნენ პროგრესიულ ელემენტს, მაგრამ როცა ასპარეზზე გამოჩნდნენ მასები „კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანთა“ ინდივიდუალისტურმა ფილოსოფიამ უკვე რეაქციონური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ბრუნო ბაუერი და მისმა თანამშრომლებმა მასა აბუჩად აიგდეს და შეიძულეს.

უკვე ორმოციანი წლების დასაწყისიდან მარქსისა და ბრუნო ბაუერის ურთიერთობა დაჭიბული იყო და 1843 წლიდან სრულიად შეწყდა.

რამდენადაც ბრუნო ბაუერი „კრიტიკულ იდეებს“ უპირისპირებდა მასებს, იმდენად მარქსისათვის ნათელი ხდებოდა, რომ იდეები მხოლოდ მაშინ არის მძლეთა-მძლე, როცა მას ითვისებს მასები.

„წმინდა ოჯახით“ მარქსმა მტკიცე ზღვარი გაავლო ერთის მხრივ გერმანულ სუბიექტივიზმსა და „ქეშმარიტ“ სოციალიზმსა და მეორეს მხრივ იმ ახალ თანამიმდევრობით მატერიალისტურ მსოფლმხედველობას შორის, რომელსაც ის ენგელსთან ერთად ქმნიდა.

ბრუნო ბაუერთან და „ქეშმარიტ“ სოციალისტებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, მარქსმა გაილაშქრა პრუდონის მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც თავის ძირითად შრომაში „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სილატაკის ფილოსოფია“ ქადაგობდა ბურჟუაზიული საზოგადოების გასწორებას გაცვლა-გამოცვლის ახალი „სამართლიანი ფორმის საშუალებით.

1846 წელს გამოსულმა პრუდონის დასახელებულმა წიგნმა გადააწყვეტივნა მარქსს—ულმობალოდ ემზილებინა პრუდონის თეორიების წვრილბურჟუაზიული უტოპიური ხასიათი. რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა თავის „ფილოსოფიის სილატაკე“-ში. აქ მარქსის მატერიალისტური მსოფლმხედველობა სავესებით გარკვევით აის მოკეპული.

პრუდონის „სილატაკის ფილოსოფიის“ და მარქსის „ფილოსოფიის სილატაკის“ სახით ერთმანეთს შეეჯახნენ უტოპიური წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი და პროლეტარული მეცნიერული სოციალიზმი.

ბირუსელის პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ მოძრაობაში. მკიდრო ურთიერთობის დამყარება ინგლისელ ჩარტისტებთან, ფრანგ სოციალისტებთან, ბრიუსელის და განაკუთრებით გერმანიის მუშათა მოძრაობასთან. მარქსი არ დაკმაყოფილდა მარტო უბრალო კავშირით გერმანიის მოძრაობასთან და ხელი შეუწყო გერმანულ მუშათა კავშირის დაარსებას ბრიუსელში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ბრიუსელის გერმანულ გაზეთში“ და 1847 წელს გახდა „კომუნისტთა კავშირის“ აქტიური წევრი.

„კომუნისტთა კავშირი“

„კომუნისტთა კავშირი“-ის ორგანიზაცია წარმოადგენდა სოციალიზმის უტოპიიდან მეცნიერებადმდე განვითარების ნათელ სურათს. მისი პირდაპირი წინამორბედი იყო 1833 წელს გერმანულ ემიგრანტებში მიერ პარიზში დაარსებულ „დევნილთა გერმანული კავშირი“ (კავშირი ფარული ორგანიზაცია იყო), რომ-

ლის მიზანს შეადგენდა „გერმანიის განთავისუფლება სამარტლებინა მონობის უღელიდან და ისეთი წყობილების დამყარება, რომელიც, რამდენადაც ეს შეიძლება გათვალისწინებული იქნას, მოსპობს მონობის განახლებას, ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ მთავარი მიზანის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის, მოქალაქეობრივი ღირსების და ხალხთა ერთობის მტკიცედ დამკვიდრების გზით, ჯერ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების შიგნით, შემდეგ კი ევროპის დანარჩენ ხალხთა შორისაც“.

„დღენილთა კავშირში“ თითქმის თავიდანვე იბრძოდა ორი ფრთა და ეს ბრძოლა დამთავრდა კავშირიდან პროლეტარულ იდეოლოგიასთან უფრო ახლო მდგომ ნაწილის გამოყოფით და ახალი კომუნისტური „სამართლიანთა კავშირის“ დაარსებით. მარქსი და ენგელსი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს „სამართლიანთა კავშირის“ განვითარებას. მაგრამ ერიდებოდნენ მასთან ურთიერთობას, სანამ მის (კავშირის) პროგრამას საფუძვლად არ ედო გარკვეული თანამიმდევრობითი სოციალისტური თეორია, მაგრამ როცა კავშირის შევიცარიის ორგანიზაცია დაიშალა და ხელმძღვანელი როლი დაეკისრა „სამართლიანთა“ ლონდონის ორგანიზაციას, რომელიც ინგლისის მუშათა მოძრაობის გაუღწეოთ თანდათან უახლოვდებოდა მარქს-ენგელსის მსოფლმხედველობას და 1847 წელს მოლაპარაკების შედეგად, როცა კავშირის ლონდონის ორგანიზაციამ გამოსთქვა მზადყოფნა მიეღო მარქს-ენგელსის თეორია და ამისდამიხედვით მოეხდინა კავშირის რეორგანიზაცია, მარქსი და ენგელსი შევიდნენ კავშირში.

კავშირი, პირველ კონგრესზე, რომელიც 1847 წლის ზაფხულზე შეიკრიბა ლონდონში და რომელსაც დაესწრო ენგელსი, გადაკეთებულ იქნა „კომუნისტთა კავშირად“. ახალი კავშირის მიზანი იყო: „ბურჟუაზიის დამხობა, პროლეტარატის ბატონობა, ძველი კლასობრივ წინააღმდეგობებზე დამყარებული ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობა და შექმნა ახალი საზოგადოების, კლასებისა და კერძო საკუთრების გარეშე“.

კავშირის მეორე ყრილობას, რომელიც იმავე 1847 წ. ნოემბერში შესდგა ლონდონში, დაესწრო კარლ მარქსი, რომელმაც დაწვრილებით განავითარა თავისი სოციალისტური თეორია და მთელი ყრილობა მიიმხრო.

ყრილობამ მარქსს დააჯალა მანიფესტის შედგენა და 1848 წლის თებერვალში „კომუნისტთა კავშირის“ სახელით გამოქვეყნდა ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი“.

კომუნისტური ფლავი

მარქსი ბრიუსელში იმყოფებოდა, როცა 1848 წ. თებერვალში პარიზში იფეთქა რევოლიუციამ. ლიუდოვიკ-ფილიპი გაძევებული იქნა პარიზიდან და ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში. ბრიუსელის გერმანული ემიგრაციის რევოლიუციონური ელემენტები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მოვლენათა განვითარებას პარიზში და ცნობამ რევოლიუციის შესახებ უდიდესი აღტაცება გამოიწვია მასში. ბელგიის მთავრობამ რებრესიული ზომების საშუალებით ადვილად ჩააქრო სუსტი გამოძახილი, რომელიც პარიზის

რევოლუციამ გამოიწვია ბრიუსელში და დენა დაუწყო რევოლუციონურ გმიგრანტებს. 25 თებერვალს (პარიზის რევოლუციის მეორე დღეს) ბელგიის მთავრობის განკარგულებით კ. მარქსი დააპატიმრეს და ბელგიის საფრანგეთის დროებითმა მთავრობამ გააუქმა წინანდელი მთავრობის განკარგულება მარქსის გაძევების შესახებ საფრანგეთიდან და მთავრობის წევრმა ფლოკონმა მარქსს მიმართა პარიზში დაბრუნების წინადადებით.

პარიზში მარქსი არ დარჩენილა საფრანგეთის რევოლუციონური ამბების უბრალო მაყურებელი, მისი თაოსნობით „კომუნისტთა კავშირის“ ცენტრალური კომიტეტი პარიზში იქნა გადატანილი და მისი მთავარი ხელმძღვანელი შეიქნა მარქსი.

რევოლუცია საფრანგეთიდან ჩქარა გადავიდა ავსტრიაში, შემდეგ გერმანიაში და მარქსსა და ენგელსს შესაძლებლობა მიეცათ ემიგრაციიდან დაბრუნებულიყვნენ სამშობლო მხარეში.

ყველაზე ინტენსიური რევოლუციონური მოძრაობა იყო რეინის ოლქში. მარქსი და ენგელსი დასახლდნენ კელნში და რამდენიმე პოლიტიკურ მეგობართან ერთად დაარსეს „ახალი რეინის გაზეთი“. ძლიერ ჩქარა გერმანიის ბურჟუაზიამ დაამტკიცა, რომ რევოლუციონურ პროლეტარიატთან კავშირს ის აშჯობინებს შეთანხმებას ძველ რეჟიმთან. პარიზში რევოლუციის დამარცხების შემდეგ გერმანიის ბურჟუაზია აშქარად გადავიდა რეაქციის მხარეზე.

1849 წელს მარქსი შემდეგნაირად ხსნიდა გერმანიის ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონური როლის შინაგან მიზეზებს.

„გერმანიის ბურჟუაზია... ისე ზანტად, ზარმაცად და ნელა ვითარდებოდა, რომ იმ წუთში, როცა ის მრისხანედ გამოვიდა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, თვითონ შეეჯახა მის წინააღმდეგ მრისხანედ გამოსულ პროლეტარიატს, და საზოგადოების ყველა იმ ნაწილებს, რომელთა იდეები და ინტერესები ეთანხმებიან პროლეტარიატის ინტერესებს... ეს იყო წოდება, რომელიც თავიდანვე მზად იყო ელალატნა ხალხისათვის და წასულიყო კომპრომისზე წინანდელი საზოგადოებრივი წყობილების გვირგვინისანი წარმომადგენლების წინაშე.“

1849 წ. მაისში „ახალი რეინის გაზეთი“ დახურეს. კ. მარქსი დაპატიმრებას გადაურჩა იმით, რომ ჯერ კიდევ 1845 წ. გამოვიდა პრუსიის ქვეშევრდომობიდან და ამიტომ დაკმაყოფილდნენ მისი გაძევებით. მარქსი გაემგზავრა პარიზში. ენგელსი კი პფალცში, სადაც მოხაწილეობა მიიღო შეიარაღებულ ბრძოლაში. როცა ბადენის აჯანყება დამარცხდა, ენგელსი ჯერ შვეიცარიაში გაემგზავრა, იქედან კი—ლონდონში, სადაც უკვე ცხოვრობდა პარიზიდან განშვორებით გაძევებული მარქსი და სადაც ევროპის ყველა ქვეყნიებიდან თავს იყრიდნენ უკვე მიუჭებული რევოლუციონური გრიგალის ყოფილი მონაწილენი.

ლონდონში

ემიგრანტები რევოლუციონური ქარიშხლის ახლო ხანში განწეორების იმედივთ ცხოვრობდნენ. ამ იმედებით იყო გამსჭვალული „კომუნისტთა კავშირის“

მეორე 1850 წ. გამოქვეყნებული მოწოდება „მიმართვა კავშირის ყველა წევრებისადმი“. მარქსი და ენგელსი იზარებდნენ ამ ილიუზიებს, მაგრამ ჩქარა მივიდნენ დასკვნამდე, რომ „1848—59 წ.წ. რევოლუციონერული აწვევითება ამოიწურა და არავითარი საერთო რევოლუციონერი აჯანყება უახლოეს დროში არ არის მოსალოდნელი.

მარქსს-ენგელსის ამ შეხედულებამ პოლიტიკურ მდგომარეობაზე თავის გამოხატულება პპოვა „ახალ რეინის მიმოხილვაში“, რომელსაც მარქსი სცემდა ლონდონში.

„ახალი რეინის მიმოხილვის“ შეწყვეტის შემდეგ, მარქსი თანამშრომლობს ბოსტონის ჟურნალში „რევოლუცია“, რომელსაც სცემდა მისი მეგობარი ვეიდემერი და რომლის მეორე ნომერში დაიბეჭდა მისი ცნობილი ისტორიული მონოგრაფია „18 ბრიუმიერი ლუი ბონაპარტისა“, რომელშიც ნათელყოფილია საფრანგეთის 1852 წ. სახელმწიფო გადატრიალების შინაგანი მიზეზები ამავე დროს მარქსი თანამშრომლობს ნიუ-იორკის „ტრიბუნაში“-ში.

მაგრამ მარქსის მეცნიერული მუშაობის ცენტრი პოლიტიკური ეკონომიის დარგში იმყოფებოდა: ამ მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა მარქსის შრომა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ.), რომლის წინასიტყვაობაში მარქსი საბოლოოდ აყალიბებს ისტორიული მატერიალიზმის თეორიას.

მაგრამ მარქსის როგორც მეცნიერის მთავარ უკვდავ შრომათ რჩება მისი „კაპიტალი“. რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1867 წ. (2 და 3 ტომი გამოცემა ენგელსმა უკვე მარქსის სიკვდილის შემდეგ), და რომლის სახით მსოფლიო რევოლუციონერმა პროლეტარიატმა მიიღო ბრძოლის ბასრი იარაღი. ამ შრომით მარქსმა ურყევი საფუძველი შეუქმნა მეცნიერულ სოციალიზმს.

ინტერნაციონალი

მაგრამ, თუ მარქსის „კაპიტალი“ წარმოადგენს მარქსის, როგორც მეცნიერის ძირითად შრომას, მარქსის—პრაქტიკოს-რევოლუციონერის მეორე დიდ საქმეს წარმოადგენს ინტერნაციონალის დაარსება. რომელიც წარმოადგენდა „კომუნისტურ მანიფესტში“ წამოყენებულ ლოზუნგის—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—პრაქტიკულ განხორციელებას.

ინტერნაციონალის დაარსების ისტორია „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის“ ორგანიზაციის უკავშირებს ლონდონის 1862 წლის საერთაშორისო გამოფენას, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნებიდან, უმთავრესად საფრანგეთიდან და გერმანიიდან ჩამოსულ მუშებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ერთმანეთს და ინგლისში ფართოდ გაშლილ მუშათა მოძრაობას. გარეგნულად შეიძლება ეს ასედაც იყოს, მაგრამ იდეა მუშათა საერთაშორისო გაერთიანებისა მომდინარეობდა ჯერ კიდევ „სამართლიანთა კავშირის“-ს დროიდან და მკაფიოდ არის მოცემული საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის უდიდეს ისტორიული დოკუმენტის—„კომუნისტური მანიფესტი“-ს ლოზუნგში—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

1864 წელს, 28 სექტემბერს, ლონდონში სენ-მარტენს პოლში მოწვეულ მიტინგზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ყველა ქვეყნების მუშათა ძმური

დაცვის საკითხის განხილვა, საძირკველი ჩაეყარა 1 ინტერნაციონალის კომიტეტის წინამორბედს. მიტინგზე არჩეული იქნა კომიტეტი, რომელსაც დაევა-
ლა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის წესდების შედგენა.

მარქსი იყო ინტერნაციონალის სული და გული. უდიდეს საორგანიზაციო მუშაობასთან, სხვადასხვა ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებთან კავშირის დამყარების და განმტკიცებისათვის ზრუნვასთან ერთად, მარქსი ეწეოდა უდი-
დეს ლიტერატურულ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის ინტერნაციონალის ყვე-
ლა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები დაწვებული ინტერნაციონალის მანიფეს-
ტიდან.

ერთ-ერთ თავის წერილში ნახევრად ხუმრობით და ნახევრად მწუხარებით მარქსი სწერდა კუგელმანს¹⁾: „წარმოიდგინე, ჩემო ძვირფასო, დღეში რომ 48 საათი იყოს, მე მაშინაც კი ვერ დავსძლევდი ჩემს უკანასკნელი თვეების სა-
მუშაოს. მუშაობა ინტერნაციონალისათვის უალრესად დიდია შემდეგ ლონდონს
აწყდებიან აუარებელ ემიგრანტები, რომლებიც ჩვენ უნდა მოვაწყოთ. ვარდა
ამისა, მე ვასაქანს არ მაძლევებს კიდევ სხვა პირები. ინტერვიუერები და ათასი
სხვა, რომლებსაც, სურთ საკუთარი თვალით იხილონ „metre“

მიუხედავად პირდაპირ არაადამიანურ მუშაობისა ინტერნაციონალში არ
უნდა დავივიწყოთ, მარქსს უხდებოდა დროს გამოყოფა თავისი გიგანტური
მუშაობისთვის „კაპიტალზე“.

1871 წელს მარქსის ასეთ მუშაობას დაემატება პარიზის ამბები. ინტერ-
ნაციონალი ვერ დარჩებოდა პარიზის გმირული ამბების ჩუმი მაცურებელი. მა-
რქსის ენერგიული მუშაობის შედეგად მოხერხდა კავშირის დამყარება ალყაშე-
მორტყმულ პარიზთან. მარქსი რჩევა-დარიგებებს და ინსტრუქციებს აძლევდა
პარიზის გმირულ მებრძოლებს და ამავე დროს უნგელსთან ერთად თავგამოდე-
ბით იბრძოდა პარიზის კომუნის საქმის დაცვისათვის, საერთაშორისო მუშათა
კლასის დარაზმვისათვის კომუნის დასაცავად.

როცა ტიერმა ბისმარკის დახმარებით სიხლში ჩააღრჩო პარიზის კომუნა,
მარქსმა თავს იღვა უდიდესი მუშაობა—კომუნის საქმის რეაბილიტაცია და იმ
სამარცხვინო კავშირის მხალეობა, რომელიც პარიზის აჯანყებული მუშათა კლასის
შიშით შეკრეს გუშინდელმა მტრებმა—ფეოდალურმა გერმანიამ და ბურჟუ-
აზიულმა საფრანგეთმა. ამ მუშაობას ზედ დაერთო კიდევ პარიზიდან ლტოლვი-
ლთა მოწყობა ლონდონში და მატერიალურად უზრუნველყოფა და ვადარჩენა
იმ მებრძოლების, რომლებიც საფრანგეთში იმალებოდნენ.

ამავე დროს მარქსი დაულალავად მუშაობდა საერთაშორისო მუშათა
კლასის დარაზმვაზე და საშუალება მიეცა საკუთარი თვალით ეხილა თავისი
შრომის ნაყოფი მასიური სოციალისტური პარტიების შექმნა გერმანიაში, სა-
ფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

ავადმყოფობა და სიკვდილი

პროლეტარიატის უდიდესმა მასწავლებელმა თავისი ცხოვრების თითქმის
ორმოცი წელი გაატარა ემიგრაციაში. ემიგრაციის შთელი ეს წლები მარქსის-

¹⁾ მარქსის მეგობარი.

თვის იყო არა მარტო რევოლუციონური ბრძოლების, პროლეტარიატისათვის ბასრი საომარი იარაღის გამოქვდვის წლები არამედ აგრეთვე წლები დაუსრულებელი დენა-შევიწროებისა რეაქციის ქოფაკების მხრივ, წლები დაუსრულებელი ბრძოლისა მუდმივ გაჭირვებასთან.

„ემიგრანტული ცხოვრების პირობები, — სწერს ლენინი მარქსის ბიოგრაფიაში, — რაც განსაკუთრებით ცხადად გაშუქებულია მარქსის მიწერ-მოწერაში ენგელსთან (გამოიცა 1913 წელს), უაღრესად მძიმე იყო, გაჭირვება პირდაპირ აღჩნობდა მარქსს და მის ოჯახს; თუ არა ენგელსის მუდმივი თავგამოდებული ფინანსური დახმარება, მარქსი არა თუ ვერ დაამთავრებდა „კაპიტალს“, არამედ აუცილებლად დაიღუპებოდა სილატაკის კლანკებში“.

აღვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში აგდებდა მარქსს, რომელსაც ღრმად უყვარდა თავისი ოჯახი, ეს გაჭირვება, როცა ხშირად სახლში გროში არ მოიპოვებოდა აუცილებელ რამის საყიდლად.

ამ გაჭირვებაში, გამუდმებულმა არაადამიანურმა მუშაობამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში უძილო ღამეებმა, ღვიძლის აეადმყოფობამ და, ბოლოს ცოლისა და ქალიშვილის სიკვდილმა, საბოლოოდ შეარყიეს მარქსის ჯანმრთელობა.

ცოლი მარქსისათვის იყო ისეთი ამხანაგი და მეგობარი, რომ როცა ის 1881 წ. 2 დეკემბერს გარდაიცვალა, ენგელსისათვის ნათელი იყო, რომ მისი საყვარელი მეგობრის დღეები დათვლილია დი მან მწუხარებით სთქვა: „მეგრიც მოკვდაო“¹⁾.

მართლაც ამ დღიდან მარქსი თითქმის არ ამდგარა ფეხზე. ამაო გამოდგა მეგობრების და პირველ რიგში ენგელსის მიერ მის გადასარჩენად მიღებული ყველა ზომები.

1883 წ. 14 მარტს პროლეტარიატის უდიდესმა მასწავლებელმა სამუდამოდ წყნარად მიიძინა თავის საყარძელში.

„კაცობრიობა დადაბლდა მთელი თავით და სწორედ ყველაზე თვალსაჩინოთი იმით შორის, რომელიც კი მას ჩვენს დროში მოეპოვებოდა“ — სწერდა ენგელსი თავის და მარქსის მეგობარს ზორგეს 1883 წ. 15 მარტს მარქსის გარდაცვალების გამო.

¹⁾ „მეგრის“ მეტ სახელად ზემოთთნა მარქსს მისი შევეგრემანობისა და შევი თმისათვის.

პარლ მარქსი

ოგიუსტ როდენს თუ მენიეს
შეეძლო მხოლოდ
შექმნა გოლიათ
მარქსის პორტრეტის.
ეს სახეს არის
მართლაც სიმბოლო
მუშათა კლასის
და მისი ბედის.
მე მერიდებია, რომ ვეხები
ქარლ მარქსის სახელს,
აქ საჭიოა ჰომიროსი,
შექსპირი, დანტე...
და თუ ვერ ვპოვებ
მე გამოძახილს,
მინც ჩემ სიტყვას შევეუერთებ
მრავალი ხმების დიდ კორიანტელს.
მან გამოსტედა მუშათა კლასი
ერთად ერთ ძალად,
ისტორიის უძლევილ ძალად.
მშრომელი იყო უდაბნოში
წლები ათასი,
და მარქსის შემდეგ
ვით ყვაველი ის გაიშალა.
მან გამარჯვება დააჩქარა
მუშათა კლასის,
და აუხილა თვალები იმას,—
გამოაცხადა ისტორიის
პირველ ლაშქარად.

შემოსა იგი ახალ დიდებით!
„კომუნისტური მანიფესტი“



არის ნათელი
 და გაბედული აღსარება
 ქეშმარიტების.
 ჩვენ ყველამ ვიცით
 კარლ მარქსის შემდეგ,
 რომ გამარჯვების დროშას ქარიანს
 თვით ისტორია ვერ წაართმევს
 პროლეტარიატს.
 მუშათა კლასი გაიმართა
 წელში პირველად,
 როცა გაისმა გასაკვირველად
 მარქსის ძახილი მასების გვერდით:
 „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ეს იყო მკვეთრი, უღმობელი
 უცხო საყვირი, თითქოს მგვრგვინავეი,
 რომელმაც მიწა შეატრიალა.
 და ეს ლოზუნგი ცუცბლიანი
 და გაშვებული
 არის გაზომილ გრიგალის ძალა.
 იმან პირველმა მიანიჭა პროლეტარიატს
 თავისი დიდი როლის შეგნება,
 თუ დღეს მუშები მსოფლიოში —
 მტკიცე ჯარია,
 ეს არის მარქსის შემოქმედება.
 მუშებს ყოველთვის ბევრი ჰყავდა
 „ჭირისუფალი“:—
 გამარჯვებისკენ ვზა ნამდვილი
 არვინ იცოდა.
 ირგვლივ ქოფაქნი, მტაცებელნი,
 შავი ღრუბელი, —
 ხალხი ბრძოლაში ტყველად იწოდა.
 უკანასკნელად იგი მოვიდა,
 ვისაც ელოდნენ მშრომელები
 დასაბამიდან.
 მარქსი ცრემლებით გაპირვებულთ
 არ იგლოვიდა,
 მან მოაგლიჯა ისტორიას
 მისი ნიღაბი, ყალბი ქლამიდა.
 მარქსმა აღგავა მეფეები,
 სარდლები დიდი,
 მთელი ნაგავი ისტორიის



და ნიაღვარი,
საჩვენებელი მან დადგა ხიდი,
მასზედ კლასები გაარონია,
თავის ადგილზე დააყენა
მშრომელთა ჯარი.

მარქსმა და ენგელსმა,
როგორც ატლანტებმა,
თავისი მძლავრი მხრებით ასწიეს
უმაღლეს მწვერვალზე პროლეტარიატი;
ხანძარის ანთებამ
წინასწარ გააშუქა
ბრძოლების თეატრი.

და გახდა საბჭოთა კავშირი
ლენინის სახით
მემკვიდრე კარლ მარქსის
იდეურ ქონების,
პროლეტარიატი წითელ ბაირალით
არის შემსრულებელი
მისი შთავაზუნების.
დღეს, როცა ისმის მსოფლიოში
ოქტომბრის სიმფონია,
დღეს, როცა იშლება
კაცობრიობის მომავალი,
აქ მარქსის ნაბიჯები გასაგონია,
აქ არის ხორცშესხული
მისი იდეები მრავალი.
როცა მე ვხედავ
ზაჰესის ვარსკვლავებს,
და როცა იტაცებენ
ფიქრს დნეპრომშენები,
მე ვხედავ მარქსის
ძარღვიან მკლავებს,
მე ვხედავ მის თვალებს
პრომეთეს მშვენებით.
და თუ გაჰყავთ მუშებს
საშინელი გვირაბი,
და არ ეშინიათ
წინსვლა მახვერპლიანი,
ეს არის სოციალიზმის
ახალი გმირები,
ეს არის კარლ მარქსის



ახალი ადამიანი.
 დასწერა ოქტომბერმა
 რევოლუციის ცაზე
 კარლ მარქსის სახელი
 ცეცხლის ასოებით,
 ჯერ კიდევ ბევრია
 ბრძოლები ჩვენს გზაზე,
 მაგრამ ამ სახელს
 ვკითხულობთ სასოებით.

მარქსმა ააყირავა
 ჰეგელის ფილოსოფია,
 ღმერთები ღრუბლებიდან
 ძირს ჩამოიყვანა,
 და მოგვცა ფორმულა:
 „შეგნებას ჰქმნის ყოფა“.
 ეს რეალიზმი გვჩბრუნებს ქვეყანას,
 ეს არის შრომის და
 მიწის პირველობა,
 ხალხის მიზნისაკენ
 საბრძოლო მსვლელობა,
 ეს არის სინამდვილის
 ხილვა და გრძნობა.

მარქსმა „ინტერნაციონალის“
 შექმნა საძირკველი,
 გადიქცა ხანძარად
 სუსტი ნაპერწკალი:
 ეს იყო კომუნისმის
 ლაშქრობა პირველი,
 ეს იყო გამარჯვების
 პირველი მერცხალი.

ჩვენ მოგვცა შექსპირმა
 ჰამლეტი ეჭვიანი,
 მარქსმა გამოჰკვეთა
 როგორც მოქანდაკემ
 კლასიურ ბრძოლების
 მხნე ადამიანი,
 მან შექმნა მასები
 თავისი ქადაგით.
 მასამ უპასუხა



მარქსს დიდ ოქტობერით,
 მასამ გაამართლა
 მისი იმედები,
 მასამ უპასუხა
 ნგრევების ოპერით,
 მასამ უპასუხა
 სტალინის ნებისყოფით
 და კიდევ არ ნახულ
 სხვა შემოქმედებით.
 დღეს მარქსის სამშობლო
 საბჭოთა კავშირია—
 უჭირავს გერმანია
 პიტლერის ბანდებს,—
 ის დაუვიწყარი
 და ჩვენი გმირია,
 რომელიც აღმატება
 ყველა გიგანტებს
 ნისლიან ლონდონში
 რა უნდა მის საფლავს?
 ის უნდა ესვენოს ლენინის გვერდით.
 თავი მოწიწებით
 დაეხაროთ დაბლა,
 კარლ მარქსის წინაშე,
 ვინც იყო გმირთა გმირი,
 ვინც იყო ერთი.
 იმის სადიდებლად
 სიტყვა არ კმარა,
 თვით რევოლიუცია
 აღადგებს ბელადს.
 აბა, ქარიშხალო
 იმღერე ჩჰარა,
 ჩვენ შეგიერთდებით—ყველა!



პარლ მარქსს

(გარდაცვალებიდან 50 წლის თავზე)

ხარ კომუნიზმის
ქვაკუთხედი,
უუდიდესი,
პროლეტარიატს
მოჰყვა შენი
ქვეყნად გაჩენა;
ხარბ კაპიტალიზმს
„კაპიტალით“
დაჰკვეთე ფესვი,
განწირულ კვანძით
შეგეჭიდა
და შეგაჩვენა!

დღესაც გრძელდება
ეს ტიდილი
ორ მებრძოლ ძალთა,
დღეს უფრო მძაფრი
კვეთებაა
ამ ორი კლასის;
ჩვენში ლენინმა
შენი დროშა
ძლევიტ აღმართა
და კომუნიზმიც
აქ შენდება
ბრძოლა - შეხლაში!

ჩვენ გავიმარჯვეთ
დედამიწის ერთმეექვსედზე
სოციალიზმის
მშენებლობას
მოგვიდეთ ხელი;
ვაშაყობთ
წითელ ორდენებით
ფოლადის მკერდზე,
რადგან იგია
გმირულ შრომის
გამომსახველი!

ვერც ვორუბრუხე
 ხარბაზნები,
 ვერც შიწის ძვრები,
 ვერ შეარყევდენ
 ასე მძლავრად
 ქვეყანას ძველსა, —
 როგორც შენ შესძარ
 შენი კალმით,
 შენი მოძღვრებით
 და რომლითაც დღეს
 ვქმნით ცხოვრებას,
 უკლასოს,
 ერცელსა!

შენს შუბლს —
 ღრმა თიქრთა
 დიდ მოეხანს —
 მარად რომელიც
 რევოლუციურ
 აზროვნებით
 გეაწრთობს და
 გვანთებს, —
 დღესაც ჩირაღდნად
 აღიარებს
 ყველა მშრომელი,
 რომლითაც დიად
 მომავლისაკენ
 ვხას მიინათებს!
 მილიარდიან
 შენს არმიებს,
 ყველა ქვეყნისას,
 არმიებს შრომის,
 რომ აღძრულან.
 საერთო მიზნით, —
 წინ უძღვი,
 როგორც
 ხორცშესხმული
 ემბლემა ხსნისა
 და როგორც დროშა
 მეცნიერულ
 სოციალიზმის!



მ ზ ვ მ რ ა ვ ი

ქაბთღი საზოქალაქო თმის დოთაქან

1

წყნარად და დინჯად შოაგორებს ფართო ვოლკა ტალღებს.

სუსტი სიო ნაზად ეთამაშება ვოლგის ნაპირებს. ხან ხელის გულივით გაშლილს ველს გადაურბენს გულმკერდზე, ხან ვოლგის ნაპირებს ჩაურბენს, შეჩერდება ზაბოსთან თითქოს სურს ტალღების ნაამბობი ვაიგოს, ხან ლაქაშებში შეირბენს და შრიალებს.

მზე ცის კამარაზე ჰკიდია: თითქოს გაჩერებულა. სიმზურვალით სავსეა ველი. თავჩაქინდრულან ყვავილები და ელიან, თუ როდის გადაწვება მზე.

თავჩაქინდრულა ლი-ჩანიც. ირიბად ჩასხმული თვალები ტალღებისათვის მიუჩერებია, დანაოკებულ შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოდის, ფართო და განიერი მკერდი იდუშალი ჯავრისაგან ბორგავს; მაგარი, თითქოს ძელქვისაგან გამოკეეტილი კუნთები თრთიან. ხანდახან მუშტად შეიკუმშებიან თითები და იგი მუშტი ჰგავს დასარტყამად გამზადილ უროს.

მიდის ლი-ჩან, და ფიქრობს თავის მრუდედ დაგრებილ ბედზე:

— მრავალი ათასი კილომეტრი აშორებს მას შორეული სამშობლოსაგან... კმ... აქვს კი სამშობლო? თუმცა, რატომ არა? იქ დაიბადა, შორეულს ჩინეთში მაგრამ ერთი დღეც რომ არ უნახავს სიცილიანი?... შიმშილიან წელს ცოლ-შვილი გაუწყდა, თვითონ აჯანყებულთ შეუერთდა... დამარცხდნენ. ინგლისელებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, გაიქცა. რუსეთს შემოაფარა თავი. აქაც არ ვასთენებია მზიანი დილა მანამ, სანამ დაიქულებდა ოქტომბერი. მაშინ ლი-ჩანმა იგრძნო, გრძელი თმებიდან თითის ფრჩხილებამდე იგრძნო, რომ გათენდა ახალი დილა, ამოვიდა ახალი მზე, და რომ ეს მზე არ ჩაქრეს საქიროა წამოგრაგნილ ღრუბელთა ვაფანტვა... და ჩაეწერა წითელ ჯარში.

მიდის ლი-ჩან, და ფიქრები ერთი მეორეს საბარგო ვაგონებივით მიზღვენ: წითელია ფიქრები, მაგრამ მძიმე.

— ფრონტები... ფრონტები... მოხალისე მუშები, ჩამქრალი ქარხნები, დანგრეული ქალაქები, მინებ ჩამტვრეული ვაგონები და სადგურები, მკენარები, მშვიერი თვალები, მოძაგდავე ტუჩები... და ყველგან იგივე მტერი, იგივე გველშაპი: ინგლისის ფრენჩი და რეზინის სტეკი. აქაც, ამ ქვეყანაშიაც ინგლისური ფრენჩი... ლი-ჩან ვააფთრებით იბრძვის ყველა ფრონტზე, უმაგალითო სიმამ-

იციო, და ხშირად ცივის ბოროტებით: არ იცი შებრალება, განა მათ იციან შებრალება, მათ რომელთა შესახებ სიმღერაც კი ზიზღით იწყებენ...

Мундир английский,
Погои российский,
Табак японский,
Правитель Омский...¹⁾

ეხ! ლი-ჩანს რომ შეეძლოს—ვოლგას ნავთად აქცევდა. თეთრების ბანაკს გადაახაზა, და მოუყიდებდა... აგუზგუზდი ცეცხლო. დასწვი ძველი ქვეყანა გააცამტვერე პაგონიანი ფრენისა და რეზინის სტეკის ქვეყანა... ცეცხლში უნდა იშვას ახალი ქვეყანა, უცრემლო უმართაბო, უბატონო...

და ამ გაწმენდისათვის ლი-ჩან მზადაა შესწიროს თავისი სიცოცხლე, ის გაივლის თეთრების ხაზს და შეატყობინებს წითლების მთავარ ძალებს, რომ მომწყვდევულ რაზმს ამოხოცავენ, თუ არ უშველეს.

და როდესაც თეთრების ხაზს მიუახლოვდა ლი-ჩან ჩაწვა ბალახებში და გველივით გასრიდა.

2

წითელი რაზმის მეთაური გულის ფანცქალით ელის ლი-ჩანის დაბრუნებას. ელის, თუმცა არ სჯერა დაბრუნება.

მეთაური დაჰყურებს რაზმს და თითქოს გულზე მარწუხს უქერენ. ხსნა შეუძლებელია. უკვე კვირაზე მეტია, რაც რაზმი მოწყვეტილია. უსმელი, უჭმელი, არაქათ გამოლულა რაზმი არც ერთი ვაზნა, არც ერთი ყუშბარა, არც ერთი ტყვიამფრქვევი. ნეტავი მდინარე მაინც არ იყოს ახლოს. თვალი ხედავს ზღვა წყალს, ჩასვლა კი არ შეიძლება: მტრის სანგრები ჯებიორივით ზღუდავს მისასვლელ გზებს. ყველას თვალში მეთაურს შეჰყურებენ, ეშინია მეთაურს წაიკითხოს ამ თვლებში საშინელი და მოულოდნელი დადგენბდეთ...*

და მეთაური ჩატყვიებული თვლებით ზვერავეს წითელ არმიელებს.

წითელი არმიელნი ღონე მიხდილნი წვანან. უკანასკნელ ფიქრებს ზოგი სად მიყავს ზოგი სად.

აი მსროლელი ნიკიფორე. გულაღმა წევს, ხელები გრძელსა და ხშირს წვერში ჩაუვლია. წვერები კალარაა, თითები შავი და დახეთქილი. ხედავს ნიკიფორე: შორს სოფელში წასაქცევად დაქანებული ქოხი დვას, პატარა ბოჩოლა და პატარა ბიჭუნა ეზოში თამაშობენ; ბიჭუნა ბოჩოლას ეჭიდავება, ბოჩოლა გაიქცევა. ბიჭუნა დაეწევა, კისერზე ჩამოეციდება, ბოჩოლა ჩამოავდებს, გაიქცევა. ბიჭუნა ისევ გამოეციდება.

— მამა! მამა! მე დავიჭერ ბოჩოლას!

— ჩაეხსენ, შეილო არ დაგამტვრიოს!

— არა რატომ დამამტვრევს? ჩვენ ხომ ეთამაშობთ? მამ... სად არიან ახლა ბიჭუნა და ბოჩოლა?

¹⁾ სამოქალაქო ომის დროს გაფრცვლბული სიმღერა აღმოსავლეთის ფრონტზე.

— ჩემო ბიჭუნო...—და თვალები დაუსველდა... გამხმარი ტუჩები ენით დაისველა. ტუჩები იყო დახეტილი და სისხლმა გამოჟონა. სისხლი ენაზე დაი- გროვია, სულ ცოტა იყო, მაგრამ მლაშე.

ნიკიფორეს გასწვრივ თმა ხეშუქა მზვერავი წვეს. ეს ყველაზე მხიარული და ხუმარაა მთელს რაზმში. ახლა კი კრიკა შეკრული აქვს. თითებით მიწას სნიჩქნის, ბალახის ძირს ასუფთავებს, ფხეკს, შემდეგ პირში იღებს და ლე- კავს. ხანდა ხან თეთრების ხაზს უყურებს და ისეთის ბრაზით ამოიოხრებს, თი- თქოს სწყინს, რომ ბალახის ძირებს ლეკავს და არა თეთრების კანს...

ცოტა მოშორებით მექაშე თედორე წვეს. იგი ზორბა ტანსაა, მაგარი გრძელი კბილები აქვს. ფართო, ლონიერი ხელები. ხელში ლანჩა უჭირავს და ლეკავს. ბევრი ხანია, რაც თედორე ლეკავს ლანჩას არც ლანჩას აკლდება რა- მე და არც თედორეს ემატება რამე.

თედორეს გვერდით უკბილო პეტრე წვეს. იგი შურით უყურებს თედორეს. მშური თვალები ხან ღმელვრევიან, ხან ნაცრისფრად იქცევიან. პეტრე ხან პი- რიქვე დაწვება მიწაზე და ყნოსნავს, ხან უცნაურად მიაჩერდება ვოლგას და ბორგავს. პეტრემ ამ დილას ბალახებზე დაგროვილი ცვარი დააგროვა და და- ლია. მაგრამ ეს იყო დილით, ახლა შუადღეა, პაპანაქებაა, გამშრალია ხახა და წყურვილის მოსაკლავად ბევრი, ძალზე ბევრი წყალია საჭირო.

მეთაურის ახლოს პატარა მიტო წვეს. მას თეთრებმა მამა მოუკლეს და მიტო შურის საძიებლად წითლებს გაყვა. მიტო დედაზე ფიქრობს. რა ტკბილია დე- და? სადაა ახლა დედა? უჭირს? აკლია რაიმე? ალბათ დედას ჭიკა წყალი მი- ინც აქვს, მოსწყურდება, დაღვეს. მიტოს კი ესეც არ აქვს. მიტოს წყურვი- ლი კლავს. ვინ მიეფერება მიტოს აქ? არავის სცალია მიტოსათვის, იცის მი- ტომ, რომ რაზმს არ შეუძლია თავდაცვა, რომ ჩქარა ამოხოცავენ რაზმს... ლი- ჩან! ჰო, ლი-ჩან! მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია ლი-ჩან გაძვრეს ფრონტზე. ე... ეხ! სად არის ახლა ჩემი დედა?

და პატარა მიტოს გული აუჩუყდა. ცრემლები რომ სხვას არ დაენახა პირქვე დაემხო, ხალათი თავზე წამოიფარა.

მეთაურის თვალები ყველაფერს ხედავს. მეთაურის გული ყველას გულსა გრძნობს. მზე გადაიხარა.

ეხ! არა სჩანს მაშეღლი.

3.

რაზმელები თანდათანობით შეგგუფუნენ მეთაურის გარშემო. უკანასკნელი ბკობაა. ან შიმშილით სიკვდილი, ან ბრძოლით სიკვდილი. მაგრამ როგორ იბ- რძოლონ?... ბრძოლაც არის და ბრძოლაც... ეს ხომ ბრძოლა არ იქნება, ეს თვი- თმკვლევლობა იქნება...

მეთაურმა ერთხელ კიდევ გაზომა უმცდარი თვალებით მტრის ხაზი... ეს რა არის? მაღალ ბალახებში ბრინჯაოს ქანდაკი მოსჩანს.

— ნუთუ ლი-ჩან!

რაზმი შეირხა ტოტივით, რომელიც აფრენილმა ჩიტმა დაარხია.

— ლი-ჩან! ლი-ჩან!

მაშ, არის ხსნა! მაშ ეშველა რაზმს. იმედი ჩადგა შეკრდებში და სიხარულით აინთო თვალბში.

მაგრამ როგორ მოდის ლი-ჩან? რატომ ბარბაცებს? ჰო, დაიღლებოდა. ვანა ადვილი იყო მტრის ფრონტის გასვლა შეუძნეველად? და იღლებოდა, რასაკვირველია. მაგრამ რატომ დაბრუნდა ლი-ჩან? ლი-ჩან? ხომ მაშველი რაზმით უნდა დაბრუნებულყო? რას ნიშნავს ეს? ახ, წაიქცა კიდევ... ადგა.. ისევ წაიქცა...

მეთაურმა მაშველი ვაგზავნა.

დამარცხებული ჯარივით აირია მეთაურის ფიქრები, და მანამ, სანამ მეთაური აშლილ ფიქრებს დააწყობდა ლი-ჩანიც მოვიდა.

რაზმა დაიდგა დაკრილ მხეცივით. და დაინახეს:

ლიჩანს მკერდზე ხუთკიმიანი ვარსკლავი ჰქონდა ამოკრილი, ზურგი დასერილი იყო ხმლით, კრილობაში ჩაუყრიათ მარილი, ხორცი დახეტქილა, ქონი გონავდა, სისხლ-ს ზოლები მთელს ტანს დაყვებოდა. ტანი თრთოდა, კუნთებიც ცალცალკე თრთოდნენ.

— ლი-ჩან!— შეპყვირა მეთაურმა.

პასუხის ნაცვლად ლი-ჩანმა პირი გააღო და სისხლი ამოანთხია.

ენა ძირში იყო მოკრილი.

ლი-ჩან მოტრიალდა ძეთრების ხაზისკენ, შეეუმშა ორივე მუშტი, და მთელი ტანით გადაიხარა წინ.

რაზმი მიუხვდა.

— წინ!— შესძახა მეთაურმა.

— წინ!— გაიმეორა რაზმა.

გადახრილი მზე ოკროს სხივებს უფენდა შეტევაზე გადასულ რაზმს, სიო ბალახებს უშლიდა ფეხქვეშ, და ვოლგის ტალღებიც მაგრილობელ წყალს უმზადებდა წყალს მოწყურებულთ...

წყალი მხოლოდ რამოდენიმემ დალია.

და როდესაც მეორე დილას მზემ ბრძოლის ველს დახედა, დაინახა: წყნარად და დინჯად მიაგორებდა ფართო ვოლგა ტალღებს. ნაპირზე ლაქაში შრი-ალებდა, ირხედა და თავს ხრიდა მშვერავის საფლავეზე.

საფლავეთან იდგნენ გადარჩენილი წითელ არმიელები, დაკრილი მეთაური და წითელი დროშა.

დილის სიო ნაზად არხევდა მოშრიალე ლაქაშს, და მიჰქონდა შორს შორს ლაქაშების ალერსიანი ჩურჩული:

— ლი-ჩან! ლი-ჩან!..



ისევ ეძახიან გერმანიას

„მკვდრები ეძახიან ცოცხლებს“—ასეთი ხათათური შეგარქვა თავის ლექსების წიგნს 1848 წლის გერმანიის რევოლუციის პოეტმა და კომუნისტმა ფერდინანდ ფრეილიგრატმა.

„გერმანია — სწერს ფრეილიგრატი — არის პრინციპალური. რომელსაც შუალამის წყვედიადის დროს ევლინება თავისუფლება და მის ყარაულებს ნიშანს აძლევს. მოდის იარაღით ეს თავისუფლების აზრდილი და მისი იმპეციური ხმა ყრუდ გაისმო: იძიე შური აიღე ხმალი — საწამლავე ჩამასხვე ყურში“.

მაგრამ ხმალი ფევე ამოღებულია ხმალი, რომელიც თითქოს დაფანგებულიყოს ხაიგეიტის ქეის დაზვესებასთან ერთად, რომლის ქვეშაც განისვენებს „სოციალისტის პაპა“ და „ახალი რეინის გახეთის“ რედაქტორი კარლ შარტი.

ის რევოლუციონური სული, რომელიც მოქპრის ცივი ეიმბირის მალაროებიდან მოყოლებული, ვიდრე ევროპამდე, ევროპიდან, ვიდრე ამერიკასა და კალიფორნიამდე დაღუპულ მათა საფლავებიდან და რომელსაც მოუწოდებს გერმანიას — ამ დიდი სიზღერების და იდეების სამშობლოს, რომ მათ საფლავებზე კვლავ არ აღიმართოს საღრჩობელები თავისუფლებისა — არის საუკეთესო გამოძახილი.

დღე, ამ გამოძახილის ნიშნად ჩემი ლექსიც ყოფილიყოს გამოძახილი ფერდინანდ ფრეილიგრატის წიგნისა, რადგანაც მკვდრები ისევ ეძახიან ცოცხლებს, ისევ ეძახიან გერმანიას!

ალ. გომიაშვილი.

„დაიგრილა ქარიშხალმა და ჩადგა ისევ“...
შხოლოდ რეინის ნიაგარა წყლების ნახველი ხევიის... და ხმების ღრიალცელში თითქოს მოისმის დიდი ფერდინანდ ფრეილიგრატის მქუხარე ხმები: ახ, გერმანიის ნულარა სტირ კარგო ფლეიტა. თავისუფლება აზრდილივით დადის ქალაქად.— თავისუფლება მოუწოდებს ბრძოლას რეინთან დამარცხებული რესპუბლიკის მებრძოლ ბარაბანს. შიში, შიშვილი. ბონაპარტის ყორნის ჩხავილი. რეინის პირას ახალგაზრდა რესპუბლიკაში ქარიშხალის დროს—

შემოიჭრა ქარიშხალივით



კაპიტალიზმის, „ქარიშხალი ერთ ქიქა წყალში“.
 მშვიდობით მაღალ იდეების მქუხარე ბრძოლავ,
 „ახალ რეინის გაზეთივით“ განდევნეს ლომი.
 ემიგრაციის ტყვეობაში მან გაიყოლა,
 მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიტყვა, სიტყვა „მშვიდობით“.
 მშვიდობით ჩემო ქალაქებო, ველებო, მთებო,
 მშვიდობით, მაგრამ ჯავრი მიმაჭეს დამარცხებულ გზის.
 ასწიეთ მკლავი: განუყრელო ამხანაგებო,
 ლონდონში დაღის ნაბიჯები ამხანაგ მარქსის!..
 მშვიდობით—დეე, ამ ქარიშხალს ვუთხრათ მშვიდობა!
 ჩვენ კვლავ გვეძახის ბრძოლისაკენ „მანიფესტის“ ხმა.
 და შენაც, მაღალ იდეების მქუხარე ბრძოლავ,
 მშვიდობით... ელის გერმანია ახალ ქარიშხალს!..
 შორ ჩრდილოეთში დათოვლილი შრიალებს ნაძვი,
 შრიალებს ნაძვი და ნაძვივით შენც დაჰბერდები.
 „გზის სურათებით“ ერთხელ მაინც გაივლის მანძილს
 და პოეტის შუბლს დაღვრემილი შეაჩერდები.
 და გერმანია—(ეს ნიადაგ პრინცი ჰამლეტი—
 „ყოფნა?! არ ყოფნა?!“—იჭვნეული ჰქრიან დღეები).
 ვით მარადისი მზე ამოდის აღმოსავლეთით—
 სულია შენი—სიმღერები და იდეები.
 თვითონ ჰენრიხი, ვინც ფლიეტის ხმები შესცვალა
 რევოლუციის ბარაბანის მქუხარე ხმებით;
 მოუწოდებდა გერმანიის მძინარე ძალას
 ბრძოლით, შეტევით, ქარიშხალით და ამბოხებით!..
 აი სიმღერა—და სიმღერა იყოს ალალი,
 ვისაც ნიადაგ ნატყვიარი გულზე ატყვია!—
 სიმღერა რაა—თუ ფრანგულზე მკრელი არ არი,
 თუ არა მალი, ვიდრე მალი ხირიმის ტყვია!
 ბევრი სიმღერა არწივივით კლდეებზე წივის.
 ბევრი სიმღერა იშმუშნება ხევში ლეშვიით.
 ბევრი სიმღერა ისტორიის ტყვიით დაქრილი
 ნიბელუნგივით სიკვდილს ებრძვის ნაპრალებშივე.
 ასეა როცა იჭვნეული ჰქრიან დღეები,
 ჰქრიან დღეები და დაქრილი ქარის ხმები.—
 ნაპრალებიდან სიმღერები და იდეები
 ნაპრალებშივე ტრალიკულად იღუპებიან.
 მაგრამ ის მაინც, როგორც მაღალ მთების არწივი,
 როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ყოველი ბრწყალი—
 სამოქალაქო ომებიდან ველზე გაქრილი
 ახალი დროის ქარიშხალის ნაპერწკალია.
 რეინო ჩემო, კირხლი ფარავს სამხრეთის მთვარეს,

ჩრდილოეთშიაც კირხლიანი ჰქრიან დღეები.
 მოვა დრო ახალ გირგალისთვის დგები მქუხარე
 ისევ ბრძოლებით, სიმღერებით და იღებთ.
 „დაიგრილა ქარიშხალმა და ჩადგა ისევ“?..
 —რენო ჩემო, ნიაგარა წყლების ნახველი
 ხევის... და ხმების ღრიანცელში თითქოს მოისმის
 დიდი ფერდინანდ ფრეილიგრატის მქუხარე ხმები.

აი, ლონდონიც. სასახლეებს და შალალ დოკებს
 მდინარე ტეზა აბარბა ებს ზანტი ზრიალით.
 სად მოქალაქის შუბლის ძარღვებს ვერ შეატოკებს,
 ვერ შეატოკებს სიყვარული ადამიანის.
 ყველგან შფოთვა და გულგრილობის მძაფრი პაროლი
 დაუდგომელი ორგიების ცეცხლის ენებით.
 ხმა მელამურის. რეჯენ-სტირტის ეტლები მქროლი...
 ომნიბუსები, ხომალდები და ტრამვაები...
 ტრიალებს დისკო. თითქოს მოსკდა მთიდან ქვიშანი,
 თითქოს ირყევა გიგანტიურ დოკების ბქენი.—
 არ არის ირგვლივ ამ ხმაურში ერთი ნიშანიც,
 ნიშანი—სოფლის სიახლოვეს რომ გიჩვენებდეს!
 მხოლოდ ჩიხებით რა გაივლის „ყვავების ბუდეს“
 ფრეილიგრატივით ამხანაგო, შენც დალონდები.—
 ხედავ ტალახში შშიერ-შწყურვალ მუშათა უბნებს
 და დამხობილი რესპუბლიკა მოგავგონდების...
 ეხლა სადა ხარ. ალბად გახსოვს ივლისის ღამე,
 როცა ლონდონში ამზადებდით ახალ ქარიშხალს.
 ჰქუხდა ქალაქი და ქალაქზე უფრო მქუხარე
 შინაგან ცეცხლით გამოცვლილი მეგობარის ხმა:
 „ნახეთ! წარსული მოწმე იყო ორთქლის ზემის,
 მან მოახდინა ტექნიკური რევოლუცია,—
 მაგრამ შალალი ისტორიის სცენიდან „მისი
 დიდებულება“ არ შეზღვდება დღეებს გულცივად.—
 ის, (როცა, სადღაც ვიტრინაში, როგორც მოდელი
 წივის, ტრიალებს ელმავალი ბორბლის წკრიალით.)
 ადგილს დაუთმობს უფრო მეტბოლს, რევოლუციონერს—
 და ეს მეტბოლი ელექტრონის ნაპერწყალია“.
 ეხლა ის კაცი, როგორც შალალ მთების არწივი,
 როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ამბოხარი ხმა—
 ზაიგეიტის ყორღან დან ველზე გაჭრილი
 ისევ ამზადებს გერმანიის ახალ ქარიშხალს!
 ნახე ვიტრინა, სად პატარა ელმავალს მართავს,
 პატარა რკინის ლიანდაგი თავის გარშემო,—



ლამე კამათში გაათენე ორ მეგობართან
 და ჩარჩა ეს დღე შენს ხსოვნაში სამარადეოდ...¹⁾
 იქვის ლაშქარი გააყოლე ივლისის ღამეს—
 და ეხლაც ალბად გაწვალე ბენ სიტყვები მარქსის!
 შეხედე კლდეებს! მდინარენი, სადაც ოხრავენ,
 სადაც შამილი²⁾ ბრუნდებოდა დამარცხებულ გზით.
 სადაც მთა-ველებს საბჭოეთის ჰქვია სახელი,
 სადაც გზებია ენერჯის ხეავით დატენილ.—
 შეხედე ველებს! გადახსნილან ელვის ნახველით
 დნებრომშენიდან ელექტრონის კილოვატები.
 არის ტემპი და შეტყეების შეხლა-დგრიალი,
 ლაღუმის ხმაში დამხოზილა მთა კრისტალივით.
 ელექტრო იბრძვის, ვით ცოცხალი ადამიანი
 და ელექტრონის გიგანტივით დგება სტალინი!
 დეე, კლასიურ შეჯახების ჰქროდენ დღეები—
 კაპიტალიზმის იქგნეული ქარის ხმებია.—
 „ყოფნა-არ ყოფნის“ სიმღერები და იდეები
 ნაპრალებშივე ტრალიკულად იღუპებიან.
 მხოლოდ— ის ერთი, როგორც მალალ მთების არწივი,
 როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ყოველი ბრწყალი—
 სამოქალაქო ომებიდან ველზე გაქრილი
 ახალი დროის ქარიშხლის ნაპერწკალია.
 ნაპერწკალია ქარიშხლის ტემზა, ნილოსი...
 — რეინდ ჩემო, ნიაგარა წყლების ნახველი
 ხვივის... და ხმების ღრიანცელში თიშქოს მოისმის
 ისევ ფერდინანდ ფრეილიგრატის მქუხარე ხმები...

შენც ჩემო ლექსო, გრივალევიტ ნისლი გასქერი,
 გასქერი მხარე ელექტრონის ბორბლის წკრიალით.—
 დე, ზრიალებდეს სიმბოლიურ ქალაქის ბქენი,—
 ქალაქის შიგნით გადაიფრენს ორბი ბწკლიანი..
 რისთვის ვიბრძოდით! დამარცხებულ ქარიშხლის დროს
 „ახალ რეინის გაზეთივით“ განდევნეს ლომი?
 კაპიტალიზმიც დაეწობა, დაემხო, როგორც
 ვანდომის სვეტის სიმალლიდან ნაპოლეონი!
 ახ, გერმანია! ნულარა სტირ კარგო ფლეიტა.



5236
R 99

¹⁾ ასე საუბრობდენ ივლისის ერთ ღამეს ქალაქ ლონდონში რევ. ნ-სტირტსე კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი და ვილგელმ ლიბკნეხტი.
²⁾ შამილი — დაღესტნის იმამი, რომლის მოძრაობადაც მარქსი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს და ეხმარებოდა მას.

თავისუფლება აჩრდილივით დადის ქალაქად.—
 თავისუფლება მოუწოდებს ბრძოლას რეინთან
 დამარცხებული რესპუბლიკის მებრძოლ ბარაბანს.
 ხმა ბარაბანის, ამ ღამეში ისე გაისმის,
 თითქოს შხამივით ქარიშხალი მიწას გაეკრა.—
 მსოფლიო იბრძვის, და ბრძოლაში კავიტალიზმის
 ისევე პირველი დამხვრეტავი შენ იქნები კარლ!
 აჰა, დაჰბერა ქარიშხალმაც. ჩაჰჭრა ვარსკვლავი.
 ღამის წყვილიადის ნაპრალები ნაპრალებს ზრევენ.
 — გიტლერ, ჩაძალღდი! დგება ღამე უკანასკნელი,
 უკანასკნელი რეაქციის ვალპურგის ღამე!..

ტფილისი.

4 მარტი 1933 წ.





ნაბიჯები

ცვილთგია. წიგნი პირველი

ქარიშხლის წინ

პროკლამაცია!

კონცესიონერი პასუხს აგვიანებდა.

მუშათა კომიტეტი წინასწარ დარწმუნებული იყო მოთხოვნილებათა განუზორციელებლობაში. იცოდნენ, რომ კონცესიონერი არაფერს არ გაიმეტებდა მუშათა მდგომარეობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეკონომიური მოთხოვნილება რომ პოლიტიკურ ბრძოლის ცეცხლად გარდაქცეულიყო, დაამქარეს მოთხოვნილების წარდგენა. დღეს, როცა ყოველგვარი ფორმალური მხარე უკვე შესრულებული იყო, მუშათა კომიტეტს სხვა საშვალემა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ პირდაპირ დაეწყო ფურცლების გავრცელება, და გაფიცვებისაკენ მოეწოდებია კონცესიაზე მომუშავეებისათვის.

უკანასკნელად ერთხელ კიდევ დაისვა საკითხი მუშათა კომიტეტის სხდომაზე. გაიმართა აზრთა ცხარე გაცვლა-გამოცვლა. ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონეს კომიტეტის წევრებმა კონცესიაზე შექმნილი მდგომარეობა. სანუგეშოს წინ ვერაფერს ხედავდნენ, გარდა იმისა, რომ ბრძოლის კოცონი უახლოეს დროში უნდა დანთებულყო... „მუშათა კლასი მხოლოდ თავგანწირული ბრძოლით შესძლებს თავისუფლების მოპოებას... ერთადერთი გამოსავალი გზა კლასობრივი ურთიერთობის გამწვავებაშია. მაშ ბარეკალებზე, ამხანაგებო!“.

ამ სიტყვებით თავდებოდა პროკლამაცია. რომლის გავრცელებას, კომიტეტის დადგენილებით, სურების რაიონში ხვალდნანვე უნდა შესდგომოდნენ.

— ეხლავე გაანაწილეთ ფურცლები, და იცოდეთ ხვალ ათ საათზე ის უკვე გავრცელებული დარჩეს მოსახლეობაში. კაპიტოს საფლავეზე წარმოთქმული სიტყვა აშკარა ბრძოლისაკენ მოწოდებით უნდა დაასრულოს ორატორმა— შეიტანა წინადადება კასრაძემ და კომიტეტში გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. გვარამაძემ, მათალია, ამას წინადა თანხმობა განუცხადა კომიტეტს გაფიცვების დაწყების სასარგებლოდ, მაგრამ კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე, ის განგებ ჩუმად იჯდა, ხოლო მისი ჩავონებითა და წინასწარ გამართული მოლაპარაკებით, ეხლა სხვებზე გამოდიოდნენ გაფიცვების ჩასაშლელად.

— ფურცლები გავრცელდეს, როგორც გაფრთხილება გაფრთხილების დასაწყებად, მაგრამ რა საჭიროა ფურცლების გავრცელებას გაფრთხილებს დაერთოს? — ამტკიცებდნენ გვარამაძის მომხრეები და ამ აზრის გასაქმნელს უკვე გამოდებით იბრძოდნენ.

უყარეს კენჭი შემოსულ წინადადებებს.

ხმის უმრავლესობით კომიტეტის წევრები კასრადის მხარეზე აღმოჩნდნენ და დარბაზში შეიქმნა გაურკვეველი ჩოჩქოლი და უმისამართო წამოძახილები.

ცხლა კაპიტოს საფლავეზე წარმოსათქმელი სიტყვის თეზისები გახდა სადაო და საკინკლაო. გვარამაძემ აქ ველარ მოთმინა და წინადადება შეიტანა კომიტეტში, ჩამოერთმიათ სიტყვა ლადარიასათვის (წინად მას ჰქონდა სიტყვის თქმა მინდობილი კომიტეტის მიერ), და რომელიმე ნეიტრალური პირისათვის დაევალებიათ.

— რას ნიშნავს „ნეიტრალური“? — აუტყდნენ გვარამაძეს კომიტეტის ზოგიერთი წევრები.

— ნეიტრალური იმას ნიშნავს, ამხანაგებო, რომ ორატორი, რომელსაც ჩვენ დავავალებთ საფლავეზე სიტყვის წარმოთქმას, არ დაიცავს არც ლადარიასა და მის გარშემო თავშემოკრებილ ამხანაგების აზრს, არც, თუ გნებავთ, ჩემსა და ჩემი თანამოაზრეებისას.

— რას ნიშნავს, ამხანაგო გვარამაძე, ლადარიას აზრი, ან შენი აზრი... ვინ ჩავაგონა თქვენ ასეთი სისულელე რომ ჩვენი პარტიის წევრები ან ლადარიას, ან გვარამაძის აზრს ადგიან? ჩვენ გვაქვს ჩვენი საბრძოლო პროგრამა, გვყავს ცენტრალური კომიტეტი და ხელმძღვანელი ორგანოები და ჩვენც ამ პროგრამის მიხედვით ვმუშაობთ, და თუ უმრავლესობა, დღეს ლადარიასა და კასრადის მხარეზეა, ეს იმიტომ, რომ ისინი, ჩვენის ფიქრით, სწორად ადგანან ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მითითებულ გზას, და არა იმიტომ რომ ეს ლადარიას ან კასრადის პირადი აზრია... მე ვფიქრობ ამიერიდან ადგილი არ უნდა დაურჩეს კომიტეტის სხდომაზე ასეთ თავხედურ წამოძახებას, „ჩემი აზრი“ და სხვა ასეთი აბლაუბდა... ჩვენ ვიცით პარტიის აზრი, მორჩა და გათავდა.

— მე კი მგონია, რომ თავხედი და სულელია სწორად ის... ვინც ფიქრობს...

— კარგი, დაჩუმიდი... — აუტყდნენ გვარამაძეს კომიტეტის წევრები და წინადადება აღარ დაასრულებინეს.

— ნეიტრალური კაცი სად მოვნახოთ?! — დაცინვით წამოიძახა ვილაყამ.

— კონცესიონერი თუ ყავდა მხედველობაში, ან შერვაშიძე... — ჩაუთოო ხოსიამ და სხდომაზე თავშეუკავებელი სიცოცხარხარი ატყდა.

— რა შუაშია კონცესიონერი, ან შერვაშიძე, — ზიზლით დაიკყანა გვარამაძე და ქუდი მაგიდაზე დაახეთქა.

— „ნეიტრალური ხალხია“, გეტყვი მე. დაცინვით უპასუხა ხოსიამ.

— ხუმრობა იქით იყოს, ამხანაგებო, და მართლა საოცარია ზოგჯერ ამხანაგ გვარამაძის წინადადება... ნეიტრალური ორატორი... აბა, ვინ უნდა მოეძებნოს ჩვენს შორის ისეთი ნეიტრალური, რომ კომიტეტის უმრავლესობის ან უმცირესობის აზრი არ გაატაროს თავის სიტყვაში, ორივე ფრთა რომ შეარი-



გოს და ამავე დროს საპროგრამო სიტყვაც წარმოსთქვას... მე ასეთი არ მეგუ-
ლება და ხოსიას სამართლიანი შეკითხვისა არ იყოს, კარგი კარგი წინადა-
დების ავტორს თვითონვე დაესახელებია ასეთი ორატორი...

— ოჰ, მასხარები ხართ მართლა და მეტი არაფერი, — აიტყვიცა გვარამა-
ძე და თავისი მომხრეებიც ააყაყანა.

— მასხარაცა ხარ და, — გადააბრიალა თვალები კოწია ტრაპაიძემ — ჯერ
შენი ცოდვები კარგად არ გამოგვიჩრეკია თორემ... ამხანაგებო! ამ გახსენებამზე
წინადადება შემომამქვს, გვარამაძის საქმის გარშემო გამოიყოს პარტიული სამე-
ული, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს გვარამაძის მონაწილეო-
ბას ხალამპრე მიკიტანის დუქნის გატეხის საქმეში.

გვარამაძეს გააეროლა... არ მოელოდა საკითხის ასეთ დაყენებას და...
უცებ გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა...

— მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ... — აიღეწა ერთბაშად გვარამაძე.

— პროტესტს კი განაცხადებ თუ... არ გააპირვა საქმე თავისი ნეიტრა-
ლური პოლიტიკით... ცილის დაწამებაში არ გეტყობა ნეიტრალიობა!

— ამხანაგებო... — დაჰკრა ხელი მაგიდას ალღვებულმა გვარამაძემ და სამელ-
ნე ბოთლი ოქმის წიგნზე გადმოაპირქვა. — მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ცი-
ლისწამებისათვის... ასეთი უმზგავსო თავხედობისათვის...

— თავხედიცა ხარ და... პროვოკატორიცა... ჯაშუშო მამაძალო! შენ ეი...
ცოტა ფრთხილად თორემ...

— მე ვარ პროვოკატორი?! მე ვარ ჯაშუში?! ამხანაგებო...

სხდომაზე უკვე აღარაფერი ისმოდა. ერთმანეთში აირია საერთო ჩოჩ-
ქოლი, ლანძღვა გინება და წამოძახილი... კრების ვაგრძელება შეუძლებელი
შეიქნა.

ლაღარიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა და თავის თანამოაზრეებთან
ერთად სხდომის ვაგრძელება ხოსიას ბინაზე გადაიტანა... აქვე ჩამოყალიბდა
ბოლშევიკური კომიტეტი და საბოლოოდ გადაწყდა როგორც ვაფიციების დაწ-
ყების აუცილებლობის ისე კაპიტოს საფლავზე წარმოსათქმელი სტყვის ბრძო-
ლის მოწოდებით დაბოლავების საკითხი... კომიტეტსა და წრის წევრებს შორის
აქამდე შეუმჩნეველი უთანხმოება დღეს წმდელი განხეთქილებად იქცა და საგაფიც-
ვო კომიტეტს ბოლშევიკების ფრაქციის ახალი კომიტეტი ჩაუდგა სათავეში.

ხალამპრეს დუქნის წინ ხალხი შეგროვილიყო. ყაფახას მიდგომოდენ და
რალაცას ხმამალა ჩოჩქოლობდენ. ერთი მათგანი ყაფახაზე მიკრულ „განცხა-
დებას“ ხმამალა კითხულობდა. ყველა თავაწეული მისჩერებოდა ნაცრისფერ
ქალაღზე დაბეჭდილ განცხადებას.

— საგადასახადო სიებს კითხულობენ? — იკითხა ერთმა, რომელმაც ეს იყო
დუქნის აივანზე ფეხი შემოდგა და თოვლით შეფიფქულმა ყაბალახი და გახუ-
ნებული ჩოხა დაიფერთხა.

— გადასახადის სია კი არა გაშანშალებული პროკლამაციაა, ბაბუა აღმასხან!

— პროკლამაციაა?! — დაალო პირი მოხუცმა და კედელს შეხედა — რა სწე-
რია მერე შიგ, თუ იცი?!



— ყური უგდე, ბაბუა აღმასხან, და გაიგებ.

აღმასხანმა მართლაც ხმა გაჰკმინდა, ხალხს მიუახლოვდა და დაეძინებინა დაყრდნობილმა ყური წაუგდო...

„მაშ, ბარიკადებზე ამხანაგებო!“ — დაასრულა ახალგაზრდამ პროკლამაციის კითხვა და ხელები შეიერთჭლა.

— რა დარი გაფუქდა? — წამოიძახა ერთმა.

— ყინვები იდგა და ბეგონა ერთხანს მაინც იდარებდა.

— არც ამ საცოდავ კაპიტოს დაესწრო კი ამინდი.

— კაცო ამინდი რაც არის ქვევდავთ, ზამთარში თოვლი რა გასაკვირია, შენ ის მითხარი რა სწერია მაგ პროკლამაციაში?!

— რა სწერია აღმასხან და... ხელმწიფე უნდა ჩამოვადოთო. ძველი წეს-წყობილება უნდა დავანგრეთო. ლედელი და პოლიცია უნდა მოვსპოთო და რა ვიცი...

— დანგრევა ადვილია, ვერო, გაკეთება თქვი თორემ... კი მარა, ვინ დაანგრევიებს მაგათ ამ სიმწრით აშენებულ სახელმწიფოს...

— ასე სწერია ბაბუა და აღბათ... დაანგრევენ კიდეც...

— ბიჭო დანგრევით კი ანგრევთ მარა, აშენებელი ვინ გყავთ ერთი გამაგებრით... ლედელ-დიაკანის მოსპობას რა ბუნტი და რა აჯანყება უნდა. ნუ დაოჯახებ ნურც ქორწილზე, ნურც ტირილზე და მორჩა, თავისთავად ჩამოგდებული იქნება... ვისაც არ სწამს ქრისტიანობა და ეკლესია ურჯულოთ იარს და იქნება მისთვის... პოლიცია წესრიგის დამცველია... სხვა რაღა გინდათ?.

— დაიწყებ რაღაცას...

— დავიწყებ, დიახ, დავიწყებ. სწორად შენისთანა გაუხედნავემ ულაყებმა დააქცია აი ქვეყანა. წერაკითხვა ისწავლეს თუ არა, — აბა, ხელმწიფე აღარ გვინდა, ეკლესია და სარწმუნოება არ გვინდა... თუ არ გინდათ რაზე იწვევთ... დღეს, კაპიტოს დამარხვაზე ლედელი არ იქნება?

— იქნება... მაგრამ რომ არ ყოფილიყო ის აჯანყებდა.

მართლა რა ცუდი ამინდი დაესწრო საცოდავს — ჩაერია ვიღაცა საუბარში და აღმასხანს ზურგი შეაქცია.

— ხალხი მაინც ბევრი დაესწრება.

— დასწრებით კი დაესწრებიან, მაგრამ ვაი, ამისთანა დასწრებას, სიცივით ამოკწყდებით. ბინა მაინც გაანდეს იმ უბედურს. საქათმის ოდენა ფაცხაში ვინ უნდა მოთავსდეს. ღია ცის ქვეშ მოგვიხდება ფეხზე ღვამა. საცოდავი კაპიტო! რა ახალგაზრდა ჩაწვა მიწაში. შევიდაბახიან სამუშაოს შეეწირა.

— ამოგვიშავა ამ წიქორია ინგლისელმა და ეს არის.

— არც მაგას დაეყრება ხერიო... მაგი თუ კიდე სუფსის კალაპოტის გაწმინდას ფიქრობს, ნამდვილად შექანებული ყოფილა.

— რა ფულები ჩაყარა წყალში ტყუილ უბრალოდ? ეხლა თუ გაფიცვა დაიწყო... მორჩა.

— რაო, გაფიცაო? რა თქვა იმ ახალგაზრდამ? — წაედგა აღმასხან ბეჭი-შვილი გაფიცვებზე მოლაპარაკეს, თუმცა დანამდვილებით ვერ გაიგონა მართლა გაფიცვა ახსენა მან თუ სხვა რაზე მოეყურა სიბერისგან ყურდაკლებულს.



— გაფიცვა, ბაბუა ალმასხან, გაფიცვა, გაიგონე?
 — გაფიგონე. აბა, გაფიცვები იწყება?
 — ჰო, ბაბუ, იწყება გაფიცვები.
 — კი მარა ვის ეფიცებით, წაებთი! შენს გაზრდას ააგლიჯე კედლიდან მაგი პრაკლამაცია... ეგერ ვინცა რუსი ზოდის, მგონი ელიოტის ათისთავი უნდა იყოს და რომ შეამჩნიოს, ერთი დაფიდარაბა ატყდება. ააგლიჯე შენს გაზრდას. გაფიცვები... ნეტა ვიკოდე ვის ეფიცებით?
 — ვის და ინგლისელ კაპიტალისტებს.
 — ჰე ჰე ჰე. ჰე ჰე!—ნაწყვეტებად გაიცინა ბერიშვილმა და აცრემლებული თვალები ამოიწმინდა.—კაცმა ლუკმა პური გაგჩინათ, ინგლისიდან ფული შინ მოგიტანათ, და იმას ეფიცებით... ჭკუა სად დაკარგეთ, ერთი მითხარით, ჭკუა სად დაკარგეთ...ა?
 — მოიტანა თორემ, დაგვალა და ეს არის. დღედაღამე ვმუშაობთ და ცოლშვილი დედიშობილა გვიზის ყველას ოჯახებში.
 — უწინ გვყავდა დედოფალივით ჩაატლასებული თუ?
 — ეჰ, რა გესმის ბაბუა... თორემ...
 — რომ გესმოდეს ასე არ მოიქცეოდით. ბიჭო,—აღელდა თანდათანობით ბერიშვილი, რომ წაუდგეს სურებიდან ეს ინგლისელი, ერთი მითხარით, რას მოიგებთ? მიპასუხე, რას მოიგებთ, ა! ვთქვათ მოუსვა სურებიდან...
 — მოუსვას თუ მოუსვამს...
 — მერე თქვენ რა შეგეძინება ამით... გინდათ შერვაშიძის გული გაახაროთ, დიდი ხნის ოცნება აუსრულოთ?
 — რა ოცნება, ალმასხან?!
 — სულელები! თქვენ არ იცით, რომ ინგლისელის გაქცევის დღითი დღე ელოდება რწმუნებული, რომ შემდეგ მთელი ეს ქონება მუქთათ ხელში ჩაიგდოს და მილიონებში შეცუროს ძუაგაფხეკილმა ახნაურმა. მოიცადეთ ცოტადა თვითონ დაინახავთ. ნუთუ მაშინაც აღარ დარწმუნდებით?!

ბეგრი ჩაფიქრდა მოხუცის სწორ გუმანზე... ჭკუაში მოუვიდათ მისი დეიქვება და შერვაშიძის ორმაგი პოლიტიკა, ხეტყის კონცესიის მუქთად ხელში ჩაგდებას შესახებ, მაგრამ ეს მაინც არ სწყვეტდა გაფიცვის ჩაშლისა თუ დაწყების საქმეს. მუშათა კომიტეტის უმრავლესობის აზრით გაფიცვები უნდა ეხლავე დაწყებულიყო.

თოვს.

წუხელ რა მაგრად ყინავდა და დღეს უცებ მშრალად გათოვდა. უღელტეხილი ფიფქით შეფუთქულა. გზებს ნაკვალევი აღარ ეტყობა. წყნარად მიასვენებენ აფეთქებაზე დაშავებულ კაპიტოს ცხედარს.

ათასამდე ქალი და კაცი მიაცილებდა მიცვალებულს. უამინდობას თითქმის არავინ დარიდებია. ყრულ ისმის ზარის სამგლოვიარო გუგუნე, რასაც ზედ ერთვის ცხედრის მახლობლად თავშეყრილ კაპიტოს მშობლებისა და ნათესავების წყნარი მოთქმა და უდროვარი დაჭკრივებულ მეუღლის მწარე ქვითინი. ყველა ცხარე ცრემლით დასტირის წარმოსადგე ვაჟკაცის მოულოდნელ დაღუპვას.

უბერავს ქარი და ხოშკაილი ცეკვავს კუბოს სახურავზე.

ცხედარი დაასვენეს. ბლალაონი პანაშვიდის გადახდას შეწყვიტა... ჩაძალადევად ასრულებს ღვედღმსახურებას ყველასაგან ათვალწუნებულ კლდელონი. ის თითქო გრძობს თავის დასწრების უხერხულობას ურწმუნოთა დენონსტრაციულ პროცესიაზე, ის ნათლად აშინებს ზიზღსა და ხალხის მტრულ განწყობილებას... ის თითქო მოუპატივებელი სტუმარია დღეს აქ და, რომ კაპიტოს დასაფლავება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის აშკარა დემონსტრაციაა, რომლის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია თვით ნიკო ბლალაონი.

ბლალაონი დაბნეულია. ის რალაც უცნაურ შემთხვევის მოლოდინშია, თვალზე გასტრებული ხან აქეთ იხედება, ხან იქით, თითქო ხალხში ვიღაცას დაეძებსო, ამიტომ მის ხშირად ავიწყდება ვახეპირებული საგალობელი და პირდაღებული უსიტყვოდ აქნებს ჩამქრალ საცეცხლურს.

პანაშვიდი დასრულდა. შინაურები სათითაოდ გამოეთხივენ დათოვლილ ცხედარს და გულამოსკენილი საფლავის პირზე გაშვედნენ.

— ამხანაგებო! — წარსდგა საფლავზე ბეგი ლადარია. — ჩვენ დღეს ცივ სამარეს ვაბარებთ ერთერთ ჩვენს საუკეთესო თანამებრძოლს, სიცოცხლითა და ენერჯით აღსავსე ვაჟაკს, კაპიტო ტრაპაიძეს...

— ვაი შენს ღედას შეილო! — წყნარად მოუმოთქმეს კაპიტოს ჰირისუფლებმა... ხალხი სმენად გადაიქცა.

— კაპიტალისტურმა სამყარომ არა ერთი და მილიონი ასეთი მსხვერპლი შეიწირა - განაგრძობდა ლადარია პათოსით აღსავსე პროგრამულ სიტყვას, და ყოველ წინადადებას მჩავერელთა მიმართ სიძულვილის გრძობის გამომწვევ ფერადებით ასრულებდა, — კაპიტალის ბატონობა, მუშათა კლასის განადგურებასა და მია სრულ გაცამტვერებაზე დამოკიდებული... შეუძლებელია ბატონობდეს ერთი, თუ არ იჩაგრება და არ ნადგურდება ათასი და ასი ათასი... შეუძლებელია ერთის გამდიდრება, თუ არ გაღარიბდა და გაღატაკდა მილიონი და ათეული მილიონი...

ლადარიამ აქ ნათლად დაასურათა კლასების წარმოშობისა და კლასობრივ განხეთქილებათა ისტორია. შეეხო კლასთა ბრძოლის აუცილებლობის საკითხს და რომ მუშათა კლასს მხოლოდ ბრძოლით შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება...

ბლალაონი პირდაღებული უცქერდა თავხედ ორატორს და ვერ მოეფიქრა, თუ რამდენად საჭირო ან შესაძლო იყო ორატორისათვის გამოსათხოვარ სიტყვის წართმევა, ან ხელის შეშლა და თვალით ვიღაცას დაეძებდა ამ ზღვა ხალხში, რომ რჩევადარიგება ეკითხა მისთვის და უხერხულობიდან გამოსულიყო. აგერ მამასახლისი.

ბლალაონი პირდაპირ მისკენ გაექანა.

— დამენტი შეუძლებელია ასეთი თავხედობა... ჩემის აზრით საჭიროა მავ თავხედის შეჩერება...

მამასახლისი შეწუხდა. ის არაფერს ხედავდა ცუდს ორატორის სიტყვებში და ამიტომ სიამოვნებით ყურს უგდებდა მის მოხდენილ სიტყვას, მაგრამ როცა

საქმეში ბლალოჩინი ჩაერია, რომელსაც ყოველნაირი კუდის გამობმა შეეძლო მამასახლისის ასეთი საქციელისათვის, გადნსწყვიტა როგორმე ყველაფერი ცურად მაინც ხელი შეეშალა ორატორისათვის, მით უმეტეს, რომელიც ყველაფერს სიტყვა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და რაც მთავარი იყო, მან უკვე მოასწრო ყველაფერი ეთქვა დამსწრე საზოგადოებისათვის.

მამასახლისმა შენიშვნა მისცა ლადარიას და ზრდილობიანად სთხოვა დაეჩტარებია სიტყვის დამთავრება და შეძლების დაგვირად შეერბილებია მწვავე გამოთქმები...

ლადარიამ, რა თქმა უნდა, ყური არ ათხოვა მამასახლისის თხოვნას და კიდევ უფრო მეტის სიმკვეთრით დასჭექა ბრძოლის მოწოდებით ანთებული სიტყვები.

— შეაჩერეთ; — იღრიალა ბლალოჩინმა.

— უმაწვილო მე გთხოვთ... — ველარ დაასრულა მამასახლისმა, რომ უკან იდნან იჭექა თოფმა და გაგმირული მამასახლისი თოვლზე გაიშხლართა.

— პროვოკაციაა — იყვირა ვილაკამ ხალხიდან.

— გვიშველეთ; ამოგველიტეს — აღრიალდა ბლალოჩინი და ხალხს მიმართა „თავს უშველეთ“.

ყველა განცვიფრებული დარჩა მოულოდნელი შემთხვევით; ლადარიას სიტყვა ყელში შეაცივდა და არ იცოდა თუ რა მომხდარიყო; არავითარ მხგავსის მოლოდინში არ იყო და „ნუთუ“? — გაუელვა უცებ გონება დაკარგულს და მამასახლისის უკვე ვაცივებულ გემისაკენ გაეჭინა.

— ტერორს გვინიშნავეთ? წესრიგის დამცველებს გვიხოკავთ — ღრიალებდა ბლალოჩინი და ბრახისაგან პირიდან დორბლს ჰყრიდა.

— ამხანაგებო, პროვოკაციაა, არ დაიჯეროთ რომ... — წამოიძახა ლადარიამ, როცა განცვიფრებულ ამხანაგებს გადახედა და გვიჩიას მიუბრუნდა მკვლელი რა იქნა?!

— მკვლელი...

— მკვლელი...

ყველანი პირლია დარჩნენ მკვლელის დამახილზე, რადგან თავშეყრილი ხალხი ერთმანეთს მისჩერებოდა და ვერავის გამოერკვია, ვინ იყო მათ შორის მკვლელი და ან საიდან ესროლეს მამასახლისს ასე მოულოდნელად რომ კაცმა ვერ დაინახა მისი ასვალ — დასავალი.

ხალხში ჩოჩქოლი გაძლიერდა. წრის წევრები გამოუვალ ჩიხში მოემწყვდნ და ვერ მოეფიქრათ, თუ რა მომხდარიყო, ან როგორ მოქცეულიყვენ ამ მდგომარეობიდან თავის დასალწევად.

— ბუნტოვჩიკებო! ტერორს მიმართედ! — არ ისვენებდა გაცოფებული ბლალოჩინი და ყველას არწმუნებდა, რომ სოციალისტებმა მოაწყვეს მამასახლისის მკვლელობა, სწორედ იმ აშკარა ბრძოლის დაწყების ნიშნად, რაზედაც თვითონ ლადარია ლაპარაკობდა ამ რამოდენიმე წუთის წინად.

— პროვოკაციაა, — ირწმუნებოდნენ ლადარია და მისი ამხანაგები, მაგრამ მრუდსა და მართალს ასეთ არეუდარევის და პანიკის დროს ვინ გაარჩევდა; მით-უმეტეს, რომ ათასი კაცის თვალწინ მოხდა ეს მკვლელობა და მკვლელი ისე გაძვრა, რომ ვერავინ შენიშნა მისი ასავალ-დასავალი.

—დათიკო, ვილუბებით, თუ მკვლელი არ იქნა მონახული, ხასოწარკვე-
ით დაიძახა ლადარიამ და მუდარა თვალები შევარდნაძეს შეეჩუქებოდა.

—ეგერ მკვლელი! ე, მკვლელი!—წამოიძახა გვიჩიამ და ხელისწინა კა-
დაღმა გაიშვირა, სადაც ნაბად-წამოკარწახებული თავპირახვეული კაცი გარბოდა.

—ის არის ნამდვილად.

—დათიკო!

ხალხში სტეგნა და ყიჟინა შეიქნა. ზოგი ფეხდაფეხ გამოუდგა მკვლელად
მიჩნეულს... ბლალოჩინს უცებ ფერი ეცვალა და რომ ხალხის ყურადღება თა-
ვისაკენ მიეპყრო, ისევე პროვოკაციულად წამოიძახა. „მკვლელი აქ არის, ხალ-
ხო!“

—დათიკო, ესროლე თუ ვარგხარ!

ხმაურობაზე გაქცეული გამოერკვა და ახლა კიდევ უფრო მეტის სისწრა-
ფით იკადრა გაქცევა მაგრამ მუხლებამდე თოვლი საკმაოდ უშლიდა მას ხელს
მთელის სისწრაფით გაქცეულიყო.

—ესროლეთ! დაიძახა ამ დროს ლადარიამაც.

—აქეთ მომეცალეთ...—დაიღრიალა შევარდნაძემ ბოხი ხმით და თოვ-
ლში ჩაიჩოქა.—სად მორბიხარ, შე დედაგალღეტილო,—შეუტია მან რომელი-
ღაც ჰბაუჯს, რომელსაც ცნობის—მოყვარეობამ წასძლია და წამოჩოქებულ შევა-
რდნაძეს მოულოდნელად წინ წამოუდგა,—მომეცა აქედან!

შევარდნაძემ გაქცეულს თოფი უსწორა და... ნაბადწამოსხმული თავდა-
ყირა ჩაეშვა ფიფქად დაფენილ თოვლის თხრილში.

—გაფრენილს არ აცდენს და იმოდენა კაცს როგორ დააცდენდა—ჩაილა-
პარაკა ერთმა, თითქო ვინმეს წინასწარ დანაძლევებოდეს მოხვედრა დაცდენას.

—გენაცვალე მარჯვენაში!—ზიადახეს შევარდნაძეს აქეთ იჭიდან და ბლა-
ლოჩინმა დაჰკარგა წონასწორობა,

მამასახლისის მკვლელი ეკლესიაში შეათრიეს. პირზე ყაბალახი შემოხსნეს
და ცნობისმოყვარეობით გარშემოებვიენ.

—ტერენტი ფირალი!—იცენეს ერთავად სოფლელელებმა.

—ჯერ კაცი მოაკვლევინეს და კვალის მოსასპობლად თვითონაც ზედ მია-
ყოლეს, დამაჯერებელი ტონით განაცხადა ბლალოჩინმა და ფირალს კრილობა
გაუსინჯა.

ფირალი ჯერ კიდევ სუნთქავდა. უკანასკნელ წუთებსლა ებრძოდა.

ჩქარა იარალი აპყარეს მომაცვადეს. ჯიბეები გაუჩხრიკეს და სხვადასხვა
ქალღლებთან ერთად, ოთხად გაკეცილი ოცდახუთმანეთიანიც უპოვეს...

ბლალოჩინმა პირჯვარი გამოისახა ოცდახუთმანეთიანის დანახვაზე და,
თავისთვის წაილღლღლა: „შეგინდოს უფალმა ლმერთმა შეკოდებანი შენი“.

ქანონის სახელით

გათენდა ორშაბათი დილა რაჭანია გაალეს დენთისა და ხელსაწყო-იარა-
ღების საწყობები. რამოდენიმე რუსი ათისთავი (ელიოტის მიერ სპეციალურად
მოყვანილი), უთენია გამოცხადდნენ სამუშაოზე, აქა იქ მოსჩანან რეგოლიუცი-
ონურ მძრაობაში ჯერ კიდევ საკმაოდ გაუთვითცნობიერებელი მუშები, რამო-



დენიშე უფროსი მუშაც, მაგრამ... სადღა არიან ამფეთქებელნი? რა ჩაქალაპა ასე უცებ შეიდას რვაასი მუშა ხელი..

ეკონომიკური

შერვაშიძე, ინჟინერი ტომი და სხვა მაღალი თანამდებობის კორპორაციების დეპარტამენტების საწყობიდან კარავზე, კარავიდან სამუშაოზე, სადაც ჩვეულებრივად იკრიბებოდნენ აქამდე მუშები, მაგრამ დღეს თითქო დასვენების დღე იყოს არსად არავინ მოსჩანს. კარავებს, საცხოვრებელ ყაზარმებს და საწყობებსაც ამშვენებს ყოველ მხარეს ოსტატურად მიკრული პროკლამაციები... ასაფეთქებელ კლდეებზედაც უხვად შეხვდებით თვალსაჩინო ადგილას მიწებებულ ფურცლებს...

—გაფიცვები!?—ღვარძლით იკითხა ინჟინერმა და შერვაშიძეს ცინიკურად შეატყდა თვალბში,—აკი თქვენ გვარწმუნებდით, სერ ქიშვარდ, რომ გაფიცვები არ დაიწყებოდა. ეხლა რაღას იტყვიო?!

შერვაშიძეს არ ესიამოვნა ამაყი ინგლისელის გადაკრული მითრახი, იდგა უძრავად, თავჩალუნული და სამუშაოებს გასცქეროდა. ტომის შეკითხვას ყური არ ათხოვა. ის წინად მართლაც დარწმუნებული იყო მუშათა მოძრაობის სისუსტეში, უსუსურობაშიც: „თითო-ორიღა ჯიუტი მეთაური თორემ... საერთოდ მუშები, ცხვრის ფარაა, უწყინარი ცხვრის ფარა“, ფიქრობდა წინად შერვაშიძე. დღეს კი, აბა რას ხედავს. არა სრულიად მოულოდნელი იყო ეს შერვაშიძისათვის: ასეთ გრანდიოზულ გაფიცვის მოწყობას აბა საიდან მოიფიქრებდა. რვაასი კაცი ერთბაშით ბაიფიცია, ერთ უბრალო მოწოდებაზე დაჰყარა სამუშაო იარაღი, და უღელტეხილიც მყუდროებაში გაეხვია. აღარ ისმის განუწყვეტელი გრიალი ლაღუმების, დარღვეულ კედლების შემზარავი შუილი

აცნობებს კონცენსიონერს. სასწრაფო სხდომა მოიწვიეს. ითათბირეს. შექმნილი მდგომარეობა აწონდაწონეს, მაგრამ...

—არც ერთი მუხლის დამკოფილება არ შემიძლია, არც ერთი გროშის მომატება. ბინების აშენება და საავადმყოფოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. სეზონის მუშებს სად ჰღირსებით ასეთი ბედნიერება, რომ სურების რაიონში ელიტის ინგლისში პროლეტარიატს არ მოეძებნება მუდმივი ბინა და... როგორ გეკადრებათ... არც ერთი გროში... არც ერთი გროში,—კატეგორიულად განაცხადა ელიოტმა და მდივანს მიუბრუნდა: შეადგინეთ მოხსენებითი ბარათი და ეხლავე აფრინეთ კაცი მაზრის უფროსთან. მაზრის უფროსს, უშუალოდ, ჩვენს კონცესიასთან არაფერი ესაქმება, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლებას და მე არ მსურს თაზე გადავაჭრა, კონცესიასთან ახლო მყოფ ხელისუფლებას... საკონცესიო კომიტეტშიც გაგზავნეთ დაწვრილებითი ინფორმაცია... ყველაფერი აცნობეთ რუსეთის იმპერიის გარეშე საქმეთა მინისტრს და ჩვენი დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიან კონსულს სანკტ-პეტერბურგში.. განსაკუთრებით ხაზი გაუსვით ამ ბოლო ხანებში მომხდარ უმსგავსოებას და რაც მთავარია... რვაასი კაცის ერთბაშით გაფიცვას... რასა ჰგავს ეს?! კმარა ბოლოს და ბოლოს:.. ვინა ვართ ჩვენ!!! ან ჩვენი კაპიტალი?—ელიოტი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ფაფუკი ხელებით ინგლისური სიგარა გააბოლა... სიგარიდან თვალი საკუთარ მარჯვენა ხელს მიაპყრო, რომლის შუათითზე ბრილიანტი ბრწყინავდა... ისევ სიგარას გადახედა და ფიქრებში ჩაიძირა

—იქნებ შემოველებოდეს საკითხს რაიმე მხარედან, სერ ელიოტ! დაბლა შენიშნა დარცხვენილმა შერვაშიძემ და სიგარის კოლოფს წაუჭყეტუნჯა...

—ინებეთ, სერ!—მიუჩოჩა კოლოფი ელიოტმა და თავაქცხვნილმა უკანასუხა, არსაიდან... ვფიქრობ ყოველგვარი სასშუალება ამოწურულია... გარდა ამისა უნდა შევნიშნოთ რომ ხელმწიფე იმპერატორის ხელქვეით მინისტრების მიერ ხელმოწერილი საკონცესიო პირობა ძირითადში უკვე მათ მიერვე დარღვეულია.. ხელისუფლებამ ვერ შესძლო, დიახ ვერ შესძლო,—ხაზი გაუსვა უკანასკნელ მომმენტს კონცესიონერმა—კონცესიის ვაფიცვების თავიდან აცდენით უზრუნველყოფა... ხელშეკრულების მეტიდემეტე მუხლი უკვე აშკარად დარღვეულია... დიახ, დარღვეულია..

—თუ ასეა, ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მუშათა პირობები, დიახ, მუშა ხელის უზრუნველყოფის საკითხიც..

—არავითარ შემთხვევაში... არც ერთი გროში...—უხეშად ჩამოართვა სიტყვა კონცესიონერმა შერვაშიძეს და კონსელტანტს მიმართა-გთხოვთ წაიკითხოთ მეთორმეტე მეცამეტე მუხლები ხელშეკრულებისა... მაშინ უფრო ნათელი იქნება...

შერვაშიძემ მხოლოდ მხრების აჩეჩით უპასუხა ვაკანდნიერებულ კონცესიონერის უხეშობას.

კონცესიონერს ახალი ფოსტა შემოუტანეს. წარბჩამოშვებული ელიოტი მეგლივით დააცხრა სხვადსხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილ ახალ-ახალ ცნობებს... ვადათვალთქრა საკონცესიო კომიტეტის რამდენიმე ქალაქი და განსაკუთრებული ყურადღებით გადაიკითხა მასრის უფროსის ცნობაც. „კეთილი! კეთილი ვნახოთ!“ ჩაიდუღუნა ცხვირში ინგლისელმა და საიდუმლო ქალაქები ცეცხლგამძლეხეიფში ჩაჭკეტა.

==

ამ დროს ხოსიას ბინაზე ვაცხარებული კამათი სწარმოებდა წუხელ ღამით მოტაცებულ ლომისკარელის ვადამალვის შესახებ. წითელ სამოსელში გახვეული ხატი ზეგლარის ოთახში ევდო და კომიტეტის წევრები ცხარედ თათბირობდენ.

—დავამტკრიოთ, გეტყვი მე, თვალები ავაძროთ, ოქრო-ვერცხლი და დანარჩენი... ბუზარს შეუბმელოთ...

—დამტკრევა რა საჭიროა. მიწაში ჩავფლათ და შევინახოთ...

—მიწაში კი არა... დავამტკრიოთ და ძვირფასი თუ რამ არის სამაზრო კომიტეტს გადაუგზავნოთ.

—კარგი აზრია. გადავგზავნოთ... დანარჩენი, მართლაც და აგერ ბუზარს შეუბმელოთ.

გადაწყდა: ხატი უნდა დაიმტკრეს და ძვირფასი თვლები და ოქრო-ვერცხლი მაზრაში გაიგზავნოს.

—ვინ წაიღებს?!! აბა, ჩქარა ამხანაგებო!

—მე წავიღებ, გეტყვი მე!

—თანახმა ხართ?

—თუ ვინდათ, მე წავიღებ—გამოსთქვა სურვილი გვიჩამაც.

— მე წავიღებ, გეტყვი მე! გვიჩიას წასვლა უფრო საფრთხილო...

— მოდის... ხოსია ეხლავე მიემგზავრება მაზრაში... შარბ არ გაძევებ...
 ხომ გესმის?!

— ვიცი, გეტყვი მე, განა საცალფეხო გზით კი ვერ ჩავალთ ქუჩურკეთში...
 ხატი დაამტვრიეს... თვალმარგალიტი შემოაცალეს, ოქროვერცხლის ზარ-
 ნიში და დანარჩენი მართლაც ბუხარს შეუხმელეს...

აბრიალდა უცებ ლომისკარელი და ნათელამ კისკისით წამოიძახა:—ხოსია,
 ამისი გეშინოდა?

— ერთი შენც, გეშინოდა... ვაი იმას ვისაც დღესაც ეშინია, თორემ
 ოთხი-ხუთი წლის წინად... მართლა რა არის ცრუმორწმუნობა... როგორ ერთ
 წუთში დაიფერფლა ყოვლისშემძლე ლომისკარელი... ლომისკარელი... თფუჰ!

ხოსია გაემგზავრა ოზურგეთში. შინ დარჩენილი ლადარია ბუხარს მიუჯდა და ამ უკანასკნელ დროს სურებში მომხდარ ამბებს თვალი გადაავლო. გაფიცვები... ლომისკარელის გატაცება... მამასახლისის სიკვდილი... ბლალონინის შეთვალყურება და... ათასი წვრილმანი საკითხები. გაუფლვა თავში ლადარიას და განსაკუთრებით მამასახლისის მკვლელობაზე დაფიქრდა. „ტერენტი ფირალი... ოცდახუთმანეთიანი... არა, პრი ვოკაციული მკვლელობა იყო უთუოდ. ხალამპრე მიკიტანის დუქნის გატეხსა არ იყოს, ჩირჭის მოცხება თუ უნდოდათ. რაიმე გამოწვევა. ეჰ! ბრძოლები, ბრძოლები და კიდევ ბრძოლები... მოსვენება ჩვენ არ გვიწერია: მყუდრო ცხოვრება ჩვენთვის“ არ არსებობს... და აბა რა არის მყუდროება. წყალიც კი აყროლდება უმძობაოდ... ქვას ხავსი მოეკიდება, თორემ ადამიანის ცხოვრება, ბრძოლისა და მოძრაობის გარეშე, აბა რა სასურველი იქნებოდა. როგორ გართულდა მდგომარეობა. ვინ პოელოდა ასეთ წარმატებებს?! და დახე გვარამძემაც ვერ გაბედა დღეს სამუშაოზე გამოსვლა. კომიტეტში კი ცდილობდა ხელი შეეშალა გაფიცვებისათვის, მაგრამ ხალხის სამსჯავროს მაინც შეეშინდა და... დაიშალა. ეხლა-კი ალბად დაიწყება რეპრესიები... დაპატიმრება და ვაციმბირებაც. თუ მოუსწრო რევოლიუციის ქარტეხილმა ხომ კარგი, თუ არა და. ხვალინდელი დღე ხომ მაინც მუშათა კლასის გამარჯვების დღეა. აბობოქრებული ზღვა ისე როგორ ჩადგება რომ. არა რუსეთიდან- კარგი ცნობები მოაქვს გახეთქებს. ცენტრის ხელმძღვანელები დარწმუნებულნი არიან სრულ გამარჯვებაში. სისხლის ღვრა კი მოსალოდნელია. უსისხლოდ, აბა რევოლიუცია სად გაგონილა? დროა მოწოდების წერას შეუდგე“.

ლადარია წამოდგა, ოთახში რამდენიმე წრე შემოხაზა და მაგიდას მიუჯდა. ერთ საათში მოწოდების ტექსტი უკვე მზად იყო. ოთახში ნათელა შემოვიდა, მხიარულ გუნებაზე მყოფ ბეგის რომ შეჩხედა, ალერსით შეეკითხა.—რას სწერდი?

— ერთ ქალიშვილს წერილი მივწერე...

— მე არ გეხუმრები.

— არც მე გეხუმრები, ნათელა!—სერიოზულად უპასუხა ბეგიმ და ნათელას განგებ ზურგი შეაქცია.

— ბეგლარ!

ლადარია სდუმდა.

ნათელას ტირილი მოერია, უკან შეტრიალდა და ის იყო კარის გაჯახუნებას აპირებდა, რომ აქამდე თავშეკავებული ლადარია წვედა მას ხელებში, თავისკენ მიიზიდა და ანთებული თვალებით მიაშტერდა.

ნათელა დაიბნა. არ იცოდა რას ნიშნავდა ყველაფერი ეს და ლადარიას განცვიფრებული უცქერდა.

— ნათელა! გრცხვენოდეს, რომ ზედმეტი საზრუნავი გამიჩინე...

— რა საზრუნავი?

ბეგიმ ნათელას ხელი კიდევ უფრო მაგრად მოხვია, ათრთოლებული ქალი გულზედ მიიკრა, ყელი გადაუწია და... ლადარიამ პირველი კოცნა შეინახა ათასგვარი ცეცხლით ანთებულ გულში.

გაბრლებული ნათელა ბეგის მკერდზე მიეყრდნო, სასოება მოეშვა და ცეცხლმოკიდებული ბურუსში გაეხვია.

— არ მიმატოვებ, ბეგლარ! — ესლა მოასწრო ნათელამ და ტირილი წასკდა. არ იცოდა რას ნიშნავდა ეს ტირილი, სიზარულს თუ... აბა წუხალით რაღა აწუხებდა ნაქებ ვაჟაკის მკლავებში მოქცეულ ნათელას, რომელსაც ეს არის რამდენი ხნის ოცნება შეუსრულდა და თავისი სპეტაკი გული მხურვალე კოცნით გადაადნო ლადარიას ანთებულ გულს.

— გრცხვენოდეს ნათელა, მართლა გრცხვენოდეს! — გაუმეორა ლადარიამ და ეხლა კიდევ მეტი გამბედაობითა და უსახლგრო თავდავიწყებით ჩაიკრა გულში სახელანაძული ნათელა.

სასადილო ოთახში ნათელას დედა შემოვიდა. ლადარია საწერ მაგიდას დაუბრუნდა. აკისკისებულ ნათელა სამზარეულოსაკენ დაეშვა.

შუალამემ მოაწია. დაქანცული ლადარია გაუხდელად წამოწვა ტახტზე და ისევ ფიქრებს დაუბრუნდა. ამ ორ-სამ დღეში ბათუმში უნდა გაემგზავროს ლადარია. მოწოდება უნდა დაიბეჭდინოს. ცენტრის ამბანაგები ინახულოს. ახალი ინსტრუქციები მიიღოს და... ისევ სურების რაიონს დაუბრუნდეს. ლადარიას აზრად აქვს, კასრაძის სურებში სამუშაოდ დატოვება, ცენტრთან შეთანხმება საჭირო. თუ ბათომში ეს ვერ მოახერხა, შეიძლება ტფილისშიაც გაემგზავროს ბეგლარი. კასრაძის სურებიდან გაშვება კი შეუძლებლად მიაჩნია. კასრაძე დროებით იყო მივლინებული სურების რაიონში, მაგრამ წარმოიდგინეთ მუშების დიდი უმრავლესობა თავიდანვე კარგად იცნობდა მას... კასრაძე აქაური მცხოვრებია და მუშებიც ხომ მეტწილად ადგილობრივი გლეხობაა. გვარამაძესთან კონფლიქტი ვინ იცის რით დამთავრდება—ფიქრობს ლადარია—ერთი კი ცხადია, რომ გვარამაძის სურებში გაჩერება დანაშაულია. მით უმეტეს მაგის კასრაძესთან შეგუება მოუხერხებელია. კასრაძე ჩინებულ მრმუშავეა. ვეჩია, ხოსია, კოწია, ილიკო... და ყველა თითქმის ყველა ჩვენი თანამოაზრეები...

ყველას ჩაეძინა. ოდაში სიჩუმე ჩამოვარდა. დროგამოშვებით ისმის მუხის კუნძის გაჩინხალება ჯერ კიდევ აგუზგუზებულ ბუხარში და ზოგიერთ შიშქრალ მუგუზლების სუსტი ტკაცუნა. ბეგისაც ძილმა დასძლია. შუალამე გადასული იქნებოდა, როცა ლადარიამ ტანთ ვაიხადვა და ძილმორეულმა ერთბაშად წასაფლია.

გარედ თოვს. წვრილი ხოშკაკალი ფეტვის მარცვლებივით ხმაურობს ფანჯრებზე და თოვლის სიმძიმისაგან ოდის კედლები წიწკინებს.

სოფლად გახშირდა ძაღლების ყეფა და აურზაური. მარტენული
გინგლიწონი

ბეგიმ თვალები გაახილა.

ძაღლების ყეფასა და ხმაურობას მიუყურადა, მაგრამ თოვლი ხომ ყრუ არის და ხმაურობაში ვერაფერი გამოარკვია.

„ნადირს თუ გამოუდგენ!“ — გაუელვა წათვლემილ ლადარიას და ისევე დიდძინა. ძაღლების ყეფა და ხმაურობა კვლავ გაძლიერდა.

ეხლა ნათელასაც გამოეღვიძა ხმაურობაზე.

ეზოში ცხენების ფეხის ხმა მოისმა.

— ცხენებით ამ ყოამეთში... ამ სიმაღლე თოვლში... ნეტა ვინ უნდა იყოს? — ერთბაშად გაუელვა თავში ლადარიას და ნათელასაც, რომ სწორედ ამ დროს აჭრიალდა ოდის აივნის კარები და რამდენიმე კაცი ხოროხოციო მოაწყდა ოთახის კარებს.

— კანონის სახელით გიბრძანებთ კარი ვიალოთ. გაქცევა არავინ გაბედოს. სახლის ირგვლივ ყაზახები დგანან.

ყველას ერთბაშად გააცვივა.

— გააღეთ კარები! — მოაძალეს გარედან და ლადარიამ ლამა აანთო.

არ შეგეშინოთ, — გაამხნევა ლადარიამ ნათელა და ნათელას დედა ივდითი. თვითონ კარი გააღო და მოულოდნელ სტუმრებს პირდაპირ შეხვდა.

— ლადარია, თქვენ ხართ?

— შე გახლავართ.

— ხოსია ტრაპაიძე რომელია? აქ ცხოვრობს?

— აქ ცხოვრობს, მაგრამ შინ არ გახლავთ. ოზურგეთშია წასული.

— ოზურგეთში? რა საქმეზე?

— რა საქმეზე, ეს უკვე თქვენ არ შეგეხებათ.

— თქვენ დატუსაღებული ხართ. ჩაიკვით და გამოგვეყეთ.

— ბეგი, მეც შენთან წამოვალ. — დაიღრიალა გამწარებულმა ნათელამ და ნახევრად ჩაკმული ბეგის ოთახში შეიჭრა. მოწოდების ტექსტი ჩაიფერფლა მიბეჭურულ ბუხარში დი ყაზახთა ოფიცერი ქალაქლების ფერფლს დააკვირდა.

— მოასწარით ქალაქების გაქრობა. არაფერია... ჩვენ საკმაოდ საბუთებო მოგვეპოვება თქვენი, ასე ვთქვათ, „შეწუხებისათვის“...

— დარწმუნებული ვარ. — უკმეხად უპასუხა ლადარიამ და ნათელას მიუბრუნდა.

— ხოსიას გადაეცი, ყველაფერს რიგიანად მოუაროს, ხომ გესმის!

— მეც შენთან წამოვალ, ბეგლარ!

— აბა რას აშპობ!

— ბეგლარ, შვილო! — აწრიალდა ხოსიას დედა ივდითი, მაგრამ ყაზახთა ოფიცერმა ერთხელ კიდევ დააჩქარა ლადარია და ყაზახებსაც შეუტია ჩქარა მორჩენილიყვინენ გაჩხრევას და გზას გადგომოდენ.

— მშვიდობით ნათელა! არ იღარდო. ივდითი, თქვენ გაბარებთ ნათელას... მე საცაა ისევ სურების სტუმარი გავხდები. არ შეშინდეთ... არაფერი იღარდოთ...

ლადარიამ ნაბადი წამოიხსხა და იარაღმომარჯვებულ ყაზახებს გაბეჭა.

სოფლის კანცელარიაზე მოუყარეს თავი დატუსაღებულებს. აქ უკვე მოყვანათ კასრაძე, ილიკო ტოროტაძე, კოწია ტფაშიძე, ეგვიტო და ბთამდე კიდევ სხვები. არ ჩანდნენ გვიჩია და გვარამაძე. გათენებინას გვარამაძეც მოიყვანეს და ამით შეუერთეს.

— შენც ირაკლი! დაციწვით მიმართა ლადარიამ გვარამაძეს—არა მგონია, რომ შენ ციხეში ჩაგსვან... ალბად თვალთმაქცურად დაგაბატიმრეს და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაგანთავისუფლებენ.

— ალარც აქ მასვენებთ?! ბრაზით შეუტია გვარამაძემ ლადარიას და კუთხეში მიიყუტა. ამხანაგებს ზურგი შეაქცია და გამგუნებული თავისთვის განცალკევდა.

— შევარდნაძემ თავისი რაზმით მოასწრო შიშაღვა და როგორც ამბობენ, გვიჩიაც თან გაიყოლო. — სთქვა ერთმა,

— ნეტა ასე იქნებოდეს...

— დანამდვილებით ვიცი.

— ჰო და მით უკეთესი... კარგია რომ ზოგიერთები მაინც ვადარჩებიან დაპატიმრებას...

— ხოსია სადღა არის?

— ხოსია... ოზურგეთში გავგზავნეთ.

— რა საქმეზე?

— ერთი რაღაც... უმნიშვნელო საკითხი იყო მოსაგვარებელი და...

სიჩუქე ჩამოვარდა.

გარედ ისევ ბარაქიანად თოვდა და ისმოდა ყაზახების მრავალსართულიანე გინება.

გასქრა ბლალჩინის მუქარამ.

ელიშულ რამიშვილის ხელით მიღებულ ცნობების საპასუხოდ, მაზრის უფროსმა ორასამდე ყაზახი მოსთხოვა დამსჯელ ექსპედიციის უფროსს ალიხანოვ-აევარსკის და დაუყოვნებლივ აფრინა სურების რაიონში პორუჩიკ გრომოვის მეთაურობით.

— ქვა-ქვაზე აღარ დასტოვოთ.— მიიღო ინსტრუქცია გრომოვმა უშუალოთ ალიხანოვისაგან და დამსჯელი ექსპედიცია ჩორთით დაიძრა სურებისაკენ.

არაფინ მოელოდა ყაზახების გამოჩენას სურების რაიონში. ამიტომ მათ დანახვაზე სოფლები შიშის ზარმა მოიცვა. აწიოკებისა და განადგურების ქარიშხალმა გადაურბინა ყველას თვალწინ და ისედაც ხელმოკლე მოსახლეობა, უსახლკაროდ დარჩენის მოლოდინმა შეაწრიალა. გრომოვი შუასურებში დაბანაკდა. ყაზახები ჯგუფებად დაჰყო, ყოველ ჯგუფს მეთაური დაუნიშნა და სოფლებში სპეციალური დავალებებით დაგზავნა. თივთონ გრომოვი კი დიდის ცერემონიით ეწვია კონცესიონერს და შექმნილ მდგომარეობის შესახებ ხანგრძლივად ეთათბირა.

— მაზრის უფროსის დავალებით ნება მიბოძეთ ვადმოგკეთ რომ ყაზახთა ორი ასეული და მეც, თქვენი მონა მორჩილი სრულს თქვენს განკარგულებაში

ვიმყოფებით, სანამ ამას თქვენ თითონ საჭიროდ დანახავთ, იქონიეთ სრული იმედი, რომ ჩვენ უახლოეს დროში მოვახდენთ გაფიცების ხელშეწყობას მეთაურების სრულ ლიკვიდაციას... დიახ, ლიკვიდაციას, და ვსლტყრკენ ვლყრბევთ თავგასულ ბუნტოვშიკების ორგანიზაციას და ერთი კვირის განმავლობაში სრულ წესიერებას დავამყარებთ.

— დიდათ მოხარული ვარ. მე წინასწარვე დარწმუნებული ვიყავი რუსეთის იმპერატორის ძლევამოსილებაში და... რაღა თქმა უნდა, წესრიგის მოყვარული მონარქი სხვანაირად არ მოიქცევა, უპირველეს ყოვლისა თვით იმპერიის სასიკოცლო ინტერესების შენარჩუნებისათვის. დიდათ მოხარული ვარ, რომ თქვენმა ხელისუფლებამ, თუმცა ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გადამწყვეტ მომენტში გადასდგა მშვიდობიანობის აღდგენისათვის ასეთი სერიოზული ნაბიჯი. გრომოვი კონცესიონერს მოკრძალებით გამოეთხოვა და ეხლა ბლალაჩინის ნახვა და მასთან თათბირი მოინდომა განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილმა დიქტატორმა.

ჯგუფებით დაყოფილი ყაზახები კი სოფლებს მოედვენ დაწიოკებისა და „მშვიდობიანობის“ დამყარების მიზნით.

ხალხი შეძრწუნდა ყაზახების დანახვაზე. გახიზნა გადასწყვეტეს, მაგრამ ასეთ ყიამეთში სად გინდა გაიქცე და თავი შეაფარო.

დაატრიალეს ყაზახებმა მათრახები. ასამდე მშვიდათ მცხოვრები გლეხი დააპატიმრეს და კანცელარიაზე ცხვრებივით ჩამორიგეს...

სასოწარკვეთილებამ მოიცვა სოფლებები... კონცესიაზე მომუშავეთა ოჯახები განსაცდელში ჩაყარდნენ. ცალკე ოჯახის მარჩენალთა დატუსაღება, ცალკე აწიოკება და ისედაც ხელმოკლე ოჯახების სრული დარბევა, აუტანელ ტვირთად დააწვა მოსახლეობას.

— ცეცხლი ვაქცეულთა და განდგომილთა ოჯახებს, — გაცა განკარგულება დიქტატორმა გრომოვმა და მაგალითის საჩვენებლად ხუთი „ბუნტოვჩიკი“-ს ოჯახი ცეცხლის აღში გაახვია.

შეუბრალებელმა სტიქიონმა ცისქვეშ დასტოვა გადაბრუნულთა ოჯახები და აკვნესდა და აზმულდა უთავშესაფაროდ დარჩენილი ქალები და ბავშვები. ესიც არ აკმარეს „თავედ“ მოსახლეობას... ყაზახების შესანახად უზომი ხარკი შეაწერეს, განსაკუთრებით მოძრაობაში შემჩნეულთა ოჯახებს და ორი დღის ვადა დაუდევს გადასახადის შეტანისათვის. ღვლლებმაც ეხლა მოიგონეს თავიანთი დრამა და ყაზახების დანახვაზე ხალხი ორმაგად დაბეგრეს.

დაიწყო საწინდრების ვატანა.

აბლავლდა ჩვილბზოიანი მწველი ძროხები...

ჩალის ფასად იყადება ოჯახის მარჩენალი პირუტყვი.

ერთი კვირის განმავლობაში სურების რაიონი იმგადახდილ სოფლებს დაემსგავსა და გრომოვის რისხვამ „მშვიდობიანობაც“ დაამყარა.

ბოლოს დატუსაღებულები გადაარჩიეს... საგამომძიებლო ოქმები შეადგინეს და მძიმე დაშნაშავენი ხელფეხშებორკილნი მაზრაში გადაგზავნეს.

ცოცხლითა და ნახვლითა



სამი დღე დააგვიანდა ხოსიას ოზურგეთში.

ერეკლესი

დაბრუნებისას, გზაში შეიტყო სურებში ყზახების წინააღმდეგობა და, წინასწარი გრძობით, შემოიტ გული გაუთანადრდა... ღამე იყო, როცა ხოსია შინ დაბრუნდა.

გულის ფანქვალით ჩაიპარა ის თავის ეზოში და კინალამ მხარი ეცვალა, როცა ეზო დაცარიელებული დაუხვდა.

ბეგლოდა.

ხოსია თოვლს სინათლეზე ეზოში რალაც შევად გარუჯულ საგნებს ხედავს და თვალს არ უჯერის... ნუთუ მართლა მხარი მეცვალა, — ეკითხება ის თავის თავს და ეზოს ბეჯითად ათვალეიერებს... — ეს ხომ ჩემი სამშაღისია... სასიმიინდე... ავერ საქათმე... ჩალის ზვინი... ოდა რალა იქნა?

ხოსიას შიშის ზარი დაეცა თავს, და თვალებიდან ნაპერწყვლები გადმოაფრქვია.

ოდა რალა იქნა?! — თითქო ხმამალა შეეკითხა ის თავისთავს და შევად გარუჯულ საგნებს დააევირდა.

ფაცხაში სინათლემ იქიატა. მოისმა ივღითის წყნარი მოთქმა და ნათელას გაანჩხლებული ზლუქუნი.

«ცოცხალი ზი არიან... მაგრამ ეს ოდა? ოდა რალა იქნა?!» — ხოსიამ ფაცხის კარი ნელა შეაღო თითქო ვინმეს ეპარებაო.

— ხოსია, შეილო! — ტირილით შემოხვდა ივღითო ხოსიას და რაკი შვილი ცოცხალი დაინახა, სიხარულით ცას დაეწია. — ცოცხალი ხარ, შეილო?!..

— ხოსია, ძმაო! — მოისყენა გული ნათელამაც.

— რა ამბავია, გეტყვი მე! ოდა რა იქნა?

— დაიწვა, შეილო! დედიშობილა დავერჩით... ყველაფერი დანახშირდა... ხელი არაფერზე მიმაკარებიეს... ერთი კიქა რა არის, კიქაზე ხელი არ მახლებიეს. — იქარა ივღითიმ ხოსიას დანახვაზე.

— ზეგი სად არის?

— დაივირეს... ვაი, მის დედას უბედურს, იმ ღამესვე წაიყვანეს. რაზე ვამითენდა მე, იგი შევბნედი დღე.

— სხვები?

— ყველა დატუსალეებულია, შეილო, შენც მოგაკითხეს. მეორე დღეს კიდევ მოგაკითხეს, მესამე დღეს. გუშინ შეადღეზე, რისთვის გამითენდა მე გუშინდელი დღე. მეოთხეჯერ მოვიდენ. გადააპრუნეს ყველაფერი... თოფი ნახეს. რალაცა გაზეთები და წიგნები წაიღეს. ვიფიქრე, ეშველა, აწი მაინც თავს გაგვანებებენ მეტქი! ერთი საათის უკან ისევ მობრუნდენ. უკროსიც თან ახლდათ. ვილაც გრომოვი ყოფილა, აფიცარი. იგი შეესუდრა მის კეთილს. ცოფიანს ჰგავს. ადამიანის ნიშანი იმას არ ატყვია... ეზოში გაჩერდა. დამიძახა. სად არის შენი შვილიო, მკითხა. ოზურგეთშია წასული და ამ ორ დღეში გეახლება მეტქი! სცროობ, კუდიანო დედაბერო. ისე ის გამოუწყდა მის კეთილს, როგორც მე კუდიანობისა და აქვალობაში გამოწყვტილი ვარ. პრაკლამაციები სად აქვს შენს შვილს შენახულიო...

თოფები რამდენი აქვსო. ვისთან დადისო, კრებას სად მართავსო. ლედიოა შენთან რატომ ცხოვრობსო... მომეყარა შეკრებები სეტყვისავეით. მასწავლი ალარ დამაკლავ. ყაზახებს უბრძანა ოდა ცეცხს მიეციოთო. დამეცა ფეხზე წაგვამო. წამოიხრწინებოდა თვალეში. ვიკივლეთ, ცოლკე მე, ცოლკე ნათელამ, მგვრამსი უმცირესიყო ჩვენი შემწყალე გამოიტანეს ნათით და ლომის ჩალა... შეუწითეს სახლს ოთხივე კუთხეში. გარშემო თოფიანი ყაზახები დააყენეს და ისე დანაცრდა ყველაფერი, რომ ერთი ღერი ღერსმანის გადარჩენა ვერ მოეახერხებო. ბევრი ვიკვირე, ვიკივლე.. ცა ფეხად დაეყენე, მაგრამ ეზოში ჩამოხედვას ვინ გაბედავდა. არ გასულა დიდი ხანი, კოწიას სახლს წაუყიდეს ცეცხლს. კიკვამასას... ხუთი სახლი გუშინ დასწვეს... ხუთი დღეს დაუწვავით ზემო სურებში. გადასახადით ხომ ყველას შავი დღე დააყენეს. ასე დავიღუპეო შევლო... ასე გაქრა და განიავდა ჩემი ახალგაზრდობის ჯანით შეძენილი ოჯახი... ეხლა, ამბობენ ლადარიას და ყველა მეთაურებს, თუ არ დაახრწვეს, გადასახლებით მაინც გადასახლებენო... მუღღმე კატორლას მიუსჯიანო... ალარ ვატი რა ექნა, ორჯერ დავაპირე თავის ჩამოხრწობა და ამ სასიკვდილე გოგომ არ დამანება... რალად შინდა აწი სიცოცხლე. შენი მოსვლის იმედიც არ მქონდა, მაღლობა ღმერთს, რომ ცოცხალი მაინც ხარ, მაგრამ... რალა ასეთი ყოფნა... ან უნდა გადაეარღე და ტყეს მისცე თავი, ან კიდეც იმათ ხელში ჩაეარდნ-ლს ციმბირი არ აგცდებო...

ხოსია გაშეშებული უსმენდა ივლითის ნაამბობს და თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა. „რა ექნა? როგორ მოვიქცე? გავიქცე თუ? ან კი სად უნდა დავიმლო? დღემდე ხალხი ინახავდა გავარდნილებს... ეხლა, რაკი ასე გაქირდა საქმე, ხალხიც ხელს აიღებს გავარდნილთა შეფარებაზე... რა ექნა“?

ხოსია ხმას არ იღებდა. თავჩაღუნული ცეცხლს მიჩერებოდა და ანთებული თვალებით ვიღაცას მუნჯურად ემუქრებოდა.

—არაფერია, დედაჩემო!—ასწია ბოლოს თავი ხოსიამ და აცრემლებულ დედის დანახვაზე ტუჩები მოიკენიტა.—კაცთა შეიდობა იყოს და ქონება შეიძინება. მე ლადარია და სხვა ამხანაგები უფრო მაფიქრებს, ვინემ ჩვენი შინაური უბედურება. დარდი არაფერს უშველის. ტირილით არაფერი გაკეთდება. გულის სიმაგრე გმართებსთ ორივე დედაშვილს... ძნელია, გეტყვი მე, ოსეთ პირობებში ცხოვრება, გაგიკვირდებათ, მაგრამ უნდა გაუძლოთ, ბეგის კაცს გაუგზავნი, როგორც მირჩივს ისე მოვიტყევი... თუ საქირია ჩემი დამალვა და გაქცევა—გავიქცევი, თუ არა და მეც ჩემს ამხანაგებს შევეურთდები... გაფიცვები ჩაიშალა?—იკითხა ბოლოს ხოსიამ.

—არ ვიცი, შეილო. რაც შენ წადი, ლალუმის ხმა არ გამიგონია და აღბად ვერ კიდეც განაგრძობენ გაფიცვას. ისე ხალხი ძალიან აშფოთებულია... რომ მეთაური ჰყავდეს ვინმე, ნაჯახებით დაერვეიან ამ ყაზახებს და ამბის წამლებს არ გაუშვებენ აქედან, მაგრამ ვინ არის კაცი. შევარდნაძე სადღაც ტყეშია გაქცეული, იმის იმედი აქვთ, მაგრამ გრომოსს შეუთვლიაო, რომ რაიმე გაბედო და ერთი ყაზახი მომიკლა, რაც ტუსაღები მყავს ყველას დაწვრილ ჩამოვიკიდებო... იმასაც ეშინია თურმე, მართლა ტუსაღებს არაფერი აწყინოსო და შიშით ვერაფერი გაუბედა. სვეე გვიჩია შევარდნაძეს ახლავს.. მოუსწრია გაქცევა, მაგრამ ვაი ამისთანა გაქცევას, საცოდავი კოწიას ოჯახი ღია ცის ქვეშ

დაპარეს მაგის გამოისობით... თუ ივაცკაცა ისევ შევარდნაშიმ, და შერვაშიძესთან თუ რამე გააწყუო, ამბობენ რალაც მოლაპარაკება აქვსო, თორემ ჩვენი საშველი არ არის...

— შერვაშიძეს რა შეუძლია... ან რა თავს გამოიდებს ჩვენი გულისათვის... შიშო აქამეს თორემ, არც ეგ არის წმინდა კელაპტარი. ეხლა, შეიძლება არავის არაფერი აენოს, მაგრამ დახმარებით მაინც არავის არ დაეხმარება.

— ვაიმე, ნაკვდავო ოჯახო, ჩემო ძირო და მომავალო ერთი მაინც დამრჩენოდა ამბის მკითხავი... ვინც რამე მივარგოდა, ყველამ დულარეშო ჰკრა ფეხი და აწი, ვინ იცის, იქნება სანახავად დამინატრდეს... ერთი შემომძახებელი და იმედის მომცემი არავინ მჩნება. უსუსურმა ქალებმა რა უნდა გაეხდეთ. ვაჟკაცი თავზე გვადგა და მაინც ვერ ვინახადით თავს, გაჰირვებით სულს ვიპურებდით და ეხლა... უპატრონოდ და უსახლკაროდ რალა შეგვინახავს!

— კარგი ერთი, დედაჩემო, მოჰყვები წუწუნს, — შეესიტყვა ივდითის ნათელა, თუმცა გულში თვითონაც ვერაფერს სახუგეშოს ხედავდა წინ და უიმედობის კარამდე მისულს თავი სასიკვდილოდ არ ენაღვლებოდა...

ხოსია იჯდა თავჩაქინდრული, დედის ლაპარაკს ყურს აღარ უგდებდა:

— შვიერი იქნები, შეილო, გაუწყვე ვახშამი ნათელა! — მოაგონდა ბოლოს ივდითის და ხოსიას დაბალი სუფრა დაუდგა.

— არაფერი არ მინდა.

— ჰამე, შეილო, უკმელობა გულზე მოგიკრიალებს. ეგვიტოც დაჭერილია, იმას რალს ერჩოდენ მაინც.

— ეგვიტოც? საცოდავი ჰკრივი! — შემოიკრა შუბლზე ხელი ხოსიამ და გატეხილი ქაღი ხელში გაუწეწა. ლუკმის გადაყლაპვა ვერ მოახერხა...

— გვარამაძის რა იცით?

— ისიც დაჭერილია. ამბობენ განგებ არ გამოტოვებსო. ჩქარა ისევ გამოუშვებნო. ბლალონთან საქმე გაკეთებული ჰქონია. შერვაშიძეც ეხმარებო. ეპ, ხალხის ყურს რა დაემალება... მაგრამ...

— მართალია, გეტყვი მე, გამოუშვებენ. გვარამაძეზე ბევრი ცოდვები ირიცხებოდა, მაგრამ ეხლა თავს დაიძვრენს. რამეს გაახერხებს და უწინებლად დარჩება. თავის ვადასარჩენად, შესაძლოა, სხვები იმსხვერპლოს. უპრინციპო კაცია და ყველაფერია მისგან მოსალოდნელი...

ხოსიამ სუფრა გვერდზე გადადგა.

— ჰამე, შეილო, ორი ლუკმა არ აგიღია.

— ყელში აღარ ჩადის, დედაჩემო! არ მინდა.

— რა აქმევს უბედურს... ოი, შენს დედას სამიწეს — ამოიოხრა ივდითიმ და თვალადან კურცხალი ამოაგორა.

— შინ დაიძინებ, შეილო, თუ... — შეეკითხა ხოსიას ივდითი.

— არსად წასვლა არ შემიძლია... ფიცრებს გავაგებ და აგერ ცეცხლის პირად წაშოვწვები.

— ვაი, შენს დედას შეილო! ამ სიშორე გზა წამოვლილს ლოგინიც არ გაქვს, რომ რივიანად მოისვენო.

ხოსიამ ფიცრები გააწყო და საწოლი გაიკეთა... დაძინებისას / ცეცხლს შეუქეა და ნაბადში გაეხევა. აქამდე ძვალბილდაც ვერ შეუქეა, ახლოს არ მიეკარა. თვალების დახუჭვა ვერ მოახერხა... იწვა ბურანში და ცეცხლს ხოსია და ამ ერთ კვირაში მომხდარი ამბები თვალწინ უტრიალებდა.

* *

მთელი ღამე შფოთვაში გაატარა ხოსიამ. უცნაური სიზმრები ნახა. ხან-დახან ბოდავდა კიდევ. ვიღაცას ემუქრებოდა. ბრაზობდა, ილანძლებოდა.

ხოსიას შემხედვარეს, ივლითისაც თვალი არ მოუქუტავს, ისე ფიზიკად გაათენა მთელი ღამე. დრო-გამოშვებით ცეცხლს შემას წამოუშატებდა, ერთს მწარედ ამოიოხრებდა და ტანგაუხდელი ნათელას ფეხებში მიწებებოდა... დარდობდა ხოსიაზე, ბეგის ჯაირიც ხულს უხუთავდა, ცალკე უსახლკარობა... სუსხიანი ზამთარი და აბა, რომელი ერთი გაჭირვება მოსთვალოს ივლითიმ. ასეთი ქამის წელიწადი ჯერ არ ახსოვს ივლითის... ქმარი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოუკვდა, წვრილი შეიღების პატრონი დარჩა, მაგრამ ასე ხელმოკლედ და იმედდაკარგულად თავი არასოდეს არ უგვრძნია.

ხოსიას ადრე გამოეღვიძა. წამოდგა, ფაცხის ღია კარიდან ოდის ნამწვევებს შეხედა. ყაზახების შიშით გარედ გასვლა ვერ გაბედა და ფაცხის კარზე მიმდგარმა მწარედ ამოიოხრა. სანახშირე როკებსავეით ეყარა ხოსიას ოდის საძირკვლები, დირკ და კაყები. ფიცრები მეტწილად დანახშირებულყო. ორი, კვამლით გარუჯული, ბუხარი იდგა მინარათებივით. ამოდენა წენობიდან ესლა გადარჩენილიყო უენებლად. ხოსიამ ამოიოხრა. „ჩემო ნაკვდავო! გულდაწყვეტილ დაუმატა მანვე და ფაცხის ღიღრმეში შებრუნდა. შუა ცეცხლზე შეშა წამოშატა, თავი ჩაღუნა და ფიჭრებს მიეცა.

— ბეგისთან ვინ გავგზავნოთ, შეილო! — შეეკითხა ივლითი ხოსიას...

— ვინღა გავგზავნო... ისევ ნათელა უნდა წავიდეს.

ნათელა სიბარულთ ცას დაიწვია. ბეგის ნახვა სიცოცხლის ფასად უღირდა მას და ამიტომ შორი გზის გავლაც არ დაიზარა.

— წადი, შეილო, იქნება მოახერხო ნახვა... მეც წაგყვები, მაგრამ...

— კოწიას ძმა წაგყვება, ნიკიფორე. კოწიასაც ნახავს და შენ გამყოლად გამოგადგება — ურჩია ხოსიამ.

ხოსია დიდხანს ესაუბრა ნათელას ყველა იმ საკითხებზე, რაზედაც ბეგის გადამკრელი პასუხი უნდა შემოეთვალა და ნათელა გზას გაუდგა.

კანკელარიაზე ხალხი ირეოდა. ნებართვის ასაღებად რიგში იდგენ. ნათელაც ამით შეუერთდა.

გაპოზნდა გროპოვი მხლებლებით. რიგში მდგომნი ჩაათვალეირა. ნათელას მიუახლოვდა და მუშტრის თვალთ ახედ-დახედა. ნათელას შეეჩიზლა ბრკვეილა პაკონებიანი ოფიცერი, თავი ჩაღუნა და მსუნაგი ოფიცრის უტიფარ თვალებს, თვალი მოარიდა.

— შენ რაღა გინდა, ქალიშვილო! — დაყვავებით მიმართა მან ნათელას, მკლავში ხელი გამოსდო და კაბინეტში შეიყვანა.

— ჯერ ჩემი რიგი არ არის, თავის დროზე შემოვალ და მოგახსენებთ—
შემეხად შეაგება პასუხი ნათელამ.

გრომოვი გამხიარულდა უმარკო ქალის ასეთი სიტყვებით და ლოცვებზე
ხელი მოუფათურა:—პატარა ველური... ოხ, როგორ მიყვარს ასეთი ველურები,—
მიუბრუნდა ის თანაშემწეს და გულიანად ვადიხარხარა.—დიდებული რამ არის,
არა ალექსეი პავლოვიჩ!

— ნუგბარი რამ არის.. ისე ატოკდება, როგორც...

— გაანჩხლდება კიდეც, არა?! თმებს დაიწეწს და შეეღას მოითხოვს...
რით შემიძლია გემსახუროთ..—გაუმეორა გრომოვმა და ნათელას სკამი შესთა-
ვაზა.

— დაბრძანდით!

ნათელამ გუნება იცვალა.

„გთხოვ, ვნახოთ რას მეტყვის“—გაივლო გულში შიშის გრძნობით აკან-
კალბულმა და სკამზე ჩამოჯდა.

— ლადარიას ნახვა მინდა.

— ამბავი უნდა შეატყობინო?! თქვენც ძაა ხომ არ დაბრუნებულა?! კარ-
მიდამოზე გული ხომ არ წყდება... ა?

— საზიზღარი, დაგვიჩინოს კიდეც!—ჩაილაპარაკა თავისთვის ნათელამ.

— ნუ ხტინარ ქურციკო! სულერთია, ვერსად გამეჭკევი. რა უნდა უამბო
ლადარიას... ის ხომ წენი საყვარელია, ა!

— ეგ თქვენი საკითხავი არ არის. ნახვა მინდა ნებართვას გთხოვთ.

— შერე, ასეთი ბრძანების კილოთი ვინ გინდათ შეაშინოთ... გრომოვი
ხომ გაგიგონიათ?!

— მე ნებართვა მაინტერესებს...

— გრომოვი არ გაინტერესებთ, არა? კეთილი! გრომოვს კიდეც თქვენი
ნებართვა არ აინტერესებს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.—გრომოვმა დაცინევით
ხელი გაუწოდა ნათელას და კარებზე ანიშნა: „მიბრძანდით“.

— მე ძალიან გთხოვთ, ბატონო ოფიცერო!—დაიმიდაბლა ხმა ნათელამ,
რადგან ლადარიას უნახავად წასვლას წყალში გადავარდნა ერჩინა.

— კარგი, ვთქვათ მე ნებართვა მოგეცით, თქვენ რას იძლევით საშაგიე-
როს.—უტიფრად გამოაზოგა გრომოვმა და თვალით ანიშნა თუ რას ნიშნავს
„საშაგიერო“.

— თქვენ ცდებით, ბატონო ოფიცერო! მე რუსის კაზმა კი ნუ გგონი-
ვართ.

— ნამუსიან ქალწულს დამიხედეთ.—ახვიზინდა ცინიკურად გრომოვი და
თანაშემწეს თვალთ ანიშნა: მომეცალღო.

— არ შეიძლება ნებართვა?—კანკალით გაიმეორა ნათელამ და გამბედაო-
ბა აღარ ეყო შემუდარებოდა როგორმე თავგასულ ოფიცერს.

— შეიძლება, მაგრამ არც შეიძლება.

— არ შესის...

— ისე... თუ ვნებავთ, და.. თქვენც მზად ხართ ჩემი თხოვნა შეასრუ-
ლოთ, შეიძლება... თუ თქვენ, ცალიერი სიტყვით ხვეწნა-მუდარის მეტს არა-



ფერს გაიმეტებთ, მაშინ მშვიდობით ბრძანდებოდეთ!... ვგონებ გასაგებია, — აი-
ფხორა ატრულებული გრომოვი და ტუჩები წუწყივით მოილუჯუნეს!

— ძალიან რომ გთხოვოთ?!

ნიკოლოზი

— არ კმარა მარტო თხოვნა.— გრომოვი ნათელასკენ წაიწია, ნიკაპზე
ხელი ამოუსვა და თვალში ამღვრეული თვალეებით ჩახედა.

— მარწყვივით გოგონა-ხარ, ნებართვაზე შენ უარს ვინ გეტყვის... ოლონ-
დაც... ხომ იცი.— კიდევ წაუფოთიალა ხელები გრომოვმა.

ნათელამ ბევრი ითმინა, მაგრამ როცა შეატყო, რომ ბოროტი ზრახვებით
გახელებული გრომოვი ურცხვად მიიწევდა მისკენ, კედელს მიესნატა და შეში-
ნებულმა ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა.— დაეყვირებ, — დაიბლუჯუნა მან ბო-
ლოს და ზაფრანას ფერი ჩაედო.

— ყვირილი რა საჭიროა, ქურციკო! ყვირილით, ერთი მითხარით, რა
გაკეთდება?! ისევ მშვიდობიანი გზით გადავჭრათ საკითხი და აი ნებართვაც...
ხელის მოწერა და მისი ჯანი!

— შე არ მესმის რას მოითხოვთ ჩემგან.

გრომოვმა წინ წაიწია... დაკუნთულ მკლავებში სკანზე ჩაცუცქული ნათე-
ლა მოიწყვილა და ის იყო ჩაბლუჯუნას უპირებდა, რომ ნათელაში გაიღვიძა
თავდაცვის იდუმალმა ძალამ. გახულებულ ოფიცერს ხელიდან დაუსხლტა და
მაგიდის იქიდან ამოეფარა.

— არ გებრალეებით?! — დაბალი ხმით წასჩურჩულა ნათელამ და თმები
შეისწორა.

გარედ ხმაურობა გაძლიერდა.

— მომეცით ნებართვა და... ხვალ მოგელაპარაკებთ. — გაბედა მან ბო-
ლოს.

— ყოჩაღ ქურციკო. მოტყუებასაც რომ მიპირებს...

გრომოვი ჩაფტქრდა. უცებ მაგიდას მიუჯდა. ნებართვაზე ხელი მოაწერა
და ნათელას გადასცა.

— აი ნებართვა... ეს კი იცოდეთ, რომ ლადარიასთან თქვენი შეხვედრა
უკანასკნელი იქნება.

— როგორ?

— ლადარიას დახრჩობა არ ასცდება, თუ...

— თუ?!

— დანარჩენს თვითონ მიხვდებით. იფიქრეთ... ეხლა კი... დრო ძვირად
მიღირს.

გრომოვმა უხეშად მიუთითა გამოხურულ კარებზე და გასაღები გადასცა...
თვითონ ისევ მაგიდას დაუბრუნდა და ქალაღლებში ჩაიძირა.

— ნათელა! — აღტაცებით შემოხვდა ლადარია ნათელას და ჩამოსართმე-
ვად გაწვდილი მისი ხელები გულში ჩაიბლუჯა.

ნათელას ცრემლები მოერიო...

— რა ვატირებს ნათელა?!

— არაფერი, ხუთი წუთის ნება მაქვს შენთან ყოფნის. ხოსია დაბრუნდა და რჩევა-დარიგებას გთხოვს, როგორ მოვიქცეთ, შემოგითევქვენი და ლადარია ჩაეთიქრდა... შემდეგ ერთბაშად უბასუბა ყველა-სიყვარულზე და ნათელას თვალეში შეატყდა:

— შევარდნაძეს შეუერთდეს... არალეგალურ კომიტეტს გეიჩიასთან ერთად უხელმძღვანელოს... ამასობაში სხვა ამბებიც გამოირკვევა და ენახოთ. აქ როგორ გამოგიშვებს ნათელა! ნებასთვას რომ არ იძლევიან!

— ავიღე...— ჩაღუნა თავი ნათელამ და თვალეში ცრემლებით ამოვესო.

— ბეგლარ, მეც შენთან წამოვალ... ხომ წამაყვან!

— რას ამბობ ნათელა, მე თვითონ გაქცევასა და თავის დახწევაზე ვფიქრობ და შენ ჩემთან წამოხვალ... შეუძლებელია!

— ბეგლარ, შენ მარტოდ ვერ დაგტოვებ...

— უცნაური რამ ხარ, ნათელა! ასე რამ დავაშინა ქალო, არ გრცხვენია!

— ბეგლარ შენ არ იცი...

— დაგაფრთხეს?! გრომოვის ფანდები იქნება უთუოდ. ყური არ ათხოვო. ახლოს არ მიეკარო. თვალს დაგატანდა და შენი დაფრთხობა თუ უნდა... ჩვენ არაფერი გვიშავს ნათელა... ჩქარა, შეიძლება უახლოეს დროშიც...

— რა ბეგლარ?!— ეღვარ მოითმინა ნათელამ და ჩიტვივით აფართქალდა.

— იქნებ ჩვენ ვიქნეთ გამარჯვებულნი... ვერ უყურებ გაზეთებს... ზუსტობა ხომ არ არის... მთელი რუსეთი ბრძოლის ველად არის გადაქცეული. იაპონიასთან ომი წაგებულა... შიგნით, შიმშილი, გაჭირვება, რებრესიები... იფეთქებს აბა რა იქნება... ნუ გეშინია ნათელა! ჩქარა ისევ დაგიბრუნდები და მაშინ... მაშინ...

— ბეგლარ...

დარაჯმა ნათელა გააფრთხილა დროს გასვლის შესახებ. გულდაწყვეტილი ნათელა გამოთხოვენიასს ერთხელ მაგრად ჩაეკრა გულში ლადარიას. ტუჩები დაუყოვნა და თავბრუდასვეული საკამიდან შევლივით გააოჯარდა.

დექტატორმა გრომოვმა პირნათლად შეასრულა ალიხანოვისა და მაზრის უფროსის დავალება. კვლევა-ძიება დაასრულა თუ არა ტუსალების გადაგზავნის თადარიგს შეუდგა.

შევარდნაძემ სცადა შერვაშიძის მეშვეობით გრომოვთან მოლაპარაკების გამართვა, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგო გამოდგა. გრომოვი განადგურებით ემუქრებოდა თვით შევარდნაძის წითელ რაზმსაც. „მიფრთხილდი, ჩენი შეხედრა ვადამწყვეტი იქნება... ან მე, გრომოვი, რომლის სახელის ხსენებაზე მთიულეთი თრიახის... ან შენ „პატივცემულო“ „წითელრაზმელო!“— ასეთი პასუხით გაისტუმრა შერვაშიძე გრომოვმა და შევარდნაძე აბოპოქრებულ ზღვას დაემსგავსა.

— დავუბთები ულელტებილზე და ამბის წამლებს არ ვადავარჩენ, მაგრამ ტუჩალები? რა ექნა? რა დრო შემირჩია? აფსუს შევარდნაძე, რომ ასე უძლური ხარ თავხედური მტკარის საბასუხოდ.



— იქნება ტუსალები წინწინ გადავხავნონ,—დაეკვდა გოჩა.

— აი ალლაჰი! ნეტა ასე მოხდებოდეს...

— ხოსია სად არის?—იკითხა ურიდიამ.

ერკონესული
გინჯლისძე

— ეზოში ზის, და დაღონებულია. დანა კბილს არ უხსნის მთელი დღე ასე გადის ორ სიტყვებს არ იტყვის.

— დარდი რას გააწყობს, მაგრამ... უსახლკარობაც ძნელი ასატანია.— თავაუღებლივ სთქვა შევარდნაძემ.— ეგჰ! ძნელია, ამხანაგებო, ასე ხელფეხშებორკილი ყოფნა. გულს განავარდება სწყურია, მაგრამ აბა საით? ლადარიაც მაფრთხილებს, ამეამად თავდასხმაზე ფიქრი და რაიმე ტერორისტული აქტის შესრულება, გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდაო...

— დღეს მიჰყავთ ტუსალები,—მოიტანა ამბავი სპეციალურად ამ საქმეზე გაგზავნილმა რაზმელმა.— გრომოვის ხელფეხი გაუქრავს ტუსალებისათვის, ყახახები ჯგუფებად დაუნაწილებია, ალბად სიფრთხილის გამო, თითო ჯგუფში რამდენიმე ტუსალი მოუტყევია და ეტაპი ასე დაუჭრავს შეასურებიდან.

— უკვე გასულან?—იკითხა შევარდნაძემ.

— შუადღისას.

— ეგჰ!—ამოიოხრა შევარდნაძემ და რაზმს გადახედა,—უნდა ვიჯდეთ ასე ხელფეხშებორკილები და... ხელსაყრელ პირობებს ველოდით... ოჰ, ვინც ეს კანონზომიერება მოიგონა... ბრძოლა და კანონზომიერი?!

— ანარქისტული მოსახრებაა, გეტყვი მე!—წამოსწია თავი ხოსიამ, რომელიც ეხლახან შემოუერთდა ამხანაგების ჯგუფს და დარდის გულიდან გადასაყრელად საუბარშიც ჩაერია.

— რაც გინდა დაარქვი, ოღონდ ხელფეხი გამიხსენი, თავისუფალი მოქმედების ნება მომეცი და მაშინ გიჩვენებ რა ფაქტაცია ის ლაწირაკი გრომოვი და ვინ არის შევარდნაძე. აქ კი პარტიული დისციპლინა, კანონზომიერი პოლიტიკა... მიზანშეწონილობა და რა ვიცი... ლამის გული გამიგჯეს ამდენი მოთმინებისაგან.

დაბინდდა. ფაცხაში ცუცხლი აისვეტა და რაზმელები ვახშაშის თადარიგს შეუღდგნ.



გრომოვმა გაისტუმრა ეტაპი და ის იყო თვითონაც გამგზავრებას აპირებდა რომ ხმა გაეარდა ლომისკარგლის დაკარგვის შესახებ და თავზარდაცემული ნიკო ბლალონინი მუხლებში ჩაფვარდა გრომოვის შევლისა და დახმარებისათვის.

გრომოვმა გასცა ანკარგულება ოცდაათი გამგზავრებული ყახახი დაებრუნებიათ უკან, შუასურებში, და ოდნავ სულმოთქმული სოფლები ისე დაწროკებია და ჯერ კიდევ უნახავი ჩხრეკის მოწამენი შეიქმნენ. მოახდინეს კვლევა-ძიება, დაჰკითხეს მონაზონი, ეკლესიის მახლობლად მცხოვრებნი გლეხები, მაგრამ...

არაფერი გამოიგონია...

— თოვლზე ნაკვალევი არ შეგვიმჩნევია,—იყო პასუხი სოფლელების.

კარები ხომ არ არის შემტვრეული. ფანჯრებიც მთელია. არა, სახურავიც სადმე გამოჰრილი... ათვლიერებდენ გლეხები ეკლესიის დაქვეყნებულ; ესახედენ—საიდან გააფრინეს ასე ხელშეუხლებლად... შიგნიდან ბაქმას... მისი... ბილი... ყაჩაღი და ქურდი ლომისკარელს არ მოიპარავდა...

— მოიპარავდა თუ არა, ეს სადაოა, მაგრამ თუ ამის მეტი ძალა მართლა არ ჰქონდა ლომისკარელს. ბრმაი ყოფილა ეს ხალხი და მეტი არაფერი.

— ერთი შენც, რა ძალა უნდა ჰქონოდა ცეცხლადის გაქვდილ ხატს?!—

— ეხლა ამბობ როცა ხედავ, რომ მართლა არაფერი ძალა არ ჰქონებია, თორემ შენ არ იყავი, ამას წინად მუხლებზე ტყავი რომ გადაგძვრა ლიტანიის კეთებით?!.. თუ გჯეროდა, რომ არაფრის შემძლე არ იყო, რას დაფორთხავდი მიწაზე ახალ ფეხადგმულ ბოვშივით?!

— მეც სხვებს ვბაძავდი, შე კაცო! შენ კი არ გწამდა ლომისკარელის ძლევა მოსილებმა?!

— წარმოიდგინე მწამდა და ეხლა მეცინება, რა სულელი ვყოფილვართ, რომ ასე გვეჯეროდა, ხალხს მისი ძლევა მოსილებმა...

— გვარწმუნებდენ და გვეჯეროდა,—განმარტა ვიღამაც.

— რწმუნებით ბევრს რამეში გვარწმუნებენ, მაგრამ ხალხს მაინც რომ არ სჯერა... ეხლა ამ ლომისკარელის გატაცება ბევრს ააღებინებს ხელს სარწმუნოებაზე და თუ აქამდე გურიაში ას კაცში ორმოცი მაინც ურწმუნო იყო, ამიერიდან ოციც აღარ დარჩება მორწმუნე და ღვთის მოშიში.

— ბიჭო, ლომისკარელს ქურდის და ავახაის ხელი უნდა მიკარებოდა? ხალხს შორიდან ეშინოდა მაგის რისხვის და სადღაც მესამე ქვეყანაში ჩადენილ ქურდობას, მაგის საშუალებით ამქლავებდენ, ეხლა საკუთარი თავის დაცვა ვეღარ მოახერხა?

— აი, სასწაული მაშინ იქნებოდა, რომ იქვე გაეშეშებია ბოროტგამზრახველნი და ხალხისათვის ნამდვილი სასწაული იქნებებია... თეუჰ, მაგისთანა ღმერთი კი შევარცხვინე მე. ხალხი საცხოვრებელს სწირავდა, წმინდა სანთლებს უნთებდა და ფურთხის ღირსიც კი არ ყოფილა.

— ხალხს ბლალოინი მიუახლოვდა.

— რასა ჰგავს ეს ხალხო!—დაბაქუნა ყავარჯენი ბლალოინმა.

— ცუდი საქმეა, მამო, ქურდობა და მოტაცება საჯაყი ამბავია, მაგრამ ამ ღვთისტოლა ხატსაც რომ არაფერი ძალა ჰქონებია...

— ბეუტურობ რალაცას...

— მარა ალს ვამბობ, მამო! საკურთხეველის წინ ფორთხვით მუხლები დაყევილი მქონდა და ამის მეტი თუ არაფერი შეეძლო ნეტა რად ვიკლავდი თავს... დამიცავს მეთქი და ხედავ, თურმე საკუთარი თავის დაცვა არ შესძლებია...

— ო, როგორ, ტყუილებრალოდ იზაფრებოდა ხალხი ლომისკარელის შიშით და ვინ იცის რამდენ რას ამქლავებდა, იმ მოსაზრებით, რომ სულერთია ხატმა ყველაფერი იცისო...

ბლალოინმა დაწკარული თვალი გააყოლა ასე თამამად მოლაპარაკე გლეხებს და გრომოს ანიშნა დააპატიმრო. მართლაც, დატრიალებდენ ყაზახები



და საღამოს ახალ დაპატიმრებულებით უკვე საეცე იყო სოფლის კანცელარის მოზრდილი სატუსალო ოთახი...

დაიწყო ისევე გამოძიება და დაკითხვები.

ყველას აოცებდა ლომისკარგლის ასე უეცარი დაკარგვა. უკვირდათ ისიც, რომ ეკლესიის გაუტეხავად მოხდა ქურღობა.

— ბლალოჩინი ამ მომენტში ხატს მილიონზე არ გასცვლიდა.

— დიაკვანი ათას მანეთადაც კი გაიმეტებდა.

— დიაკვანი... ჩალას იბარავს, შეშას და რა ვიცი, ყოველგვარ წკრილმანს და რა გასაკვირია ლომისკარგელზე რომ გადამცდარიყო. ხატზე ასი თუმანის საღირალი ფქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები ხომ იქნებოდა...

— შეტის... ას თუმნად მარტო ბრილიანტი და ზურზუხტის თვლები ღირდა. თბილის კაკლის ტოლები იყო. რა თქმა უნდა ლომისკარგელი ას თუმნამდე შეტი ღირდა...

— რაც ღირდა იმას ვინ მისცემს ნაქურდალს საქონელში. ნაქურდალს ნახევრის ფასადაც ვერ გაანაღდებს.

— მიკვირს შენი ამბავი... როგორც გაანაღდებს მისთვის სულერთი არ არის?! რა დიდი თანხები დაუჯდა მისი შეძენა, რომ მოსაგებ-წასაგებზე იფიქროს. რასაც აიღებს სულ მოსაგები არ იქნება?

— ვაი, შენს ლომისკარგელს!

— ავია ლომისკარგელი?— იცინოდენ ჩუმჩუმად სარწმუნოებაზე ხელდარეცხილი გლეხები და ნაცნობ-შეგობრებში უკვე თ.ამამად ეწეოდენ ანტირელიგიურ პროპაგანდას.

გრომოვმა დაასრულა საკვლევა-ძიებო მუშაობა. რამდენიმე ალალ-მართალი კაცა დაუმატა ეტაპით გაგზავნილთა საერთო სიას, კონცესიონერსა და მის ხელქვეითებს გამოეთხოვა და ხელფეხშებორკილ ტუსალებთან ერთად ოზურგეთისაკენ დაიძრა...

სურეში შეწყდა ყაზახების თარეში და სასოწარკვეთამდე მისულმა მოსახლეობამ ცოტათი მსუბუქად ამოისუნთქა.

ტ ა მ შ ი

ხელმძღვანელ ამბანაგების დაპატიმრებამ, გაუგონარმა აწიოკებამ და მოსახლეობის ყოველმხრივმა დარბევამ, გასტეხა კონცესიაზე მომუშავენიც და ერთკვირის შემდეგ თითო-ოროლა გამოჩნდა სამუშაოზე.

შევიარნაძე ირწმუნებოდა, რომ ჩქარა მოხდებოდა ხელფასის მომატება და მაშინ, როცა ტყის მოკვას შეუდგებოდა, უკვე ახალი ტარიფი იქნება, როგორც დღიურ ისე სანარდო სამუშაოზე.

ამფეთქებელნი შეუუგენ მუშაობას...

ორგანიზაცია თითქმის დარბეული და დაშლილი იყო.

გეიჩიამ ხოსიასთან და სხვა ამბანაგებთან ერთად მოახდინა კომიტეტის მუშაობის გადახალისება. წრე უკვე ორ ფრაქციად იყო ჩამოყალიბებული. ამიტომ კომიტეტებიც კალკალკე შეადგინეს. შეავსეს დაპატიმრებულ ამბანაგ-

ბის ადგილები, ახალ-ახალი დავალებები მისცეს კომიტეტის ახალ წევრებს, გურიის და რაიონულ კომიტეტებთან კავშირი გააბეს და ენუფრეციუმი შემდეგ ისევ გაჩაღდა მუშაობა.

ლადარიამ და სხვა ამხანაგებმა ოზურგეთის ციხიდან წერილობითი კავშირი აღადგინეს ძირითად ორგანიზაციებთან და დროებით შევერხებულნი მუშაობა კვლავ დაიძრა მკვდარი წერტილიდან.

მარტი მიიწურა.

დიდი ზამთრის შემდეგ, მშვენიერი დარები დადგა და შერვაშიძემ კონცესიონერებთან ერთად ჩამოიარეს საკონცესიო ტყეები...

მოთარჯეს მოსაპრეელი ტყის ფართობი, იკარაუდეს წყალზე ადვილად დასათრევი ტყის რაოდენობა და უკან დაბრუნდნენ. რათა თოვლის დნობის დაწყებისთანავე ტყის მოკრას შედგომოდნენ და ამფეთქებულთა მეტი ნაწილი ტყეში სამუდამოდ გადაეყვანათ.

აილილოტრულდა. თოვლი დნობის პროცესშია და უკვე შესაძლოა ტყეში მუშაობა. ახმაურდა ცული და ბირდაბირი. სახელდახელო კარები უკვე ააგეს. სამასწლოვანი ნაძვები მზელით ენარცხება დედაშიწას. ხის მკრელებს კულში მისდევნენ მებირდაბირეები, ამით კიდევ ტყავისა და ტოტების გამკლუნნი და ამრიგად დამორილი ნაძვები, შურდულივით მიექანება დაბლა, სუფსას ნაპირებისაკენ.

სანაპიროებზე დამლავენ ხის შორებს და პირდაპირ წყალში აცურებენ. ვახურდა მუშაობა. ათიათასი ნაჭერი ხე დამზადეს ერთი თვის განმავლობაში და წყლის პირზეც ჩამოიტანეს. ეს უნდა ყოფილიყო პირველი ქარავენი ინგლისისაკენ, როგორც ეს ჯერ კიდევ შემოდგომაზე აღუთქვა ელიოტს რწმუნებულმა შერვაშიძემ, მაგრამ დახეთ უბედურებას: ნაძვის შორები მეტად შიშიმ აღმოჩნდა სუფსის წყალმოცულობასთან შეფარდებით და შორების დიდი ნაწილი საკმაოდ მოდიდებულმა ლანქერმაც კი ვერ დასძრა ადგილიდან.

შეწუხდა ინგლისელი.

დღეს, მას სრულიად მოულოდნელი დაბრკოლება გადაელობა წინ. აქამდე აზრდაც არაეის მოსვლია, რომ საკმაოდ სწრაფმომდინარე სუფსა, ნაძვისა და ფიჭვის შორებს ვერ გაიტანდა.

— მუხა—კიდევ ჰო, ურთხელი და ბზა, მაგრამ ფიჭვი და ნაძვი? ლანქერიც რომ არაფერს შევლის?!

ელიოტი სასოწარკვეთას მიეცა. მდინარის კალაპოტის გასაწმენდათ მილიონი ჩაყარა წყალში და კალაპოტი ჯერ ისევ გაუწმენდივი დარჩა. ეხლა ირკვევა რომ გასატან ხე ტყის 80% წყლით არ გაიტანება. გზის გაკეთებაზე წინადაც არ ფიქრობდა ელიოტი. ამ სიგარტ გზას ვინ გააკეთებს?! გზაც რომ გაკეთდეს გამწვევი ძალა?! სად მოინახება ამდენი ცხენი, ფურგანი, თუ გინდ ხარ-კამეზი და მამაპაპური ურემი? მდგომარეობა კატასტროფიულია. ერთადერთი იმედი ისლა რჩება, რომ იქნება ნედლი შორები მზის გულზე როგორმე ცოტათი გაშრეს და გამჩატდეს, თან კიდევ ლანქერმა მოიმატოს. აპრილიდან იწყება ლანქრობა. მაისში ყველაზე კარგი პირობებია ხე-ტყის გასატანად. ივნისის პირველსავე რიცხვებში კი ლანქერა წყდება და, შორჩა! თუ შემთხვევითი წვიმებით არ წამოდიდდა წყალი, სუფსა ლელეს დაემსგავსება.

— ვერ არის კარგი ნაშანი,—ფიქრობს ელიოტი და დასოფლივ ნაძვის მორებს ხარბი თვალით შესცქერის.

იესება სანაპიროები ქათქათი ხის მორებით. მუშებნი ^{ქარქენსული} ნაძვირით კვებით შესცქერიან უზარმაზარ ქორთუებს.

— ჩვენი ქვეყნის სიმიღღრე ჩვენ ვერ მოგვიხმარია და ვილაც ინგლისელი უნდა დააძლეს ზურგზე.

— შეტს არ ვინატრებდი, და ასეთი ნაძვი რომ მქონდა ათი-თორმეტი ძირი, სიღარიბიდან გამგძვრებოდი. საყავრე ნაძვია, ხომ უყურებ, როგორი სწორი ძაფები აქვს, მოზარშულივით იხდება.

— მე ორი ძირიც მეყოფოდა. ოდას გავაწყობდი, ერთ ბელელ ყავარსაც დავხდიდი და ამ განათხულზე სახარჯოდ ვიყმარებდი.

— არა, ცხვირწინ ამოდენა ტყე იყოს და წქენლის მოჭრის უფლებაც არ გქონდეს, ეს არის სამართალი!

— ნუ სწუხარ იაგორ, ჩქარა ეს ტყეები სულ სახალხო გახდება.

— როდისღა გახდება, როცა ეს ღორი ინგლისელი წქენლს აღარ დატოვებს აქაურობაზე.. ცალიერი კარჩხალები ვის რაღად უნდა. დღემდე იყო და ეს ერისთავიო, ეს ნაკაშიძეო, შერვაშიძეო და რა ვიცი... ქვეყანა ეპატრონებოდა ამ ტყეებს, ეხლა გაჰყიდეს და ინგლისი გახდა ბატონ-პატრონი. კლდე იმით ხელში სჯობდა, ორი-სამი მანეთი, რომ წაგეგდო, რომელიმე გაფხვილ ტყის მეპატრონე აზნაურიზა, ხის მოჭრის ნებას მოგცემდა. აქ კი ერთის ნაცვლად ორ-სამ ძირსაც მიიყოლებდი, ან წაქცეულ ხეს დაამუშავებდი და იოლად გახვიდოდი.

— აღარ ყოფილა ჩვენი საშველი და ეს არის.

— რომელს უცხოვრია ჩვენი წინაპარის შვილს, რომ ჩვენ ვიცხოვროთ.

— ეგ! დილიდან დაღამებამდე რკინას ვუფრაწუნებ და ორ მანეთს ვერ ვაკეთებ... ეს არის სამართალი!

— ჩერთი სიაბდლე მინდა ვიკითხო. ამ ინგლისელს რამდენი ექნება, ჯამაგირი მისი მთავრობიდან.

— აი, მართლა შტერი.—გაიცინეს ერთხმად მუშებმა,—რად უნდა ბიჭო, მაგას სხვისი ჯამაგირი, როცა თვითონ არის მილიონების პატრონი...

— აბა, საკუთარი ფულით მუშაობს ელიოტი? მე მეგონა ჯამაგირზე იქნება შეთქი!

— ხიკოია, რას დაუნიშნავდი ჯამაგირს ამ ჩვენს კონცესიონერს შენთვის რომ ეკითხა?

— თავი დამანებე, ერთი.

— არა მაინც რამდენს დაუნიშნავდი?

— თვეში თუ წელიწადში?—შეიფერა ნიკოიამ.

— ვთქვათ, წელიწადში.

ნიკოია დაფქოდა, თითქო მართლა ეკითხებოდა, რაღაც თითებზე გამოითვალა და ბოლოს სთქვა:

— როგორ ნასწაულ კაცს დაუნიშნავდი ასე...

ორიათას მანეთს წელიწადში.

მეშებმა ერთხმად გაღიხარხარეს.

— ბევრია?! — სერიოზულად იკითხა ნიკოიამ, — ერთომ როგორც ნასწავლი კაცი მეთქი, თორემ ორი ათასი მანეთი მაგის გვარი და გუშაგობა უფლებია.

— სიცილი გაძლიერდა.

— რა გეცინებათ?

— არაფერი, ნიკოია! შენ მართალი ხარ. მეტი არ ერგება, მაგრამ შენ იცი, მაგ თანამდებობის ხალხი, აი ქარხნების მმართველები რამდენს იღებენ წელიწადში?!

— რანდენს?!

— ასიათას... ზოგი ასოცი ათასს... ორასსაც...

— ნუ გადამრიეთ, ვეეო!

— აბა, რა გგონია შენ, ჩემო ნიკოია!

— ალბად იმიტომ არის, რომ არ გვასვენებენ გადასახადებით. თუ ყოველი ცინგლიანი ასიათასობით იღებს ჯამაგირს, რა ხაზინა აუთავდება?!

— ნიკოია! შენი სახელის მოზიარეს რამდენი ექნება ჯამაგირი, როგორ გგონია?!

— როგორ, ხელმწიფეს ჯამაგირი აქვს, წახვთი! რად უნდა იმას ჯამაგირი, ქვეყანა მისი არ არის?!

— ჯამაგირი როგორ არ უნდა, რამდენი ექნება შენი აზრით?

— მაგ ანგარიშით ხელმწიფეს მილიონიც ქე ექნება.

— თვეში... თუ?!

— არა, წელიწადში. თვეში მილიონი რა შავ ქვად უნდა?! რავე მეტი აქვს?!

— რასაკვირველია. ხელმწიფეს, ჩემო ნიკოია წელიწადში ცამეტი მილიონი აქვს ჯამაგირი...

— სარჩენი რამდენი ჰყავს ნეტავი?

— არც ერთი... დედოფალს ცალკე აქვს ჯამაგირი... დედას... შვილებს და მოსამსახურეებს...

— აბა რას უშვრება ამდენ ფულებს. ა?

— უწყვია იხგლისის ბანკში და ინახავს...

— ვინ იცის ამ ელიოტის თანხები ჩვენი ხელმწიფის ანაბარები თანხები არის და ჩვენიც თანხებით, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს იხგლისისაკენ ეხიდება.

— ასე იქნება, როგორ გგონია. ამას წინად გახეთში არ ეწერა, არ გახსოვთ?!.. რუსთა-ხელმწიფემ თუ ერთი ეკლესია შესძინა სახელმწიფოს, მორჩა! მოვალეობა მოხდილი აქვს ქვეყნის წინაშე. დანარჩენ თავისუფალ თანხებს სამეფო გვარეულობა სხვადასხვა სახელმწიფოების ბანკებში აბანდებენ. იმათ კიდევ რა ენაღვლებათ, მცორე პროცენტული ანარიცხებით ამათ ამრიყვებენ და თავიანთ სახელმწიფოებში ვაჭრობა-მრეწველობას აწვითარებენ...

— ვაი, შენ სულელო, ნიკოია!

— რა გინდა იაგორ, რას მლანძღავ, — დინჯად შენიშნა ნიკოიამ.

— განა შენზე ვამბობ, ჩემო ნიკოია. ჩვენს ხელმწიფესაც ხომ ნიკოია ჰქვია. ბედნიერი კაცი ხარ, ნიკოია, ხელმწიფის სახელის მოზიარე.

— რაღა ბედნიერი, საქები ხელმწიფე მაინც იყოს, რომ მეც ვაძეგარდეს მისი შექება. „სულელი ნიკოიაო“ ეს იმას მაგონებს, „ავი შეილი დედმამის მაგინებელიაო“. როცა ხელმწიფეს ავინებენ, მისი სენიერებას უნდა დღეში ვვარდებით.

— რწმუნებული მოდის... ავდგეთ ბიჭებო!

— მოვიდეს თუ მოდის დღურზე ხომ არ ვმუშაობთ.

— არა, მაგრამ არ არის ლამაზი ზამდენ კაცს ერთად დამჯდარს რომ დაგვინახავს.

მუშები გაიფანტნენ და თვალის დაეღვებაში გახურდა ტყეში ნაჯახების ურიალი.

* * *

მოსქდა ლანქერი. წყალი ნაპირებს გადაცდა.

დაიძრა ხეტყე მთის თხემებდან. ტივების გაწყობა შეუძლებელია. კალაპოტი სატივოდ ჯერ არ გაწმენდილა. არც არასოდეს გაიწმინდება. თითო-თითოდ შეატურეს წყალში ქორთულები, და როგორც იქნა ლანქერმა შესძლო მათი ადგილიდან დაძვრა და წაღება.

კონცესიონერს იმედი ზოგა. წათამამდა და ათიათასი ნაჭერი ხე წყალში ერთბაშად ჩაჰყარა, მაგრამ სიზარული ხანმოკლე გამოდგა. წყალში უთავბოლოდ ჩაყრილი მორები, ერთად შეჯერგდა, წყალი შეაგუბა და მუშები საშიშარ საფრთხის წინაშე დააყენა. ყველამ უარი განაცხადა წყალში შესვლაზე, სანამ შეგუბებული წყალი გზას გაიკაფავდა და მდინარე ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. ორი დღის შემდეგ წყალმა დაიკლო, მაგრამ ლანქერი შეხელდა და სათავეიდან ძლივსძლივობით დაძრული მორები ღვთისანამბარად დაჰფანტა.

კონცესიონერი საფიჭრებელში ჩავარდა. შექმნილ მდგომარეობას სერიოზულად ჩაუფიქრდა. ვაფიციების ჩაცრობა არ გაძნელებია კონცესიონერს. ხელისუფლების დახმარებით ათ დღეში მოსტება ვაფიციულნი და ძველი პირობებით სამუშაოზე გამოიყვანა, მაგრამ წყლის კალაპოტს რა უყოს? რა მოუბერბოს ამ უზარმაზარ ნაძვის მორებს. დახერხოს? აქ დახერხილი მასალა სადღა გამოადგება. თრევით გატანა შეუძლებელია. მუშა-ხელი არ ათავადება და ძვირიც დაჯდება. კონცესიონერი შერვაშიძეს ეძახის სათათბიროდ.

კაბინეტში დილის საუზმე შემოიტანეს. თათბირი საუზმეს დაუკავშირა გაქნილმა ინგლისელმა.

— მიირთვიო, სერ! — შეეპატივა ინგლისელი შერვაშიძეს. შერვაშიძემ იგრძნო, რას ნიშნავდა ელიოტის თბილი მოპყრობა, მაგრამ თვითონათაც თავი მოიკატუნა და გულთბილად შეხვდა ელიოტის მიპატივებას.

„ჯერ ცოტა კიდევ დამაცადე, — ერთხელ კიდევ გაიფიქრა შერვაშიძემ და კონცესიის ამთავიდანვე ჩაბანდული საქმეები გაითვალისწინა, — ვიცი რაზედაც შეძახი, განა არ ვიცი... მაგრამ შერვაშიძესაც სწორედ ეს უნდა. პატარა ერის შვილი არც ასე ადვილად გაეხვევა დიდი ბრიტანეთის ობობას უსუსურ ქსელში. ერთი ხელის ამოძრავება და... გათავდა! ობობა გმსარესილია... ქსელი გარღვეული... კონცესია ჩაშლილი და მილიონები წყალში გადაყრილი... შერვაშიძე

ზის არხენილ და კრილოსანს ათამაშებს... არც ელოტის მილიონების სტახელა და არც უპატრონოდ დარჩენილ ხეტყეს დასტოვებს უზრუნველად.

— ის უნდა შეთქვა, სერ კიშვარდი! რა აზრისა ხარ, თქვენი აზრით. იმ წვეულების... დიახ, ამის წინეთ რომ ამბობდით... გავლენიან მამბობას წვეულების შესახებ... როგორც ვატყობ, ჩემი კონცესიის საქმეს სახეირო პირი არ უჩანს, და თუ არა თქვენი უშუალო დახმარება, მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც განოსწორებინათვის, მე ნახად ვარ, ხელშეკრულებზე ხელი ავიღო და მუშაობას თავი გაეცნებო.

— თუ რაიმე აზრი ექნება წვეულების გამართვის მეშხად ვარ, სერ! მოი-საზრეთო..

— აზრი ის აქვს რომ მეფის ნაცვალის მოადგილეს და სხვა მაღალ მოზე-ლეებს თვალსაჩინოდ დაეარწმუნებდით აქ კონცესიის პირობების არასასურ-ველობაზე; რაიც, რა თქმა უნდა, ოდნავ მაინც შემსუბუქდებოდა კონტრაქტის გადასინჯვის შესაძლებლობა.

— ეგ მართლა საპენმარიტო რამ არის, სერ! დიდებულად მოგაფიქრე-ბიათ... ჩვენ შევცდებთ კონცესიის დათვალეირებას და... რაღა თქმა უნდა და-ვარწმუნებთ კიდევ რომ კონტრაქტის გადასინჯვა აუცილებელია, თვითონ ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის... დიახ, მე პირდაპირ ასე დავაყენებ საკითხს და ვფიქრობ, გავიტანთ კიდევ...

სიჩუმე ჩამოვარდა. ელიოტმა რომი დაუსხა შერვაშიძეს. შერვაშიძეს რომის დანახვაზე რაღაც მოაგონდა და მწარედ გაიღიმა „არა, იქნებ გგონია ეხლაც შევქო ინგლისური სასმელები, როგორც იმ დღეს მომი-ვიდა... წუპაკო ლორო! მაშინ რომ შეგპირდი, განანებ თავებლობას-მეთქი! დამაცადე... ცოტა კიდევ დამაცადე. უზრდელი იორკშირი. როგორ შემარც-ხვინა. თითქო გეოგრაფიის წიგნი ხელში არასოდეს არ ამეღოს... არა, მეც რატომ გადავამლაშე, ა? ინგლისელს მიწა-მამული ხომ არ უყვარს... ინგლი-სელს ინგლისი უყვარს და ინგლისელი, სულ ერთია ბრიტანეთში იქნება ის თუ არგენტინაში, ირლანდიასა თუ ავსტრალიაში... მიწის სითბოს ინგლისელი არ გრძობს... მისთვის ზღვა და ხმელი ერთნაირ სათაყვანებელია, ან კიდევ არც ერთს არ გასცვლის ერთი-ნეორეში... ჩვენ კი, ვთქვამთ ქართველები, თუ გინდ ფრანგები და იტალიელები, ზღვას ოცნების თვალთ გავეყურებთ, შორიდან ველოლი-ეებებით მიწას კი... გულში ვიხუტებთ და ჩვენს საკუთარ სუნთქვას მიწის სუნთქვა-სთან ვაკავშირებთ... აღბ-დ ეს ინიტომ რომ ჩვენი მიწა სპარსულ ხალიჩას წააგავს, ინგლისის კი... ციხის კედლებს... ცუდი შედარებაა, მაგრამ მართალია... ინგ-ლისი ნიღის ქვეყანა... მიწა მუდამ ზღირალი და ჩსველებული... სისველე კი-დეგ არაფერი, რომ უნაყოფოც არ იყოს... ნაყოფი... არა, ნაყოფთა ნაირნაირო-ბისა და სიუხვეზე მოგახსენებთ თორემ, ქერი და კართოფლი შეიძლება ბლო-მად მოდიოდეს... დაპრობილი ქვეყნები. კალიონები... დიახ, სწორედ ეს აიძუ-ლებს ინგლისელს სამშობლო მიწაზე ხელი აიღოს და იზრუნოს მხოლოდ ინგ-ლისელზე, სადაურიც არ უნდა იყოს ის... ამერიკელი! ეპ, ძალი ძალის ტყავს არ დაჰხეცს... ვილიამ გლადსტონის ხსენებაზე, ამერიკაში მცხოვრებ ინგლისელ-საც მოსწონს თავი, მაგრამ სამშობლო მაინც ამერიკას ფიქვულობს. დედოფალ-ვიქტორიას საიდან და სად არ მოსთქვამდენ ინგლისელები!..

დუმილი დიღხანს გაგრძელდა და ბოლოს ისევ რწმუნებულმა დაარღვია მყუდროება:

— მაშ თქვენის დასტურით, სერ, ვემზადებით წვეულებას... საიდგომო შეურჩიოთ. ზედგამოჭრილი იქნება...

— კეთილი! კეთილი! — გამოცოცხლდა მუდამ გულჩათხრობილი ელიოტი და შერვაშიძე კარამდე ღიმილით მიაცილა.

გ რ ო მ ო ვ ი ს უ ა ნ დ ე ბ ი

გრომოვს გულში ჩაჩა ნათელას მოხდენილი თვალტანადობა. შოლტეით ქალი თვალში მოუვიდა გარყვნილ აფიცრს და, რომ საწაადელს ვერ მიახწია, კარბი ვენებით სისხლი აუსხმარტალდა... გრომოვი ელოდა ნათელასთან კვლავ შეხვედრის შემთხვევას... ტჯურლად კი არ ჩაუკრა იმ დღეს შხამიანი სიტყვები: „ლადარიას დახრჩობა არ აცდებია“.

გრომოვი დარწმუნებული იყო, რომ მისი მუჭარა გასპორდა და, დღეს თუ არა, ხვალ ნათელა საკუთარი ფეხით ეახლებოდა ყოვლის შემძლე დიქტატორს... სწორედ ამიტომ გადასწყვიტა მან, ყაზახების ოზურგეთში გამგზავრების შემდეგ, უკან ჩამორჩენა და სურბში ლომისკარელის დაკარგვაზე კვლევა-ძიების გაგრძელება, თორემ ასეთ, შედარებით უზნიშვნელო საქმეზე გრომოვი როგორ მოცდებოდა...

მოტყუვდა გრომოვი. მუჭარით საწაადელს ვერ მიაღწია და ამან კიდევ უფრო გააცოცხა ისედაც გაბოროტებული შავრაზმელი.

ნათელამ, ბეგლართან შეხვედრის შემდეგ ყური აღარ ათხოვა სურბის დიქტატორის მუჭარას და, რადგან ყოველ ახალ მზის ამოსვლას ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდა რევოლუციონურ მოძრაობის გაღრმავებისა და ხელჩართულ ბრძოლების შესახებ, ნათელა დღეს ხვალ განთავისუფლებულ ბეგლარის უკან დაბრუნებას უფრო ელოდა, ვინემ ცნობას — მისი დასჯისა და გადასახლების შესახებ.

პირში ჩალა გამოვლებული დაბრუნდა გრომოვი ქალაქ ოზურგეთში. მაზრის უფროსსა და განსაცდრებით კი დამსჯელი ექსპედიციის უფროსს, დიქტატორ აღიხანოვ-აქარსკის, გაზვიადებული ცნობები წარუდგინა სურბში აწეიდა არსებულ მდგომარეობის შესახებ და დასძინა: თუ შევარდნაძის რაზმი არ განადგურდა, ფუჭი ოცნება იქნება გურიის სხვა გზ-თ დაწყნარებო.

გრომოვმა ითხოვა ხელშეორედ გამგზავრებულიყო ის თავისი რაზმით, სურბის და მის ალო მდებარე რაიონებში... რაიაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო შევარდნაძე და ამრიგად აღმოსავლეთი გურია, რაც უველაზე უფრო საშიშარ კოხედ იყო მიჩნეული, თავისი ადგილმდებარეობიდან, ნაწილობრივ მაინც გაეწმინდა საეჭვო პირებისა და თავზეხელაღებულ რევოლუციონერებისაგან.

აღიხანოვმა მოუწონა გრომოვს სამოქმედო პროგრამა და განკარგულება ვაცა. გრომოვი სამისი ყაზახით დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო სურბის რაიონში: ყაზახების ნაწილი ჩოხატაურში დაებინავებია, ნაწილი ხიდისთავში და

ამრავად გრომოვს ხელში ჩაეგდო აღმოსავლეთ გურიის ყველა ადგილობრივი-
ული პუნქტი, მაგრამ...

მაგრამ... პოი, საკვირველებავ!

სწორედ ამ დროს, მაზრის უფროსს გადასცეს ქუთაისის გენერალ-გუბერ-
ნატორის სტაროსელსკის დაშიფრული განკარგულება, დამსჯელი ექსპედიციე-
ბის მუშაობის შეჩერებისა და ალიხანოვ-აეარსკის, პლასტუნებით, გურიიდან
უკან გაწვევის შესახებ.

— შეუძლებელია! მოჩხაბული ამბავია! — გრვეინავდა ალიხანოვი და პირდა-
პირ მათუღლით გუბერნატორთან დალაპარაკებას ლამობდა.

განმეორებულმა დეპეშამ დაადასტურა პირველი ცნობის სინამდვილე და
ალიხანოვმა რისხვით დაიქუხა:

— გუბერნატორიც?! შე თქვენ გრვეინებთ თამაშას!

მართლაც მოულოდნელი და საოცარი იყო ბრძოლის გარდამწყვეტ მო-
მენტში გუბერნატორის ასეთი განკარგულება. ყველა ეჭვის თვალით შეხვდა
სტაროსელსკის ლიბერალურ პოლიტიკას რევოლუციონურ მოძრაობის მიმართ
და მთავრობის მოხელეთა ვიწრო წრეებში ის რევოლუციონერადაც კი გამოა-
ცხადეს...

განსაკუთრებით კბილებს იღესავდა მის წინააღმდეგ დიქტატორი ალიხან-
ოვ-აეარსკი და შესაფერ დროსა და დოკუმენტებს ეძებდა რომ, საბაგიერო გა-
დაეხადა უღირს მეფის მოხელისათვის.

ალიხანოვი ცდილობდა სტაროსელსკის რევოლუციონერობის ამბავს მგ-
ფის მოადგილის გრაფ ვორონკოვ-დაშკოვის ყურამღე მიეღწია, რომლის პი-
რადი სურვილით დაინიშნა ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად.

რევოლუციონერ წრეებშიც ეჭვის თვალთ შეხვდენ სტაროსელსკის მოქმე-
დებას.

ფიქრობდენ: ვაი, თუ მთავრობასთან წინასწარ ჰქონდეს შეთანხმებული
თავისი სამუშაო გეგმა, რევოლუციონერ ორგანიზაციების მიმართ თანაგრძნო-
ბით მოპყრობის შესახებ და, სინამდვილეში კი ასეთი ლმობიერი პოლიტიკით
ყოველგვარი საიდუმლოების გამომჟღავნებას ლამობდენ, რომ ბრძოლის გადამ-
წყვეტ მომენტში, ზურგში ლახვარი ჩასცეს რევოლუციონერ ორგანიზაცი-
ებს.

ზოგი რას ამბობდა და ზოგი კიდევ რას.

რამდენავე დღის უკან გუბერნატორი თვითონვე ესტუმრა ოზურგეთის მაზ-
რის უფროსს, ინახულა ალიხანოვ-აეარსკი და მათთან გამართულ საუბრის შემ-
დეგ, მთავრობის მოხელეებს უკვე ეჭვი აღარ შესდიოდათ სტაროსელსკის ნამ-
დვილ რევოლუციონერობაში, მაგრამ რაკი ისიც ყველამ იცოდა, რომ მისი გუ-
ბერნატორად დანიშვნა მოხდა ვორონკოვ-დაშკოვის სურვილით და რომ მეყის
მოადგილე, აგრანომ სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშნით, ფიქრობდა
ქუთაისის გუბერნიის ამხედრებულ მოსახლეობის ოდნავ დაშოშმინებას რაც
გუბერნატორის განსაკუთრებულ ღონისძიებების საშვალებით უნდა მომხდო-
რიყო, თავს იჭერდენ რაიმე დასმენისაგან, საკუთარ თავსა და სხვებსაც არწმუ-
ნებდენ, რომ სტაროსელსკის თვით მეფის მოადგილისაგან აქვს განსაკუთრე-



ბული უფლებები მინიჭებული გუბერნიის მოსახლეობისადმი ასეთი საგანგებო მოპყრობისათვის.

ეროვნული
გინჯიჩინიქა

ცხარობდა მხოლოდ ალიხანოვი.

ჯერ ერთი რომ დიქტატორი შეურაცყოფილად გრძობდა თავს გუბერნატორის მის პირად საქმეებში ჩარევით და, გარდა ამისა, მეფის ერთგული შავრაზმელი თავის მოვალეობად თვლიდა რევოლუციონერი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რევოლუციონერ მოძრაობისადმი სიმპატიურად განწყობილი გუბერნატორი, თანამდებობიდან დაეცურებია და მისთვის შესაფერი საცხოვრებელი ადგილი მიეჩინა დაუსახლებელ ციხეების თვალუწვდენ მიდამოებში.

სტაროსელსკიმ უბრძანა ალიხანოვს, გურიიდან გაეყვანა პლასტუნები, უკან დაებრუნებია სურების რაიონში გასამგზავრებლად გამზადებული გრომოვის რაზმი; სწორედ ამ ხანებში ამბოხებულ მოსახლეობასთან მოსალაპარაკებლად გურიაში გამოემგზავრა მეფის მოადგილის მეორე თანაშემწე, სულთან კრიმ-გიორგი, სტაროსელსკი კმაყოფილებით შეხვდა კრიმ-გიორგის მთავრობის წარმომადგენელის როლში გამოსვლას...

ალიხანოვი შეყოყმანდა გუბერნატორის ბრძანების შესრულებაზე... შეყოყმანდა და გადადგომა მოინდომა...

— გუბერნატორს როგორ დაენებდე — ფიქრობდა ის — როცა თვით შინაგან საქმეთა მინისტრის და ტანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ საგანგებო უფლებებით აღჭურვილი დიქტატორი ვარ... ვნახოთ! — ერთხელ კიდევ შეედავა საკუთარ თავს შეურაცყოფილი დიქტატორი და დაშიფრული დეპეშები აფრინა დანიშნულებისამებრ.

დეპეშებზე პასუხსაც აღარ დაელოდა გაბოროტებული დიქტატორი. გურიის ყოველი კუთხიდან მოტანილმა ახალმა ცნობებმა მოთმინება დაუკარგა სისხლით აყვებულ შავრაზმელს და, გადასწყვიტა: სათანადო ინსტრუქციების მიღებამდე გვერდი აეხვია გუბერნატორის განკარგულებისათვის და, ნაწილობრივ შაინც, განეგრძო საკუთარი გეგმით მოქმედება.

ალიხანოვმა ბინაზე იხმო ოფიცერი გრომოვი, ჩააბარა ახალი ინსტრუქციები და დაბინდებისას გრომოვის დამსჯელი რაზმი ჩორთით დაიძრა აღმოსავლეთ გურიისაკენ.

სუსხიანი ღამე იყო.

შარაზე ისმოდა ცხენების ფეხის თქარა-თქური და გამხეცებულ ყაზახების სამსართულიანი გინება.

წათამამებული გრომოვი მოსახლეობის დარბევის ახალ გეგმას ადგენდა და დროგამოშვებით თანაშემწეებს ცალკე საკითხებზე ეთათბირებოდა.

— შევარდნაძე, ცხადია, უნდა განადგურდეს.

— არა. ცოცხლად მინდა ხელში ჩავიგდო. ჯერ მათრახებით დავალურჯებ, ქლორის ღერა-ღერად დავაგლეჯ და შემდეგ... შემდეგ ხმალით ისე დავსერავ, რომ სიკვდილს ნატობდეს...

— დიდებულთა! დიდებულთა თქვენო მაღალ კეთ-შობილებავ! — მოუწონეს გრომოვს თანაშემწეებმა და ცხენებს ქუსლი შემოაკერეს...

— რამდენი კაცი ჰყავს რაზმში შევარდნაძეს?! — იკითხა ერთმა.

— რამდენიც უნდა ჰყავდეს... სულ ბევრი ორმოცე კაცი ეყოლოს... გთქვამთ ორმოცდაათი... სამასი ღონის ყაზახი ორმოცდაათ კაცს შეუძლებელია...

— არა, მაგრამ...

— რა? ყოყმანობ, ივან ნიკიტინი?!— შეუტია გრომოვმა პრაპორშნიკ ბოიკოს.

— არა, კი არ ყოყმანობ, მაგრამ მიზნდური სხვა არის და დამხდური კიდევ სხვა...

— როგორ?!

— ისე რომ ზოგჯერ ოცი თავდასხმელი ერთ დამხდურს შეაწბილდება... მით უმეტეს, რომ გურია მთავგორიანია და, საომარი თვალსაზრისით, თავდასხმელთათვის ფრიად არახელსაყრელი,

— Начал сказки рассказывать.— დასცინა გრომოვმა.

— სიმართლეს მოგახსენებთ,— იწყინა ივან ნიკიტინმა და ცხენს სადავე მოსწია, რომ თანამოსაუბრეებს ჩამოშორებოდა.

— დამხდური... მაგათ ვაჩვენებ, როგორ უნდა შეხევენ გრომოვსა და მის რაზმს... შევარდნაძე... ვიცნობ მაგ შევარდნაძესაც... სურებიდან თეხი ვერ გადაუდგამს... უღელ ზეხილის იმედი აქვს... ერთი დაბლა ჩამობრძანდეს... თუ ვაგაკიცია. ჩოხატორამდე შემხედეს თავისი რაზმით. ოცი ყაზახით გავეყვები ბრძოლაში, რაგინდ მრავალრიცხოვანი ჯარი არ ჰყავდეს... თავხედი მუყიკი...— თითქო ივან ნიკიტინს ეღავებოდა თავგასული დიქტატორი და ამით ყაზახებსაც ათამამებდა... ივან ნიკიტინი უკვე ყურს აღარ უგდებდა გრომოვის ბაქიაობას და გულში ამბობდა: დაიცა, საცაა პირისპირ შეხედები შევარდნაძეს და შენს ვაჟაკობასაც მაშინ ვიწამებო.

გრომოვი კი ისევ ბაქიაობდა და შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილით საღერდილაშლილი, სადავე მოქაჩულ ცხენს ათი ხმახებდა.

სისხლი სწყუროდა შავრაზმელ გრომოვს, ხელმწიფის წინააღმდეგ ამხედრებულ მოსახლეობის მჩქეფარე სისხლი და დაწინაურება... გარდა ამისა ის ზომ სურების რაიონშიც მიემგზავრება... სადაც... სადაც ნათელა ეგულება და მისი აზრით მასთან შეხვედრის შემთხვევაც ელოდება...

— „ეხლა აღარ შევაწბილდები... ერთი შეხვედრა და... გათავდა... გრომოვი ინადირებს ველურ ქურციკზე“.— გაიფლო გულში გრომოვმა და რაზმს გადასძაბა, „შეისვენეთ“-ო.

შეჩერდნ.

ნავომრის ქალებში დაბანაკდნ ყაძახები. ცხენებს მოსართავეები მოუშვეს და გათოშილი მხედრები სასიძინდე ნალიებს შეეფარენ. ქროდა ცივი ქარაშტი და ნავომრის ქალებში ჩაწოლილი სუფსა ბლებუყათ მიიზღაზნებოდა შავი ზღვისაკენ; აქა-იქ ცეცხლი დაანთეს. ჩალის ზღვიანები და ზოგან ნალიებიც შეუხმელეს სახელდახელოდ მონთებულ ცეცხლს და ყაზახებმა ხელი წაითბეს გლეხების ოფლით ნაამაკარზე.

— Призрели!— იგინებოდნ ჩუმჩუმად ყაზახები.

გრომოვი ქალებს გაჰყურებდა და თერგის შესართავი აგონდებოდა, სადაც დაიბადა და აღიზარდა დიქტატორი.

— დიდი რუსეთი... — ჩურჩულებდა თავისთვის გრომოვი და ბავშობა აგონდებოდა.

სუფსას ვალმა ხმაურობა ატყდა.

მთვარის შუქზე ადამიანთა ლანდებიც გამოჩნდნენ.

გრომოვთან მზვერავებმა მიიბრინეს.

— შეიარაღებულნი არიან... ორასი კაცი იქნება... თავშეხვეულნი არიან...

— ცხენებზე! — გასცა გრომოვმა განკარგულება და დაეღვებაში სამასი ყაზახი შარში გაიშალა.

ხმაურობა ძლიერდებოდა.

გავარდა თოფი...

აქუხდა ხელობიბიც და... ყაზახებმა იკადრეს გატყევა.

— მომყევით! — დაიღრიალა გრომოვმა და დაგელვებული ცხენი ფონში შეაგდო...

სანამ ყაზახები მდინარეს გადალახავდნენ, ვალმა ნაპირიდან სროლა არ შეწყვეტილა. ისროდნენ თხრილებიდან... ისროდნენ ზუსტი მიზნით და დაუნდობლად.

რამდენიმე ყაზახის გვაში სუფსამ ვაიტაცა და გულშემზარავად აქეხვინდნენ უმხედროდ დარჩენილი ცხენები.

— გაფრთხილებ გრომოვ! — მოისმა თხრილებიდან შემზარავი ხმა და გროვოს ტანში გააჭრიალა.

— შევარდნაძე იქნება. ჩაილაპარაკა თავისთვის ივან ნიკიტინმა და ცხენი ააჩქარა.

— როგორ მოვიტყეთ? — გაეხმაურა გრომოვი გამწყრალ ოფიცერს.

— სჯობს ცოცხლად ჩაიგდოთ ხელში და მათრახებით კანი დაუღურჯოთ, — მიუგო ბოიკიმ.

— დამცინით ოფიცერო?! — მიუხედა გრომოვი ივან ნიკიტინს. და ცხენი მისკენ მოატრიალა.

— სრულიადაც არა... მე მხოლოდ თქვენი სიტყვები გავიმეორე...

სროლა კიდევ უფრო გაძლიერდა. თავზარდაცემული ყაზახები უგზო-უკვლოდ დაიფანტნენ დაცეპულ ქალებში და ცხენებიდან ჩამოშტარი მიწას დაესნატნენ.

— გაფრთხილებ გრომოვ! — კვლავ მოისმა ხორხოზი ხმა და აწივლებულმა ტყვიამ დიქტატორს ყურთან გაურბინა.

— გავწყდებით და ეს არის. — შეყოყმანდა თავხედი დიქტატორი.

— მართალია... სჯობს ცოცხლად ჩაიგდოთ ხელში და გაათენებისას გაემათრახოთ.

— ივან ნიკიტინ! — აიღეწა გულმოსული გრომოვი.

— აი, ბურთი და მოედანი... მე ხომ ვამბობდი, — გამომწყვევი ტონით უბასუხა ბოიკომ.

— Вперед! — იღრიალა გრომოვმა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

— გავწყდებით, ბატონო გრომოვ! — შეუბრუნა ეხლა ივან ნიკიტინმა.

— Вперед! — გაიმეორა დიქტატორმა და ხმალი იშისვლა.

— თუ აგრეა, როგორც უფროსი ვაგვიძებ წინ და ჩვენს მოგვეებით არ დააყოვნა ივან ნიკიტინმა, რომელიც ჯიბრში ედგა გრომოვის და მეს. ყოველ განკარგულებას ცინიკურად ეხმაურებოდა.

— Молчать!... мерзавец! — გადაქაჩა თვალები გრომოვმა.

— გრომოვ...

— მე თქვენთვის გრომოვი არ ვარ... მე შენი უფროსი ვარ.

— უფროსი თუ ხარ წინ უნდა გვიძლოდე, უკან რას დატანტალე, — ვე-
ლარ მოითმინა ივან ნიკიტინმა და ცხენი ყალყზე შეაყენა.

— ივან ნიკიტინ! Вперед братца! — გადასძახა გრომოვმა შორიახლო მდგომი ყაზახებს და ივან ნიკიტინს უკან ჩამოუდგა, მთვარის შუქზე ანთებული თვალები თვალში გაუყარა და დორბლმორეულმა შეუტია.

— მალაატობ! გრცხვენოდეს ოფიცრო!

— წინ წასვლაზე უარს ვაცხადებ.

— მე შენ გიბრძანებ.

— უარს ვაცხადებ მეთქი! — გაჯიუტდა ივან ნიკიტინი.

გრომოვი აინთო. ცხენი გვერდზე ასკუპა, რამდენიმე ბრძანების კილოზე შე-
ძახილით კვლავ სცადა გაჯიუტებული ბოიკოს დამორჩილება, მაგრამ როცა საწა-
დელს ვერ მიაღწია, ჰაერში აშრილდა გრომოვის პრილა ხმალი და მყერდჩა-
ლეწილი ივან ნიკიტინი ცხენზე გადაიკეცა...

— ცოცხლად... გავამათრა... ხო... ო... ჰ... აბლუკუნდა უკანასკნელად ივან ნიკიტინი, და ცალი ფეხი უზანგში შერჩა...

— ივან ნიკიტინ! — ღრიალით დაასკდა თავზე იქვე მდგომი ყაზახი კოს-
ტია ბოიკოს ნელთბილ გვამს და, პირჯვარი გამოისახა.

მოწინააღმდეგენი კანტიკუნტად ისროდენ თხრილებიდან და ყოველ ვასრო-
ლაზე გრომოვის აფრთხილებდნენ...

ძნელი შეიქნა საფარზე მისვლა. ყოველი შეტევა მარცხით დამთავრდა...

ყაზახები შიშმა შეიპყრო და ბოლოს გრომოვმა იკადრა გაქცევა და მახ-
ლობელ სოფლისთვის თავის შეფარება.

— მხეცები! მე თქვენ გიჩვენებთ თამაშას! — იხტიბარს არ იტეხდა შერც-
ხვენილი გრომოვი და ამხედრებულ გურულებს ცეცხლით გადაბუგვას ემუქრე-
ბოდა.

გ რ ვ ვ ე ც ი თ ვ ი წ ა!

ძიკის ფეხი ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა, რომ ლოგინიდან წამოდგა და ყვავარჯენდაბიჯებული უპატრონოდ მიტოვებულ საბოქაულოში გამოცხადდა.

რევოლუციონერებზე კბილებდაღესილმა ბოქაულმა ყაზახები გამოითხოვა საბერიოში და ამხედრებული მოსახლეობის „დაწყნარება“ სცადა. ძიკი ეძებდა ახალთაობის მეთაურებს, კომიტეტისა და ორგანიზაციის აქტიურ წევრებს, რომ ჩვეულებისამებრ ყველანი ციმბირისაკენ გაემგზავრებია... ეძებდა სალომეს დასა-
ფლავების, მეფის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადაქცევის ხელმძღვანე-
ლებს... დატრიალდენ ჯაშუშები, ამოძრავდა ხელისუფლების აპარატი, მაგრამ დაბეთ უბედურებას!

ახალ მეთაურთა ძებნაში, უკვე „საიმედო“ ადგილას გადაბარებული (გაციმბირებული) რევოლუციონერებიც იპოვეს, რომელთაც ამ მიჯნულ დროს განმავლობაში მოასწორეს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში მდებარე დაბრუნება, დარბეულ ორგანიზაციების აღდგენა და ხალხის შეიარაღება.

წითელი რაზმები ეხლა განადგურებით ეშუქრებოდნენ ხელისუფლებას და თავდასულ მწიხმელობელთაგან უსასყიდლოდ მიწას მოითხოვდნენ.

— მოგვეცი მიწა.

— მოსპეთ გადასახადები.

— გაიყვანეთ ყაზახები.

— მოგვეცი სიტყვისა და კრების თავისუფლება.

— მოგვეცი ბჭვდვის თავისუფლება.—ერთხმად მოითხოვდნენ ამხედრებულნი გლეხები და რევოლუციონერ ქართველით წათამამებულნი მთავრობის მოხელეებსა და მიწათმფლობელებს აშკარა ულტიმატუმს უგზავნიდნენ.

ძიკი ქუეის კარგავდა ბრძოლის გუნებაზე დაამდგარ გლეხაკობის ვამბედაობაზე და მორიგი წარჩინების დამსახურებისათვის, მეს არ ზოგავდა მოსახლეობის უსაზღვრო შევიწროებისათვის.

ჩიჩია ზუგდიდში აგვიანებდა.

ძიკიმ ვერ არაფერად იცოდა თუ რა ბედი ეწია ნაბოქაულარს, დააწინაურეს ის თუ სხვაგან გადაიყვანეს ისევ ბოქაულის თანამდებობაზე...

ურიადნიკიც არ ჰყავდა ახალდანიშნულ ბოქაულს. არც მაზრის უფროსიდან ესმოდა რაიმე ძიკის ეს ერთი ხანია, მაგრამ საბოქაულოს მიტოვება და მაზრაში გამგზავრება მიანიც ვერ გაებედა, ვერ კიდევ ფეხმოუმაგრებელ ბოქაულს...

საბოქაულოს ყოველი კუთხიდან კი ყოველდღე აღმაშფოთებელი ცნობები მოჰქონდა ჯაშუშებს:

— ხუთასი კაცი ჰყავთ შეიარაღებულნი.

— შემამულეებზე თავდასასხმელად ემზადებიან.

— დადიანის მოკლა აქვთ განზრახული.

— ჯაშუშ დანჯიის ტერორისტებმა ესროლეს.

ძიკი არ დრკებოდა.

მარტის ერთ სუსხიან ღამეს, მან ოცამდე მეთაური დააპატიმრა და სათანადო საგამომძიებლო ოქმებით აღჭურვილნი ზუგდიდში გადაგზავნა.

მცველებად ოცდაათი ყაზახი გააყოლა, ათიოდე ჩაფარი და რამდენიმე სოფლის მამასახლისი.

დაპატიმრებულებს, ბოქაულის თხოვნით წინ უძღოდა თავადი უჩარდია.

შუადღე იყო.

პოლიცია ფიქრობდა დღისით მოესწრო პატიმრების ზუგდიდში ჩაყვანა, რომ აჯანყებული გლეხების საშიშროება თავიდან აეცილებია, მაგრამ მოტყუვდნენ ხელისუფალნი.

ენგურს რომ გაცდნენ, შარა გადაყლეს და შუკებში სიარულით მოინდომეს საშიშარ ადგილების გვერდის ავლა.

თავი სამშვიდობოს ეგონათ გასული, რომ სოფლის ბოლოზე, ქოჩორა ტყის მახლობლად, გზის მხვერავეებმა ჩასაფრებულ გლეხებს მოჰკრეს თვალი და თავზარდაცმულებმა შიშით სული ძლივს მიიტანეს თავად უჩარდიასთან.

— გველოდებიან... შეიარაღებულნი არიან... თუ რაიმე არ ველოვით, — ქაქანებდა ენაწაგდებული მზევრავი.

— ფიქრი ნუ გაქვით, — დააშოშმინა უჩარდიამ მზღებელს: დაუსაზღვრებლად უბრძანა წინ წასულიყვენენ, ხოლო პარტიზმრებს ჩაფრები და მამასახლისები ამოდგომოდენ გვერდში აქეთ იქიდან.

— დავიღუპებით, ბატონო მერაბ!

— ამოგვეწყვეტენ.

— ამბის წამლები არ გადაარჩება...

— გაჩუქდი მეთქი! რას ვაბედავენ. როცა ოცდაათი კაცი ხელში გვეყავს... ერთი უბრალო შემოტევა და... ყველას თავებს დავსხლავთ...

შუკაში გლეხების დელეგატები გამომდნენ თეთრი ბაირალებით.

უჩარდია შედვა. ყაზახებსაც უბრძანა შეჩერებულიყვენენ.

დელეგატები უჩარდიას მიუახლოედენ, შორიდან მაესალჰენ და წერილობითი მოთხოვნილება მოკრძალებით გადასცეს.

— შეუძლებელია! თავებდობაა! — დაიღრიალა მემამულემ დელეგატების სპასუხოდ და მოთხოვნილების ქაღალდი ნაფრეწებად აქცია.

დელეგატებთან იაკინთე გაფორჩხია წაჰოლვა წინ და უჩარდიას შეუძახა:

— თავებდობა სწორედ ეს გახლავთ, ბატონო მერაბ! ჩვენ მშვიდობიან მოთხოვნილებას აგრე ადვილად არ გაგაქეღვინებთ!

იაკინთე ბრაზისაჯან თავს ძლივს იმაგრებდა და ფერწასული თავად უჩარდიას გამგმირავი თვალებით შეჰყურებდა.

უჩარდია გაფიცდა ნაყმევი გლეხის შეძახილზე და ყაზახებს უბრძანა: „დააპარტიზრეთო“..

იაკინთემ წითელი ცხვირსახოცი ააქნია ჰაერში და ყაზახებს მგელივით შეუშღვირა.

ტუსალები გამოურკვეველ მდგომარეობაში მოექცენ. შეშინდენ ხელცალი-ერი რევოლუციონერებიც, მაგრამ სწორედ ამ დროს აჯანყებულმა გლეხებმა ყოველი მხრიდან რკალი შემოარტყეს უჩარდიას რაზმს, გზა შეუღობეს და იარაღმომარჯეებულებმა ერთხმად შეჰკივლეს.

— დაჰყარეთ იარაღი, თორემ...

უჩარდიამ იარაღზე გაიკრა ხელი და ყაზახებს დასჰყილა: „ესროლეთო“, მაგრამ ბუჩქიდან ივრილა თოფმა და თავადი ცხენიდან ჩამოვარდა.

ტუსალებს იმედი მოეცა შეიარაღებულ გლეხების დანახვაზე, გარდამწყვეტ წუთების მოახლოებისას, ხელი გამოიღეს, ეცენ ჩაფრებს, იარაღი აჰყარეს და ეხლა წინ წასულ ყაზახებს ეკვეთენ პირდაპირ.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ტყვიით დაგლეჯილი ყაზახები დაფეთებულმა ცხენებმა სოფლის ორწოხებში გაიტაცეს და ერთის საათის თავვანწირულ ბრძოლის შემდეგ, ყაზახების იარაღებით ხელმომართულნი საბერიოსკენ გაეტანენ საბოქაულოს ხელში ჩასაგდებად...

შევიცარული თოფებით იყო შეიარაღებული გურია-სამეგრელოს გლეხობა. ფედერალისტების გამოტანილი იარაღით ხუთი ათასამდე კაცი შეიარაღეს

ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, დანარჩენები ზოგი ფილმით თორთ/ ზოგი დამბანებით, ზოგიც ნაჯახებითა და უბრალო კეტებით—გამოიყვანეს.

გლახობა აღარ ხუმრობდა.

დაგუბებულმა გულისწყრომამ, ერთბაშად ამოხეთქა და დღეს ამხედრებულსა და აქამდე შეურაცხყოფის გრძობით ამბობოქრებულ მოსახლეობას რა შეაჩერებს..

— მიწა მაწის მუშას.

— გაუშარჯოს ერთობას,—გრგვინავდა იარაღით წითამამებული გლეხები და სამაზრო ადმინისტრაციას განადგურებით ემუქრებოდა.

აღარც ყაზახები აშინებდა ოჯახიდან იარაღით გამოსულ გლეხებს და აღარც პოლიციის თავგასულობა.

მიწის მსხვილ მფლობელებს სიკვდილით ემუქრებოდნენ.

აჯანყებულთა პირველი ტალღა დაიძრა საბერიოსაკენ... საბერიოდან, სხვა საბოქაულოთა აჯანყებულებებთან ერთად სამაზრო ცენტრისაკენ დაიძვრებოდა. ისე მოულოდნელი იყო ეს ამბოხება, რომ ხეირიანი სამოქმედო გეგმა არც კი გააჩნდათ ახალთაობის ხელმძღვანელებს.

კომიტეტში ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს... რევოლუციონერ ბრძოლის ტაქტიკა იწვევდა დღეს ცხარე კამათს მოწიხაალმდეგე ფრაქციითა შორის და ამ ნიადაგზე უკვე გაღრმავებული იყო უთანხმოება, მაგრამ მოძრაობა დღითი დღე სტრუქტურ ხასიათს ლებულობდა და მიუხედავად საერთო სამოქმედო პროგრამის უქონლობისა, მოსახლეობის დაჩაგრულ ფერებს საბრძოლველად აერთიანებდა.

შეიარაღებული გლეხობა მიიჩქარის საბერიოსაკენ.

აჯანყებულებს წინ უძღვის იაკინთე გაფორჩხია. ათისთავებად მოსწანან, ჯინორია, ევანია, ჯოლორია და იაკინთე გაფორჩხიას უმცროსი ძმა ლევანი...

ენგურს მიუახლოვდნენ.

მოსახვევში მომავალ ცხენოსანს მოჰკრეს თვალი, სახაზინო შარაზე გამოსულმა გლეხებმა.

შედარმა ცხენი დაათოხმახა... უკან გაბრუნება თუ მოიწადინა დაფეთებული მაგზავრმა...

— ჩიჩი ას წააგავს.

— ის არის სწორედ.

— ვერ გაგვეჭკევი—უკივლეს ნაბოქაულარს მოთმინებაწართმეულმა რაზმელებმა და ყაზახების ცხენები აფრინეს გზის მოსაქრელად.

შეკრთა შედარი.

იარაღზე ხელის გაკვრაც ვერ მოახერხა აქამდე თავგასულმა ნაბოქაულარმა...

— ჩამოხტი დაბლა!

— იარაღი აიყარე!—შესძახეს ჩიჩიას მიახლოებულმა რაზმელებმა და ჩიჩიამ თავის ცხოვრებაში პირველად იგრძნო ასეთი შიში და დამცირება.

ფერწაული ჩიჩია ცხენიდან ჩამოხტა. წაიკოჭლა და შარის კიდებზე მიმდგარმა, გაოფლებულ ცხენს ნაბადი გადაახურა.

— ცხენს ჩვენ მოუვლით.— ჩამოართვეს ცხენი რაზმელებმა და ნაბადი უკანვე მიუგდეს.

— იარაღი აიყარე!— უბრძანა ვოფორჩხიამ და ხელი ^{გაქრწვენილი}

— რას შერჩით, მეზობლებო!

— ჩქარა, შენი მეზობლის აფრ და კარგი...

— თქვენ არ იცით რომ მე გადავდექი ბოქაულობიდან.— იცრუა ჩიჩიამ და განსაცდელადან თავის დაძვრენა სცადა.

— გადადექი თუ გადაგაყენეს...

— თვითონ მე შევიტანე არზა, სინდისს გეფიცებით.

— სცრუობ. გადაგაყენეს... გუბერნატორის ბრძანება იყო და გადაგაყენეს...

— მერწმუნეთ, მეზობლებო...

— ჩქარა!— დაიღრიალა იაკინთე ვაფორჩხიამ და ნირშეცვლილ ნაბოქაულარს იარაღში ხელი წაატანა.

ფიცულავ რევოლვერი აპყარა, ხმალი და ქამარხანჯალი...

— თუ გადადექი პაგონები რატომ გაკერიან?— დააკვირდა პაგონებზე ვაფორჩხია და შუქარის ნიშნად თავი დაუქნია...

— პაგონები...

— წინ გავვიძებ, საბოქაულოში მოვილაპარაკოთ.— შეუბღვირეს აქეთიქიდან და იარაღგაშვლებილი ბოქაული წინ გაიგდეს.

— სადღა მივითრევთ. აქვე ჩავაძაღლოთ,— დაიჩემა ლევან ვაფორჩხიამ, რომელსაც ჩიჩიას „ნაამგარი“ ვერ მოენელებია და შემთხვევა, თორემ ყოველთვის მზად იყო, წუთისოფლისთვის გამოესალმებია მეფის ერთგული ბოქაული.

— სიკვდილი რა საქიროა...

— დავაცადოთ...

— ენახოთ და ამისთანა ფეხუცა ბოქაულს ყოველთვის გაუსწორდებით...

გულგახეთქილი ჩიჩია ყურს უგდებდა რაზმელების დავას და გულში ფიქრობდა: დამაცათ, თუ შემოტრიალდა ქვეყნის საქმე და თქვენთან ანაგარიშგასწორების დრო დამიდგა... განანებთ თავხედობას... თუ არა და...— ჩიჩიამ შწარედ ამოიოხრა. იაკინთე ვაფორჩხიას, მის ძმას ლევანს და ზოგიერთ ნაცნობ რაზმელებს, ზიზღის თვალი გადააელო და თავჩაქინდრული უხმოდ ჩადგა შუა შარაში და აქეთ იქით რაზმელები ჩამოიყენა.

ძიკის მოგვიანებით აცნობეს ქოჩორა ტყის მახლობლად მომხდარ ამბების შესახებ, აცნობეს უწარდიას სიკვდილი, ჩიჩიას დატუსაღება, და რაც ყველაზე პირველი იყო, შეიარაღებული გლეხების საბერიოსკენ გამგზავრება.

ძიკის შიშით ძაგძაგი დააწყებინა...

— რატომ ავდექი ლოგინიდან, რატომ მეორე ფეხი ძალად არ მოვიტყე. რაღა მეშველება... რა მიხსნის,— ოხრაედა მოულოდნელი ამბებით გულატეხილი ბოქაული და თავს ძალას ატანდა ისევ ლოგინად ჩაწოლილიყო.

ბოლოს ასეც მოიქცა. საბოქაულოს კარი გამოკეტა. გარშემო ჩაფრები დააყენა, უარაულის უფროსი დანიშნა და თვითონ, ფეხის ატკივების მომიზეზებით, შინისკენ გაპქუსლა.

ოზურგეთის ციხეში



ქართველთა მწიგნობართა კავშირი

ასამდე კაცი იჯდა ოზურგეთის ციხეში. გურიის ყოველდღიური მოწყვანათ აქ რევოლუციონურ ბრძოლის მეთაურები.

გურიის კომიტეტის წევრები თითქმის ყველანი დაეპატიმრებიან... ისხდნენ და მსჯელობდნენ.

ციხეში ყოველ დღე იმართებოდა კომიტეტის სხდომა და რაც გარედ ყოფნისას ვერ მოესწრო კომიტეტს საბრძოლო ამოცანების დამუშავება, ებლა ციხეში იმუშავებდნენ... ყოველი ახალი საკითხი დიდი ჯახისა და ცხარე კამათის საგნად ხდებოდა.

ციხეში გადაწყდა ფედერალისტების მიერ შვეიცარიიდან გამოტანილ იარაღის პარტიათა შორის განაწილება და დაუყოვნებლივ ეცნობა ჯერ კიდევ დაუპატიმრებელ კომიტეტის წევრებს, გაეგზავნათ ხალხი გრიგოლეთს, იარაღით დატვირთულ კატერის ხელში ჩასაგდებად.

ემზადებოდნენ.

ემზადებოდნენ შეიარაღებულ გამოსვლებისა და აჯანყებისათვის.

ასამდე „ცალიერი ხელებით“ მებრძოლნი დღეს უკვე ტყვეითა და ცეცხლით ლამობდნენ თავისუფლების მოპოებას.

ამ აზრს ადგა ლადარია, კასრადე, ტოროტადე, კოწია ტრაპაძე და ბოლ-შევიკური ფრაქციის სხვა წევრები.

ყოყმანობდნენ მენშევიკური ფრაქციის წევრები.

საკითხის გამწვავებას ერიდებოდნენ. მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებითა და თვითნარტყელობაში ხმოსნების არჩევით ლამობდნენ საბრძოლო ამოცანების მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ... კრამ გაზეთებს ყოველდღე თავბრულდამხევეი ცნობები მოჰქონდა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან...

„აჯანყება, გაფიცვა... შეტაკება... ბარიკადები... სისხლის ღვრა“ იწყებოდნენ გაზეთები და ქვეყანა სამოქალაქო ომის ცეცხლში ეხვეოდა.

— სანამდე უნდა ვისხდეთ ციხეში, ასე გულზელდაკრეფილები, — განაცხადა ერთ დღეს ლადარიამ და ამხანაგებიც აიყოლია.

— მაშ რა ვქნათ? — დაისვა საკითხი კომიტეტის დღის წესრიგში.

— გავუგზავნოთ ულტიმატუმი მაზრის უფროსს და უკიდურეს შემთხვევაში გაქცევაზე ვიზრუნოთ..

— შეუძლებელია, — აღრინდა ჩვეულებისამებრ გვარამაძე და თანამოაზრენიც აიყვანა.

— დამარცხდებით... და დავიღუპებით, — წუწუნობდნენ გვარამაძის მომხრეები.

— შენ მუდამ შარცხი გაკვრია ენაზე — აიტყვიცა სერჯო კასრადე და უცებ კომიტეტის სხდომა სინაგოგას დაემსგავსა.

— თუ თქვენ უარს აცხადებთ, მე გავექცევი... დღესვე გავექცევი — წამოუარა ხუშტურმა კასრადეს და გაქცევის სამზადისს შეუდგა.

— ასე ანარქისტობა, როგორ იქნება, — აღუტყდნენ კასრადეს დანარჩენები, — არც ლადარია დაეთანხმა მას ინდივიდუალურ გაქცევის განზრახვაში.

— აბა, რა მოვივიდათ... ზიხართ ამ ტოლებიან ციხეში და მსოფს ელოდებით... ხალხი ფეხზეა ამდგარი, ხელმძღვანელობა ესაჭიროება, ჩვენ კი ვზივართ და ვუსდით, როდის გაიღება ციხის კარები...

— გუბერნატორზე რაღაცას ამბობენ და ვინ იცის...

— გუბერნატორი—გუბერნატორია... ჩვენ ჩვენი გვმართებს... რა ვიცით რა ბაღეს ქსოვს გუბერნატორი, როცა ასე ლმობიერ პოლიტიკას აწარმოებს... ზოგჯერ რევოლუციონერობს კიდევ...

— ამბობენ, დიდი სიმპატიით ეპყრობა რევოლუციონერ მოძრაობასო.

— ამბობენ—ზღაპარია... რასაც შუკაში შარახვეუია ხალხი მოჰორავს ჩვენ ქეშმარიტებად ვერ გამოვაცხადებთ—გაცხარდა ისევ კასრამქე და სხვებსაც გადახედა—ტყუილს ვამბობ? მართალია, ბევრს რამეს ამბობენ სტაროსელსკიზე, მაგრამ ჩვენს ორგანიზაციებს ხომ არ შეუმოწმებია ჯერ ეს ცნობები... ზეპირად დანდობა არ შეიძლება...

— ქუთაისში ოცამდე პროპაგანდისტი გაუნთავისუფლებია ციხიდან, სამაგიეროდ მათი დამტუსაღებელი ჩაფრები და „ოკოლოდონიცი“ ციხეში ჩაუმწყვდევი... ამაზე რაღას იტყვიო...

— ცნობის შემოწმება ხაინც საჭიროა—წაექომავა კასრამქეს ლადარიო...

— ეთქვათ მართალია. მეტე? ეიჯდეთ და ველოდეთ სანამ გუბერნატორი ციხის კარებს გაგვიღებდეს და გავგანთავისუფლებდეს... არა, ამხანაგებო, მე წინადადება შემომამქვს პრინციპიალურად დღესვე გადავწყვიტოთ გაქცევის საკითხი და შემდეგ მის ტენიკურად მოგვარებაზე ვიზრუნოთ... თუ უარს, იტყვიო, მაშინ მე შევეცდები დღესვე გავიქცე აქედან და ზოგიერთი ჩემი თანამოაზრეც თან გავიყოლო.

— მე მზად ვარ.—წამოიძახა ილიკო ტოროტაძემ.

— მეც.—დაუმატა კოწია ტრაპაიძემ.

— პრინციპიალურად არც მე ვარ გაქცევის წინააღმდეგი—ასწია თავი ლადარიამ.

— ყაზახები?—დაიკნავლა ვილაცამ კუთხეში.

— ყაზახები შემოვლენ, ამხანაგო, ციხეში, წელზე ხმაღს შემოგარტყამენ, ხელში თოფს მოგცემენ და...

— ნუ, უკუამაზვილოვ, თუ თა ხარ,—გაწიწმატდა გვარამაძე თანამოაზრის წასაშველებლად.

— აბა, რა საკითხავია, ყაზახებო... ყაზახები თავიანთ პოსტებზე იდგებიან სანამ ჩვენ ამ პოსტებს დავიკავებდეთ. შენ ხომ არ გგონია, რომ ყაზახი ან მთავრობის რომელიმე მოხელე თავისი კეთილი სურვილით იარაღს დაჰყრის და შეგებეწება, მობრძანდით და განაგეთო...

— ვიცით, ვიცით, ამხანაგო, ეს სიბრძნეები. ჩვენ იმას ვამბობთ, როგორ უნდა მოაწყო გაქცევა, როცა აღიხანოვ-ავარსკი თავისი ჯარით აქვე ცხვირ წინ დგას და ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვითვალთვალებს.

— ეს უკვე ტენიკური მხარეა, ამხანაგო იულო. გარდა ამისა, ამბობენ, გუბერნატორის ბრძნებით აღიხანოვმა ჯარი გაიყვანა გურიიდან.—გააწყვეტინა ლადარიამ—ასე რომ თუ საკითხს პრინციპიალურად გადავწყვეტო და საერთო



თანხმობას მივახწევთ გაქცევის შესახებ, მის ტენიკურად მოწყობაზე შემდეგ ვიმსჯელოთ...

— მე მაინც არ მესმის...

— არ გესმის იმიტომ, რომ წინააღმდეგი ხარ გაქცევის. — ^{ვარკენსული} ^{გინჯლისქვიანი} ^{ფაწვეტიანი}

— მართალია, წინააღმდეგი ვარ... წინააღმდეგი კი იმიტომ ვარ, რომ არ ვიცი რა შედეგს მოიტანს ეს გაქცევა... ასე ალაღბედზე გაქცევა ვისთვის რა სახარბიელოა... აქედან რომ გავიქცეთ, ვაი თუ ციმბირისკენ გვიკრან თავი...

— ისე კი ცოტას უკრეს თავი ციმბირისაკენ...

— ყოველ შემთხვევაში ზომიერი და წინდახედული პოლიტიკა უფრო საზრიანია, ღინემ ასეთი ურა-გადაწყვეტილება...

— ეეჰ, ეგ თქვენი ზომიერება და საზრიანობა...— ჩაიქნია ხელი კასრადემ.

— დიახ... პოლიტიკა შეუძლებელია ზომიერებისა და საზრიანობის გარეშე. რევოლუციონერ ბრძოლასაც თავისი კანონზომიერება აქვს... თავისი სტრატეგია და ტაქტიკა... და იი, სწორედ ტაქტიკური მოსაზრებით, ასეთ მწვავე პერიოდში, საჭირო არ არის მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება... შთაფრობასთან მოლაპარაკებითა და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებით, ჩვენს ორგანიზაცია გაცილებით უფრო მეტს მოიგებს, ვინემ...

— კარგი ერთი თუ მია ხარ, — შეტრიალდა „ნარზე“ კასრადე და სავსე შეკრდით ამოისუნთქა.

კამათმა მთელი დღე გასტანა, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიახწიეს... საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა... ისევ სადაო და ხელმოკრედ საჯიჯგნი... დაღამდა.

პაპიროსის კვამლი სუნთქვას ამძიშებს... ტუსალები თუნუქის კურკლებს აჩხარუნებენ და ჩაის შვეტქევიან.

გარედ დარაჯები ხელს იორთქლებენ სუსხიან ღამის მოახლოებით. სისხლის სამართლის დანაშაულები კამერის ერთ კუთხეში მოგროვილან და ბანქოს თამაშით ერთობიან.

ერთმა პატიმარმა ეს იყო უკანაენლი ხალათი წაავო, გაიხადა და მობირდაპირეს გადასცა. ქუდი, პალტო და ჩექმები, რა ხანია გაასაღა აზარტში შესულმა მოთამაშემ...

ისმის გინება და ზოგჯერ სილაქის ატაკუნება...

ყველაზე გვიან იძინებენ მოთამაშეები. ხანდახან ათენებენ კიდევც...

შუალამეს გადაცდა და სისხლის სამართლის დანაშაულები კამერაში ისევ ჩვეულ ბრივი ორომტრიალია, ხმაურობა და „ნარზე“ ქალადის აზარტული ტაკა ტაკუი... ვერცხლის ვენებიანი ჩხრიალი... ხელიდან ხელში გადანაცვლება, გადათვლა-გადმოთვლა და ისევ გინება და პაერში მუშტის შეთამაშება...

* * *

დღე და ღამე გაიყარა, როცა გრიგოლეთში შეეცარულ თოფებით დატვირთული კატერი დაცალეს გურია სამეგრელოდან ჩამოსულმა რაზმელებმა... იარაღი გაინაწილეს და ცალიერი კატერი ზღვაში შეაღურეს.

- მე ასი თოფი კიდევ მერგება, — გაისმა ბნელაში ხორხაღვი რმე;
- მართალია, გვერგება, გეტყვი მე! — დემოწმა მეორეც.
- ასი რატომ... ჩვენ ხომ თანაბრად გაეინაწილეთ რატომ უნდა ირგოთ?!
- უკიდურეს შემთხვევაში ორმოცდაათი თოფი დავუმატოთ სურებელ ამხანაგებს, — წამოიძახა ვიღამაც მეგრულ კილოზე.
- ასი თოფი, — კატეგორიულად მოითხოვდა ხორხოხშიანი.
- არ გერგება, ამხანაგო დათიკო!
- გერგება-მერგება მე არ ვფიცი. ჩემი რაზმი უნდა შეიარაღებული დაიძრას აქედან. ცხრა მთას იქიდან მოვსულვართ... უკან ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებით.
- მაშინ მეც მოვითხოვ იარაღის წამომატებას — წამოდგა წინ ლანჩხუთის რაიონის რაზმის უფროსი ცინცაძე.
- მეც. — წამოეჭომაგა ცინცაძეს ოზურგეთის რაზმის უფროსი.
- მოითხოვე თუ მოითხოვე. ხოსია! დაუძახე ჩვენებს...
- ეხლავე, გეტყვი მე!
- მოგროვდენ სურებელი რაზმელნი.
- აიღეთ თითო თოფი და ას-ასი ვაზნები...
- დათიკო, ეგ ანარქისტობაა. ასე არ ივარგებს.
- რა არის ანარქისტობა, სურების რაიონში ვაგზანა დღეს აღიხანოვმა სამასი ყაზახი, თორემ ოზურგეთიდან ხომ ხედავდი ჯარი ნატანებში რომ გადმოიყვანეს... სადაც მეტი საშიშროებაა იარაღიც იქ არის საჭირო.
- როგორ, ოზურგეთიდან ჯარი გაიყვანეს.
- გუბერნატორის ბრძანებით, გურიიდან ყაზახები უნდა გაეყვანა ილიხანოვს... ბრძანება ნაწილობრივ შეასრულა: ოზურგეთი დასცალა, მაგრამ სამაგეროდ სამასი ყაზახი ჩოხატაურ-სურების რაიონში ვაგზანა.
- შენი თვალით ნახე თუ... ნაამბობს გვეუბნები.
- ჩვენი თვალითაც ვნახეთ და დღეს დილით გათენებინას კარგადაც შევაქვით...
- სად? — ერთხმად შეეკითხნენ რაზმის უფროსები.
- ნაგომრის ვალეებში.
- ოცამდე ყაზახი გავაფუჭეთ, გეტყვი მე!
- ყოჩაღ ბიჭებო!
- აბა, წაიღეთ, ძმებო ეს თოფები. თქვენზე ჰალალი ყოფილა როგორც სწამს...
- აბა, რა გეგონა, შევარდნაძე როდის ატარებდა ცუდათ იარაღს. ვაზნა თუ გავიმეტე, ცუდათ გაეაცდენ?! მაშინ მარჯვნივ გაუხმეს შევარდნაძეს.
- ყოჩაღ, ყოჩაღ, დათიკო! — შემოსძახეს შევარდნაძეს აქტიუნიკიდან. გურულებს მეგრული ამხანაგებიც შემოუერთდნენ.
- შთვარის შექზე ერთმანეთს თვალი გადააქვს,
- ყოჩაღი ბიჭია! — ჩაილაპარაკა ერთმა თავისთვის.

შევარდნაძის გვერდით მდგომმა ნაბადშემოხვეულმა ყური სცვიტა მეგრულის გაგონებაზე.

— სადაური ხარ? — იკითხა ნაბადშემოხვეულმა.

— საბერიოდან ვარ... ხმა მეცნაურება. — მოიზრდილა შუბლი მეგრელმა რაზმელმა და ნაბდიანს თვალში ჩახედდა. — გოჩა!

— იაკინთე!

— საიდან? როგორ?

ციმბირში გადამასახლეს. როსტოვიდან გამოვიქეცი. ისევ საბერიოში ვარ — ვეშადებით... შენ?

— ლადარიასთან ვარ... შევარდნაძის რაზმში... იცნობდე, — გოჩამ შევარდნაძე გააცნო გაფორჩხიას და სევე გვიჩიასაც გადასძახა.

— სევე!

— აქა ვარ.

— მორთი აშო!

სევე გოჩასთან გაჩნდა.

— იცნობ? — მიუთითა გაფორჩხიაზე.

სევემ თვალში ჩახედდა ყაბალახით თავშეხვეულ მეგრელს და...

— იაკინთე!

— სევე!

ერთმანეთს გადაეხვიენ. თავიანთ თავადასავალი ერთმანეთს გაუზიარეს.

— წავიდეთ. — გაისმა შევარდნაძის ხმა და რაზმი წასასვლელად მოემზადა. ნაცნობები ერთმანეთს გამოეთხოვენ.

იაკინთემ გოჩა და სევე გადაჰკოცნა და „კარგი გამარჯვება“ დაუტოვა. სევემ დედასთან ფული გაატანა გაფორჩხიას. მოიკითხა, ნახვის ნატვრა და... შეიარაღებული რაზმები დაიძრენ გრიგოლეთიდან...

შევარდნაძემ რაზმი ოზურგეთის მიმართულებით წაიყვანა.

ციოდა, მაგრამ გზაწამოვლალი რაზმელები სიცივეს როდი ებუებოდენ. იარაღშემძენილი საომარ განწყობილებაზე მოსულიყვენ და მტერთან შეხვედრას ლაშობდენ.

შევარდნაძეც ასეთივე ფიქრებში იყო გართული. თვალწინ გრომოვის რაზმი ედგა და ბრაზით კბილებს ახრქიალებდა.

— დილით რომ რაზმი ასეთი შეიარაღებული მყოლოდა, გრომოვის რაზმში ამბის წამლებს არ დავტოვებდი, მაგრამ გაწყრა ღმერთი... ოცდაათი შეიარაღებული რაზმელი სამას კაცს რას დავაყლებდით, ეხლა კი... ვნახოთ რა ვაჟაკები არიან...

შევარდნაძეს ოზურგეთის ციხე დაუდგა თვალწინ. ციხეში დამწყვედული ამგანაგები და ბრაზით გული შეეკუმშა.

— გათენებამდე რომ მიუსწრებდე — ფიქრობდა შევარდნაძე — ქვას ქვაზე აღარ დავტოვებ... ეპ, ბეგლარ, ბეგლარ. სერგოც ციხეში ზის... კოწია ტრაპაიძე... აბა, ჩქარი ნაბიჯით, ამხანაგებო! გათენებამდე ოზურგეთში უნდა დავჩნეთ. — ხმამალლა გასძახა შევარდნაძემ რაზმელებს და ნაბიჯი მოუჩქარა.



— რატომ ოზურგეთის გზით მიდის?

— ოზურგეთიდან ხომ შორი გზა არის.

— საშიშიც არის... ვინ იცის ყაზახებს სად შევეხებოდით? ^{ქრქინულში} შევეხებოდით? ^{განსვლიწინაქა} შევეხებოდით და... ჩვენც აქ არა ვართ? ორასი რმოცდაათი კაციტ შთელს-
გურისა დაიპურობს კარგი სარდალი.

— სარდლობაში შევარდნაძეს ვერაფერ წაედავება.

— რაზმელებიც არაფის ჩამოუფარდებით.—საუბრობდენ ერთმანეთში რა-
ზმელები და ოზურგეთიდან წასვლის მიზეზს არკვევდენ.

შევარდნაძე კი სდუმდა, არ სურდა თავისი განზრახვის წინასწარ გამო-
მკლავება...

მერიას გაცდენ... საცაა ოზურგეთს აივაკებენ რაზმელები...

გამოჩნდა ალიონი და ხმაურობაზე ძალელებიც ახმაურდენ.

დაფრთხალი მამლები ერთმანეთს გაეჯიბრენ...

— ციხეზე მივიტრათ, ამხანაგებო! — გამოამკლავება შევარდნაძემ მალული
განზრახვა და გოჩას მიუბრუნდა.

— ერთ ასეულს შენ უხელმძღვანელებ ამხანაგო გოჩა! მეორეს დოლიძე
უწინამძღვრებს, მესამეს მე ვაუქძლები... ს.მივე მზრიდან ზემოვსალტოთ სა-
ტუსალო. ვეცდებით თოფი არ ვაეისროლოთ. ჩუმაღ დაგხიფოთ დარაჯები და
ციხის კარები მივლეწ-მოვლეწოთ. აბა, მივდივართ,

რაზმი სამ წყებად გაიყო. მეთაურებმა ასეულებში გასცეს განკარგულება
და ათიოდ წუთის შემდეგ სამაზრო ციხეს არგელიე შემოერთყენ.

კარებში მისვლა შევარდნაძემ იკისრა და დარაჯი ჩუმი ხმით გააფრთხილა:
იარალი ჩამაბარეო.

თავზარდაცემულმა დარაჯმა შემბოლოება სცადა, მაგრამ როცა ალაყაფის
კარებს უკან შეიარაღებულ რაზმს თვალი მოავლო, — აცახცახებულმა შაშხანა
ძირს დაავდო და გათოშილი ხელები მალა აიშვირა...

ჩუმაღ აჰყარეს იარალი საყარაულოს. ზედამხედველები და ეზოს დარაჯები
ფროთავად დაატუსალეს. ეხლა ციხის დერეფანში შეიჭრენ რაზმელები და კარის
დარაჯებსაც ხელი მალა ააწევენ.

ციხეში ხმაურობა შეიქმნა.

ტუსალებმა არ იცოდენ რა მომხდარიყო და კარებში შემოჭრილ იარა-
ღიან ხალხის დანახვაზე ღრიალი მორთეს, მაგრამ...

— ბეგლარ! — მკვახედ გადასძახა შევარდნაძემ ლადარის, რომელიც შემ-
ახვევით იმ კამერაში მოხვდა იმ დროს, სადაც პირველად შედგა ფეხი შევარ-
დნაძემ და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა.

— დათიკო!

— სერგო! — თითქო ბოდაედენ ნაძინარევი ტუსალები და ჯერ კიდევ
სახეიროდ ვერ გამოორკვეულიყვენ, სინამდვილე იყო ყოველივე ეს თუ ჩვეულებ-
რიყო ციხის სიზმარი.

გაოცებული ლადარია თვალში შეტეხოდა შევარდნაძეს და ტანზე ჩაცმა
ვერ მოეხერხებია. ზოგი ჯერ კიდევ ბურანში იყო და არ სჯეროდა, რომ ასე
ჩუმაღ, ასე მოულოდნელად ციხის კარები ღია იყო...

— ჩქარა თქვენი...—ახორხოზდა შევარდნამე და ისეულის მეთაურებთან შიკრიკი აფრინა.

— თოფი არ გაისროლოთ, ყველაფერი მზად არის, ყველაფერი შიკრიკს შევარდნამემ და ეხლა ისევ ტუსად ამზანაგებს მიუბრუნდეს: *Камчатка! Камчатка!* სისხლის სამართლის დამანაშავეებშიც ისარგებლეს ამ მდგომარეობით და ვინაიდან ისინი ბანქოს თამაშში ფიზიოლობდენ, ყველაზე აღრე მიიჭრენ ალყაფის კარებთან და კარის გაღებას ლა ელოდენ.

ჩიტები აფრიაბულდა, როცა შევარდნაძის რაზმი ოზურგეთის სატუსაღოს მოშორდა.

ჩქარობდენ. ოცეულებად დაყოფილნი, მზის ამოსვლას ნატანების წყალზე შემოხვდენ.

რაზმელებს თან მიჰყავდა ციხის დარაჯები, ზედამხედველები და საყარაულოს მთელი შემადგენლობა.

— აწი გაფუშვათ, საშიში აღარ არის, გეტყვი მე!—გაეხმაურა შევარდნაძეს ხოსია და შიშით მოკუნტულ ციხის დარაჯებს დამკინავი თვლით გადახედა.

— ნასაკირალამდე გავანთავისუფლოთ... იარონ ჩვენთან ერთად, რა გვეხარჯება.

— ოღონდაც ნუ დაეზოცავთ და... სტამბოლამდე ფეხით ვივლით,—შეემუდარნეს რაზმელებს მოულოდნელად განსაცდელში ჩავარდნილი დარაჯები...

თოფლით შევერცხლილი ნასაკირალის მწვერვალი მზის შუკზე მდიდურად აპრიილდა. თითქო თავი მოსწონდა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთ გურიას მოზავედ ჩასდგომოდა, კობტა ქვეყანა შუა გაეყო და ორივე კუთხის იშეიათ სილამაზით მხოლოდ თვითონ ნებივობდა ლაგვარდზე მიბჯენილ მწვერვალებით...

რაზმეულებმა დაისვენეს. ციხის მცველები უკან გაისტუმრეს.

მხოლოდ ეხლა დაშოშმინდენ ციხიდან გამოქცეული ტუსალები, ერთმანეთი მოიკითხეს და სოფლებში შექმნილ მდგომარეობას ეხლა გაეცნენ.

ლაღარია ხოსიას მიუჯდა გვერდით და გულმა აღარ მოუთმინა, ნათელას კარგადმყოფობა მოიკითხა.

— კარგად არის, გეტყვი მე! შენი ჯავრით ღამეებს თეთრად ათენებს ყოველდღე კანცელარიაზე დიდის... ამბებს ტყობილობს. გაზეთებს ათვალეგრებს... და, რა ვიცი...

— ყოჩაღ, ნათელა!

ლაღარია ფიქრებმა გაიტაცა. თვალი სურების მთებს გაუშტერა და სინამდვილეში ჩაიძირა.

„ნათელა... ოჯახი... ბრძოლები, ბარიკადები და ვინ იცის... ან სიკვდილი ან გამარჯვება... ქვეყანა ცეცხლის აღშოა გახვეული სამოქალაქო ომის სუნით ტრიალებს. ერთი ნაპერწკალი და მოთმინებაც იფეთქებს.“

— ჯანზე როგორ ხარ, ბეგლარ!—შეაწყვეტინა ფიქრები ხოსიამ.

— არა მიშავს რა.

ლაღარიამ ქუჩქიან ტანსაცმელზე დაიხედა, მაგრამ არაფერი სთქვა და ისევ სურებისაკენ გაიქრა მისი მოხეტიალე თვალები.

ფურ. „ნათობი“ № 5.

კასრადე შევიცარულ თოფს აკიბობებდა და სავაზნის რსტატის ძველით სინჯავდა. თოფი არ მოსწონდა და თავს უკმაყოფილოდ აქნევდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ამხანაგო სერგო!

— ეს თოფები სახირო არ უნდა იყოს.

— რას ატყობ?

— რალაც თვალში მეჩოთირება. ეს ლულა ცამეტი ტყვიის გასროლას ვერ გაუძლებს. ვახურდება და... ტყვიის გაადნობს...

რაზმელები თოფების გასინჯვით გაერთიენ. ზოგი კასრადეს ეთანხმებოდა, ზოგი კი შევიცარული თოფას ვარგისიანობას იჩემებდა.

— მოდი გავსინჯოთ,—წამოიძახა ერთმა.

— გავსინჯოთ.—დაეთანხმენ სხვებიც.

— გაგიჟდით!—დაიღრიალა შეეარდნადემ და თოფების ნასაკირალზე გასინჯვის მოსურნეები ბავშვებით დატუქსა.—ახალი თოფებია, რა გასინჯვა უნდა. შევხვდებით გრომოეს და აი, იქ გასინჯეთ... სამიზნოც ზედგამოჭრილი იქნება.

რაზმი უხშირად დემორჩილა მეთაურის სურვილს და საკმაოდ შემუხლებული რაზმელები, ჩქარი ნაბაჯით დაეშვენ ნაკომრის ქალებისაკენ.

ყველაზე უფრო ჩქარობდა ლადარია და მეგრელის ჩვეულებრივ ფეხმარდობას გაორკეცებით აქარბებდა.

— ქლიკით დამკიდეთ, თუ შავს ნათელას ნახვა უფრო არ ეჩქარებოდეს, ვინემ ჩენი სამშვიდობოზე გასვლის ამბავი.—დაარღვია სიჩუმე აქამდე წყნარად მყოფმა ეგვიტომ და კოწიას მუჯლოგუნი წაპკრა.

— მოიგონე შენებური?!—აუტყდენ ეგვიტოს თანამგზავრები.

— ტყუილს ვამბობ თუ?!

— იცოცხლე, ჩემო ეგვიტო, ას წელიწადს იცოცხლე... ღირსეული ქალი ხარ, ცოლშვილს ვეფიცები...

— აწი რალა უნდა ვიცოცხლო წელგათრეულმა დედაბერმა...

— ნუ გეშინია, ეგვიტო, ჯერ ბევრს ვაეკაცს არ ჩამოუფარდები.

რაზმელები აქონჭოლდენ¹ ეგვიტოს გარშემო და ჩქარა მათი სიცილხარხარი ოცეულიდან ოცეულში გადავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

¹ აქონჭოლდენ—უწესრიგოდ ალაპარაკდენ.

ამილანკრიანთ მუსიკა

(ადგილზე პოეზიანი)

ჯამბარას გადასახლება

მუხის ქვეშ შევხვდი ქალაჩა შობუცს,
დგას და გაჩყურებს ხოდაბუნს უხმოდ,
ჩრდილ მილა—

ქარში შრიალებს მუხაც,
შთაგონებული და მუზლ-მორთხმული...

— „ჩემ ტოტებ ქვეშ
ბევრი—

დღე წასულა უხმოდ,
ბევრჯერ ქარიშხალში დამღეწიან რტონი...
ვინ ხარ?

ჩრდილში დგეხარ და კაეშანს უხმობ—
დახვალ, სწუხარ— რხრავ... სწუხარ და არ მტოვებ?!“—

— „ჰეი, დაილაბეროს!

გზაში ვერ გითხარ...
მოდის და ეხლა ყური მათხოვე;

თუმც „შავი ხარო“... მომამახეს—
„გასწი, წადიო და იმითხოვე!“...

ერთ უბედურ კაცს ბედი ჰქონია და დაქარგვია...
შემდეგ წასულან—ის დღეები გადაქარგულან.

რაღა ვარ ეხლა?
უსახლკარო დავალ კარდაკარ!

რათ ამოხრეს,
რას მერჩოდენ ხელმარჯვე გლეხკაცს?!
დავიდგი სახლი... დავახურე კრამიტი ქსნისა...
მომავონდება—და შემზარავს ფიქრები ეხლაც,
ჩემი მინდვრები, იალალზე ხარები ნისლა!

— მე ხომ დროებამ ახალახი ჩამომახია...
იყო ნადიმი—და ჩრდილებში გაშლილი სუფრა...

ველარ ავსტეხავ ქვევრის თავზე ხმას ომანხიანს,
ჩემი დღეები დაიფანტენ და გარდასულან!

თქვენ გინახიანთ ნახარზე ბიჭებო ეხლა
გათხარეთ არზი—შემილახეთ მოხუცს ქალარა...

აშენებთ მაგრამ... და ჩაჩუმდა გლეხი ანახდათ;
მიმოიხედა სისხლიანი თვალებით ირგვლივ...

— „გაგიგონია იქნებ ანდაზა?!“

და კვლავ ჩაჩუმდა... „მაგრამ ჯანდაბას!

ბეი, წარსულში დღეები ჩანდა...

ისინი გაპქრენ და დამტოვეს მოხუცი ოხრად,
თითქოს ყორანმა ჩამოსჩხაელა წაქცეულ ქანდარს!
გლეხს მიაძახეს:

— „კულაკი ხარ... გადასახლდი, გასწი, იარე!“

გოგო ბიჭები დაუხვდენ გზაზე,

და კარმიდამო გაუტიალეს...

— ის უბედური შავსიელი თვითონ გახლავარ,

გადამიშენეს სისხლი და ჯიში...

მე დამაქციეს, შემირცხვინეს მოხუცს ქალარა.

მეფე ვიყავი ღობის და კიშკრის!“—

და, აქ მოხუცმა მწუხარებით თავი დახარა,
თუშური ქუდი—ხოდაბუნზე ჩემს წინ დაამზო...
და შრიალებდა ქარში მუხა: „თვითონ გახლავარ
ძველის ძველ სისხლის—
დრომ გამლახა—დრო დაილახვროს!“—

...„ეს იყო შარშან
მიწაზე—დამცეს და შემატორტმანეს,
შავმა ყორანმა მწუხრის ეამს,
თითქოს დასწყევლა ყორღანი...
— დეკემბრის თვეში გადამასახლეს,
ძალღმა ეზოში ასტეხა ყეფა,
ცივა... ქარია... ნამჭერი მარხევს,
წინ თოვლის გარდა ვერაფერს ვხედავ...
რა შემზარავად აყეფდა ძალღი,
დასუნა ეზო და ისევ ღმუის...
მორბის, სევდიან ყეფით მომძახის—
გამომატანა სევდა ძალღური...“

— „შენ რაღას ღმუი ტიალო, ხომ არ მითხრიან სამარეს?
ეგ შენი თავი იტირე, დარჩები ბეთალმანად!
გამოსწით, გამოიარეთ, რა ჯადერი მოვიხურიათ?!“—



..ეზოში ცხენი ამოქიხეინდა,
 გლეჯდა ავშარას და მიწას თბრიდა;
 „მშვიდობით! ჩემს წინ გზა და ქირბლია,
 ვადამასახლეს სამშობლო მხრიდან!
 —მშვიდობით! ჩემი ნისლა ხარები,
 ჩემ ხოდებუნებს აღარ მოხნავენ,
 აქ სხვა ძალები გაიხარებენ—
 შერჩებათ ეზო და ნაოხარი...
 თქვენ ვეღარ ნახავთ ვადასახლებულს,
 მშვიდობით... ოხრათ გტოვებთ და მივალ...
 აგერ გლეხები კარებს ალებენ.
 და მომძახიან შავ ადამიანს!
 —შახსოვს: ჩავლის დროს—სოფლად ოდესღაც,
 კარებს ხურავდენ გლეხები შიშით...
 ეს იყო წინათ... წაქცეულს ეხლა —
 მზარავს შეხვედრა ყოველი ქიშკრის!

...
 — „ჰეი. მეზობლებო, გამიშვით მარნის კარი ვაჭრიალო,
 ჩემებურათ, ძველებურათ ყელი ჩაემაჭრიანო!
 ჩამიშვით, იქნებ მარანში—ჩაეახრო ფიჭრი ოხერი...
 ჩავიდეთ ძველი ფარაჯით და ძველი ახალოხებით!
 ჩავიდეთ—გადასახლებამ გულში ქარბუქი აშალა,
 დამისხით, თორემ ძარღვებში—ტიალი სისხლი დამშრალა!
 ჩამიშვით—უკანასკნელათ ქვევრი მოხადეთ ეგების —
 ვიცი დარჩება ოხრათვე... დამათრობს და შემერგების
 ღვინო, რქაწითელ ვახისა!
 —„რაო? არ მიშვებთ ზიკებო, ჩემეულ მარნის ეზოზე.
 აქ რჩებით ოჯახქორებო, ნამქერში მაგდებთ მეზობელს!...“

...
 მარნის კარები დახურეს...

— „ჯამზარავ, ღვინოს რას ნატრობ!
 მხარზე გვიდია ხურჯინი, ვასწი წადი და იარე,
 ჯავრი და სისხლიც დავითრობთ, შავსიელ ადამიანებს!“ —
 სოფელს ვილაცა ვასძახის: „ჯანბალამ, ჰეი, ჯანბალამ!
 ჯამზარა ვადასახლეს, ჩვენი ბებერი ჯამზარა!“ —

ქარი წეწავდა დაფლეთილ ხურჯინს,
 უკან მომდევდა ცოლი ლანდივით,
 მას გატეხილი ჰქონდა სიურჩე,
 და დახეული თავზე მანდილი...

— „გამოსწი, გამოიარე—ვიაროთ ქარში ტიალად,
 ქორწილში შეგვაგვიანა ბედის უკულმა ტრიალმა!
 ისე დაგვეცა წუხილის ხარი,



თითქოს წარსულში არა იყო რა...
 სახეში გვეყვამდა დეკემბრის ქარი,
 და უბედობის მივსდევდით ყორანს...
 წინ გადაშლილან გზადა ქარები,
 უკან სოფელი უჩვენოთ დარჩა,
 აღბათ უჩვენოთ გაიხარებენ,
 ასეთი დღე ხომ არ იყო შარშან!
 იმათ თვალეში ქრავი ანთია,
 ჩვენი თვალეში შხამმა დაფარა
 ქარში მივდივართ ოხერტიალათ,
 ხურჯინისა და გზის ანაბარა...

— ჩვენ ხომ არა ვართ მარტონი—ტიალნი, უსახლკარონი, ...
 გამოსწი, გამოიარეთ—რა ჯავრი მოგიხურიათ“?

სოფლის ბოლომდე გამოგვევა ძალლი,
 „ტილო, დარჩი უკან რას მოგვეყვ...
 ვადასახლებულს არ შემრჩა სახრე,
 იქნებ ორლობეს მტერი შემომხვდეს!
 იქნებ ნამქერმა გზაში დაგვმარხოს,
 იქნებ ქარბუქმა გვაქციოს ოხრათ,
 ჩამოგვრჩა ძალლი მდინარის ახლო...
 „მოგვეყვ შორიდან და შენც მარტო ხარ!“
 შორს შელამების ჩამოწვა ბინდი,
 ბორგავს ნამქერი... ქარია, ავდრობს...
 გაბრუნდა ძალლი და უკან მირბის:
 ძალლი, ძალლია—იშოვის პატრონს!
 გამოსწით! ქარში ჩვენ მარტო დავრჩით
 სისხლით აიმღვრა თვალეები ლურჯი,
 გამოსწი, მივალთ ოხრათ ავდარში,
 ქარში მივათრევ დაფლეთილ ხურჯინს!“

მოხუცი ისევ დადუმდა ერთხანს,
 მისი თვალეები დამუქდენ შხამში,
 მწარე ღიმილით შუბლი გაეხსნა.
 და გამახედა ველზე ხელ გაშლით:
 — „და, რაღა გითხრა... ეს ერთი მუხა —
 მარტოღა შერჩა გაშლილ ხოდაბუნს,
 რას ვიფიქრებდი თუ სიპერის ეამს,
 ისიც არხის წინ დაემხოზოდა?!
 წ-მართვეს მიწა— „კულაკი ხარო!“



გამოჰყავთ არხი მუხასაც თხრიან,
იქნებ სამარცვ ვადამითხაროთ,
შიგ ჩემი ძელებიც ჩავიმარხათ!“ —

გაჩუმდა. წყრომით გახედა ბიჭებს...
არხის მთხრელები მოადგნენ მუხას,—
შეხედეს მოხუცს და შეაჩერდნენ:
— „ჯამმარავ, რაზე დამწუხრებულხარ!“
და, ჟრიამული არხის მთხრელების,
მოვარდა, როგორც თქეში ლიხვის,
როგორც ბუმბერაზ ვაეკაცის მხრები,
ბებერ მუხის წინ წამოდგა არხი
— და, ჩრდილი, შავი და შხამიანი,
გადაეჩრდილა შავსიელ მოხუცს,
მუხის ქვეშ იდგა ადამიანი,
განმარტოებით— შავი და უცხო...

— „მუხას რას ერჩით ბიჭებო ნეტავ.
ტრიალ მინდორზე ის დგას ხელ მარტო.
თქვენს შორის მოთხარ ვილა იქნება,
ჩრდილში სამხარი არ გაემართოს?
ხოდაბუნებზე გაშლიდი ჩრდილებს,
მიყვარდა მუხავ, მე შენი ჩერო,
შენ მაინც ველარ გადაგარჩინე.
და ეხლა ვთხრიან მუხაო ჩემო!
მახსოვს აქ ლხინი და სჟფრა შლილი,
მაგრამ დღეები მუხავ წაშლილან!“ —

სთქვა და მწუხარედ შეხედა მუხას,
მრავალ რტოებას, კარმაგს და ტანდიდს,
ტოლბიჭებს წყრომის სიტყვები უთხრა,
და ჩრდილში დადგა მოხრილი ლანდი...

— ბიჭმა შეხედა გესლიან მოუქცს
და მიაძახა ბრიგადელ ტოლებს:

— „ბიჭებო, მუხას ჰქონია მართლაც,
შავი ჩრდილები და გრილი ჩერო,
მაგრამ მითხარით რა იქნებოდა,
მუხის წინ არხი რომ შევაჩეროთ?
მუხას უჯობდა განზე მდგარიყო,
არ გასცდენოდა ამ ტრიალ მინდორს,
ეხლა კი: ხალხის სიტყვის არ იყოს,
საკუთარ ძმასაც აღარ დავინდობთ!
— „ჯამმარავ, სიტყვებს უბრალოთ ხარჯავ,

მუხას ვერ იხსნი... და შენც ბარბაცებ,—
 ეს არხი არი ხუთწლედის მაჯა,
 და მუხას ერთი მოჭრევით დასცემს!
 მარტოა მუხა და შენც მარტო ხარ,
 ამაოდ ფანტავ განწირულ ძახილს,
 თქვენი ჩონჩხები დაჩრება ოხრად,
 და ყორნის ნაცვლით ჩაგყეფავთ ძაღლი!“..

გაბრუნდა უკან ოხვრით მოხუცი,
 რაც იყო გაჭკრა, გათავდა, მორჩა...
 თითქოს დასცქერის ძმებს ამოხოცილს,
 თითქოს ძარღვებში სისხლი ამოშრა...
 ... გზაში, როს გასცდა გაშლილ ხოდაბუნს,
 მოესმა ჭექა დაცემულ მუხის,
 ის ქრიამულში დაეშხო დაბლა,
 როგორც დანგრეულ ეპოქის მუხლი...
 ჭექაქუხილით დაეცა მუხა,
 მიწა რღვეულა და გაფატრულა, •
 ველარ გაუძლო ბიჭების ხარხარს,
 და არხს შორიდან გახედა მტრულად...

ამ მინდორ გაღმა—სფფელია,
 გვიანი მგზავრი, მოდის და ჩქარობს,
 უკან ქურდულად. თუ მოიხედავს...
 ქარი ნამუგებზე უკრავს ჭიანურს,
 შორი ჩრდილები ხეებქვეშ სხედან...
 უკან რა დარჩა შავსიეღ მოხუცს,
 გარდა წუხილის და კავშანის,
 მოგონებანი შემოკრბენ უცებ
 და მინდორივით გადაეშალენ...

—„ეს ჩემი ხოდაბუნია, ეს ჩემი თავთუხებია,
 ჩემი ძვლებია ჩაყრილი და შიგ ჩემივე ხმებია...
 ჰოი, ტიალო, რა იქენ—დარებო, ხომ დაბრუნდებით?
 ჰოი, შევწარბა თავთუხის წამართვეს ხოდაბუნები!“—

—„რამ სისხო არი ტიალი მუხა?!
 „როგორ დაეშხვრა ტოტები ვერანს...“



„რას ვახდებოდა მითხარ უხალხოთ,
ქარიშხალს ასჯერ შემოებერა?!
— „ტილო დარო—ტირიფონისაჲ,
კირიმე შენი—ჩქარო ლიახვო,
არხი მოვიდა ვაჟკაცურ მხრისა,
შენი თავთუხის შრიალი ვნახო!
— „აბა წავედეთ . . . ავდარს აპირებს,
ხვალ კი ძალიან წაიწვეს არხი!“—
მწუხრზე დასტოვა ბრიგადამ ველი,
და ტრიალ შარას გაუდგა ხალხი . . .

ხოდაბუნები დამზობილ მხრებზე,
დინჯად ისხამენ ჩრდილთა მახარას,
ამილახვრების ჩონჩხებს საზარელს,
დასცქერის მთვარე უზარმაზარი . . .
აზიის მთვარე—დინჯი ბარბაკით.
ვერ დაასრულებს ზეტიალს ამლამ,
მოვა ავდარი და თავზარს დასცემს
ხოდაბუნე ბის უშორეს აღმართს!
მოვა ავდარი—შფოთიან არხში.
ახმიანდება ჩქარი ლიახვი,
რომ გაიტაცოს სევდა და თალხი,
წარსულ დღეების და ამილახვრის . . .
სადაც უღამნო ეგდო მარტოდენ,
და ხოდაბუნებს უხმობდა ეხო,
მწვემსი ბიჭები ავდარს ნატრობდენ,
და ემზობოდენ ხარის ნაფეხურს . . .

სად ტირიფონის დიდი აღმური,
პაპანაქებით მოსდევდა მხედარს,
და სევდიანი ხმა სალამურის,
ჩამოდიოდა ლიახვის მხრიდან . . .
...თქმების თვეში გაჩნდა ლიახვი,
მოდის ლიახვი, შფოთავს ხარხარებს,
გაიტაცებენ ჩონჩხს ამილახვრის,
მუხას, ნანგრევებს და დამარხავენ!
რღვეულხარ მიწაჲ!—შავი ჩონჩხებო,
ჩარეცხა მზის და ღვარების დენამ,
ხოდაბუნებზე ნატრული ჩეენი,
სოციალიზმის მეხრე იზრდება!

მდინარეები მიდიან მაინც,
ამტყდარ ქარიშხალს რა შეაჩერებს,



ეპოქა დინჯად გაივლის მანძილს,
 და დაემხობა ეპოქის ჩრდილ ქვეშ,
 გაივლის ქუჩას, გაივლის ქალაქს,
 ბრძოლით, კიდილით და მუხლის ჩოქით,
 გახმება გზაში რამდენი ქალა,
 ვით მოჩვენება განვლილ ეპოქის!
 ეპოქა შფოთავს ეპოქის ფეხქვეშ,
 როგორც მონა და გლადიატორი,
 მოვლენ, ქელავენ მგზავრებს დაჩეხილს,
 და მაინც მივლენ, მიდიან დრონი!
 საუკუნეთა ყრია ჩონჩხები,
 მიდიან დრონი დარში, ავდარში,
 დაგმარხავს ქარი თუ ჩამორჩები,
 დაგმარხავს ქარი თუ უკან დარჩი!
 დაჩოქებულა სისხლში ეპოქა,
 და როცა ეხოს უხმობენ დრონი,
 შფოთავს, ძარბაცებს და ნაამზობხარს,
 მოსჩხავეს, როგორც მარადიორო!
 წამოდგებიან ჩონჩხნი სამართით,
 დაბარბაცებენ ცოცხლებთან ახლო,
 დგებიან მკედრეთით შავი სუდართით,
 მხოლოდ იმისთვის, რომ დაიმარხონ!
 იმსხვრევა ხმალი და მუხარადი,
 მოდის მოარღვევს და იმორჩილებს,
 დიდი ეპოქის დიდი ხანძარი,
 დინჯად ემხობა ეპოქის ჩრდილ ქვეშ!

... წამოიშლება ასეთი ფიქრი,
 ვასცქერი მიღვრებს, დგებართ და სდუმხარ...
 მოგონებანო, მეხვევით ირველივ,
 მოგონებანო, საით წასულხართ?!
 და არხი—როგორც ხუთწლედის მაჯა,
 მაგონებს ველზე დამზობილ ვაჟკაცს,
 სდუმს და დილამდე ასვენებს აბჯარს,
 რიერაქზე იწყებს მკლავების გაშლას!
 ეს მიწა რჩება ჩონჩხთა გარეშე,
 ხოდაბუნებზე მქუხარებს არხი,
 ქართლის ველებზე დამდგარ გარიერაქს,
 ველარ დახედავს ცა—ამილახვრის!

გოეთეს სტოვიზმის რეჟანი

დასასრულ ერთი ამბავიც საგულისხმოა ლილისა და გოეტეს ურთიერთობის გამწვანებაში; ევროპული ბურჟუაზიული საზოგადოება ოდითგანვე საშინელის მატერიალიზმით იყო ცნობილი. ევროპაში ყოველი ურთიერთობა ქონებრივი ალაბით იზომება და ამ სასწორზე უდიდესმა გენიამაც რომ შეაგდოს თავისი სახელი, ოქრო თითქმის ყოველთვის უმძიმესი აღმოჩნდება. არც გოეტეს დროს ყოფილა ეს სხვაგვარად. გოეტე, გვიან, ძალიან გვიან შეეგუა ამ ამბავს და მიტომაც აღქმარა: ახლად უვარდაწერილებს თუ მატერიალური უზრუნველყოფა ხელს არ შეუწყობს, ისინი მაინც და მაინც ტკბილ თავულის თვის არ უნდა ელოდნენო.

აქ არ იგულისხმება აზროვნული მატერიალიზმი, მარტსი მატერიალისტური მსოფლიოშეგნების დამფუძნებელთაგანია და იგი, რომ ასე ვთქვათ, ბანალურ მატერიალიზმს გაჰკიდებოდა, „კაპიტალზე“ უფრო მსხვილ კაპიტალს თავს მოუყრიდა და ლონდონის ღარიბთა სამარხშიაც არ მოუხდებოდა წოლა.

გოეტეანთ ოჯახი საეცებით სულ სხვა წრეს ეკუთვნოდა ვიდრე ლილის მამა. ეს უკანასკნელი ზეიდმავალი მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო. ორივეს სხვადასხვაგვარი მორალი ჰქონდა. ლილისთან ურთიერთობის წყალობით გოეტე დაუახლოვდა ფრანკფურტელ მასსონებს, მასსონური მოძრაობა იმ ეპოქად მეტწილად მსხვილ ბურჟუაზიისა და არისტოკრატის წრეებში იყო ფესვგადმული¹. მასსონები ფრიად მოწადინებულნი იყვნენ გოეტე თავიანთ წრეში ჩაეთრიათ, მაგრამ ვოლფგანგმა კარგად განსჭერიტა რომ იგი მასსონურ ლოცვებში პიროვნულ დამოუკიდებლობას დაკარგავდა, ამიტომაც თავი შარიდა მათ. გოეტე კარგად ხედავდა რომ შოენგმანების მდიდარ ოჯახიდან გამოსულ საცოლეს უკეთესი თუ არა, თანაბარი კომფორტი მაინც უნდა დახვედროდა. თავად ვოლფგანგს ჯერ საკუთარი შინ და დამოუკიდებელი არსებობის პირობები არა ჰქონდა შექმნილი. ან რა შემოსავალი უნდა ჰქონოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვეჟილს და სახელმოხვეჭილს, მაგრამ მაინც უსახსრო მწერალს.² მამისეულ

¹ იხ. გერ. „მნათობი“ № 10—12.

² Goethes Gehehnisse.

ოჯახში ცოლის მოყვანა უზერხულად მიიჩნდა. ცხადია: ახალ სასტიკოს თავისი კაპრაზები აღმოაჩინდებოდა, კეთილი ფრაუ აიხა დიხაც *„ნევერჰუფუდუფის, მაგრამ მაშა ძნიაღ შეურვიდებოდა თავის მტკიცე ტრადიციების“* მწყქნებას. ვარდა ამისა, გოეტეს არ მოსწონდა, რომ მის საცოლეს კავალრებისა და თავანისმცემლების ლაშქარი გარს ეხვევოდა. ამ იქვენული განწყობილებების ვახშინებად უნდა ჩაითვალოს გოეტეს ლექსი: „ლილის პარკი“, რომელშიაც პოეტი უმოწყალოდ გესლავს თავის მეტოქეებს.

სიყვარულის საქმეს დაფიქრება ისევე სუსსავს, როგორც დაბლობის ენახს ნაადრევი ყინვები. პატარა ქალაქის კორიკანებს ენა მიმოჰქონდათ გოეტესთან და შოენეშანების ოჯახებს შორის. ვოლფგანგი ვანზე უდგა ამ მიტქმამოთქმას, მაგრამ მაინც ყოყმანობდა.

ფიქრობდა და ყოყმანობდა.

* * *

ცნობილია: „შტურმისა და დრანგის“ მოძრაობას თავის დროზე მწერლების ვარდა დიდგვაროვანი პირები და ხელოვნების მოყვარული დილეტანტებიც ემხრობოდნენ. რუსსოს და ვოლტერის მიერ ნაქადაგებ თავისუფლებისა და რელიგიური სკეპტიციზმის იდეებმა არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსული პირებიც გაიტაცა. ასეთნი იყვნენ გრაფები—მანი შტოლბერგები: ქრისტიან და ფრიდრიჰ ლეობოლდ. ახალგაზრდა გოეტეს უკვე შორიდან კარგად იცნობდნენ ისინი, შვეიცარიისაკენ მიმავალთ, გოეტეს ნახვა მოსურვებოდათ და ფრანკფურტში ეწვიენ კადევაც. მათ თან ახლდა გრაფ პაუგვიც.

გრაფები სასტუმროში ჩამოხტნენ, მაგრამ დღედაღამ გოეტესას იყვნენ. სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ ფრაუ აიხა.

გოეტეს მაშა ფრიად თავმოყვარე კაცი იყო, ამიტომაც შეგნებულად ერიდებოდა არისტოკრატებთან მისვლა მოსვლას. ფრაუ აიხა ძლიერ გულტყვილად ხვდებოდა სტუმრებს. შინაურ სარდაფიდან გამოჰქონდა 1706 წლის ლეინოები. რადიკალურად, რუსსოსებურად მოაზროვნე გრაფებმა „ტირანების სახსლი“ შეარქვეს რაინის წითელ ლეინოებს. უსხდნენ მეგობრები სუფრას, კამათობდნენ, მსჯელობდნენ თავისუფლებისა, პოეზიისა, სიყვარულისა და სიკვდილისათვის.

„ვენახი უდიდესი ტირანია, ამბობდა ვოლფგანგი. პირმოთნე, ცბიერი და ძალოვანი“.

* * *

ისევ შტოლბერგების დარბაზობას მივუბრუნდეთ. სტუმრებმა წინადადება მისცეს გოეტეს: ერთად გამგზავრებულიყვნენ ჯერ შვეიცარიას და იქიდან იტალიაში ვადასულიყვნენ. მაშა დაინებით ურჩევდა ვოლფგანგს: უთუოდ ენახა იტალია.

ვოლფგანგისათვის ამ მგზავრობას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ისე მიეწვია ლილის, ვერც კი წარმოედგინა უმისოდ ან დღე როგორ დაღამდებოდა, ან ღამე როგორ გათენდებოდა. მოდი ერთი ვნახო, როგორ გაეძღებ ლილის უნახაულ? ფიქრობდა იგი.

გადაწყდა.

ვოლფგანგმა სანქაროდ ჩაალაგა სამგზავრო ბარგი. ეძნელა მიჯნურთან ამ ამბის გაზნელა. არც გამოთხოვებია, ისე თანგაჳყვა მეგობრებმა. მხოლოდ მერკს ეთათბირა ვოლფგანგი. მერკს მართებულად უწოდებდა გოეტე თავის მეფისტოფელს.

მერკი დაიჯღანა. მას სძაგდა ეს მოღისაყოლილი არისტოკრატები. მართლაც მეფისტოფელურად ხითხითებდა. არ მოსწონდა: ამ ლაზღანდარა ხალხთან საერთო რა გაქვსო? ეუზნებოდა.

შტოლბერგები რუსსოს თავისუფალი, ბუნებრივი ადამიანის იდეალით იყვნენ გატაცებული.

ევროპას ჯერ კიდევ კათოლიციზმის მკაცრი მორალის ხობოკვერა არ შემოდნობოდა. დარმშტატში ჩასული მოგზაურები სიცხემ შეაწუხა, მასლობელ ტბაში იბანავეს. გაშიშვლება იმ ხანებში დიდ თავებლობად ითვლებოდა. ასე რომ, როცა შტოლბერგებმა ტანისამოსი გაიძვრეს და ისე ჩავიდნენ წყალში, ამან დიდი მითქმა მოთქმა და ჟსიამო ღრეკვა გამოიწვია არისტოკრატულ და ბურჳუაზიულ წრეებში. მიაყრებლებე აღშფოთდნენ ამ „შეშლილი გრაფების“ საქციელის გამო.

მანჳაიში უარესი ამბები დატრიალდა:

ერთ რესტორანში მეგობრები სადღეგრძელოებს მიჳყვნენ და „ტირანების სისხლმა“ იძალა. დაკლილი ჭიკები კედლებს შეახეთქეს.

მანჳაიშიდან კარლსრუჳეს ეწვიენ მოგზაურები. ცხადია, კლოპშტოკი უნდა ენახათ. კლოპშტოკი, როგორც ვიცით, მარკგრაფის სასახლეში სცხოვრობდა. მარკგრაფის მეუღლე ხელოვნებათა მოყვარულად ითვლებოდა, იგი ფრიად დაინტერესდა ახალგაზრდა გოეტეს პიროვნებით, დიდხანს ესაუბრა კიდევაც პოეტს. მარკგრაფის სასახლეშივე სტუმრად იყვნენ იმჳამდ საქსონიის და ვაიმარის ახალგაზრდა პერცოგი და მისი ახლად შერთული ცოლი. გამოთხოვებისას პერცოგმა იმედი გამოსთქვა, რომ გოეტე ვაიმარში ესტუმრებოდა მას.

არასდროს ისე იოლად არ ეცნობა ადამიანი ადამიანს, როგორც ციხეში და მგზავრობის დროს. გოეტეს ბევრი რამ არ მოეწონა ამ თავაწყვეტილი გრაფების საქციელში. გარდა ამისა, გოეტეს ემენდინგენი უნდა გაეარნა გზად, თავისი სიძე და დაჳ კორნელია მოენახულებინა.

გოეტე უხალისოდ მიდიოდა დის სანახავედ, რადგან წინასწარ იცოდა რომ კორნელია თავისი ბედით კმაყოფილი არ იყო (თუშკა, ბედი რა შეაშია, ადამიანი თავის შინაგან ბუნებაში ატარებს ბოლოს და ბოლოს ამ „ბედს“).

კორნელია ულამაზო ქალი იყო, სახეზე მუდამ მუწუკები ამოსდიოდნ, მამაკაცური შუბლი მისი დიდ ჰუუსასა და კრუდიციას ამკლანებდა, იგი დიხაც გულხმიერი და ნაზი დაჳ იყო, მაგრამ კოლონისათვის ვნებიანობა და ქალობა აკლდა. გოეტეს ძლიერ უყვარდა თავისი სიყრმის მეგობარი, მაგრამ მაინც აღჳიარებდა: იგი რომელიმე დედათა მონასტრის ილუმენიად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ცოლადო.

ამიტომაც, კორნელიას არ ესმოდა ცოლის დანიშნულება ამ ქვეყნად, თავად იგი ოჯახურ ცხოვრებას ისე განიცდიდა, როგორც უძძიმეს წაჳმების ჯვარს და დაჳინებით ურჩევდა გოეტეს ლილის შერთვაზე ხელი აეღო.

ლილი სწორედ მისი ანტიპოდი იყო: უადრესად ქალუკი ბუნებისა, კექ-
ლუცი, ენიანი, ნაზი, ქალური თავმოყვარებითა და სისუსტიე ალღილი. დიდ-
ხანს, დიდხანს ესაუბრა კორნელია ვოლფჟანგს ამ ქორწინების შესახებ. მაგრამ
გოეტეს გულში ჯერაც ძლიერად ენთო ლილისადმი სურვილის ალი.
კორნელიას პირით ცივი გონება მეტყველებდა და ლილის მოგონება კი დარდნა-
რევი ვნებით აქროლებდა მის გულს. გაეცალა დას და შვეიცარიის თვალ-
წარმტაცი ბუნების წიაღში ეძიებდა საღებუნს სულისას.

ოდიოვანევი მოძრავ წყალთან მისულა სასოს მამიებელი ადამიანი და
გოეტემაც რაინის ჩქერალს მიაშურა, შეფაუზუნის მახლობლად.

რაინის ჩქერალი ამ ადგილას მართლაც შეუდარებელია. უშველებელი ფი-
რუზის მასსა ეშვება ძირს და მოვარდნილი სტიქიონის ძლიერებას შეჰმატა ძალა
გულნაღვლიან მიჯნურს.

შემდეგ ამისა, ცაჟრიხს გაემართა და ცაჟრიხის ტბის უძრავად მთვლემარე
სარკეში განცხადებულ იყო მოუღალავი შხის ეპიფანია.

როგორ შეეძლო ლაფატერი არ მოეკითხნა.

მეგობრები დღისით და ღამით ისევ ტ ისევ ფიზიონომიკის შესახებ საუბრობ-
დნენ. რაც დრო გადიოდა, ლაფატერი უფრო ტ უფრო ღრმად შედიოდა მისტიციზმის
უსიერ ტვერში. უკანასკნელი რაინის მხარეში მოგზაურობიდან მას უამრავი
ახალ-ახალი შთაბეჭდილებანი და საინტერესო პირების სილუეტები ჩამოეტანა.

გოეტე ოდნავ ხუმრობის ტონით იხსენიებს ლაფატერს თავის ავტობიო-
გრაფიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მართლაც მოჯადოვებული იყო ამ
გასაოცარი ადამიანის პიროვნული ზეგავლენისაგან. ასე რომ ლაფატერს პირ-
ველი შთაბეჭდილებიდანვე მონუსხული ჰყავდა ვოლფჟანგი.

ლაფატერი ცაჟრიხის ეკლესიაში სწირავდა. ქადაგების დასრულების შემ-
დეგ იგი მოვალე იყო აბრეშუმის ქისა დაეკავებინა ხელში და შემოწირულებანი
ჩამოეთხოვა საკუთარ მრევლისაგან. ხან და ხან იგი გადასწყვეტდა: სახეში არა-
ვისთვის არ ჩაეხედნა, მხოლოდ ხელებს მისწერებოდა და ამგვარად აღადგენდა
საკუთარ წარმოდგენაში გავლილის სახეს და სხეულის აღნაგობას.

ლაფატერს მანიად გადაქცეული ჰქონდა ქრისტეს პორტრეტების შეგროვება.
მისი ქრისტეანობა არსებითად განიზრეოდა ჩვეულებრივი ქრისტეანული მოძღვრე-
ბისაგან. ლაფატერისათვის ქრისტე საკუთარი პიროვნების შენამატი არსობა
იყო და სხვა არაფერი. რელიგიას იგი სთვლიდა „როგორც ერთად ერთ საშუა-
ლებას პიროვნების განუსაზღვრელად გასაერთოებელს“. ეს სწავლა დაედო
კიდევაც საპირედ მის მოძღვრებას: *Aussichten in die Ewigkeit* (მარადეაობის
პერსპექტივები.) „ადამიანობა მას წარმოდგენილი ჰყავდა როგორც უშველებელი
ლითონის ბუდობი, მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირის სხვაობით განთვისებული“
და სწორედ ამიტომაც აინტერესებდა მას ინდივიდუალური სახე და აღნაგობა
ყოველი ადამიანისა. ეს იყო მხოლოდ მის ქრისტეანულ მსოფლიო შეგნებაში
დისონანსი შეჰქონდა ერთ ფრიად ახირებულ ზნეს: მას სძაგდა ყოველი ფიზი-
კურად მახინჯი ადამიანი.

ესაღია, თანადროულთა შორის—რაციონალისტურად განწყობილი ადა-
მიანები დასცინოდნენ ლაფატერს.

მას ორი რამ აკლდა: თავის მოძღვრებისათვის სისტემა ვერ შეეცა, გარდა ამისა, თავით გამოთქმის ფორმებიც ველარ მოენახა. პიროვნების მისიონერული ძალა მხოლოდ იმათთვის იყო საცნაური, ვინც პირადად შეხედებოდა მას, იგი არც პოეტი იყო და არც ფილოსოფოსი, ლაფატერს ვერც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა, არც თუ საგანგებო სიტყვის სიმკვეთრე უწყობდა ხელს. ამ მხრით იგი საესეზი-თაც არ ჰგავდა საშუალო საუკუნის მისტიკოსებს, თუნდაც მაისტერ ეკჰარტს, ანგელუს სილვეზიუსს და სუსოს, რომელნიც თავის დროზე სახელგანთქმულნი იყვნენ როგორც რიტორები, პოეტები და სიტყვის ოსტატები.

ლაფატერის მეტყველების მანერის შესაცნობად საქმარისია რაჰოლენიმ სტრიქონი მოვიყვანოთ მის ფიზიონომისტურ ნარკვევებიდან: „ეს ჰაბუკები, რომელთა სურათები და სილუეტები ჩვენს წინაშეა, გახლავთ ის პირველი ადამიანები, რომელნიც ჩემს წინაშე იდგნენ იმ წუთში, როცა მათზე ფიზიონომისტურ დაკვირვებებს ვახდენდი.

„აჰა, მთლიანად აღწერილი 'ადამიანი.

„უმცროსი“.

„აგერ ოცდა ხუთი წლის სიცოცხლით სავსე ჰაბუკი. ელასტიური, მოძრავი, მოქნილი არსებაა. იგი არ წევს, არცა ღვას, არც თუ რაიმეხედ მიყრდნობილია. იგი ფარფატებს, ტორტმანებს, ცურავს. იგი საკმაოდ ცოცხალია, იმისთვის რომ მშვიდად არ იდგეს, საკმაოდ ფომფეა უძრავად რომ არ იყვეს, საკმაოდ მძიმეა და ფაფუკი ამიტომაც არ ფრინავს.

„მოფარფატეა და მიწას ფეხს არ აკარებს. მთელს მის აღნაგობაში სავსებით ჩლუნგ შტრიხებს ვერ იპოვნით, მაგრამ ვერც გამართულს, ან დაძაბულს და მკაცრად მოხნიქილს. არსად კუთხოვანი ხაზები არა სჩანს, შუბლს მყარი ზეგანი არ გააჩნია. არც თუ სიმკვრივე ეტყობა, არცა სიმტკიცე...“

„... მარად მოფარფატეა, ნათელმხილველი, იდეალიზატორი, შემლამაზებელი. მარად ოდნავ მთვრალი პოეტია...“

„მზერა მისი არწივის აღური ხედვა როდია, მისი შუბლი და ცხვირი ლომგულობას მოკლებულია. საერთოდ მასში სპილოს სახსრიანობა (sic!) სკარბობს.

„წინწამოწეული ზედატუნი აბურცული აქვს, პირი მოკუმული, ცხვირი კვინტწაჩლუნგებული და ეს ყოველივე ამლაგნებს დიდს გემოვნებას და გრძობიერებას. სახის ქვედა ნაწილში ვნებიანობა, მოდუნება, უყურადღებობა ეტყობა...“ და სხვ. „უფროსი ძმის აღწერა“ ასე იწყება: „რაც უმცროსი ძმის შესახებ ვთქვი, უფროსის მიმართაც იგულისხმება. უპირატესი, რაც მე შეენიშნე, ეს არის: ეს ფიგურა და ეს ხასიათი უფრო მკვრივი და ნაკლებად განერცობილი, ვიდრე პირველი. მანდ ყოველივე უფრო გრძელი იყო და ბრტყელი, აქ კი, ყოველივე უფრო მოკლე, განიერი, მომრგვალებული და მოდრეკილი. მანდ მეტი მოშვებულობაა, აქ მეტი მოკუმშვა. ეს ითქმის ცხვირისა, შუბლისა და მკერდისათვის...“ გულგახსნილი როდია, არამედ გულჩათხრობილი, მაგრამ არსებითად იმავე კეთილშობილებას ამლაგნებს... სახე მომეტებულად მოკვეთილი აქვს... არსად უხამსობა არ ღიმლამებს, თვალების გარდა, არსად მოდუნება არ ეტყობა, აქ კი, როგორც შუბლსა და ცხვირზე, ვნება ეძალება და გამოსკვივის...“

დაახლოებით ასე სწერდა ეს ენაარეული ბნელმეტყველობის ოსტატი.

* * *



1775 წ. ივლისის 16-ს, დაავდო ცაქურიზი გოეტემ, თავისე მწვერვალზე პასს-ვანტი აიყოლია და შვეიცარიის ალპებისაკენ გაუდგა გზას, ~~მწვერვალზე~~ თარეს უკაცრიელ ღრანტებში, გზა სულ მაღლა და მაღლა მიისწრაფოდა. სალამოს ბინდმა შვიცერ ჰაქენის სანახებში მოუსწრო მეგობრებს. ორი უშველებელი მწვერვალი მოფარიკავე მღვებსავით მისჩერებოდა ურთიერთს. არსიდან ისმოდა არც ადამიანის და არც ცხოველის, ან ფრინველის ჩქაჲი. ტაატით, ფორთხვით და ჩოჩვით ნახევრად ჩამობნელებულ ხევს მიჰყვნენ. სალამოს 10 საათზე შვიცის მწვერვალის ფერდობს მიაღწიეს.

პოეტი და მისი მეგობარი აღტაცებაში მოიყვანა გულზეიადი მთების დიდებულებამ და ვოლფგანგმა ეს აღფართოვანება რამოდენიმე სიტყვით აღნიშნა თავის დღიურში: „სიცილი და ყიფინი ნაშუალამივამდის არ შეგვიწყვეტია“.

ღამე მთებში გაათიეს, პატარა ქოხში. ივლისის 17 გათენდა და მათ სარკმელთან იდგა უზარმაზარი, „ბუნებრივი პირამიდა“, ნაპენტი ღრუბლების ლაშქრით გარს შემორაგეული. ნაშუადღევს რიგისკენ (Rigi) გაემართნენ. ლაუერკის ტბაზე მენავე ქალებმა გადაიყვანეს მოგზაურები. რიგიზე ასვლა სალამომდის გრძელდებოდა. მყინვარ წვირზე სიოვდა.

ივლისის 18-ს გოეტე ხატავს ოქსენის კაპელლას. ერთი დღის შემდეგ გზას გაუდგნენ, ვალდშტეტის ტბა გაიარეს, აქედან ფიტცნაუ-გერზაუს გზით გრუტლისაკენ გაემართნენ. რამოდენიმე დღის შემდეგ ცაქურიზამდის მოაღწიეს, აქ ისევ მეგობარი ლაფატერი დაუხვდა გოეტეს. მას აროდეს მოსწყინდებოდა ვოლფგანგის სიახლოვე და მასთან ბაასი.

ფრანკფურტში მობრუნებულს კვლავ განუახლდა გულის ქირი. შვეიცარიაში მგზავრობა ლილისგან გაყრას არ გულისხმობდა. ვოლფგანგი თვით შვიცერ ჰაქენის დიდებული აღნაგობის პირისპირ ლილისათვის ფიქრობდა. სენტ გოტარდის მწვერვალის ფერბთით მდგარ გოეტეს „ზურგი იტალიისაკენ ჰქონდა შექცეული“. უნდოდა იტალიას წასულიყო, მაგრამ ისევ ლილის ნახვის სურვილმა წასძლია. იმ დღეებში დაწერილ ლექსში გალიიდან გაქცეულ ფრინველს აღარებს პოეტი თავის თავს. ამ ფრინველს პაწია ზონარი კიდეგ შერჩენოდა ფეხზე. და ეს ზონარი უნდა ყოფილიყო ლილის სიყვარული. შინმობრუნებულს ისევ ცხადლივ დაუდგა თვალწინ ის მკაცრი გარესამყარო, პატარა ქალაქის მითქმა მოთქმანი, მოკლედ ყოველივე ის, რამაც ლილის მიმართ დაეჭვება გამოიწვია. ახლა ეს „ფრინველი“ ისევ გაქცევას ლამობდა. გოეტე ბერს ლაპარაკობს თავის აეტობიოგრაფიაში ამ ამბების შესახებ, მაგრამ ლილის და გოეტეს ურთიერთობაში რაც უმთავრესია: ეს იყო პოეტის შიში დაოჯახების წინაშე. „შტურმისა და დრანგის“ ჯერაც დაუოკებელი ახალგაზრდა ენერგია ოჯახურ არტახებს ერიდებოდა. ვოლფგანგი ლილს სიყვარულს ისე განიცდიდა როგორც ბედისწერას და მართლაც „ამ ბედისწერამ“ სხვაგვარად წარმართა ცხოვრების მისის ეტლი.



* * *

ერთი წლით უკან დავიხიოთ. 1774 წლის დეკემბრის ჰერცოგთა შეხვედრაში გოეტემ ვაიმარის ტახტის მემკვიდრე პრინცი კარლ ავგუსტს დეკემბრის 11-ს, სალამოს ვოლფგანგი თავის სამუშაო ოთახში იჯდა, მუშაობისაგან მოქანტული. ბინდი ნუნელა შემოდოდა ვიწრო სარკმელშიდან. ოდნავ ჩამოხედულ ოთახში ვიღაც ახოვანი კაცის სილუეტმა იჩლება. გოეტეს თავისი მეგობარი ფრიტც იაკობი ეგონა. სტუმარმა სახედრო სალაში მისცა და მკაფიოდ გააგონა თავისი გეგმა: ფონ კნებელ.

ვოლფგანგი თავაზიანად მიეგება. საუბარში გამოირკვა: იგი ლიტერატურის მოყვარული აღმოჩნდა და ერთ დროს ფრიდრიხ დიდის კარისკაცთაგანი ყოფილიყო თურმე სან სუსის სასახლეში. ფონ კნებელ ამჟამად ვაიმარის ჰერცოგის ამაღალაში ითვლებოდა და პრინც კონსტანტინს ხლებია. გოეტემ შორიდან უკვე იცოდა ვაიმარის ჰერცოგის სასახლის ვითარებანი, ჰერცოგის მეუღლე პოეტებს და მეცნიერებს რომ იკრებდა თავის სასახლეში, იენას უნივერსიტეტს მფარველობდა და თავის ფაგების მეტრორებად იმ დროინდელი გამოჩენილ პირებს რომ იწვევდა. ვაიმარში მოეწყო ერთ ერთი მთელს გერმანიაში უწყესი-შნავესი თეატრთაგანი. ეს იყო ჰერცოგის სასახლე ხანძარმა იმსხვერპლა, მაგრამ ტახტის მემკვიდრის—კარლ ავგუსტის იმედი მარცხ დიდი იყო.

კნებელმა ცოტა ხნის შენდვგ ამცნო გოეტეს თავის დარბაზობის მიზანი. პარიზს მიმავალი ვაიმარის პრინცი ფრანკფურტს ჩამოსულიყო და გოეტეს გაეცნობა მოენდო ნებინა.

იმავე სალამოს კარლ ავგუსტს წარუდგინეს გოეტე. მოზერის პატრიოტული ფანტაზიების შესახებ ჩაოვარდა საუბარი. გოეტემ თავისი აზრი გამოსთქვა გერმანიის ძველი ისტორიის და ახალი პოლიტიკის შესახებ. საერთოდ იგი გერმანიის დეცენტრალიზაციის იდეას იცავდა. ანტიკლებდა რომ ასეთი წერილი სახელმწიფოების შექმნა გერმანიის პოლიტიკურად განგრძობის ტენდენციას შეასუსტებს, სამაგიეროდ კულტურას გააძლიერებს. გერმანიის წარსულიდან მოჰყავდა მაგალითები თავისუფალი ქალაქები ჰანზა და სხვ.

პრინცი ავგუსტ გაოცდა. ვერტერის ავტორი მას მარტოდენ მეოცნებე პოეტი ეგონა. მისი თანამოსაუბრე კი რეალურ პოლიტიკის და ისიც ფრიად გონივრული პოლიტიკის მქადაგებელი აღმოჩნდა.

* * *

ერთი წლის შემდეგ გოეტეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა: უთუოდ გაქცეულიყო ფრანკფურტიდან. ე. ი. ლილის გაქცეოდა. ფრანკფურტი იყო მათი რომანის უმთავრესი ადგილი. აქ ყოველი სასახლე, ყოველი მოედანი, ბაღი და პარკი, ქუჩისა და შუკის შესახვევი ლილის მოაგონებდა. ხომ შესაძლებელი იყო ლილი ქმარს წაყოლოდა, ცხადია მოგონებები უფრო ძნელად ასატანი გახდებოდა. სწორედ ერთი წლის შემდეგ ფრანკფურტში ხელმეორედ გამოიარა ვაიმარის ჰერცოგისა და მისმა ახლად შეარდნარში იქცა. გოეტემ შეეგება მათ. პრინციებმა განმეორებინათ სთხოვეს პოეტს, ვაიმარის სასახლეში გადმო-

სულიყო. გოეტეს მამას, ცხადია, არ მოსწონდა თავისი ვაჟის მიერ კარისკაცული კარიერის დაწყების სურვილი. ფრაუ აია ჩავარდა ისევ მამასა და შვილს შორის და ამ ორ უკიდურესობათა შეთანხმებას შეუდგა.

გოეტე თავის ავტობიოგრაფიაში მოკვითხრობს ერთ ამბავს: როცა ვაიმარის ჰერცოგი და მისი მეუღლე კარლსრუჰედან ფრანკფურტს გამობრუნდნენ, აქ მათ დაუხვდათ მაინიგენის ჰერცოგი და მისი ამაღლა. ვაიმარისა და მაინიგენის ჰერცოგების ოჯახები ერთსა და იმავე სასტუმროში ჩამოხტნენ ფრანკფურტში. ერთ დღეს გოეტე სადილად მიიპატივეს.

გოეტე დარწმუნებული იყო ვაიმარის ჰერცოგის ოჯახში მიიწვიეს და ამიტომაც არც კი უკათხავს თუ ვისგან უნდა ყოფილიყო იგი დაპატივებული. სადარბაზო ფრაკი გადაიცვა და სასტუმროსავე კემართა. ვაიმარული ბატონები შინ არ დახვდნენ, უთხრეს: მაინიგენის ჰერცოგისას არიანო. ასე ეგონა: ალბად სადილად დაუპატივებიათ და მეც იქ უნდა წავიდეო. მაინიგენის ჰერცოგისას ფრიად თავაზიანად მიიღეს.

ცოტა ხნის საუბრას შემდეგ ვაიმარის ჰერცოგი და მისი მეუღლე წამოიღვნენ. მთელი ამაღა აიყარა და გოეტეც მათ გაჰყვა თან. მაგრამ ვაიმარის ჰერცოგი და მისი ამაღა თავის ბინაიკენ როდი წავადნენ, სასტუმროდან გამოსულები ექვიპაჟებში ჩასხდნენ და ჩვენი პოეტი მარტოა დარჩენილი.

სხვათაშორის არც ერთ გოეტეს ბიოგრაფს ეს უხერხული ადგილი მოყვანილი არ აქვს, რადგან ისინი შეგნებულად გვერდს უვლიან გოეტეს კარისკაცულ პსიქოლოგიას. ხოლო თავად გოეტეს ეს ამბავი არ დაუმალავს. დიდი პოეტი ქირურგისებული წარბშეუხრელობით ეხება ხოლმე საკუთარ ადამიანურ სისუსტესაც.

შინ მობრუნებულმა ვოლფგანგმა ნამკვერევეებს მიუსწრო, დედ-მამას უკვე მოეთაყვებინათ სადილოა. აღრენილმა მამამ თავი გადააქნია. საღამოს დედამ გაიანო; მამა ძლიერ გაბრაზდაო, ასე ამბობდა თურმე: ნუ თუ ამ კაცს თავმოყვარეობა არა აქვს, ან არა და რად ვერ აშწნევს, ეს ბატონები მას მასხრად იღებენო.

გოეტე ვერან მიხვდა რომ უხერხული საქციელი გამოუვიდა. იგი მეორე დღეს მაინიგის ჰერცოგის კარისკაცს გეჰაიმარატ დურკჰაიმს შეხვდა და თავისი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა.

ვაიმარის ჰერცოგმა ფრანკფურტიდან წასვლის წინ ასეთი ამბავი დაუბარა გოეტეს: ჰერცოგისათვის შტრასბურგში სავანგებოდ შეკვეთილი ერთი კალსრუჰედან უნდა წამოეფანათ. გოეტე ვაიმარში წასასვლელად უნდა გამოშვადილიყო და ამ ეტლს წამოყოლოდა. ვოლფგანგი სამგზავრო სამზადისს შეუდგა. ბარგი ჩაალაგა. ფრანკფურტიდან გამგზავრების დღე დანიშნა. მეგობრებსა და ნაცნობებს გამოეთხოვა წინასწარ.

ცხადია, ძლიერ დელადა ვოლფგანგი. არც ისე ახარებდა ძამის წინააღმდეგობა.

დღითი დღე ელოდა იმ ეტლს, რომელსაც ახალ ცხოვრებისაკენ უნდა წავეყვანა იგი. ლილი ფრანკფურტში რჩებოდა, ფრანკფურტში რჩებოდა მთელი მისი სიკვამლე, პირველთან ერთად მრავალი სხვა სიყვარულურსა და ცხოვრების ზოგანებანი, მამისეული ოჯახი, მეგობრები, ნათესავეები და ნაცნობები.

მიჰკროდნენ დღეები, დღეებს კვირები მიჰყვნენ, მაგრამ ეტლი აღარსად სჩანდა. თავი სოაბენზრა გამოსამშვიდობებლად მოსულთა კრუსუნმა, ჩივილმა და კუთვამ. ამიტომაც სთხოვა დედას ყველასთვის ემცნო: ფრანკფურტიდან წავიდაო. დღედაღამ შინ იჯდა თავის სამუშაო ოთახში ჩაკეტილი.

ვოლფგანგმა კარგად იცოდა მარტოობის გამოყენება: დაჯდა და თავისი ეგზონტი დაასრულა ამ ხნის განმავლობაში. შემდეგ ამისა, მამას წაუკითხა ხელნაწერი. ეგზონტის მოსმენამ გული მოუღობა მამას. ცხადია, მოხუცი არ იყო კმაყოფილი; გოეტე ცალკეად ექცეოდა თავის ადვოკატურ საქმეებს, პროცესებს აქიანურებდა, კლიენტებს უყურადღებოდ ექცეოდა. ეს კლიენტები კი ისევ და ისევ მამის კლიენტები იყვნენ. პედანტი ვეჭილი ფრიად გაწბილებული იყო შვილის ამგვარი დაუდევრობისაგან.

გულში ძალიანაც უხაროდა მამას რომ არავითარი ეტლი არსაიდან არ მოდიოდა. მისი აზრით თავადებს და ჰერცოგებს ყველაზე ადრე თვითვე ავიწყდებოდათ საკუთარი აღთქმები, ასე რომ ეს ყოველივე ენუქას ანდერძი უნდა ყოფილიყო.

ამას ყოველივეს გადაკრული სიტყვებისა და ქარაგმების საშუალებით აგრძობინებდა ხოლმე შვილს. თავად კი უაღრესად შეურაცყოფილი იყო რომ ჰერცოგი ასე უდიერად მოექცა მის სახელოვან ვაჟს და პატივისცემის ნაცვლად მასხრად აიგდო იგი. არც ბედშავ ფრაუ აიას დაადგა კარგი დღე. დედას დიანაც უმძიმდა ვოლფგანგის განმორება, მაგრამ რაკი ამჩნევდა რომ ფრანკფურტიდან უთუოდ უნდა წასულიყო გოეტე, ცხადია, შვილის მხარეზე იყო. ამიტომაც სიტყვის შეუბრუნებლად ითმენდა. გაწიწმატებული მამის გესლიან გაქირდვასა და შხამიან ქარაგმებს.

თავად ვოლფგანგი თავდაპირველად დარწმუნებული იყო ეტლი უთუოდ შოვიდოდა, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უფრო და უფრო ერყეოდა რწმენა. ასეთა უგუნებობის და მარტოობის წუთში მაინც მუშაობდა და სწვრდა.

კიდევ ორიოდე კვირა გავიდა. ლანდო მაინც არ მოდიოდა. უგუნებობამ ამატა. უკვე სავსებით გამოილია პოეტის გულში ის სიხარული, რომელიც მიუცილებლად საჭიროა შემოქმედებისათვის. ერთ საღამოს ძველმანები გადაიკვა, ისე უგემურად და უშნოდ მოირთო, რომ პირისპირ შეხებულნიც ვერ იცნობდა ამ სამოსელში მარად გალანტურ კავალერს—გოეტეს და ჩამობნელებულ ქუჩებში დაიწყო ხეტიალი.

და აღდგნენ განვლილი წამისა და გაფრენილი სიყვარულის დამეული ჩვენებანი. ოდნავ მოლიკლიც ფანრების მოყვითანიო შუჭი ოდნავ ანათებდა ფრანკფურტის ვიწრო ქუჩისა და შეუკებს.

„რომერის“ უშველებელი დარბაზი გოლიათივით პირქვე დამხობილიყო. აქ დადიოდა პატარა ვოლფგანგი გერმანიის იმპერატორების, ჰერცოგების და მთა-

ვარსაძეების გაჯგომული ქანდაკებებით აღტაცებული. ამა ლეონის შრედანი, თევზის ბახარი, ე მანდ ებრაელების უბნის ვიწრო და ბნელი შესახები, კიდევ გაიარა მცირე მანძილი და ამა ის ქუჩები და მოედნები სადაც ვოლფგანგს, გრეტენს, პილადესს და მის ტურფას უსეირნიათ.

გრეტენის სათნოებით აღსავსე სახე თვალწინ წარმოუდგა, შარიტას მაიქსნერ, მაქსე ბრენტანო, ფრიდერიკე ბრიონ, ძვირფასი და დაუვიწყარი ლანდები აიშალნენ მის მოგონებაში. და მთვარეულივით მოარული უკვე ღილი შოენეშანის სახლის სიახლოეს იდგა და შეპყრობილსავეთ მისჩერებოდა იმ კუთხის სახლს სადაც ღილი ცხოვრობდა.

ფარდები დაშვებული იყო, მაგრამ ოდნავ გამჭირვალე ფონზე სინათლეების ღილიც იხატებოდა.

თავდ ღილი პიანოს უჯდა და გოეტეს ლექსს. — Ach wie ziehst du mich — მღეროდა. და მღეროდა ისე როგორც არასოდეს არ უმღერია ვოლფგანგის სიახლოეს. მისი ზემო ტანის, მისი პატარა და მშვენიერი თავის სილუეტი იხატებოდა ფარდისგან გაკეთებულ ეკრანზე. გოეტე ზედ ფანჯრის გასწვრივ იდგა პატარა ბალჩის მესრებს მიყრდნობილი.

როგორ უნდა ამ წუთში ყოველივე ეთიქეტი გადაეღახა, კარი შეეღო და ყელს შემოქცობოდა თავის მიჯნურს. დეე, მეორე დღეს ქორები გაეგრცელებინათ ფრანკფურტში, დეე, თავად ღილისაც პოეტისაგან საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად მიეღო ეს საქციელი. მას ისე წყუროდა ღილის სიახლოე, მისი სუნთქვა, მისი გამსჭვირვალე და თეთრი სხეულის ურიცხვი კოცნით მოფენა, მაგრამ არა, ეს შეუძლებელი იყო, ვოლფგანგის ხელი მტკიცედ შემოეჭლო მესრის მოაჯირს. არიის უკანასკნელმა აკორდმა გადაიბრინა კლავიშებზე, ღილი იდგა და გაჰქრა ლანდი.

ამის შემდეგ გოეტეს არც არასდროს უნახავს ღილი.

კიდევ რამოდენიმე დღე გავიდა. ვოლფგანგს საეცებით აეყარა მოშობაზე გული. მამა უარესად და უარესად შეიპყრო ჰიპოხონდრიამ. უკეთ რომ ეთქვათ იგი აუტანელი გახდა.

— ეტლის გამოგზავნას მართლაც რომ აპირებდნენ, წერილს მაინც მოიწერდნენ, გაგაფრთხილებდნენ, ეტლის დაგვიანების მიზეზს გაცნობდნენო. ებუზღუნებოდა იგი ვოლფგანგს.

ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოღებოდა ბოლო ამგვარ უხერხულობას. ვოლფგანგი ველარც ქუჩაში გადიოდა, ველარც მეგობრებს ღებულობდა, მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილი იყო, შინაც ველარაფერს აკეთებდა.

მამამ გადასწყვიტა; იტალიას წასულიყო ვოლფგანგი. სამგზავროდ კრედიტი გაუხსნა შვილს, მაგრამ ერთის პირობით: მყისვე უნდა ჩაელაგებინა თავისი ბარგი ვოლფგანგს და გზას გადგომოდა. ვოლფგანგი დათანხმდა, მაგრამ ჯერ ჰაიდელბერგში უნდა გაეღო და იქაც თუ ვერ შეხედებოდა ეტლს, ამის შემდეგ გრაუბუნდენ-ტიროლის გზით იტალიაში გადასულიყო.

ჰაიდელბერგს გამგზავრებისას ორი მიზანი ჰქონდა: აქ გამოივლიდა კარლსრუჰედან მომავალი ლანდო, მეორე იყო: მადმუაზელ დედფის ნახვია. გოეტეს უნდოდა გერმანიიდან წასვლის წინ დედფი მოენახულებინა, დემუაზელ დედფ

წერსა მის ერთად ერთი ადამიანი, რომელთანაც ლილის შესახებ საბარს შესძლებდა. გაყრა და განშორება გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ვოლფგანგს კიდევ უნდოდა მისი სახელის სხენება, კიდევ და კიდევ ენატრებოდა მისი სახელის გაგონება. დემუაზელ დელფ კი კარგად იცნობდა ლილის შინაურობის ამბებს. ლილის კაპრიზებს, ლილის იდუმალ ზრახვებს და ლილის სურვილებს. ფროლან დელფი ალტაცებაში მოიყვანა გოეტეს სტუმრობამ. ეს იყო სწორედ რთველის დრო. რთქელმა და შემოდგომამ ელზასში გატარებული სიჭაბუკის დღეებისაყენ მოახებდა გოეტე, ამას ისიც ზედდაეოთო, რომ ერთ ოჯახში მას გააცნეს ერთი ქალწული, რომელიც ძლიერ წააგავდა ფრიდერიკს. დემუაზელ დელფ საცდელს არ ზოგავდა რათა გოეტე გაეზიარებინა. მას ეს უნდოდა რაც შეიძლება ხანგრძლივად დარჩენილიყო ვოლფგანგი ჰაიდელბერგში. ერთი რამ არ იამა ვოლფგანგს: როგორც კი იგი სიტყვას ჩამოაგდებდა ლილის შესახებ, დემუაზელ დელფ სდუმდა.

საერთოდ ადამიანი უნდა სცდილობდეს შეუძლებელს პირი არიდოს და თავისი ცხოვრება შესაძლებლობის ფარგლებში მოაგვაროს.

ასე ქადაგებდა მადმუაზელ დელფ, რომელმაც ეგზომ დიდი როლი ითამაშა გოეტე—ლილის რომანში. ახლა მას ახალი საცოლე ჰყავდა გამოძებნილი ვოლფგანგისათვის, ეს იყო სწორედ ფროლან ვ... რომელიც ფრიდერიკს წააგავდა. გარდა ამისა, კურფიურსტი კარლ თეოდორს დიდი მეცნიანტის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ვიდრემუის გოეტე იტალიაში იმგზავრებდა, ამასობაში დემუაზელ დელფ ნიადაგს შეამზადებდა და კურფიურსტის სასახლეში აღმოუჩნდა გოეტეს შესაფერ თანამდებობას. გოეტე ყოყმანობდა. არასოდეს ასეთ გზავჯარდინის პირისპირ არა მდგარა იგი. ლილის სიყვარული უფრო და უფრო გააძლიერა განშორებამ. თუ შეეცარიაში გამგზავრებისას იგი ინტერესთან თვითანალიზს ეწეოდა, ახლა მას ასეთ რამეებისათვის არა სცებოდა. ჰაიდელბერგში მიმავალს კიდევ იმედი ჰქონდა, ვინძლო მადმუაზელ დელფს მანაც მოეძებნა წყლულის მისის წამალი. ახლა გამოირკვა, რომ მადმუაზელ დელფს ლილის გახსენებაც არ უნდოდა. ვოლფგანგმა კარგად იცოდა, რომ გზა არის გულდაკოდილთა წამალი და ამიტომაც ვადანწყეიტა კვლავ ჩაელაგებინა თავისი ბარგი და მეორე დღეს იტალიისაკენ გასდგომოდა გზას.

მადმუაზელ დელფ ბევრს ეცადა, ათასგვარი შეგონებანი მოიხმარა, მაგრამ გოეტეს ურყევად ადგა თავის გადაწყვეტილებას:

ნაშეალამეგს ღრმა ძილიში მყოფ გოეტეს პოსტილიონის ბუკის ხმა მოეხმა. სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ მადმუაზელ დელფ შემოვიდა.

ცალხელში ქალი ეჭირა, ცალშიაც დალუქული წერილი.

—თუ ეს წერილი ვაიმარის ჰერცოგისგანაა, ლეთის-გულისათვის ჯერ თანხმობა არ მისცეთ.

გოეტემ თავაზიანად სთხოვა მასპინძელს სინათლე მოეტანა და რამო ეგნიზე წუთით მარტო დაეტოვებინა. აუჩქარებლად გახსნა პაკეტი. ჰერცოგის შიკრიკი ფრანკფურტს ჩასულა და იქიდან ისევ ჰაიდელბერგში გამობრუნებულა.

დილით გოეტეს ბინასთან ეტლი იცდიდა. გათქვირულ ულაყები მოუთმეწლად ღრღინდენ ლაგამებს და თავიანთ მსხვილსა და ბანჯგვლიან ფეხებს აბაკუნებდნენ. უქანასქნულად ვაისმა პოსტილიონის ბუკის ხმა, გოეტემ კიბეები ჩამოიბინა, და თავისი ადგილი დაიკავა ეტლში. იმ წუთში გოეტეს წარმოდგენაც არა ჰქონდა რომ სწორედ ეს ეტლი თუ წაიყვანდა მას ისეთ ადგილას, ზადაც ბედნი დიდების გვირგვინს უთხზავდა.

მაღაქია ტოროშელიძე

პარლ მარქსის სტალინისტური მემკვიდრეობა

(მისი გატაცებულობის 50 წლამ თავის აღნიშვნის გამო)

„მეცნიერებისაკენ არ არსებობს შარა გზა და მხოლოდ მას შეუძლია მიადგინოს მის ბრწყინვალე მწვერვალს, ვისაც არ აფრთხობს და არ ლაღავს მის კლდოვან ბილიკებზე ცოცვა“.

მარქსი

მარქსი მეცნიერია, მაგრამ არა ჩვეულებრივი გაგებით: ის რევოლუციონერი-მეცნიერია. როგორც ასეთი, ის დიდად განირჩევა ყველა ქვეყნის და ისტორიული ეპოქის უდიდესი მოაზრებებიდან. გენიოსური გონების პატრონი, მარქსი არ არის მარტოოდენ თეორიით გატაცებული, აზროვნების ვარჯიშობით გართული, მეცნიერულ კვლევაში ჩაფლული. ის არ სჯერდება მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგად მიღებულ სანეტარო განცდებს, ის ამ აღმოჩენებს რევოლუციონურ პრაქტიკასთან აჯაჭვავს, ვინაიდან, როგორც თვით მარქსი ამბობს, „საქმე სამყაროს ახსნა-განმარტება კი არ არის, საქმე ის არის, რომ სამყარო შეიცვალოს“, ვინაიდან, როგორც ამბ. სტალინი განმარტავს, „თეორია უზინა-არსოა, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციონურ პრაქტიკას“.

მაგრამ მარქსი, რევოლუციონური ტემპერამენტით აღსავსე, გენიოსი ორგანიზატორი, დიდი პრაქტიკული მოღვაწე, ვერ შემოფარგლავს თავის სამოქმედო ასპარეზს მარტოოდენ პრაქტიკული საქმიანობით, რაგინდ დიდი ეფექტები იყოს მისგან მოსალოდნელი, რაგინდ დიდი იმედების აღმძვრელი იყოს რგი, ვინაიდან, ამბ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პრაქტიკა ბრმა არის, თუ ის არ იკვლევს გზას რევოლუციონური თეორიით“.

თეორიის და პრაქტიკის შეერთება, აზროვნების და მოქმედების შედუღება, მეცნიერული კვლევის და რევოლუციონური ბრძოლის მჭიდრო კავშირი მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგებით, აი რა ახასიათებს მარქსს მთელ მის მოღვაწეობაში, აი რა ასაზრდოებს მთელ მის მსოფლმხედველობას.

ასეთი სახის მოღვაწე შეეძლო მოეცა მხოლოდ რევოლუციონურ კლასს, პროლეტარიატს, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე.

მართლაც, მარქსი იმ დროს გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, როდესაც ბურჟუაზიას არსებითად დაპყრობილი ქონდა ძალა-უფლები, კერძოდ კი კონსერვატიული კლასიდან ხდებოდა, ხოლო პროლეტარიატი ის იყო ერკვევით და მომავალი დემოკრატიისთვის და ცდილობდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გადაქცეულიყო. ბურჟუაზია დაქანების გზას დაადგა, გაბატონებულ კლასად გადაქცეული ის ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელ ძალად იქცა; მისთვის ხელსაყრელი აღარ იყო არც აწმყრს უღმობელი კრიტიკა და არც მომავლის სწორი განკვერთა. მისთვის საჭირო აღარ იყო გენიოსი—დიდი გონების და დიდი პერსპექტივის აღმნიანი. პროლეტარიატმა ბურჟუაზიის რიგებიდან გამოგლიჯა მისი საუკეთესო წილი, რომელსაც ბურჟუაზიული კარიერა ვერ დაეკმაყოფილებდა, და თავის სამსახურში, კაცობრიობის განთავისუფლებას საქმეში ჩააბა.

საჭირო იყო პროლეტარული პოლიტიკის წარმოება და პროლეტარული იდეოლოგიის შექმნა, რადგან მხოლოდ ამით შეეძლო ყოველ საშუალებას მოკლებულ, ყველაზე დაჩაგრულ კლასს გადაქცეულიყო ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად და თავისი ისტორიული მისიის განხორციელებას შესდგომოდა; ამ საქმეში მარქსში პოვა თავისი განხორციელება.

მარქსს ყავდა წინამორბედები, რომელთა მემკვიდრეობა მან გადაამუშავა და შექმნა საკუთარი სისტემა. გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისის კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და საფრანგეთის სოციალისტური სისტემები არის ის მემკვიდრეობა, რომელიც მარქსს ხედა წილად. ფილოსოფოსი ჰეგელი, ეკონომისტები ადამ სმიტი და რიკარდო, უტოპიური სოციალისტები სენ-სიმონი და ფურიე, აგრეთვე ინგლისელი რობერტ ოუენი იყვნენ მარქსის მასწავლებლები, რომელთაც მოწაფე პროლეტარული კანდიდურებით მოექცა: კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი მოძღვრება, შეითვისა ის, რაც პროლეტარიატისათვის მისაღები იყო, ხელახლა გადაამუშავა იგი ახალი ფაქტების და მასალების საფუძველზე და ააგო სრულიად ახალი მეცნიერული სისტემა, თავისი დიალექტიკური მატერიალიზმში, რომელიც მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დამყარებული, წარმოადგენს ბუნების მოვლენების, საზოგადოებრივი ცხოვრების და თვით აზროვნების პროცესის ერთად ერთ უტყუარ ახსნას, და რომლის გამოყენებამ ეკონომიურ დარგში მოგვცა მარქსის ეკონომიური სისტემა.

ეს მოძღვრება საბოლოოდ დამუშავებული სახით მარქსმა მოგვცა თავის „კაპიტალში“, რომელზედაც ის ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა. უკვე ეს გარემოება ცხადყოფს, რა თავგამოდებით, ამომწურავი ზედმიწევნით ასრულებდა მარქსი თავის ისტორიულ შრომას. ის საგანს სულ ახლად და ახლად უბრუნდებოდა, ყოველ ახალ მასალას გულდასმით იკვლევდა და სანამ არ დააჯერებდა გულს, რომ ეს საკითხი ყოველმხრივად შესწავლილია, მანამდე მის გამოკვეყნებაზე არ თანხმდებოდა. ის კარგად გრძნობდა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შემდეგ მას უნდა ეთქვა ახალი სიტყვა, რომელიც მეცნიერების წინწაწევის და ახალი რევოლუციონური კლასის მისწრაფების გამოძახებელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ის ყოველ წინადადებას სწონიდა, ყოველ აზრს ხელახლად ამოწმებდა, არც ერთ მის წინადროინდელ ეკონომისტს უყუ-

რადღებოდ არ სტოვებდა, ყველას შისი დამსახურებისამებრ მიუზღავდა/ და გზა და გზა აღნიშნავდა როგორც დაღ გენიოსთა დაუფიწყარ ღვაწლს, ისე დაუშსახურებლად გაიბრელი, წვრილუება მკლაბნელების სხვადასხვა-ჯერის კლაგია-ტორების უნაყოფობას.

მას კლასობრივი თვალსაზრისით შეიარაღებულს, გათვალისწინებული აქვს, რომ „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია კაპიტალისტურ წყობილებას განიხილავს არა როგორც ისტორიულად გარდამავალ საფეხურს, არამედ როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლუტურ და საბოლოო ფორმას“; წინააღმდეგ ამისა, მისი ნაწარმოების საბოლოო მიზანს შეადგენს სწორედ თანამედროვე (ე. ი. კაპიტალისტური) საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა. ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის კაპიტალიზმს იქით აღარაფერი არსებობს, კაპიტალიზმი უკუდავი წყობილებაა, მარქსისთვის კი, რომელსაც ამ წყობილების ეკონომიური განვითარების კანონი აინტერესებს, კაპიტალიზმს დასაწყისიც აქვს და დასასრულიც ექნება, მან იგი უნდა გამოიკვლიოს მისი აღმოცენების, განვითარების და დაღუპვის პროცესებში.

მარქსი სრულ ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას „შეუძლია მეცნიერებად დარჩეს მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე კლასთა ბრძოლა ფარულ მდგომარეობაშია, ანდა მხოლოდ ცალკე მოვლენებში აშკარადღება“, ხოლო ახლა, როდესაც მარქსი კადებს ამ საგანს ხელს, კლასთა ბრძოლა უკვე აშკარად და ყველასათვის თვალდასანახად სწარმოებს, და ბურჟუაზიულ მეცნიერებს დაკარგული აქვს უნარი დამოუკიდებელი კვლევაძიებისა: „ამიერიდან ბურჟუაზიული ეკონომისტისათვის საკითხი ის კი არაა, თუ რაჲდენად სწორია ესა თუ ის თეორემა, არამედ—სასარგებლოა იგი კაპიტალისტისთვის თუ საზარალო, ვარგისია მისთვის თუ უვარგისი, შეუფერება პოლიციის მოსახრებებს თუ არა. უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მკლაბნელების შყვირაღა პოლემიკა იქერს და მიუღვამელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს—არაკეთილსინი ისიერი, მლიქნელური აპოლოგეტკა.“

ახლა პოლიტიკური ეკონომია პროლეტარიატის კუთვნილებად ხდება. მარქსი გამოდის ამ ასპარეზზე როგორც პროლეტარიატის წარმომადგენელი და წინდაწინ იცის, რას უნდა ელოდეს ძველი ჭეყენის წარმომადგენელთაგან: „თავისუფალი მეცნიერული კვლევა-ძიება პოლიტიკური ეკონომიის დარგში ხედებე არა მარტო იმ მტრებს, რომლებსაც ხედება ყველა სხვა დარგში. იმ მასალის თავისებური ხასიათი, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია განიხილავს, იწვევს მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ადამიანის ყველაზე მკაცრ, წვრილმან და გაბოროტებულ გრძნობებს, იწვევს საბრძოლველად კერძო ინტერესების ფურცებს“. ეს ისეთი დარგია, სადაც ბურჟუაზიული მეცნიერი სრულიად არ არის ნდობის ღირსი; როგორც ლენინმა დაახასიათა, „საზოგადოდ პროფესორი ეკონომისტები კაპიტალისტების კლასის სწავლული ნოქრები არიან“. მარქსს ყველაფერი ეს გათვალისწინებული აქვს, მაგრამ ეს მას არ აფრთხობს, ის თავის პიროვნებაში გრძნობს თავისი კლასის ტიტანიურ ძალას და თავის დევზად იღებს დანტეს დიდებულ სიტყვებს: „იარე შენი გზით და, დაე ადამიანებმა რაც უნდათ სთქვან“.

მართლაც, ამ აზრის გოლიათს თავისი გზა აქვს და თავისი კვლევის შე-
თოდი. რაც ბურჟუაზიული მკვლევარისთვის გამოსავალ წერტილს შეადგენს,
მარქსისთვის ეს მხოლოდ გამოვლინების ფორმაა ძირითადი კანონისა, ბურჟუა-
ზიული მეცნიერი წინასწარ მოცემულად გულისხმობს იმას, რაც გამოსაკვლევეა
და გამოუდის, რომ, მაგალითად, მიწის რენტა მიწიდან იზრდება, ხოლო მოვე-
ბა—კაპიტალიდან, შრომის ხელუფასი—შრომიდან. მარქსისთვის კი ყველა ეს კა-
ტეგორიები მისი ანალიზის დასასრულს პოულობს თავის ახსნას, როგორც გა-
მოვლინების ფორმები ზედმეტი ღირებულებისა, ამიტომ მისი ანალიზი იწყება
ღირებულებით, ამ ძირითადი კანონით, რომლის საფუძველზე სწარმოებს კაპი-
ტალისტურ ურთიერთობათა მთელი მექანიზმის მოძრაობა. მართალია, ასეთი კვ-
ლევის წესი დიდ შრომას მოითხოვს მკვლევარიდან და დიდ მოთმინებას მკით-
ხველიდან, მაგრამ ეს არის ერთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც არ ზერდება
მოვლენათა ზედაპირზე, როგორც ისინი პირველი შეხედვით გვეჩვენებთან და
ტდილობს ჩასწვდეს მათ საფუძველში, იპოვოს მათი შინაგანი კავშირი.

ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი არ არის არც ასეთი კვლევა, არც მისი
შედეგები. ის ამჯობინებს, კვლევა მოვლენათა ზედაპირს არ სცილდებოდეს და
კაპიტალიზმის შინაგანი მექანიზმი მუდამ ბურჟსში იყოს გახვეული. ამის მიზეზს
შესანიშნავედ გვიხსნის თვით მარქსი: „როდესაც გაგებულა საგანოა შინაგანი
კავშირი, ინგრევა ყოველივე თეორიული რწმენა არსებული წესწყობილების მა-
რადიული აუცილებლობისა, ინგრევა იმაზე ადრე, ვიდრე მოხდებოდეს მისი
პრაქტიკული დანგრევა. აქ, მაშასადამე, გაბატონებული კლასები აბსოლუტურად
დაინტერესებული არიან ყოველივე აზრს-მოკლებული არედარევა მარადიულად
აქციონ“.

ამით აიხსნება ის, რომ „კაპიტალის“ გამოქვეყნების პირველ წლებში მან
გერაიეთარი გამოხმაურება ვერ მპოვა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, იგი მას
სრული დუმელით შეხვდა. ბურჟუაზიული მეცნიერება ფიქრობდა დუმელით
მოექლა ეს დიადი შრომა. მაგრამ მან იპოვა გზა იმ კლასში, რომლისთვისაც ის
საბრძოლველ იარაღს შეადგენდა და რომელმაც შედარებით ადვილად გაიგო და
შეითვისა მთელი მეცნიერების უმალესი ნაყოფი.

მარქსი თავის ანალიზს იწყებს საქონლიდან, რომელიც ბურჟუაზიულ სა-
ზოგადოებაში „ეკონომიურ უჯრედის ფორმაა“ და ათაეებს მით, რაც წითელი
ზოლივით გაყვება მთელ მის ნაწარმოებს, ათაეებს კლასთა ბრძოლათ, რომ-
ელმაც უნდა გადასაწყვიტოს ეკონომიურ კატეგორიაში ასახულ საზოგადოე-
ბრიუ ურთიერთობათა ბედი მათი ანტაგონისტური ფორმის მოსპობით და ახალ
ურთიერთობათა დამყარებით. ერთ თავის წერილს ენგელსთან, სადაც მარქსი მთე-
ლი თავისი სამეცნიერო კვლევის გეგმას გადასცემს და თავის აზრთა მიმდინა-
რეობას, აცნობს, ასე აბოლოუებს: „დასასრულ, რადგანაც ეს სამი ფორმა [შრო-
მის ხელუფასი, მიწის რენტა, მოგება (სარგებელი)] შემოსავლის წყაროს შეადგენს
სამი კლასისას,—მიწის მესაკუთრეებისა; კაპიტალისტების და დაჭირავებული მუ-
შეებისას,—როგორც დასკენა (უნდა განვიხილოთ) კლასთა ბრძოლა, რომელ-
შიაც მოძრაობა პოულობა თავის გადაწყვეტას“.

მარქსს შეგნებულად აქვს წამძღვარებული კლასობრივი თვალსაზრისი. მაგრამ ამით კი არ ეკარგება მის შრომას მეცნიერული ღირსებები. ემატება: კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესების უფრო ან თვალთმაქცობაა, ან სიბრიყვე და ორივე მათი შედეგი—მხოლოდ საგნის ნამდვილი არსების მიფარჩენება.

მარქსის შრომა დიდ განძია მეცნიერებისათვის, იმიტომ რომ ის დიდი განძია მუშათა კლასისათვის. „რაც დედამიწის ზურგზე კაპიტალისტები და მუშები არსებობენ, არ გამოქვეყნებულა მუშებისათვის ისეთი მნიშვნელობის წიგნი, როგორსაც „კაპიტალი“ წარმოადგენს“, ამბობს ენგელსი. აქ მოცემულია ის, რაც არ მოუცია მთელ ადრინდელ პოლიტიკურ ეკონომიას.

დავიწყეთ ღირებულებიდან. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ადრინდელი პოლიტიკური ეკონომია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შრომა არის ყოველი სიმდიდრის წყარო და ყოველი ღირებულების საზომი, ასე რომ არ საგანს, რომელთა წარმოებას ერთი და იგივე სამუშაო დრო დასჭირდა, თანასწორი ღირებულება აქვთ და რადგანაც მხოლოდ თანასწორი ღირებულებანი იცვლებიან ერთმანეთზე, ეს ორი საგანიც ერთმანეთში უნდა გაიცვალოს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონელს იმისთვის აწარმოებენ და ყიდიან, რომ აქედან მოგება მიიღონ. საიდან წარმოსდგება ეს მოგება, თუ საქონელი მხოლოდ მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება? ფაქტია, რომ კაპიტალისტები იმაზე მეტ ღირებულებას იღებენ, რაც მათ საქმეში დაუბანდებიან. საიდან წარმოსდგება ეს ზედმეტი?

რასაკვირველია, არა გაცვლა-გამოცვლის პროცესიდან, რადგან აქ მხოლოდ ღირებულებათა გადასვლაა ერთი ხელიდან მეორე ხელში, გაცემული ღირებულების ნაცვლად მისი თანასწორი ღირებულების მიღებას აქვს ადგილი. არც იქიდან შეიძლება ის წარმოსდგეს, რომ მყიდველმა საქონელი მის ღირებულებაზე მალა იყიდოს და გამყიდველმა მის ღირებულებაზე დაბლა გაყიდოს, რადგან მყიდველიც და გამყიდველიც რიგ-რიგობით კიდევ ყიდულობენ და კიდევ ყიდიან და რაც ყიდვის ან გაყიდვის დროს მოიგეს, ის ხელმეორე ყიდვის და გაყიდვის დროს უნდა წააგონ. ვერც ის ახსნის საქმეს რომ მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ატყუებენ, რადგან მოტყუებიდან ახალი ღირებულება არ შეიქმნება; აქედან შეიძლება მხოლოდ ის მოხდეს, რომ არსებული სიმდიდრე, საქონელთა არსებული მარაგი სხვანაირად განაწილდეს კაპიტალისტთა შორის.

მაგრამ ზედმეტი ღირებულება რომ იქმნება და კაპიტალისტთა კლასის სიმდიდრე ემატება, ეს ყველასათვის აშკარაა. საიდან ხდება ეს შესაძლებელი?

რიკარდომ დიდი დამსახურება გაუწია პოლიტიკურ ეკონომიას მით, რომ ღირებულების საზომად შრომა აღიარა, მაგრამ მან და მისმა შკოლამ ზედმეტი ღირებულების საკითხს კარგად განიხილა. შრომაც მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყიდებოდეს, მაგრამ ნამდვილად ცოცხალ შრომას ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ნივთად ქცეულ, განივითიერებულ შრომას. შრომის ხელფასი, ცოცხალი შრომის ღირებულება მუდამ ნაკლებია, ვიდრე ღირებულება ამავე ცოცხალი შრომით შექმნილი პროდუქტისა. საიდან წარმოსდგება ეს წინააღმდეგობა? რატომ აქვს სხვადასხვა ღირებულება შრომას, ერთი ცოცხალს და მეორე—განივითიერებულს?



ეს საკითხი მარქსმა გადასჭრა. შრომის არა აქვს ღირებულება და არც ხდება შრომის ყიდვა და გაყიდვა. ყიდვა-გაყიდვის საგნია აქვეყნის ყველა და როდესაც ეს სამუშაო ძალა საქონლად იქცევა, მისი ღირებულება მისი ღირებულების ყოველივე სხვა საქონლის ღირებულება, გაიზომება მასში გინხორციელებული შრომით. მუშის შესახებად საჭირო საარსებო საშუალებათა ღირებულება არც სამუშაო ძალის ღირებულება.

დაეუბრუნდეთ ისევ საკითხს საიდან წარმოსდგება ზედმეტი ღირებულება? რამდენი საქონელი უნდა იყიდოს და გაყიდოს კაპიტალისტი, რამდენი ნელლი მასალაც უნდა დაამუშაოს მან, ყველა ეს საგნები მხოლოდ შეინარჩუნებენ თავის ღირებულებას ყიდვა-გაყიდვის დროს და ახალ საგანზე გადაიტანენ მის წარმოების დროს. ზედმეტი ღირებულება აქედან ვერ წარმოსდგება. ამისათვის სხვა პირობაა საჭირო.

საჭიროა, რომ კაპიტალისტმა ბაზარზე იპოვოს ისეთი საქონელი, რომელიც თავისი მოხმარების დროს ახალ ღირებულებას შექმნის. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში კაპიტალისტი მართლაც პოულობს ასეთ საქონელს, — ეს საქონელია სამუშაო ძალა. ხდება მისი ყიდვა-გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით და მისი მოხმარება კაპიტალისტს აძლევს ახალ საცვლელ ღირებულებას.

მუშა ვალდებულია იმუშაოს კაპიტალისტთან მთელი დღე, მთელი კვირა თანახმად ვარიგებისა. სამუშაო დროის ერთ ნაკვეთში, მაგალითად ნახევარ დღეს თუ ნახევარ კვირას ის ანაზღაურებს თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას, რომელიც მასზე კაპიტალისტს დაუბარჯავს, მაგრამ მან უნდა განაგრძოს მუშაობა მეორე ნაკვეთშიც, რადგან ასეთია ვარიგების პირობა. ამ მეორე ნაკვეთში შესრულებულ სამუშაოში კაპიტალისტი არაფერს იხდის, ის მას მუქთად რჩება, ეს გადაუხდელი შრომაა. აქედან წარმოსდგება ზედმეტი ღირებულება, რომელიც ნაწილდება არა მწარმოებელ კლასთან შრომის როგორც მოგება, სარგებელი, რენტა, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები, რამდენადაც ეს უკანასკნელი გაბატონებულ კლასებს შეეხება.

ზედმეტი ღირებულების ცნება მარქსამდე მოგვეცეს სხვადასხვა ეკონომისტებმა, მაგრამ მათ ხელში მას სრულიად არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც მას მარქსმა მიანიჭა. კლასიკური ეკონომისტები განაგრძობდნენ იმის გამოკვლევას, თუ როგორ ნაწილდება შრომის პროდუქტი კაპიტალისტსა და მუშებს შორის, თითქო ამ პროდუქტს ორივენი ქმნიდნენ, — ერთი კაპიტალის დაბანდებით, მეორენი შრომის დახარჯვით. სხვადასხვა სკოლის სოციალისტებმა სცადეს ამ ცნების გამოყენება. მათ უსამართლოდ მიიჩნიეს ეკონომისტების მიერ ნაწინები განაწილება შრომის პროდუქტისა და უსამართლობის მოსახსოვბათ სხვადასხვა უტოლიურ სისტემებს თხზავდნენ. „ერთნიც და მეორენიც — ენგელსის თქმით — იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, რომლებიც მათ პოვენ თავიანთ წინამორბედებთან“.

„მაგრამ აი გამოვიდა მარქსი, და გამოვიდა პირდაპირ საწინააღმდეგო სახით თავის წინამორბედების მიმართ, სადაც ესენი ახსნას ხედავენ, იქ იგი მხოლოდ პრობლემას ხედავდა. იგი ხედავდა, რომ... აქ საქმე შეეხებოდა არა

მხოლოდ ეკონომიურ ფაქტის აღნუსხვას, არა ამ ფაქტის წინააღმდეგობას მარადიული სამართლიანობისა და ჰუმანიტარული მორალის მიმართ, არამედ ისეთ ფაქტს, რომლის მოწოდება იყო მთელი ეკონომიის გადატრიალება და რბილად გასაღებს იძლეოდა მთელი კაპიტალისტური წაზოების გასაგებად“ (ენგელსი).

მაგრამ ამისთვის საჭირო იყო უდიდესი შრომის შესრულება. საჭირო იყო ყველა წინანდელი კატეგორიების კრიტიკულად განხილვა. ზედმეტი ღირებულების სწორად გასაგებად საჭირო იყო თვით ღირებულების გაგება, ამისთვის კი — თვით რიკარდოს თეორიის კრიტიკაში გატარება. მარქსმა გამოიკვლია „როგორი შრომა, რატომ და როგორ ქმნის ღირებულებას“. თვით მარქსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს თავის იმ ნარკვევს, რომლის მიხედვით, თუ საქონელი წარმოადგენს ორმაგ რაიმეს, სახმარ ღირებულებას, და საცვლელ ღირებულებას მასში განხორციელებული შრომაც ორმაგი ხასიათისაა, — კონკრეტული შრომა, რომელიც ქმნის სახმარ ღირებულებას და აბსტრაქტიულ შრომა, რომელიც ქმნის საცვლელ ღირებულებას. პროდუქტების გაცვლის დროს მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელია იმიტომ, რომ მათში განხორციელებულია აბსტრაქტული შრომა.

აქედან გადადის მარქსი სხვა კატეგორიებზე. მან გამოიკვლია საქონლის და ფულის დამოკიდებულება, დაამტკიცა, რომ „საქონელმა და საქონელთა გაცვლა-გამოცვლამ უნდა წარმოშვიას საქონლისა და ფულის წინააღმდეგობა,“ რომლის შედეგად საქონელთა სამყარო გამოყოფს თავისი წრიდან ერთ განსაზღვრულ საქონელს (ოქროს) ყველა საქონელთა საერთო ეკვივალენტად. აქედან ლოლიკურ მიმდინარეობას წარმოადგენს მარქსის ანალიზში ფულის გადაქცევა კაპიტალად, რაიცა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვაზე დამყარებული.

თვით კაპიტალში მარქსი ორ ნაწილს განასხვავებს: მუდმივ კაპიტალს, რომელიც იხარჯება საწარმოო იარაღების და ნედლი მასალის შესაძენად, მაშასადამე, დაბანდებულია ამ საგნებში, და ცვალებად კაპიტალს, — რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება. ამ დაყოფას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მუშის ექსპლოატაციის ხარისხი, ზედმეტი ღირებულების ნორმა, გამოიანგარიშება არა მთელი კაპიტალის მიმართ, არამედ მხოლოდ მისი ცვალებადი ნაწილის მიმართ, ამით მარქსმა „მიადწია იმას, რომ დეტალურად გამოსახა ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესი, რაც არ გაუკეთებია არც ერთ მის წინამორბედს“ (ენგელსი — წინასიტყვაობა „კაპიტალის“ II ტ.)

ზედმეტი ღირებულების გამოკვლევის დროს მარქსმა აღმოაჩინა, რომ მისი გადიდება, რისკენაც ასე ხარბად მიისწრაფვის კაპიტალი, შესაძლოა ორნაირი გზით: სამუშაო ძალის გაგრძელებით (ეს არის აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება) და სამუშაო ძალის შემოკლებით (ეს არის შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება). ამ კვლევა-ძიების შედეგი აშკარად გვაშცნობს თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების ანალიზის დროს თვალწინ გვეშლება გრანდიოზული სურათი მუშათა კლასის ბრძოლისა, რომელსაც მიზნად აქვს სამუშაო ძალის შემოკლება, საფაბრიკო კანონმდებლობის დაწესება და სხ., ხოლო შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების გადიდება ხდება შრომის ნაყოფიერების გაზრდით, რისთვისაც კაპიტალი მიმართავს კოოპერაციას, შრო-

მის დანაწილებას, მანუფაქტურულ წარმოებას, მანქანების და მსხვილი შრეწველობის განვითარებას.

აქ მოცემულია კაპიტალიზმის განვითარების უმთავრესი მახასიათებელი საფუძვლიანად უდევს კაპიტალის დაუსრულებელი მსწრაფება—რაც შეიძლება ბევრი აწარმოოს, რომ რაც შეიძლება ბევრი მოგება მიიღოს. ეს მოგება იმდენად დიდია, რომ კარბად აკმაყოფილებს კაპიტალისტთა კლასის ყოველგვარ მოთხოვნილებას და ამის შემდეგ კიდევ რჩება მეტად სავარძნობი ნაწილი, რომელიც კვლავ კაპიტალად იქცევა, რათა უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება გამოისწოვოს მუშათა კლასს.

ეს არის კაპიტალის დაგროვება, ზედმეტი ღირებულების ნაწილის გადაქცევა ახალ საწარმოო საშუალებებად და სამუშაო ძალის დასაქირავებლად. რაც უფრო მეტი ნაწილი შედის აქედან საწარმოო საშუალებებში და საერთოდ რაც უფრო სქარბობს კაპიტალის მუდმივი ნაწილი მის ცვალებად ნაწილს, მით უფრო მაღალი ორგანიული შედგენილობისაა კაპიტალი, მით უფრო სწრაფი ტემპით მიდის კაპიტალიზმის განვითარება. გარდა ამისა, ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოგების საშუალო ნორმის გამოკვლევისას.

მოგება—ეს ზედმეტი ღირებულების შეფარდებაა წარმოებაში დაბანდებულ მთელ კაპიტალთან და არა მარტო მის ცვალებად ნაწილთან. მაღალი ორგანიული შედგენილობის კაპიტალი იძლევა საშუალოზე ნაკლებ მოგების ნორმას, ხოლო დაბალი ორგანიული შედგენილობის კაპიტალი—საშუალოზე მეტ მოგების ნორმას. მაგრამ კონკურენცია კაპიტალისტებს შორის, თავისუფალი მიდენილობა კაპიტალისტებისა უფრო ხელსაყრელ დარგებში იწყევს იმას, რომ შეარდება მოგების საშუალო ნორმა.

მოგების საშუალო ნორმა იმას გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ წარმოებაში და წარმოების ზოგიერთ დარგში საქონელი იყიდება არა მისი ღირებულების მიხედვით, არამედ საწარმოო ფასების მიხედვით, საწარმოო ფასები კი უდრის დაბაჯულ კაპიტალს და მასზე მიივლილ საშუალო მოგებას. აქ ადგილი აქვს ფასის გადაჭრას ღირებულებიდან, მაგრამ ეს არა თუ არ არღვევს ღირებულების კანონს, არამედ მარტო ამ კანონის საფუძველზე შეიძლება მოგების საშუალო ნორმის გაგება. ეს დაწვრილებით გამოკვლეული აქვს მარქსს „კაპიტალის“ მე-სამე ტომში. აქვე იძლევა მარქსი სამეფაბშეო, საეაქრო და ფულადი კაპიტალის ანალიზს. აქვეა მოცემული გამოკვლევა მუშის რენტის, — დიფერენციალურის და აბსოლუტურის, — სადაც ის აკრიტიკებს როგორც რიკარდოს, ისე როდბერტუსსაც და ამ საფუძველზე ქმნის მთელ თავის მოძღვრებასთან შეფარდებულ სწორ თეორიას.

ალარ შეჩერდებით მთელ რიგ შესანიშნავ გამოკვლევებზე, რომლითაც ასე მდიდარია „კაპიტალის“ სამი ტომი და ჩათი დამატება „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ოთხი წიგნი. მათი მარტო დასახელებაც კი შორს წაგვიყვანდა მთელი ამ შრომის დიდი მეცნიერული სიმაღლე მის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ეთანასწორება. კაპიტალიზმის განვითარება გვიჩვენებს კაპიტალის დგროვების ისტორიულ ტენდენციას, რომელსაც მარქსი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:— უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება დაუნდობელი ვანდა-

ლიზმით და ფრიად უსირცხვილო, ბინძური, საზიზღარი და წვერილი მოქმედების ზეგავლენით. პირადი შრომით მონაპოვარი კერძო საკუთრება, რომელიც დამყარებულია თითოეული დამოუკიდებელი მუშის, ასე ვთქვათ, მუშის საკუთრებაზე მისი შრომის პირობებთან, განდევნება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმცა-ღა ფორმალურად თავისუფალ, შრომის ექსპლოატაციაზე... ექსპროპრიაცია მოელის ახლა არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს მეურნეობას, არამედ მრავალ მუშის მყელეფავ კაპიტალისტს. ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი მრავალს კლავს. ხელი-ხელ ჩაკლებული ამ ცენტრალიზაციასთან ანუ შრავალ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციასთან, რომელსაც ახდენს კაპიტალისთა შიკრიე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გეგმიანი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებების მხოლოდ საზოგადოებრივად გამოსაყენებელ საშუალებებად გადაქცევა, ყველა საწარმოო საშუალებათა ეკონომიზაცია, მათი როგორც კომბინიური, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო საშუალებათა გამოყენებით, ყველა ხალხის ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და მით კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეთ, იზრდება სილატაკე, ჩაგვრა, დამონაგება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება აღშფოთება მუდამ ზრდაში მყოფ და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილ, გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მნთ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიირებული ხდებიან.

აი სად მიიყვანა მარქსი მის მიერ აღმოჩენილმა კაპიტალიზმის განვითარების კანონმა. მისი დასკვნა უღმობელია, როგორც უღმობელია თვით ეკონომიური კანონი, რომლის ძალით აუცილებელია კაპიტალიზმის სოციალისტურ წყობილებად გარდაქმნა. ვინ ახდენს ამ რევოლიუციონურ გარდაქმნას, ვინ არის მისი მატარებელი? თვით კაპიტალიზმის მიერ გაწვრთნილი, მისი შესაფლავე პროლეტარიატი, რომლის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მრავალ საფეხურს განელის, პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა და საბოლოოდ მიიზარტება პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

აი ვისთვის სწერს ის თავის „კაპიტალს“, აი ვის გათვითცნობიერებას ემსახურება ის მთელი თავის სიკოცხლის განმავლობაში. ეს გათვითცნობიერება, კლასობრივი ინტერესების შეგნება, ორგანიზაციულად დარაზმვა რევოლიუციო-

ნური კლასისა უდიდესი ფაქტორია სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რომელიც აუცილებლად ხანგრძლივ სამოქალაქო ომად გადაიქცევა. მარქსი დაჟინებით გვასწავლის, რომ მარტო შეგნება და ცოდნა თავისთავად არტყვევებულკაცობას, რომ აუცილებელია ძალდატანება, რომ როდესაც ძველი საზოგადოებას მივღწეოდ არის ახალი საზოგადოებით, ძალდატანება ბებია-ქალის როლს ასრულებს, რომ მატერიალური ძალა მხოლოდ მატერიალურმა ძალამ უნდა დააბზოს, რომ კრიტიკის იარაღი (ე. ი. თეორია) ვერ შესცვლის კრიტიკას იარაღით (ე. ი. პრაქტიკას), მაგრამ ამავე დროს გადაჭრით აცხადებს, რომ თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როდესაც იგი მასებს იპყრობს. ხოლო თეორია მაშინ დაიპყრობს მასებს, როდესაც იგი რადიკალური, ე. ი. რევოლიუციონური ხდება. მარქსის მოძღვრება ეს სწორედ ასეთი რევოლიუციონური თეორიაა.

ამიტომ მას ღვენა არ მოკლებია რევოლიუციის შესაფლავებებიდან. საერთაშორისო რევიზიონიზმი გაშმაგებით ესზოდა მას თავს ბურჟუაზიულ მეცნიერებთან ერთად და ცდილობდა გამოეფიტა მისი რევოლიუციონური სული. პოლიტიკური ეკონომიის დარგში რევიზიონისტებმა ვაილაშქრეს ყველა მნიშვნელოვანი დებულებების წინააღმდეგ. განსაკუთრებით კაპიტალის კონცენტრაციისა და კრიზისების თეორიის წინააღმდეგ. ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ კაპიტალის კონცენტრაცია არ ხდება, რომ წერილი წარმოება არ იღვენება მსხვილი წარმოებით, კრიზისებიც იშვიათად არღვევს ეკონომიური ცხოვრების მიშდინარეობას, და შესაძლოა, ისინი სულაც მოისპონ. ამის მიხედვით, კაპიტალიზმის დაღუპვის თეორიაც საფუძველს მოკლებულია, კლასთა წინააღმდეგობებმა თანდათან ნელდება და ქვეყნად საერთო კეთილდღეობა მყარდებაო. მათ იგრიში მიიტანეს მარქსის ღირებულების თეორიაზედაც, მაგრამ რადგან მისი დარღვევა მათ ძალღონეს აღემატებოდა, მათ მიაშურეს მზა-მზარებულ ბურჟუაზიულ თეორიას ბე-ბავერაკის სუბიექტივისტურ თეორიას.

რევიზიონიზმის საერთო ფერხულში ჩაბმული იყვნენ რუსეთის ლეგალური მარქსისტები, რომელნიც ერთ დროს მარქსიზმს ემზრობოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ ის კაპიტალიზმს პროგრესიულ მოვლენად აღიარებდა. აქედან ისინი ცდილობდნენ კაპიტალიზმის თეორიად გადაეჭციათ მარქსიზმი; ეს მათ ვერ შესძლეს, მაგრამ თითონ კი გადაიქცენ კაპიტალიზმის აპოლოგეტებად. ყველა ისინი (სტრუვე, ბულგაკოვი, ბგრდიავევი, იზგოვევი, ტუგან-ბარანოვსკი და სხვ.) ბურჟუაზიულ-რეაქციონურ ბანაკში გადაბარგდნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მენშევიკები, და მათ შორის პლეხანოვიც, ერთ დროს რევიზიონიზმის წინააღმდეგ დაირაზმენ. ეს არ იყო მაშინ აღბად მწელი, რამდენადაც მათთვის საკითხის სიმძიმე თეორიის სფეროში იმყოფებოდა. მაგრამ აი დადგა დრო გამამკრელი ბრძოლებისა, პროლეტარიატი გამოვიდა არა მარტო როგორც რევოლიუციონური კლასი, არამედ როგორც გეგემონი რევოლიუციისა და ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება ძველი წყობილების წინააღმდეგ. საკმარისი იყო ამის დანახვა, რომ მენშევიკებმა დაკარგეს თავისი ძველი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიაც კი. ბოლოს ისინი გაყვნენ

დღეაღმართი მარქსისტების გზას და თავი შეაფარეს ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეს.

ასეთივე ბედი ეწვია კაუტსკის. რომელიც ერთ დროს უმჯობესობა რევოლუციონისტებს და თავს ორტოკოვსკის მარქსისტად ასაღწენდა. დღეს ის შეგნებულად, სინიდიის სრული სიმშვიდით ეწევა ბურჟუაზიის სამსახურს.

საქართველოშიაც კონდა მსგავს მოვლენას ადგლი. აქაც იყვნენ მარქსიზმის ეულგარიზატორები, მარქსიზმის შემრყენლები, ეს მომავალი მენშევიკები, რომელთაც საბოლოოდ იგივე გზა მონახეს, როგორც ნახეს მათმა რუსმა და გერმანელმა თანამომეებმა.

ამის დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რევოლუციონიზმი ყოველგან იყო მოდებული, ის ინტერნაციონალური მასშტაბით ვრცელდებოდა. მთელი ეს „სასახილო“ საქმიანობა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მარქსიზმს მუდამ ბრძოლა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ მის გაკლენის ქვეშ მყოფი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც თავისი წვეკრებით მუდამ ავსებდა პროლეტარიატის რიგებს და შექონდა იქ რყევა, უიმედობა, წუთიერი ინტერესებით გატაცება, თეორიის უარყოფა.

ლენინმა სავსებით შეიგნო, თუ რა დამღუპველ მოვლენას, შხამით სავსე მოძღვრებას წარმოადგენდა რევოლუციონიზმი მუშათა კლასისთვის და გაუმართა მას დაუნდობელი ბრძოლა. ლენინი თავს არ იტყუებდა რევოლუციონიზმის დროებითი მიჩუმებით. „რევოლიუციონური მარქსიზმის იდეური ბრძოლა რევოლუციონიზმთან შეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მხოლოდ დასაწყისია დიდი რევოლიუციონური ბრძოლებისა“, ამბობს ლენინი და დარწმუნებულია, რომ რევოლუციონიზმი კიდევ იჩენს თავს „უფრო დიდი მასშტაბით მაშინ, როდესაც პროლეტარული რევოლიუცია ყველა სადავო საკითხებს გაამწვავებს, ყველა უთანხმოებას იმ მუხლებში მოუყრის თავს, რომელთაც ყველაზე უშუალო მნიშვნელობა აქვს მასების მოქმედების გამოსარკვევად, ბრძოლის ცეცხლში გამოყოფს მტრებს მეგობრებისაგან, შორს გაისვრის უვარგის მოკავშირეებს, რათა მტრზე გადამწყვეტი იერიში იქნეს მიტანილი“.

მაგრამ ლენინს წილათ ხვდა არა მარტო მარქსიზმის სიწმინდის დაცვა, რევოლუციონისტებთან დაუნდობელი ბრძოლა. მის ხელთ გადავიდა მარქსიზმის მოძღვრება, რომელსაც ესაჭიროებოდა არა მარტო დაცვა, არამედ შემდეგი განვითარება, ახალი პირობების მხედვეთ მისი შეესება, მისი უმაღლეს საფეხურზე აყვანა. ლენინმა შეასრულა ეს ისტორიული საქმე.

მარქსი აწარმოებდა თავის გამოკვლევას, როდესაც გაბატონებული იყო სამრეწველო კაპიტალი, რომელსაც ახასიათებდა თავისუფალი კონკურენცია. ის არ მოსწრებია საფინანსო კაპიტლის ბატონობას, რომელსაც მონოპოლია ახასიათებს. მხოლოდ სააქციო საზოგადოებების ანალიზმა და საბანკო კაპიტალის შესწავლამ მას შეძლება მისცა განეკუთრება საფინანსო კაპიტალის ზოგიერთი დამახასიათებელი მხარეები. ასე. მაგალითად, „კაპიტალის“ მესამე ტომში მარქსის მიერ აღნიშნულია ა) წარმოების და სარეწაოთა მასშტაბის კოლოსალური გაფართოება, ბ) კაპიტალი, რომელიც დებულობს უშუალოდ საზოგადოებრივი კაპიტალის ფორმას და გ) ნამდვილი მომქმენდი კაპიტალისტის გადაქცევა სხვის

კაპიტალის მმართველად, გამგებლად, და კაპიტალის შესაკლავრეთა გადაქცევა მარტოოდენ შესაკლავრებად, მარტოოდენ ფულად კაპიტალისტებად.

ფ რ ი დ რ ი ბ ე ნ გ ე ლ ს ი, რომელიც მუდამ იჯულისხმება როგორც მარქსიზმის ერთი შემქმნელთაგანი და რომელმაც მარქსზე მეტ ხანს იცოცხლა, უკვე კარტელებზე და ტრესტებზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ „კონკურენციის ძველთაგან ნაქებ-ნადიდებმა თავისუფლებამ თავის დასასრულს მიაღწია“.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ განქვრეტა მომავალი განვითარებისა ზოგად ხაზებში.

კაპიტალიზმის მარქსისტული ანალიზი მის ახალ საფეხურზე, იმპერიალიზმის გამოჩენვით, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიისა, როგორც მომავლადი კაპიტალიზმისა, შეასრულა ლენინმა მარქსისტულად და მარქსისტულად.

არა ნაკლები ღვაწლი აქვს ლენინს მარქსიზმის ფილოსოფიური ნაწილის მიმართაც, მაგრამ ყველაზე დიდი ღვაწლი ის არის, რომ მან პრაქტიკულად განახორციელა მარქსიზმი ოქტომბრის რევოლუციისაში.

მარქსიზმი შეიქნა ლენინიზმის საფუძველი, ლენინიზმი შეიქმნა მარქსიზმის აუცილებელი შევსება და დამატება. ამიერიდან მარქსის და ლენინის დროშა განუყრელია როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. პროლეტარიატის საკაცობრიო განმათავისუფლებელი ბრძოლა ამ დროშის ქვეშ სწარმოებს და მომავალიც მარტო მას ეკუთვნის.



პარლ მარქსი და თანამებრძოლები

მისი გარდაცვალების 50 წლის გამო

„კაცობრიობა დადაბლდა მთელი თავით, ამასთანავე ყველაზე გენი-
ალურით ყველა მათგან, ვინც კი მას ჩვენ დროში გააჩნია“

ფრიდრიხ ენგელსი

„შოლოდ მათთვის შემოვიწახოთ ჩვენი განცვიფრება, ვინც წინ
უსწრებდა თავის ეპოქას და აღბურღილი იყო დიდებით წინასწარ
ებილა მომავალი დღის განთიადი, ჰქონდა გამბედაობა მისალმე-
ბოდა მის დადგომას, აღემაღლებია დამოუკიდებელი და ამაყი
ხმა ისეთ პირობებში, როდესაც თქვენს წინააღმდეგ ბოზობრობს
თანამედროვე საზოგადოების აზრი“.

ნ. გ. ჩერნიშევსკი

1883 წლის 14 მარტს თავის სამუშაო სავარძელში სამუდამოდ დახუჭა
თვალი მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურმა მასწავლებელმა და ბელადმა
კარლ მარქსმა. მისი თანამებრძოლი, განუყრელი და უერთგულესი მეგობარი
ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც დაძაბული ყურადღებით ტ უდიდესი შემოფო-
თებით აღევნებდა თვალყურს მისი ავადმყოფობის მსვლელობას, მისი გარდა-
ცვალების მეორე დღეს წერილში ზორგე-ადმი ასე აღწერს ამ უდიდესი პრო-
ლეტარული მებრძოლის სი ცოცხლის უკანასკნელ წუთებს: „... ექ-
ვსი კვირის განმავლობაში ყოველ დილას ქუჩის კუთხიდან მე, საშინელი შიშით
შეპყრობილი, მიეჩერებოდი ფანჯრებს, ფარდები ხომ არ ჩამოუშვიათ მეტეჟი.
გუშინ სადილობისას, 2 საათსა და 30 წუთს, — მის სანახავად ყველაზე მოხერხებულ
დროს, — მე წავედი იქ, მთელი სახლი აცრემლებული იყო. როგორც ეტყობოდა,
აღსასრული ახლოვდებოდა. მე ვეკითხები, ვცდილობ შემოფოთების მიზეზის გა-
გებას, ვანუგეშებ. მას ოდნავ ჩაიქცა სისხლი და უცბად ძალონეც დააკლდა.
ჩვენი მიხუცი საყვარელი ლენხენი, რომელიც ყველა მშობლიურ დედაზე
უფრო კარგად უვლიდა მას, აღის ზევით და იმ წუთშივე უკან ბრუნდება ცნო-
ბით: იგი ნახევრად გონებადაკარგულიაო. ლენხენი მეუბნება, თანგამოყვევით:
შევიღვართ, მას სძინავს, მაგრამ სამუდამო ძილით. მა გისცემა და სუნთქვა
აღარა აქვს. ამ ორი წუთის განმავლობაში იგი მშვიდად და უმტკივნეულოდ
გარდაიცვალა“.

მარქსის გარდაცვალების დღეს ენგელსი სწერს ვილჰელმ ლიბკნეხტს:

„თუმცა მე იგი დღეს საღამოს ვნახე საწოლზე დასვენებული, უძრავი და მკვდარი სახით, მე მაინც ველოდი, რომ ამ გენიალურმა თავმა შესწავლია ორივე ნახევარ სფეროს პროლეტარული მოძრაობის თავისი მძლავრი აზრით განაყოფიერება. მხოლოდ მისი წვალობით გავხდით ჩვენ ის, ვინცა ვართ, ხოლო ახლანდელი მოძრაობა არის მისი თეორიული და პრაქტიკული მოქმედების შედეგი, უიმისოდ კი აქამდე იმავე ქაობში ვიქნებოდით“. განუზომელი იყო დანაკარგი, რაც თავს დაატყდა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს, ამ აზროვნების ტიტანის — მარქსის გარდაცვალებით, რომელიც ხედავდა ყველაზე უმალ, ყველაზე ღრმად და ყველაზე შორს, რომელიც თავისი თეორიული აზროვნებისა და რევოლუციური პრაქტიკის სხივებით აშუქებდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ეკლიან გზას.

კარლ მარქსმა უჩვენა პროლეტარიატს მისი კლასობრივი განთავისუფლების გზა, მან შეაიარაღა იგი ბრძოლის შეუდარებელი, ბასრი იარაღით, კლასობრივი ბრძოლის თეორიის იარაღით, მეცნიერული სოციალიზმის თეორიით. მარქსი, როგორც მეცნიერული სოციალიზმის შემომქმედი, როგორც მუშათა მოძრაობის ბელადი — უყვდავია. ნახევარი საუკუნე, რომელმაც განვლო მარქსის ფიზიკური სიკვდილის დღიდან, წარმოადგენს მისი მოძღვრების უდიდესი სასიცოცხლო და ქმედითი ძალის საუკეთესო დადასტურებას, იმ მოძღვრების, რომელმაც მოიპოვა ადგილი თვითთელი შეგნებული რევოლუციური მუშის გულში, თვითთელი კომუნისტის, ბოლშევიკ-ლენინელის გულში.

ორმოცდაათმა წელმა, განვლილია მარქსის მოძღვრების ფართო გავრცელების, მისი შემდგომი განვითარების ნიშნის ქვეშ, განვითარების, რაც შეასრულა თავისი მასწავლებლის ასევე ღირსეულმა დიდმა ლენინმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მარქსიზმმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიაც, — მწარედ გააწბილა მარქსიზმის მტრები, მარქსის რევოლუციური მოძღვრების ბურჟუაზიული და რევიზიონისტულ-სოციალ-ფაშისტური მოწინააღმდეგენი.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, 24 წლის მარქსი, თითქოს წინასწარ გრძნობდა-რა თავისი რევოლუციური მოძღვრების ტრიუმფალურ მსვლელობას, თავის ნაშრომში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში“, მიუთითებდა, რომ „... მატერიალური ძალა იმავე მატერიალური ძალით უნდა იქნას დამხობილი; მაგრამ მატერიალურ ძალას წარმოადგენს თეორიაც, როდესაც იგი მასებს ეუფლება“. და მართლაც, დღეს ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ რა რეალურ და ურყევ ძალად იქცა მარქსისტული თეორია, როდესაც იგი დაეუფლა მასებს, როდესაც იგი დაეუფლა მშრომელთა მილიონების გონებას.

პიტლერების და ცერგიბელეების არაწითარ მუქარას, იმათ მუქარას, ვინც ჯვაროსნულ ლაშქრობას აწყობს კომუნისმის, მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, უკვე აღარ ძალუბ მისი დამარცხება; მარქსიზმ-ლენინიზმის უძლევე-

ლობის რეალური მატარებელია რევოლუციური პროლეტარიატი, რომელიც მარქსის სიტყვებით, მოწოდებულია ისტორიის მიერ გახდეს ბურჟუაზიული წყობილების მესაფლავედ და ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი. რაიც უკვე ხორციელდება საბჭოთა კავშირში.

თვითუღმა მოწინავე მუშამ და კოლმეურნემ, თვითუღმა პარტიულმა და კომკავშირულმა უნდა იცოდეს კარლ მარქსის ისტორიული მნიშვნელობა, მისი მოძღვრების ძირითადი იდეები და მათი ცხოვრებაში გატარება ს.ს.რ.კ.-ში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკის ნიადაგზე, მშენებლობის, რომელიც რკინისებური სიმტკიცით ხორციელდება ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებლისა და ბელადის ამხ. ს.ტ.ა.ლინიის მეთაურობით, რომელიც უდიდესი თანმიმდევრობით აწვითარებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ამ საუბილეო წერილში ვრცლად შევებოთ კარლ მარქსის მოძღვრებას და მის შემდგომ განვითარებას. აქ აღვნიშნავთ მოკლედ ამ მოძღვრების მხოლოდ რამდენიმე მხარეს, მსოფლიო კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისთან და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

მარქსი - როგორც მესწინარე სოციალიზმის შემოქმედელი

კარლ მარქსის ისტორიული მნიშვნელობა თავდაპირველად იმაში გამოიხატება, რომ მან სოციალიზმი მეცნიერებად გახადა. მარქსი სრულიადაც არ ყოფილა რაიმე საზოგადოებრივი სისტემის გამომგონებელი. მისი გენიალობის და პროლეტარიატის კლასობრივი განთავისუფლების საქმეში მისი ფასდაუდებელი ისტორიული მნიშვნელობის დასახასიათებლად სრულიად არ არის საჭირო, რომ მასში რაიმე გამომგონებელს ხედავდნენ. პირიქით, მისი მატერიალისტური მოძღვრება, მთლიანად რევოლუციონურ-რეალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული, ვერ ითმენს ვერაფერს ისეთს, რაც გამომგონებლობის და უტოპიზმის დაღს ატარებს. მარქსიზმი უტოპიზმის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. მარქსს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები კი არ გამოუგონებია, არამედ მან ეს კანონები თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოაჩინა. „მარქსის გენიალობა იმაში გამოიხატება, რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე წამოაყენა კაცობრიობის მოწინავე აზრმა“ (ლენინი). უტოპიური სოციალისტები იმით იყვნენ უტოპისტები, რომ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს და უკეთესი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საშუალებებს ეძებდნენ თავის საკუთარ თავში, როგორც ენგელსი ამბობს, იმის მაგივრად, რომ საკუთარი თავით თვით სინამდვილეში აღმოეჩინათ იგი.

ყოველი იდეოლოგიური მზმუნარეობა ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ეპოქის პროდუქტია. მარქსიზმს შეეძლო აღმოეცნებოდა მხოლოდ კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და მუშათა მოძრაობის წარმოშობის შემდეგ. უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც კაპიტალიზ-

მის აღრინდელ პერიოდს, მისი პირვანდელი აღმოცენების პერიოდის ექვთვ-
ნოდენ, არ შეეძლოთ აღმოჩინათ სოციალური ჩაგვრის ნამდვილი მიზეზები და
მისი მოსპობის რეალური საშუალებანი, ამიტომ მათ უხდებოდათ „გამოგონება
და არა აღმოჩენა საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრისა . . . თვალსაჩინო
იყო საზოგადოებრივი წყობილების მხოლოდ ნაკლოვანებანი, მათი მოსპობის
საშუალებათა გამოჩახვა კი მოაზროვნე გონების ამოცანად მოსჩანდა“ (ენგელსი
„ანტი-დიურინგი“, 1928 წ. გამოც., გვ. 243).

მხოლოდ მარქსმა მოგვცა იმ ამოცანების გენიალური თეორიული და პრაქტი-
კული გადაჭრა, რომელიც წამოაყენა კაპიტალიზმის განვითარებამ, ამ ეპოქის ძი-
რითად კლასებს—ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აღმოცენებულმა ინ-
ტერესთა წინააღმდეგობამ. საზოგადოებრივი პირობები მე-XIX საუკუნის პირველი
ნახევრის დასასრულისა, როდესაც მარქსი რენგელსი გამოვიდენ საზოგადოებრივ
ასპარეზზე, როგორც პროლეტარული სოციალიზმის წარმომადგენლები, მოით-
ხოვდა სწორედ მეცნიერული სოციალიზმის შექმნას. მაგრამ მეცნიერული სოცი-
ალიზმის ავტორებად რომ აღმოჩნდენ — სახელდობრ მარქსი და ენგელსი —
თავიანთი გენიალური და რევოლუციური თანამიმდევრობით, ამ გარემოებას
არ შეეძლო კოლოსალური მნიშვნელობა არ ჰქონოდა მუშათა მოძრაობისათვის.
მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელის გამარჯვება განპირობებულია ობიექტ-
ტური კანონზომიერებით, მისი „დაჩქარება და შენელება მეტისმეტად დამო-
კიდებულია შემთხვევითობათაგან, რომელთა შორის არის აგრეთვე ისეთი „შემ-
თხვევაც“, როგორცაა იმ ადამიანთა ხასიათი, რომლებიც დასაწყისში მოძრა-
ობის სათავეში დგანან“ (მარქსის წერილი კუგელმანისადმი, 1871 წ. 17 აპ-
რილის თარიღით). მარქსის ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავს იმ ფაქტის
მნიშვნელობას, რომ მაშინდელი საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ წამოყენე-
ბული ამოცანების გადაჭრა სწორედ მარქსსა და ენგელსს ხედა წილად.

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების ობიექტურმა
შველელობამ ისეთი მეცნიერების შექმნის მოთხოვნა გამოიწვია, რომელსაც
უნდა მოეცა კაპიტალიზმის მოძრაობის შინაგანი ეკონომიური კანონების მეც-
ნიერული დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავდა მის ისტორიულ ტენდენციას,
მიუთითებდა ამ სისტემის მიერ შექმნილ კლასობრივი წინააღმდეგობის გადაჭ-
რის რეალურ საშუალებაზე. ამ ეპოქას მიერ წამოყენებული ყველა პრობლემა
მარქსმა გადასჭრა ენგელსთან ერთად თავდაპირველად ისეთ ნაშრომებში, რო-
გორცაა „ფილოსოფიის სილატაკე“ (1847 წ.), „კომუნისტური პარტიის მანი-
ფესტი“ (1847 წ.), „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ.),
„კაპიტალი“ (1867 წ.). ამ ნაშრომებმა მთელი ეპოქა შექმნა კაცობრიობის მეც-
ნიერული აზროვნების განვითარებაში და მარქს-ენგელსის ყველა თეორიულ
ნაშრომის დასაბუთების დაგვირგვინებად გადაიქცა. აღნიშნულმა ნაწერებმა
სრული გადატრიალება მოახდინა აზროვნების დარგში და უტოპიური სოცია-
ლიზმი მეცნიერებად გადააქცია.

ამიტომ შემთხვევით არ არის, რომ მეცნიერული სოციალიზმის თეორია,
მუშათა კლასის რევოლუციური მოძღვრება, მარქსის სახელს ატარებს, მაგრამ
ამ გარემოებამ ოდნავადაც არ უნდა შეამციროს ფ რ ი დ რ ი ბ ე ნ გ ე ლ ს ი ს — რ ო -

გორც მეცნიერული სოციალიზმის ერთერთ საფუძელის ჩამყრელის — ისტორიული როლი. ენგელსის სახით მარქსს ჰყავდა ყოველმხრივად და მოუყიდებლად მოაზროვნე მეგობარი და ამხანაგი. თვითონ ენგელსმა, ყოველთვის მოკრძალებულმა — თავის ნაშრომში — „ლუდვიგ ფეიერბახი“, — აზროვნების ორ გიგანტს შორის არსებული მეგობრობის თვალსაზრისით, მართლაც რომ უდიდესი დოკუმენტი მოგვცა. ეს დოკუმენტი უპირველეს ყოვლისა განმარტავს, თუ რატომ ეწოდება მეცნიერულ სოციალიზმს მარქსის სახელი, ხოლო მეორე მხრით იძლევა მარქსის იმ ისტორიული მნიშვნელობის შესანიშნავ დახასიათებას, რაც მან თავისი გენიალობის წყალობით მოიპოვა. „მე არ შემიძლია უარყო — წერს ენგელსი, — რომ მე წინათაც მარქსთან ჩემი ორმოცი წლის ურთიერთობის დროს, დამოუკიდებლად შეუწყვე ხელი იმ თეორიის დასაბუთებასაც და უმთავრესად კი დამუშავებას, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი. მაგრამ უდიდესი ნაწილი ძირითადი ხელმძღვანელი აზრებისა, განსაკუთრებით ისტორიისა და ეკონომიის დარგში და მათი საბოლოო მკვეთრად ჩამოყალიბება ეკუთვნის მხოლოდდამხოლოდ მარქსს. ის, რაც მე შევიტანე, მარქსს შეეძლო უჩემოდაც შეეგესო, შეიძლება ორ-სამ სპეციალურ განყოფილებათა გამოკლებით. ხოლო იმას, რაც მარქსმა გააკეთა, მე ვერასოდეს ვერ გავაკეთებდი. მარქსი უფრო მაღლა იდგა, უფრო შორს ხედავდა, ყველა ჩვენგანზე უფრო მეტს და უფრო სწრაფად ხედავდა. მარქსი იყო გენიოსი, ჩვენ კი, უკეთეს შემთხვევაში, ტალანტები. უიმისოდ ჩვენი თეორია სრულიადაც ვერ იქნებოდა ის, რასაც იგი წარმოადგენს, ამიტომ მას სამართლიანად ეწოდება მისი სახელი“ („ლუდვიგ ფეიერბახი“, გამოც. 1931 წ., გვ. 62).

მე-11 ინტერნაციონალის თეორეტიკოსებს მაქს ვებერისა, ადლერისა და სხვ. სახით ცოტა არ უცდიათ თავიანთ დემაგოგიური და გამცემლური მიზნების სასარგებლოდ ჩირქი მოეცხოთ მეცნიერული სოციალიზმის საფუძელის ჩამყრელთა დიადი მეგობრობისათვის, ჩამოეშორებიათ ისინი ერთი მეორისაგან, ეჭვნათ მათ შორის არარსებული განხეთქილება, შეექმნათ ისეთი მოჩვენებითი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი რამდენიმედ მაინც სათანადოდ ვერ აფასებდენ ერთი მეორეს. მაგრამ ეს ბურჟუაზიული ცდა სასტიკი მარცხით დასრულდა. ამას ნათელყოფს უპირველეს ყოვლისა მარქსისა და ენგელსის ნათქვამი ამ საკითხის შესახებ. მარქსი, თითქოს განზრახ მე-II ინტერნაციონალის ბელადების საპასუხოდ, რომლებიც თხზავდენ ზღაპრებს მარქსისა და ენგელსის ურთიერთობის შესახებ, ჯერ კიდევ „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ფრიდრიხ ენგელსმა, რომელთანაც მე, ეკონომიური კათეგორიების კრიტიკის შესახებ მისი გენიალური ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ, განუწყვეტლივ წერილობითი აზრთა გაზიარება მქონდა, ჩემსავით ამავე შედეგს მიაღწია სხვა გზით (შეად. მისი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“). . . დაქსაქსულ ნაშრომთაგან, რომლებშიაც ჩვენ მაშინ ინგლისში ჩვენი შეხედულება ამა თუ იმ მხრივ საზოგადოებას გაეუზიარეთ, აღენიშნავ მხოლოდ ენგელსისა და ჩემ მიერ ერთად შეთხზულ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და ჩემ მიერ გამოქვეყნებულ „სიტყვას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“. ჩვენი შეხედულების ძირითადი პუნქტები პირველად იყო მეცნიერულად, თუმცა კი

პოლემიკურად აღნიშნული ჩემს 1847 წელს გამოცემულ და პრუდონის წინა-აღმდეგ მიმართულ ნაწარმოებში: „ფილოსოფიის სილატაკე“ (ნეკროლოგი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გამოც. 1931 წ., გვ. 288). მსხვილი არ არის იმის დანახვა, რომ მარქსი თავის შეხედულებებს და თავის სამეცნიერო შრომებს არ ანციაოკეებს ენგელსის შეხედულებებისა და ნაშრომებისაგან, უწოდებს მათ „ჩვენ შეხედულებას“ ე. ი. მისი და ენგელსის შეხედულებას. აი რატომ არ აშორება ერთი მეორეს მარქსსა და ენგელსს მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის ისტორია, იხილავს რა მათ ორივეს მეცნიერული სოციალიზმის შემომქმედებად.

მარქსის ისტორიული მნიშვნელობის სავსებით ღირსეულად შეფასებისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ რომელი აღმოჩენების წყალობით გადააქცია მან სოციალიზმი მეცნიერებად. სხვანაირად, — საზოგადოებრივი განვითარების რაგვარი ისეთი ობიექტური კანონები აღმოაჩინა მარქსმა, რომელთა საფუძველზედაც სოციალიზმი შიშველ აბსტრაქტულ, კაბინეტში შეთხზულ სქემიდან გადაიქცა ისტორიულ აუცილებლობად, საზოგადოების მოძრაობის რკინის კანონად, დამოუკიდებლად იმისა სურთ თუ არა მისი განხორციელება. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ეს მეცნიერული აღმოჩენანი, რომელიც მოახდინა მარქსმა თავისი ეპოქის ახალი ფაქტების, კაპიტალიზმის აღმოცენებით გამოწვეულ ობიექტიურ პირობების საფუძველზე, იყო: ისტორიის მატერიალისტური გაგება, მეცნიერული მეთოდის, მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის გამომუშავება, წარმოების კაპიტალისტური სისტემის საიდუმლოების გამომჟღავნება, კაპიტალისტური ექსპლოატაციის მიზეზის ახსნა, პროლეტარიატის, როგორც ბურჟუაზიის მესაფლავის და კომუნისტური წყობილების მშენებელის, ისტორიული როლის განსაზღვრა პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურის განხორციელების ისტორიული აუცილებლობის მეცნიერული დასაბუთება და სხვა. მარქსის მოძღვრების ყველა დებულება მეცნიერულად დასაბუთებენ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის განხორციელების ისტორიულ აუცილებლობას. მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე ძირითადია მარქსიზმ-ლენინიზმში.

ისტორიის მატერიალისტური გაგება მოასწავებდა ბურჟუაზიის იდეალისტური მსოფლმხედველობისადმი დაპირისპირებული ახალი, პროლეტარული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის შექმნას. „მარქსიზმის ფილოსოფია მატერიალიზმია“ (ლენინი, ტ. XVI, გვ. 350). მაგრამ მარქსის წინამორბედ მატერიალისტებსაგან განსხვავებით, მარქსის მატერიალიზმი არის არა მკერეტელობითი, პასიური და აბსტრაქტული, არამედ ადამიანთა პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული, აქტიური, მოქმედი და რევოლუციური. თავისი მატერიალისტური ფილოსოფიიდან, ისტორიის მატერიალისტურ გაგებისგან მარქსმა შექმნა არა რაიმე დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის წარმოების კაპიტალისტური სისტემის რევოლუციურად გარდასაქმნელად, პროლეტა-

რიატის რევოლუციურად გასანთავისუფლებლად. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდენ მსოფლიოს, საქმე კი იმაში მდგურდებოდა, რომ იგი შეცვლილ იქნას“ (კარლ მარქსი „თეზისები ფეიერბახის წესდებზე“) [1]. მარქსს გადაჭრილი აქვს თეორიისა და პრაქტიკის კონკრეტული მთლიანობის პრობლემა და ამით განსაზღვრულია მის მიერ აღმოჩენილი საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტური კანონის რევოლუციური ხასიათი.

ამ კანონის შინაარსი მარქსს მოცემული აქვს მის ცნობილ წინასიტყვაობაში, რომელიც წამძღვარებული აქვს მის ნაშრომს „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მარქსს მასში მოკლედ, მაგრამ ამომწურავი სისრულით აქვს მოცემული ჯერ კიდევ პირველ ნაშრომებში გამოთქმული ახალი თვალსაზრისის განსაზღვრა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების მოძრაობის ერთობლივად აღებული მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წყაროს წარმოადგენს არა მოაზროვნე გონება, რომელიც არაფრისაგან ჰქმნის რაღაცას, არამედ საზოგადოების ცხოვრების ეკონომიური პირობები და მათ მიერ გამოწვეული კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა. ეს მარქსის მიერ გამომუშავებული მატერიალისტური თვალსაზრისი ერთი რომელიმე სპეციალური დარგით არ განისაზღვრება. იგი იყო და რჩება ყველა საზოგადოებრივი მოვლენის ახსნისა და შეცვლისათვის გამოსადეგ და აუცილებელ საერთო სახელმძღვანელო ძაფად. „ის საერთო დასკვნები, რომელსაც მე შივალწიე და რომელიც ამის შემდგომ ჩემ გამოკვლევათა სახელმძღვანელო ძაფი გახდა, შეიძლება მოკლედ შემდეგ ფორმულაში გამოვსახო: თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას აღამიანები შედიან განსაზღვრულ აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობაში, რომელიც მათ მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეეფერება. ამ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლივობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც ცნობიერების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ... როგორც არ შეიძლება ცალკე ინდივიდუუმის შესახებ მსჯავრი ვიქონიოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვით იგი თავის თავზე, ისევე არ შეიძლება ასეთი რევოლუციური ეპოქა განესაჯოთ მისი ცნობიერების მიხედვით; პირიქით, ეს ცნობიერება უნდა აეხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, არსებული კონფლიქტით საზოგადოებრივ საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის.“ (კარლ მარქსი, წინასიტყვაობა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გვ. 86—7).

ასეთია ისტორიის მატერიალისტური გაგების კანონის არსობა, რომელიც აღმოაჩინა და დაამუშავა მარქსმა.

ბურჟუაზიული კრიტიკოსები და ცრუ-„მარქსისტები“, რომლებიც სიტყვით აღიარებენ მარქსის მოძღვრებას, ხოლო საქმით მის წინააღმდეგ გამოდიან, ხშირად უსაყვედურებდნენ მარქსს-ენგელსს, რომ ისინი საზოგადოებრივ მოვ-

ლენათა ახსნისას პირველ ადგილზე, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ-კლასობრივ ფაქტორს აყენებენ და არა სხვა რომელიმესო. ამის გამო ისინი მეცნიერული სოციალიზმის შემოქმედთ მიაწერენ იმ აზრს, რომ ისინი არ ცნობდენ იდეოლოგიურ ზედნაშენთა ამა თუ იმ სახის შემოქმედებას საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. მარქსიზმის ამ ვაი-კრიტიკოსებს დაჟინებით არ უნდოდათ გაეგოთ რომ ისტორიის მატერიალისტური ვაგების, მარქსის მიერ აღმოჩენილ და ფორმულირებულ კანონში ლაპარაკია იმის შესახებ თუ რა არის განმსაზღვრელი, წამყვანი საწყისი საზოგადოების მოძრაობაში—ბაზისი თუ ზედნაშენი, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური საფუძვლები, მისი საწარმოო ძალები და საწარმოო ურთერთობანი, კლასობრივი ბრძოლა, თუ ადამიანის გონება, აბსოლუტური სული და ა. შ. მარქსი და ენგელსი არა ერთხელ აღნიშნავენ, რომ მათ მიერ ეკონომიური ფაქტორის აღიარება განმსაზღვრელ, ძირითად მომენტად საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობაში არ ართმევს იდეოლოგიურ ზედნაშენთ დამოუკიდებელ მამოძრავებელ ძალას, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ იდეოლოგიური ფორმები თავის მხრით გავლენას ახდენენ საზოგადოების განვითარებაზე. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ენგელსის წერილი ფრანც მერინგისადმი, 1893 წლის 14-ივლისის თარიღით, რომელშიაც ის მკაცრად ილაშქრებს მარქსის მიერ აღმოჩენილ საზოგადოების მოძრაობის მატერიალისტური კანონის ცალმხრივი ვაგების წინააღმდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიის მატერიალისტური ვაგების აღმოჩენით, ზედმეტი ღირებულების თეორიის დასაბუთებით და ბურჟუაზული მონობისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების რევოლუციურ საშუალებაზე მითითებით არ განისაზღვრება მარქსის ისტორიული როლი სოციალიზმის მეცნიერულ დასაბუთების დარგში, ახალი, მთლიანად რევოლუციური სულისკვეთებით გაქლენთილი მატერიალისტური მსოფმხედველობა მოითხოვდა ასეთსავე რევოლუციურ მეთოდს. იგი, არ შეიძლებოდა შეგუებოდა ყოველგვარ მეთოდს, რამდენადაც ისინი უმრავლეს შემთხვევაში თავისი ხასიათით მეტაფიზიკური იყვნენ.

ნამდვილ მეცნიერებას არ შეეძლო შერიგებოდა მეტაფიზიკურ მეთოდს, რომელსაც განვითარება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მარტო შიშველი რაოდენობითი ცვლილებანი. ასეთი მეთოდი უძლური იყო ახსნა განვითარება ბუნებასა და საზოგადოებაში დასხვ., მას არ შეეძლო ეჩვენებია ახალი თვისების წარმოშობა ძველი თვისების ნაბტომებრივი გადასვლის გზით თავის წინააღმდეგობაში, სწორედ ისევე როგორც ეს მეთოდი არ იძლეოდა და არც შეეძლო მოეცა ცალკე მოვლენებს შორის შინაგანი, კანონზომიერი კავშირის ახსნა, რისი მეზობითაც თვით მეცნიერება მოკლებული იყო აუცილებელ შინაგან კავშირს.

მეტაფიზიკური მეთოდი, რომელიც უარყაუს მოვლენათა მოძრაობის შინაგან წყაროს და ამის გამო მოქცეულია იდეალიზმის წყვედიდში უცხო და მიუღებელია მატერიალისტური მსოფმხედველობისათვის. ამიტომ მარქსის წინაშე დასმული იყო სამყაროს შემეცნებისა და შეცვლის ახალი ნამდვილად მეცნიერული მეთოდის შექმნის ამოცანა, მეთოდის, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნებოდა მის მიერ შემუშავებულ ისტორიის მატერიალისტურ ვაგებასთან, მოძ-

რაობის წყაროს მოძებნიდა არა საგნის გარეშე, არამედ თვით საგანში, აღიარებდა რა ასეთად ყოველი მოვლენის შიგნით იმთავითვე არსებულ წინააღმდეგობათა მუდმივ ბრძოლას.

მარქსი, წინააღმდეგ მეტაფიზიკოსებისა, იმ პრინციპიდან გამოდიოდა, რომ „წინააღმდეგობა იწვევს წინ მოძრაობას“, როგორც ჰეგელი ამბობდა. ამ მხრივ მარქსისათვის ჰეგელი მეტაფიზიკური მეთოდის წარმომადგენლებზე უფრო მისაღები იყო. მაგრამ მარქსს, როგორც მატერიალისტს, არ შეეძლო დამაყოფილებულიყო ჰეგელის მზამხარეული დიალექტიკური მეთოდის უბრალო შეთვისებითა და გამოყენებით. რამდენადაც უკანასკნელი თავისი მსოფმხედველობით, თავისი ფილოსოფიური სისტემის შინაარსის ხასიათით უმაღლესი ხარისხის პირწაპარდნილი იდეალისტი იყო, იმდენად მისი დიალექტიკაც, როგორც ფორმა, როგორც მისი ფილოსოფიის მეთოდი არ შეიძლებოდა იდეალისტური არ ყოფილიყო. მომენშევიყო იდეალისტების შეცდომა ამ საკითხში იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უგულვებელყოფდნენ ჰეგელის დიალექტიკის იდეალისტურ რაობას, ისინი ამახინჯებდნენ მარქსის მატერიალისტურ დიალექტიკას, რომელიც მან შეიმუშავა წინააღმდეგ ჰეგელის იდეალისტურ, წმინდა აბსტრაქტულ დიალექტიკისა.

ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალურ გულს მარქსი ხედავდა დიალექტიკაში, მაგრამ არა იმ სახით, როგორც იგი ჰეგელს ჰქონდა. ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიური სისტემის რაციონალურ გულად მარქსი თვლიდა იმ დიალექტიკურ კანონებს, რომლებიც ჰეგელმა გამოიმუშავა თავისებურ იდეალისტურ ყაიდაზე. ამიტომ მარქსის წინაშე უპირველეს ყოვლისა იდგა მათი იდეალიზმისა და მისტიციზმისაგან ხსნის ამოცანა, ე. ი. ვიდრე მით ისარგებლებდა, უნდა დამტკიცებია, რომ ეს დიალექტიკური კანონები შეადგენენ არა აბსოლუტური სულის, არამედ მატერიალურ სამყაროს რაობას — ბუნების, საზოგადოების და აზროვნების რაობას. მარქსმა ბრწყინვალედ გადასჭრა ეს ამოცანა. ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის კრიტიკული დამლევის საფუძველზე მან შეიმუშავა მატერიალისტური დიალექტიკა. ენგელსი თავის რეცენზიაში მარქსის წიგნზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ასე ახასიათებს ამ შრომას: „მარქსი იყო და არის ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ეკისრნა ამოცანა ჰეგელის ლოგიკიდან იმ გულის გამოცალკევებისა, რომელიც შეიცავს ჰეგელის ნამდვილ აღმოჩენებს ამ დარგში და გამომუშავებია დიალექტიკური მეთოდი, მისი იდეალისტური გარსისაგან განთავისუფლებული, იმ მარტივი ფორმით, რომელშიაც მარტოოდენ წაროადგენს იგი აზრთა განვითარების სწორ ფორმას. იმ მეთოდის გამოიმუშავება, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის მარქსის კრიტიკას უდევს საფუძველად, ჩვენ მიგვაჩნია ისეთ შედეგად, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე ძირითად მატერიალისტურ შეხედულებას“ (გამოც. 1931 წ. გვ. 44).

ბურჟუაზიული ტალღუდისტები ხშირად უსაყვედურებდნენ მარქსს, თითქოს მან თავისი დიალექტიკური მეთოდი არ ჩამოაყალიბა სპეციალურ ნაშრომში. მარქსს მართლაც არ გაუყუარებია ეს, რადგან მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ კანონის გამოყენება მოვლენათა ასახსნელად მათი შეცვლის

მიზნით, ვიდრე მეთოდის შიშველი გადმოცემა. ბურჟუაზულ შეზღუდულ გონებას „კაპიტალის“ გაგების უნარი რომ ჰქონოდა, მაშინ ის ადვილად შეაფასებდა, რომ სწორედ მასშია მოცემული მარქსის დიალექტიკა. მარქსის „კაპიტალში“ შეუდარებელი მეცნიერული ძალით არის ნაჩვენები დიალექტიკის გამოყენება ნამდვილ სამყაროს განსაზღვრული ფაქტების ახსნისათვის, სახელდობრ კაპიტალისტური სისტემის ანალიზისათვის. მარქსის პოლიტიკური ეკონომიკა თავით-ბოლომდე დიალექტიკური მეთოდის, მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზეა აგებული.

საგვებით რომ ჩასწვდეს „კაპიტალის“ თეორიულ დებულებათა გენიალურ რაობას, ამისათვის მატერიალისტური დიალექტიკის ცოდნით უნდა იყო შეიარაღებული. მატერიალისტური დიალექტიკა „კაპიტალის“ გასაღებია. მისი საშუალებით მარქსმა შესძლო იმ ეკონომიური პრობლემების დადებითად გადაჭრა, რაზედაც დიდი შრომა გასწიეს აგრეთვე მისმა წინამორბედებმა, კლასიკური ბურჟუაზული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა, კერძოდ ადამ სმიტმა და რიკარდომ. პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით განსხვავება მარქსსა და ბურჟუაზიულ კლასიკოსებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყო დიალექტიკოსი, უკანასკნელი კი მეტაფიზიკოსები და მექანიკები იყვნენ. იქ სადაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები ხედავდნენ სტატიკას, პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსმა გამოამჟღავნა დინამიკა.

მარქსისთვის წარმოების კაპიტალისტური წესი ისტორიულია და წარმავალი. ამაშია მისი ერთ-ერთი ძირეული განსხვავება ბურჟუაზული კლასიკოსებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმს იხილავდნენ როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ მოვლენას. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რამდენადაც ისინი კლასობრივად დაინტერესებულნი იყვნენ კაპიტალიზმის წარმატებით, არ შეეძლოთ მისი მარადიულობის თვალსაზრისზე არ დამდგარიყვნენ. წინააღმდეგ ბურჟუაზიული კლასიკოსებისა, მარქსმა „კაპიტალში“ თანმიმდევრულად გამოიყენა განვითარების თვალსაზრისი, რომლიც კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობას იხილავს მათ „აღმოცენებასა, განვითარებასა და დაცემაში“ (ლენინი, ტ. XVIII, გვ. 15). მარქსი თვითეულ საზოგადოებრივ ფორმაციას ხსენებული თვალსაზრისით იხილავდა, „კაპიტალში“ მან ნათელჰყო არა მარტო კაპიტალიზმის აღმოცენება მარტივი საქონლის მეურნეობის საზოგადოებრივ ურთიერთობათაგან, არამედ ისიც, რომ კაპიტალიზმი შინაგანი ეკონომიურ-კლასობრივი წინააღმდეგობების განვითარების გზით ბუნებრივი აუცილებლობით მიდის თავისთავის უარყოფამდე, გადადის თავის პირდაპირ წინააღმდეგობაში, რომ ამ გადასვლას არ შეუძლია არ ჰქონდეს რევოლიუციური ხასიათი და სხვა.

მარქსის „კაპიტალი“ ბურჟუაზიას მისი რევოლიუციური დიალექტიკური შინაარსის გამო სძაგს. მარქსს ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც „კაპიტალის“ მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში წერდა: „... დიალექტიკა ბრძნისა გერის და შიშის ზარსა სცემს ბურჟუაზიას და მის დოქტრინერ-იდეოლოგებს, რადგანაც არსებული პოზიტიული ვაგება იმავე დროს შეიცავს მისი უარყოფისა და მისი აუცილებელი მოსპობის ვაგებას, ყოველ შექმნილ ფორმას

განიხილავს მოძრაობაში, ე. ი. მისი წარმავლობის მხრივ, არავეს წინაშე ქედს არ იხრის და არსებითად კრიტიკული და რევოლუციურია* **ქაპიტალიზმი, ტ. I, გამ. 1931 წ. გვ. XXIII**

განმარტოვება

იმის სრულ დასახასიათებლად, თუ როგორ იყენებს მარქსი დიალექტიკას წარმოების კაპიტალისტური წესის გამოაკვლევად, იმ წესის, რომელიც წარმოადგენს ძირითადად „კაპიტალის“ შესწავლის საგანს, მარქსის პოლიტიკური ეკონომიის საგანს, მთელი ნაშრომა საკურო. ისტორიულისა და ლოგიკურის, კონკრეტულისა და აბსტრაქტულის, არსობისა და მოვლენის, ფორმისა და შინაარსის თანაწიფარდების პრობლემები, საქონლის წინააღმდეგობა განვითარება მისი გამოვლინების ყველა ფორმაში და სხვა, რომელთაც პირველად ჰპოვეს თავისი ვადაქრა მარქსის „კაპიტალში“—ყოველივე ეს წარმოადგენს დაუშრეტელ მეცნიერულ სიმდიდრეს მარქსის დიალექტიკური მეთოდისა და წარმოების კაპიტალისტური წესის გამოკვლევისას მატერიალისტური დიალექტიკის თანმიმდევრულად გამოყენების შესწავლისათვის, სწორედ ისევე როგორც თვით ამ წარმოების ისტორიული ბედის სწორი გაგებისათვის.

ჩვენ შევეცადეთ მეტად ზოგად ხაზებში მოგვეცა მარქსის, როგორც მეცნიერის მხოლოდ ზოგიერთი შტრიხი, მოგვეცა დახასიათება მეტად ზოგად ხაზებში მარქსის, როგორც მეცნიერული სოციალიზმის შემომქმედის, და ამ მხრით შეგვეფასება მისი ისტორიული მნიშვნელობა მუშათა კლასის რევოლუციური განთავისუფლების საქმეში. მაგრამ ჩვენ დიდ შეცდომას დაუშვებდით, თუ ვიფიქრებდით, რომ მარქსი მხოლოდ მეცნიერია და არა მუშათა მოძრაობის უდიდესი პრაქტიკოსიც და რევოლუციონერიც. მარქსი მეცნიერი არ შეიძლება ჩამოვაცილოთ მარქსს რევოლუციონერსა და პრაქტიკოსს, და პირიქით. ისინი ერთად არიან შედუღებულნი, ერთ მთელ შეადგენენ. მარქსი როგორც მეცნიერული სოციალიზმის შემომქმედი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის მეცნიერული ბელადი ცნობილია თავისი ნაშრომებით: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „კაპიტალით“ და სხვა. მაგრამ მარქსი—მუშათა მოძრაობის რევოლუციური პრაქტიკოსი და ორგანიზატორი—არა ნაკლებ ცნობილია როგორც მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ანუ I ინტერნაციონალის დამაარსებელი, ხელმძღვანელი და იდეური სულისჩამდგმელი. ამ ინტერნაციონალს მარქსმა მიუძღვნა არა ნაკლები ენერჯია და დრო, ვიდრე თავის სხვა ქმნილებებს. მარქსის თეორიული შრომები იმიტომ არის მეცნიერული, მართებული, მოქმედი, ამ შრომებს იმიტომ არ დაუკარგავს დღემდე თავისი ძალა და სიახლე, რომ თავიდანვე გაკლენთილი იყო რევოლუციური პრაქტიკით და ამის გამო არ ატარებდა „წმინდა თეორიის“ დაღს. იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდა მარქსი თავის თეორიულ-მეცნიერული მუშაობის მჭიდროდ დაკავშირებას რევოლუციურ პრაქტიკასთან—მუშათა მოძრაობის ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელობასთან კაპიტალიზმის დასამხობად, ენგელსი წერს: „როგორც მეთქვამებტე საუკუნეში, ისე ჩვენ ქარიშხლიან დროშიაც წმინდა თეორეტიკოსები საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში მხოლოდ რეაქციის მხარეზე შერჩენ, სწორედ ამიტომ ეს ბატონები ნამდვილად სრულიადაც თეორეტიკოსები კი არ არიან, არამედ ამ რეაქციის უბრალო ამოლოგეტები. 1863 წ. და 1867 წელს

შუა მარქსმა არამც თუ შეადგინა შავად „კაპიტალის“ ორი ტომი და მოაწვდინა სასტამბოდ პირველი წიგნის ხელთნაწერი, არამედ ამასთანავე შეასრულა უზარმაზარი სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ინტერნაციონალური ასოციაციის დაარსებასა და გაფართოებასთან („კაპიტალის“ III ტომის წინასიტყვაობა, გამოც. 1932 წ., გვ. VIII). ასეთია მარქსი როგორც მეცნიერული სოციალიზმის შემოქმედი და მუშათა მოძრაობის რევოლუციური პრაქტიკოსი. ერთი მხრით კაპიტალიზმის თანამედროვე მდგომარეობა, და მეორე მხრით, ს.ს.რ. კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ადასტურებენ მარქსის თეორიული პროგნოზების სისწორესა და გენიალობას.

მარქსის „კაპიტალი“ და კაპიტალიზმის საზოგადოებრივი კრიზისი

როგორც უკვე აღვნიშნეთ მარქსის კვლევები „კაპიტალის“ საგანს ძირითადად წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური წესი. „ამ წარმოებაში, — წერდა იგი კაპიტალის პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში, — ჩემი გამოკვლევების საგანს წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი შესაფერი საწარმოო და ვაჭრობის ურთიერთობანი“ („კაპიტალი“, გამოც. 1931 წ., გვ. XIV). როდესაც აქედან გამოდინა, ძალაუნებურად გებადება კითხვა, თუ რამდენად წარმოადგენს კაპიტალიზმის ახლანდელი მდგომარეობა მარქსის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ შეხედულებათა განხორციელებას, ან სხვანაირად თუ ვიტყვი, მის მიერ აღმოჩენილ კაპიტალიზმის მოძრაობის ეკონომიურ კანონების საფუძველზე რამდენად სწორად შესძლო მან წინასწარ განეჭვრიტა და განესაზღვრა კაპიტალიზმის განვითარების მიმართულება და მისი ისტორიული ბედი. დიალექტიკური მატერიალიზმის ერთერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს ის დებულება, წამოყენებული მარქსის მიერ მის თეზისებში ფეიერბახის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ ქვეშარტების კრიტიკიუმს, ყოველგვარი აზროვნებისა და ყოველგვარი თეორიის სისწორისა და მეცნიერულობის კრიტიკიუმს პრაქტიკა წარმოადგენს. „საკითხი იმის შესახებ, — წერდა იგი — თანდაყოლილი აქვს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ქვეშარტება, სრულიადაც არ არის თეორიის საკითხი, არამედ პრაქტიკული საკითხია. პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს ადამიანი თავისი აზროვნების ქვეშარტება, ე. ი. სინამდვილე და ძალა, ამხრეობა. დავა პრაქტიკისაგან იზოლირებულ აზროვნების სინამდვილისა თუ არასინამდვილის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია“ („ლუდვიგ ფეიერბახი“, გამოც. 1931 წ. გვ. 84).

მარქსის ამ მითითების მიხედვით ყველა, ვისაც კი ზემოთ დასმულ კითხვაზე სურს პასუხის გაცემა, „კაპიტალის“ ძირითად იდეის შეფასებისას უნდა გამოდიოდეს, კაპიტალიზმის თანამედროვე მდგომარეობიდან, სწორედ ისევე როგორც საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებიდან, ვინაიდან მარქსმა „კაპიტალში“ მოგვცა წარმოების კაპიტალისტური წესის არა აღწერილობითი ახსნა-განმარტება, არამედ იგი გამოიკვლია დიალექტიკურ განვითარებაში და მოხაზა სოციალისტური წყობილების, როგორც კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებელი შედეგის, ძირითადი კონტურები.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ახლანდელი სინამდვილე მარქსის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში წამოყენებულ თეორიულ პროგნოზთა სრულ დადასტურებას წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავიგოთ ამ ძირითადი პროგნოზების რაობა, რადგან იგი მოკმეულია მარქსის მიერ, კერძოდ „კაპიტალში“.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ომის შემდგომი კაპიტალიზმის მდგომარეობის გაელენით თვით ბურჟუაზული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებიც კი იძულებული არიან აღიარონ მარქსის თეორიული პროგნოზების განხორციელება, გამართლება. მაგალითად, ცნობილია ბურჟუაზულმა ეკონომისტმა ვერნერ ზომბარტმა თავის დროზე დიდი ენერჯია მოანდომა მარქსის „გაბათილებას“, მაგრამ თანამედროვე კაპიტალიზმის სინამდვილე იმდენად შწევად მოქმედობს მასზე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილია, როგორც მარქსის მოწინააღმდეგე, ახლა მისთვის დამახასიათებელ თეორიულ თაღლითობით, აღიარებს, რომ მარქსის თეორიული პროგნოზები გამართლდა.

ზომბარტის გამოსვლამ 1929 წელს ბურჟუაზული პოლიტიკური ეკონომიის, ე. წ. „სოციალური პოლიტიკის კავშირის“ წარმომადგენელთა საერთაშორისო კონგრესზე დიდი „ოპოზიცია“ გამოიწვია ბურჟუაზული აზროვნების ყველაზე „შებლმაგარი“ იდიოტების მხრივ, რომლებიც შოაფლიო ეკონომიური კრიზისის დასაწყისში ამტკიცებდნენ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის სიმტკიცეს და მის მუდმივ აყვავებას. ზომბარტი რამდენიმედ პესიმისტურად აფასებდა ომის შემდგომს კაპიტალიზმის ბედს და თავის საბოლოო სიტყვაში იძულებული იყო გამოსულიყო შემდეგი მკაცრი განცხადებით თავის ოპონენტ ბურჟუაზული ეკონომისტების საპასუხოდ: „... სამწუხაროდ მე არ შემძლია უარვყო ჩემი მტკიცება და ჩემი თეზისები, საერთოდ მე არ მსურს ვიცოცხო ორმოცდათი—ასი წლის შემდეგ. მაგრამ მე სიამოვნებით დავთანხმდებოდი ამას იმის გასაგებათ, თუ რას იტყვიან ასი წლის შემდეგ სადოკტორო დისერტაციებში დღევანდელი კრების შესახებ, რომელი ჩვენგანი დარჩება გასულელებული, აღმოჩნდება თუ არა რომ ზომბარტი იყო ნამდვილი ვირი, მისი პროგნოზები იყო არასწორი, ყველაფერი არასწორი იყო, თუ იგივე იქნება ნათქვამი ჩემ მოწინააღმდეგეთა შესახებ.“

თუ 70—80 წლის შემდეგ იმისგან, რაც მე დღეს ვილაპარაკე, ასრულდება პროგნოზების იმდენივე ნაწილი, რამდენიც უკვე შესრულდა და უკვე აღიარებულია სწორად მარქსის მიერ 70—80 წლის წინათ გაკეთებული პროგნოზებიდან, მე მართლაც მოხარული ვიქნებოდი“ (კრებ. „ბურჟუაზული მეცნიერნი კაპიტალიზმის დასასრულის შესახებ“, გამოც. 1929 წ. გვ. 90).

ამ სიტყვებში ზომბარტმა უძველად გამოსახა ბურჟუაზიის დაცემულობის განწყობილებანი, რაც კაპიტალიზმის დასასრულის, მისი მოძრაობის ქვეშევალ ბაზის გამოხატულებას წარმოადგენს. ამით და მხოლოდ ამით არის გამოწვეული ზომბარტის „კომპლიმენტები“ მარქსის მიმართ, რომელიც სხვათა შორის სრულიად არ საჭიროებს ამ „კომპლიმენტებს“. კაპიტალიზმის შეფასებაში ზომბარტმა შესძლო თავის კოლეგებზე მაღლა დადგომა, მაგრამ გასაგები კლა-

სობრივი მოტივების გამო მას არ ეყო გამბედაობა გაეკეთებინა ანუილებელი დასკვნები კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვის შესახებ და ცდილობს ინუგეზოს თავი და ანუგეზოს ბურჟუაზია თანამედროვე კავშირებში მოდიფიკაციით და სხვა ამგვარი ზღაპრებით. მაშასადამე, ზამბარტს მისცეს ურად ესმის მარქსის თეორიული პროგნოზების განხორციელება. იგი ცდილობს მარქსი გახადოს „კეთილ“ ეკონომისტად, რომელიც სწორად ხედავდა კაპიტალიზმის განვითარების მიმართულებას მისი ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის ხაზით და უარჰყოფს მარქსის პოლიტიკური ეკონომიის ძირითად რევოლუციურ კლასობრივ რაობას, რაც გამოიხატება პროლეტარული რევოლუციის შეოხებით კაპიტალიზმის აუცილებელი დამხობის კანონის, მისი აუცილებელი დაღუპვის კანონის დასაბუთებაში.

მარქსის „კაპიტალის“ ძირითად იდეას, მის ძირითად რევოლუციურ დასკვნას წარმოადგენს, რევოლუციური გზით, კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციის საშუალებით კაპიტალიზმის აუცილებელი დამხობის კანონის აღმოჩენა და დასაბუთება. მარქსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წამოყენებულმა დებულებამ კაპიტალიზმის წარმავალი ხასიათის, მისი აუცილებელი დაღუპვის შესახებ, შემდგომი თავის დასაბუთება პპოვა „კაპიტალიზმი“. კაპიტალის პირველი ტომის ერთერთ ნაწილში „კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია“—მარქსმა მოგვცა თავისი საბოლოო ფორმულა კაპიტალიზმის ისტორიული საზღვრის, მისი აუცილებელი დამხობის შესახებ: „კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბოკილება, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით მიიღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიაციორები ექსპროპრიაციკმნილი ხდებიან“ („კაპიტალი“, გამოც. 1931 წ., გვ. 613). ასეთია ის საბოლოო დასკვნა, რომელსაც მიიღწია მარქსმა წარმოების კაპიტალისტური წესის ბუნებია ეკონომიურ გამოკლევათა შედეგად, ეს დასკვნა მარტო „კაპიტალის“ პირველ ტომს როდი ეხება. იგი საერთო დასკვნაა ყველა შემდგომი ტომებისა, რომლებშიაც მან მიიღო შემდგომი თეორიული დასაბუთება. დასახლებული ადგილი „კაპიტალის“ პირველი ტომიდან და მესამე ტომის ასევე ცნობილი შეხუთებეტ თავი ერთ ოგანიულ ერთეულს მთელს წარმოადგემს, ისე როგორც „კაპიტალის“ ყველა ტომები ყველა თავისი ნაწილებით. „კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციიდან“ კაპიტალიზმის დამხობის შესახებ მოყვანილი ადგილი რომ მარქსის საერთო დასკვნაა, ამის შესახებ ის წერს „Отечественные записки“-ს რედაქციას, 1877 წ. „თავის დასასრულში, —წერს იქ მარქსი,—მე ვიხილავ კაპიტალისტური დაგროვების ისტორიულ მიმართულებას, და ვამტკიცებ, რომ მისი უკანასკნელი სიტყვა—ეს კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოებრივად გარდაქმნაა. ამ ადგილას მე არ მომიყვანია ამ დებულების არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით ეს დებულება სხვა არა არის რა, თუ არა მოკლე საერთო დასკვნა იმ ვრცელი მსჯელობიდან, რომელიც მოთავსებუ-

ლია თავებში კაპიტალისტურ წარმოების შესახებ“ (წერილები „აღმოსავლეთის რევოლუციით, გამოც. 1932 წ., გვ. 310).

ამრიგად მარქსის „კაპიტალის“ საერთო დასკვნას წარმოადგენს დასკვნა კაპიტალიზმის რევოლუციური დამბობის აუცილებლობის შესახებ, მისი შემდეგ წინ გვრჩება განვიხილოთ, თუ რაში ხედავდა მარქსი კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვის მიზეზს, როგორია წარმოების კაპიტალისტური წესის ის შინაგანი ეკონომიური კანონი, რომელიც მან აღმოაჩინა და რომლის მოქმედებასაც კაპიტალიზმი აუცილებელ დამბობამდე მიჰყავს. ეს კანონია კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობის საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის კანონი. მარქსი სწორედ იმიტომ იყო მატერიალისტური დიალექტიკის შემომქმედი, რომ მოძრაობისა და განვითარების წყაროს ეძებდა არა მოვლენათა გარეშე, არამედ თვით მოვლენებში. ამიტომ ამ თვალსაზრისით მიუდგარა კაპიტალიზმის ისტორიული ბედის გამოკვლევას, მან აღმოაჩინა მისი წინააღმდეგობითი ხასიათი, ნათელყო თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს წინააღმდეგობა და საით მიყავს მას კაპიტალიზმი.

მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის თვალსაზრისით, კაპიტალიზმის ძირითად შინაგან წინააღმდეგობას, რაც იმანენტურად თანდაყოლილი აქვს მას, წარმოადგენს წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის. რომლის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და კაპიტალიზმს შორის და ამ ნიადაგზე აღმოცენებული კლასობრივი ბრძოლა.

კაპიტალიზმის ყველა დანარჩენი წინააღმდეგობა მარქსის მიხედვით ამ ძირითადი წინააღმდეგობისგან გამომდინარე, მისი გამოვლინების კონკრეტული ფორმებია. საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის აღიარება ძირითადად და კაპიტალიზმის ისტორიული მიჯნის განმსაზღვრელად, წარმოადგენს მარქსის პოლიტიკური ეკონომიის გამოსავალ პუნქტს, მარქსის ყველა ეკონომიური ნაშრომი, კერძოდ „კაპიტალის“ ყველა ტომი შლის ჩვენს წინაშე ამ წინააღმდეგობის ყველა საიდუმლოებას, გვიჩვენებს მას მისი გამოვლინების ყველა კონკრეტულ ფორმაში. მარქსის მიერ მოცემული ფორმულა ამ კანონისა ასეთია: „წინააღმდეგობა საერთო საზოგადოებრივ ძალასა, და წარმოების ამ საზოგადოებრივ პირობებზე ცალკე კაპიტალისტების ძალაუფლებას შორის სულ უფრო მეტად ვითარდება მყვირალა წინააღმდეგობად და თავისთავში ატარებს ამ ურთიერთობის გადაჭრას, რადგან იგი ამასთანავე ერთად გულისხმობს წარმოების პირობების გამომუშავებას წარმოების საყოველთაო, კოლექტიურ, საზოგადოებრივ პირობებად“ („კაპიტალი“, ტ. III, გამოც. 1932 წ., გვ. 182—183).

წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის კაპიტალიზმის განუშორებელი თვისებაა, მისი ძირითადი არსობის გამომხატველი. კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელია ამ წინააღმდეგობის გარეშე. ჰეგელია. ამბობდა, წაართვით საგანს მისი არსებითი თვისებრივი განსაზღვრანი და

იგი ერთბაშად შეიცვლება, ის აღარ იქნება ის, რაც არის სინამდვილეში, იგივე უნდა ითქვას კაპიტალიზმის აღნიშნულ წინააღმდეგობაზეც. კაპიტალიზმის თვალსაზრისით, კაპიტალიზმის ეს დიალექტიკური კემარეველი, კემარეველი წინააღმდეგობა და გაზობატეს მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსე მა. მათ შეცნობრულად დაასაბუთეს ის ფაქტი, რომ წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწა-მოო ურთერთობებს შორის გადაუტყვლია კაპიტალიზმის ფარგლებში, ვინაიდან მისი გადაჭრა, მოსპობა იგივეა, რაც თვით კაპიტალიზმის მოსპობა უარყოფა. „კაპიტალიზმი აღნიშნულ წინააღმდეგობათან ერთად იშვა და მოისპობა მის გადაჭრასთან ერთად“ მარქსს ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც კაპიტალიზმის ამ ძირითად წინააღმდეგობას ახასიათებდა, როგორც მის შინაგანს, იმანენტურად თანდაყოლილ წინააღმდეგობას, და არა ისეთ რალაკს, რაც კაპიტალისტური წარმოების გარეშე და წარმოადგენს მისთვის რალაც შემთხვევითს, და არა აუცილებელს.

ენგელსმა „ანტი-დიურინგში“ (თავი — „იერიის მიმოხილვა“), რომლის შეახებაც აღნიშნული ნაშრომის წინასიტყვაობაში თვითონ ის ამბობდა, რომ „...მასში გადმოცემულია იმ თვალსაზრისის ძირეული პუნქტი, რომელსაც მე ვიცაე“, მოვეცა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობის გაშლილი დახასიათება, იმ წინააღმდეგობის, რომლის მოქმედება აუცილებლობით იწვევს კაპიტალიზმის გადასვლას თავის უშუალო უარყოფაში. „...ახალი საწარმოო ძალები, — წერს იგი, — გადაეზარდენ მათი ექსპლოატაციის ბურჟუაზიულ ფორმებს. ეს წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოების წესს შორის ადამიანების მიერ გამოგონილი როდია... არამედ არსებობს სინამდვილეში, ობიექტიურად ჩვენს გარეშე... საზოგადოებრივი შრომის პროდუქტების მითვისება დაიწყეს არა იმათ, ვინც მისი იარაღების შემწეობით მუშაობდა და მისი პროდუქტების ნამდვილი მწარმოებელი იყო, არამედ კაპიტალისტებმა. საწარმოო საშუალებანი და თვით წარმოება თავის არსებით საზოგადოებრივი გახდა, მაგრამ ისინი დაუქვემდებარეს მითვისების ფორმს, რომელიც ეყრდნობა კერძო ცალკეულ წარმოებას, რაც იმ დროის დამახასიათებელია, როდესაც თვითეული ფლობდა თავის საკუთარ პროდუქტს და თვითონ გამოქონდა იგი ბაზარზე. წარმოების ახალი ფორმა დაემორჩილა მითვისების ძველ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დაანგრია მისი საფუძვლები. ეს წინააღმდეგობა, რომელმაც წარმოების ახალ წესს კაპიტალისტური ხასიათი მისცა, შეიცავდა ყველა თანამედროვე წინააღმდეგობის ჩანასახს“ („ანტი-დიურინგი“, გამოც. 1928 წ., გვ. 253-4). ძნელი არ არის იმის დახატვა, რომ ენგელსისათვის, ისე როგორც მარქსისათვის, წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობათა შორის წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს წარმოების კაპიტალისტურ ხასიათს და რომელიც წარმოების ამ წესის დამახასიათებელ ყველა დანარჩენ წინააღმდეგობათა მტარებელი და წყაროა.

მარქსის ბურჟუაზულ კრიტიკოსებს და ცრუმარქსისტებს მეტისმეტად ვიწროდ და შეზღუდულად ესმით კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებ-

რევი ხასიათი. მათი აზრით შრომის საზოგადოებრივი ხასიათი გამოიხატება შოლოდ იმაში, რომ ნაცვლად დაქუცმაცებული წვრილი წარმოებისა, რაც დამახასიათებელია მარტოვე საქონლის მეურნეობისათვის, გამოდის მსხვილი კაპიტალისტური ფაბრიკები, რომელნიც ერთი სახურავის ქვეშ აერთიანებენ შრავალ მუშას. კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გასაგებად ცხადია ასეთი მიდგომის კლასობრივ-პოლიტიკური მიზანი. ეს მიზანია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის მიჩქმავლის მისწრაფება, რომ ამით უჩვენონ კაპიტალიზმის დამხოვის მარქსის თეორიის მეცნიერული დაუსაბუთებლობა და დადასტურონ კაპიტალიზმის არსებობის სიმტკიცე და ურყევლობა. მაგრამ ბურჟუაზულმა კრიტიკამ ვერ მოახერხა თავისი მიზნის მიღწევა. წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობით ხასიათი შეტისმეტად თვალსაჩინო ფაქტი გახდა. ენგელსი, ხსნიდა რა საკითხს იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი, უფრო სწორად—წინააღმდეგობა შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და კაპიტალისტურ, კერძო მითვისებას შორის, მიუთითებდა, რომ იგი მელანდებდა... „მწარმოებლის საწარმოო საშუალებათაგან ჩამოშორებაში. მუშის განწირვა მთელ თავის სიცოცხლეში დაქირავებული შრომისათვის. წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის... წინააღმდეგობა თვითიველ ცალკე ფაბრიკაში საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და წარმოების საერთო მსვლელობაში საზოგადოებრივ ანარქიას შორის“ (იქვე, გვ. 267).

რეფორმისტულ ლაყბობას ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შერიგების შესაძლებლობაზე, კაპიტალისტური წარმოების ანარქიის მოსპობაზე, კრიზისების მოსპობაზე და სხვ. არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს, რამდენადაც ყველა ეს წინააღმდეგობა—კაპიტალიზმის ძირითადი არსობის, მისი ძირითადი წინააღმდეგობის—საწარმოო ძალეხსა და კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობებს შორის არსებულ წინააღმდეგობის გამოხატულებას, კონკრეტულ გამოვლენას წარმოადგენს.

ბურჟუაზულ, წერილობურუაზულ და სოციალ-ფაშისტურ ეკონომისტების ცდებს, (დამტკიცებიათ ეკონომიური კრიზისების წარმოების შემოხვევითი ხასიათი და შეედგინათ მათი მომსპობი ან შემაუსტებელი რეცეპტი, არ მოუკია და არც შეუძლოა მოეცა რაინე შედეგო, თუ შედეგობაში არ მივიღებთ ამ საკითხში შექმნილ არეც დარეყას. კრიზისების ახსნა წარმოების ანარქიით, დისპროპორცილობით მრეწველობის ცალკე დარგებს შორის და მსებების არასაკმაო მომარებით ვერ არკვევს კრიზისების ძირითად მუდმივიდ მომქმედ მიზეხს, ამ მიზანს ვერ აღწევს ზეპოაღნიშნულ მოვლენებზე მითითება, როდესაც მათ იღებენ ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად, და, რაც უმთავრესია, კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობასთან კავშირის გარეშე, როგორც კრიზისის დამოუკიდებელ გამომწვევ ფაქტორებს. დამახასიათებელია, რომ კ. კაუცკიმ თავის ნაშრომში „კრიზისების თეორია“ 1902 წელს, ე. ი. თავის პოლ-ტეკური სიცოცხლის შედარებით ჯერ კიდევ საუკეთესო ეპოს, გამომჟღავნა კრიზისების შესახებ მარქსის მოძღვრების სრული გაუგებლობა ან გაგების მოუძღომებლობა.

მაშინდელი კაუკკი, რომელიც ყოველ შემთხვევაში სიტყვიერად აღიარებდა კრიზისების აუცილებლობას, მათ გამოიწვევ მიზეზად ასახელებდა: „მასების არა საკმაო მოხმარებას, თავისთავად აღებულს, კაპიტალიზმის სპონტანურ წინააღმდეგობისგან დამოუკიდებლად, რომლის გამოხატულებასაც იგი წარმოადგენს და რომელიც მარქსის თვალსაზრისით, ჰქმნის კაპიტალიზმის დროს კრიზისების აუცილებლობის და მოუსპობლობის პირობებს.“

„...მასების არა საკმაო მოხმარება, — წერდა ენგელსი, — წარმოადგენს კრიზისების ერთ-ერთ პირობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვირკვევს ჩვენ ამჟამად კრიზისების არსებობის მიზეზებს, როგორც იმას, თუ რატომ არ იყვნენ ისინი წინათ“ (იქვე, გვ. 272).

მხოლოდ მარქსმა შესძლო კრიზისების ნამდვილი მიზეზის ახსნა. მხოლოდ მან მისცა სწორი მეცნიერული დასაბუთება კაპიტალიზმის დროს კრიზისების პერიოდულობის აუცილებლობას. კაპიტალიზმის მოძრაობის ისტორიამ მარქსის შემდეგაც მთლიანად და სავსებით დაადასტურა პერიოდული კრიზისების მარქსისტული თეორიის სისწორე.

პირველი სამრეწველო კრიზისიდან მოყოლებული, რასაც ადგილი ჰქონდა 1825 წელს, დღემდე კრიზისები უფრო მეტი და მეტი ძალით მეორდება. მარქსისთვის პერიოდული სამრეწველო კრიზისები წარმოების კაპიტალისტური წესის უნიადაგობის, მისი ისტორიულ-წარმავლობითი ხასიათის მაჩვენებელია. კრიზისები ადასტურებს კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობას და ხელს უწყობს მისი რევოლუციური დამობის მოახლოებას. ამ მარჯვ მათ უძველესად აქვო რევოლუციური მნიშვნელობა, რამდენადაც კრიზისების დროს მშრომელთა ფართო მასები კიდევ უფრო აქტიური ხდებიან, შესაძლებლობა აქვთ რა თვალნათლივ დარწმუნდნენ კაპიტალიზმის არსებობის უნიადაგობაში, იმაში, რომ შეუძლებელია და დაუშვებელი კვლავაც კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტად დარჩენა. ეკონომიური კრიზისების მთელი სიმძიმე მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას აწვება; კაპიტალისტები ყოველ ასეთ შემთხვევაში კრიზისიდან გამოსავალს მათ ხარჯზე ეძებენ. მწვავედება კლასობრივი ბრძოლა. პროლეტარიატი ადგება კრიზისიდან რევოლუციური გამოსავლის გზას. ხდება ეკონომიური კრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდა. მაგრამ კრიზისები გამარჯვოლუკონერებელ მოქმედებას ახდენს არა მარტო მშრომელთა მასებზე, არამედ საზოგადოების საშუალო ფენებზედაც. კრიზისების დროს ხდება ეკონომიური ცხოვრების მოდუნება. წარმოება მცირდება. იზრდება უმუშევრობა. ვაჭრობა ეცემა. ბურჟუაზული ეკონომისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ საკრედიტო სისტემაზე კრიზისების მოსპობის საქმეში, მაგრამ, როგორც ამას მარქსი ამტკიცებდა, აღმოჩნდა, რომ კრედიტები სულ საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. ისინი კიდევ უფრო ართულებენ კრიზისების პირობებს. კრიზისების დროს სუსტი კაპიტალისტები იღუპებიან. წარმოების ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესი ძლიერდება. ყოველი კრიზისი იძლევა იმ პირობების გაფართოებულ რეპროდუქციას, რომლებიც საფუძველად უდევს მას. ამის ძალით ყოველი შემდგომი კრიზისი უფრო მძიმეა და ძლიერი.

კაუცკის „დაავიწყდა“, რომ მარქსი კრიზისების მიზეზებს საწარმოო პროცესის გარეშე კი არ ეძებდა ბურჟუაზულ და წვრილ ბურჟუაზულ კაპიტალიზმში, არამედ მათ თვით წარმოებაში პოულობდა. კაუცკის თეორია საფუძვლად ედვას გარეშე და არა თვით კაპიტალიზმის წარმოების შინაგანი პირობები, მაშინ საესებით შესაძლებელი იქნებოდა მათი მოსპობა, კრიზისების შეუძლებლად გადაქცევა, რადგან გარეშე მიზეზები ედვილი მოსასპობია. მაშინ როდესაც კაპიტალიზმის წარმოების შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც საფუძვლად უდევს კრიზისებს, თვით კაპიტალიზმის არსებობასთან არის დაკავშირებული. მისი მოსპობა კი თვით კაპიტალიზმის მოსპობას ნიშნავს.

წინააღმდეგ კაუცკის მტკიცებისა კრიზისები არის შედეგი კაპიტალიზმის ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობისა, წინააღმდეგობისა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის. კრიზისები ყველაზე აშკარად ხდის კაპიტალიზმის წინააღმდეგობით ბუნებას. მათში იკრებს თავს მისი წინააღმდეგობითი ბუნების ყველა ძაფი. კრიზისები კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ძალდატანებით და დროებით გადაჭრას წარმოადგენს იმისათვის, რომ კვლავ მოამზადოს პირობები კრიზისებისთვის უფრო მეტად გაფართოებულ საფუძველზე.

იმის შესახებ, რომ კრიზისი კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობის შედეგია და მისი ისტორიულად წარმავალი ხასიათის მაჩვენებელი, მარქსი შემდეგს წერს: „წინააღმდეგობით აღსავსე მოძრაობა კაპიტალიზმის საზოგადოებისა ყველაზე ძალიან აგრძნობინებს თავის თავს პრაქტიკოს - ბურჟუას იმ პერიოდული ციკლის მერყეობაში, რომელსაც განიცდის ანამედროვე მუშევრობა და რომლის უმაღლეს წერტილს საყოველთაო კრიზისი წარმოადგენს“. („კაპიტალი“ ტ. I, გამოც. 1931 წ. გვ. XXIII).

ლენინმა და შემდეგ ამხ. სტალინმა, რომლებმაც განავითარეს მარქს ენგელსის შეხედულება კრიზისებზე, როგორც კაპიტალიზმის შინაგანი ძირითადი წინააღმდეგობის შედეგზე, კრიზისების მარქსისტული თეორიის შესანიშნავი ფორმულა მოგვცეს, შემდგომ განავითარეს რ. იგი კაპიტალიზმის განვითარების ახალ პერიოდთან, იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმურ სისტემის საყოველთაო კრიზისის პერიოდთან შეფარდებით. ლენინმა ამხილა წერილობრივად ეკონომიური რომანტიზმი და მარქს-ენგელსის მოძღვრების საფუძველზე დაამტკიცა, რომ კრიზისებს საფუძვლად უდევს არა არასაკმაო მოხმარება აღებული თავისთავად, წარმოებასთან კავშირის გარეშე, არამედ თვით ეს უკანასკნელი, რომლის მიმართაც მოხმარება შემადგენელ მომენტს წარმოადგენს.

მასების არასაკმაო მოხმარება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება რა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, მუდმივი კაპიტალის ზრდასთან ერთად ცვალებად კაპიტალის შემცირების ხარჯზე, ნამდვილად აჩქარებს კრიზისს, მაგრამ იგი ხსენ არა არის რა, თუ არა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მოქმედების კონკრეტული გამოვლენა, წინააღმდეგობისა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რა ურთიერთობაში იხილავდა მარქსი მასების არასაკმაო მოხმარებას კრიზისის მიზეზად, ხოლო აქ მოვიყვანთ ლენინის და სტალინის შეხედულებებს კრიზისების მიზეზებზე. აკრიტიკებდა რა სისმონდისა და მის რუს მიმდევრების წერილ-

ბურჟუაზულ თეორიას, ლენინი თავის ნაშრომში „ეკონომიური კრიზისის კრიტიკისათვის“ წერდა: „კრიზისების ორი თეორია, რომელთა შორისაც ჩვენ ვლამპრაკობთ, მათ სრულიად სხვადასხვაგვარად ხსნის. პირველი თეორია მათ ხსნის წინააღმდეგობით წარმოებას და მუშათა კლასის მოხმარებას შორის, მეორე წინააღმდეგობით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის... მაგრამ ისევეა კითხვა: უარყოფს თუ არა მეორე თეორია წარმოებასა და მოხმარებას შორის წინააღმდეგობის ფაქტს, არასაკმაო მოხმარების ფაქტს? რასაკვირველია, არა. იგი სავსებით სცნობს ამ ფაქტს, მაგრამ უჩინს მას შესაფერ, დაქვემდებარებულ ადგილს. იგი გვასწავლის, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია ახსნას კრიზისები, რომელთაც იწვევს მეორე უფრო ღრმა, ძირითადი წინააღმდეგობა თანამედროვე სამეურნეო სისტემისა, სახელდობრ წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის“ (ლენინი, ტ. II, გამოც. მესამე, გვ. 37).

ლენინი, როგორც დიალექტიკოსი, მოხმარებას იღებდა წარმოებასთან კავშირში, იხილავდა რა მასების არასაკმაო მოხმარებას კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლინების კონკრეტულ ფორმად და ამ თვალსაზრისით უდგებოდა კრიზისების ახსნას, მაშინ როდესაც კაუცკი, როგორც იყო აღნიშნული, წვრილბურჟუაზული ეკონომისტების მსგავსად კრიზისის მიზეზად თვლიდა არასაკმაო მოხმარებას, თვით წარმოებისაგან მოწყვეტილს, რათა ამით დაემტკიცებია კრიზისების მოსპობის შესაძლებლობა კაპიტალიზმის მოუსპობლად. ასეთია კრიზისების კაუცკის თეორიის პოლიტიკური მოტივი, რასაც მჭერმეტყველურად ადასტურებს მისი ახლანდელი სოციალ-ფაშისტური პოზიცია, რომელიც იქით არის მიმართული, რომ კაპიტალიზმი იხსნას მისი საფუძვლების მღრღნელ საყოველთაო კრიზისისგან. კაუცკი არ იზოგავს თავს, რომ გამოიმუშაოს კრიზისიდან ბურჟუაზიული რეფორმისტული გამოსავალის პროექტი, კაპიტალიზმის ხსნის პროექტი, მაგრამ არავითარ მის ცდას, ისე როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტების ცდას, არ ძალუძს გადაარჩინოს კაპიტალიზმი საყოველთაო კრიზისიდან, რომელიც უშუალოდ აყენებს საკითხს კაპიტალიზმის აუცილებელი დამშობას შესახებ.

ანალიზს უკეთებდა რა კაპიტალიზმის თანამედროვე საყოველთაო კრიზისს, ამბ. სტალინი, მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უერთგულესი მიმდევარი და განმკრძობი, ცენტ. კომიტეტის პოლიტანგარიში პარტიის XVI ყრილობაზე აღნიშნავდა: „... სადა არის კრიზისის მიზეზი, რაშია მისი საფუძვლები, როგორ უნდა სწარმოებდეს ბრძოლა მის წინააღმდეგ, როგორ უნდა მოიხსოს იგი. ივანებენ კრიზისის სულ სხვადასხვაგვარ „თეორიებს“. აყენებენ კრიზისის „შერბილებებს“, „წინასწარ თავიდან აშორების“, „ლიკვიდაციის“ მთელ პროექტებს... გასაგებია, რომ ყველა ამ თეორიასა და პროექტს არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერებასთან. უნდა ვიღიაროთ, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები სრული ბანკროტები აღმოჩნდნენ კრიზისის წინაშე... ეს ბატონები ივიწყებენ, რომ ეკონომიური კრიზისები კაპიტალიზმის აუცილებელი შედეგია. ეს ბატონები ივიწყებენ, რომ კრიზისები წარმოიშვენ კაპიტალიზმის ბატონობის წარმოშობასთან ერთად... კრიზისის საფუძველი ძვეს წინააღმდეგობაში წარმო-

ების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისებას კაპიტალისტურ ფორმას შორის. კრიზისების მოსპობისათვის საჭიროა კაპიტალიზმის მოსპობა* („ლენინიზმის საკითხები“, გამოც. 9, გვ. 491, 492).

ბურჟუაზულ და სოციალ ფაშისტური ეკონომისტების გაკოტრების მიზეზია მათი კლასობრივი დაინტერესება კაპიტალიზმის მარადიულ აარსებობით, მისწრაფება რათაც არ უნდა დაჯდეს დაამტკიცონ კრიზისების მოსპობის შესაძლებლობა. ამიტომ მათ არ ძალუძთ თავისი დებულების მეცნიერული დასაბუთების მოცემა. მეცნიერება არის შეცნობილი სინამდვილე, იგი ადამიანის პრაქტიკის გამოხატულებაა. მაგრამ რამდენადაც სინამდვილე არ ეთანხმება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, მისი წარმომადგენლები სტოვებენ მეცნიერულ თვალსაზრისს და მიმართავენ ყოველგვარ გამოგონებას დრომოკმულ კაპიტალისტური წყობილების არსებობის გასაპართლებლად. მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ აიღო პოლიტიკური ხელისუფლება, მან დაჰკარგა მეცნიერებისადმი სწრაფვა, ვინაიდან მეცნიერების საგანი სასტიკ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მისი კლასობრივი ბატონობის მიმართ. ამის შემდეგ „... დაჰკრა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სასიკვდილო ზარმა. ამიერიდან ბურჟუაზიული ეკონომისტისთვის საკითხი ის კი არაა, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის თეორემა, არამედ—სასარგებლოა იგი კაპიტალისტისთვის თუ საზარალო, ვარგისია მისთვის თუ უვარგისია, შეეფერება პოლიტიკურ მოსაზრებებს თუ არა... რამდენადაც ასეთი კრიტიკა წარმოადგენს საზოგადოდ ერთ რომელსამე კლასს, იგი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმ კლასს, რომლის ისტორიულ მოწოდებასაც წარმოების კაპიტალისტური წესის გარდაქმნა და კლასთა მოსპობა შეადგენს, ე. ი. პროლეტარიატს“ (კ. მარქსი, „კაპიტალი“ ტ. I, გვ. XIX, XX). მარქსმა, როგორც ამ კლასის წარმომადგენელმა, მისმა მასწავლებელმა და ბელადმა ადვილად შესძლო წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობითი არსობის გამოამჟღავნება და მისი ისტორიული მიჯნის განსაზღვრა.

მარქსმა დიალექტიკურად დასაბუთა პერიოდული კრიზისების აუცილებლობა. მან ხათელპყო, თუ როგორ, მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათებელ რომელ პირობათა ძალით იქცევიან კრიზისები, როგორც წარმოების ამ წესის წინააღმდეგობითი ბუნების ყველაზე მკაფიო მაჩვენებლები, როგორც კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვის მაჩვენებლები, შესაძლებლობიდან მარტივი საქონლის მეურნეობის დროს, სინამდვილედ კაპიტალიზმის დროს.

კრიზისის შესაძლებლობა ჩამარბულია თვით საქონელში, რამდენადაც იგი წარმოადგენს წინააღმდეგობათა კონკრეტულ ერთიანობას, სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულის მატარებელს. მაგრამ მარტივ საქონლის მეურნეობის პირობებში კრიზისის ეს შესაძლებლობა, მასისადამე, თვით საქონლის წინააღმდეგობითი ბუნებით განპირობებული მუდამ მხოლოდ შესაძლებლობად რჩება, არასოდეს არ იქცევა რა რეალობად. მარქსი მიუთითებდა პროდუქტის საქონლის ფორმის წინააღმდეგობით ბუნებაზე და წერდა: „...ეს იმანენტური წინააღმდეგობა საქონლის მეტამორფოზის წინააღმდეგობებში პოულობს თავისი მოძრაობის განვითარებულ ფორმებს. ამნაირად ეს ფორმები შეიცავენ კრიზისის შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა რომ

სინამდვილედ იქცეს, ამისათვის საჭიროა მთელი რიგი გარემოებანი რომელიც ჯერ კიდევ სრულიად არ მოიპოვება მარტივი საქონლის მიმოქცევის ფარგლებში“ („კაპიტალი“ ტ. I, გვ. 65). მარქსის ამ დებულებასთან შეესაბამებოდ გამომდინარეობს ერთადერთი სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ საქონლის აბსიათებს მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმს და წარმოადგენს: „...არსებულ წინააღმდეგობათა მხოლოდ დროებით ძალდატანებით გადაჭრას, ძალდატანებით აფეთქებებს, რომლებიც ერთი წუთით ილაღჯენენ ხოლმე დარღვეულ წონასწორობას“ („კაპიტალი“ ტ. III, გვ. 171).

მარქსმა გვიჩვენა თუ რა წინააღმდეგობითი პირობებშია ძალით ხდება აუცილებელი კრიზისები კაპიტალიზმის დროს. ამასთან დაკავშირებით მარქსი „კაპიტალი“ შლის მკითხველის წინაშე კაპიტალის მოძრაობის მთელ რიგ წინააღმდეგობით ფორმებს. კაპიტალის მოძრაობის ამ წინააღმდეგობითი ფორმების ლოგიკური გამოკვლევა ემთხვევა მათ ისტორიულ აღმოცენებას. მარქსი თავის გამოკვლევას აწარმოებს აბსტრაქტულიდან, ე. ი. კაპიტალის მოძრაობის-თავის შინაარსითა და განსაზღვრით-ყველაზე ლარები ფორმებიდან კონკრეტულისაკენ, ე. ი. კაპიტალის მოძრაობის—თავის რეალური შინაარსით—ყველაზე მდიდარ ფორმებისაკენ, ამიტომ კაპიტალის მოძრაობის თვითეული შემდგომი ფორმა შეიცავს წინამორბედ ფორმას. წინააღმდეგობებმა წარმოებასა და მიმოქცევის შორის, მთლიანად აღებულ წარმოების ანარქიასა და ცალკე საწარმოებში შრომის ორგანიზაციას შორის, წარმოების ცალკე დარგებს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, წარმოებასა და წარმოებული საქონლის რეალიზაციის პირობებს შორის, წარმოებასა და მოხმარებას შორის, საზოგადოების ერთი უმნიშვნელო ნაწილის მხარეზე უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვებასა და მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობის უსაზღვრო სიღატაკეს შორის, კლასობრივმა ბრძოლამ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და სხვ., რაც წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მოქმედების გამოვლენას, წინააღმდეგობისა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის—ყველა ამ წინააღმდეგობამ კრიზისები შესაძლებლობიდან აუცილებლობად გადააქცია. ჩამოთვლილი წინააღმდეგობანი, წარმოადგენენ რა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლინების კონკრეტულ ფორმებს, თვითეული ცალკეულ ხელს უწყობს კრიზისების აღმოცენებას, ერთად აღებული ყველა ისინი განაპირობებენ შის აუცილებლობას. მარქსი „კაპიტალი“ თანმიმდევრობით არკვევს კაპიტალისტური სისტემის თვითეული ამ წინააღმდეგობის ხასიათს, გვიჩვენებს რა ამით მათი მოქმედების ძალას, თვით კაპიტალიზმის არსებობის წინააღმდეგ მიმართულს. აღნიშნულ წინააღმდეგობათა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მკიდროთ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან ტ რომლებიც განპირობებული არიან კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობით, მარქსმა გამოაშკარადა კაპიტალის ტური სისტემის მთელი წინააღმდეგობითი ბუნება. ამას მკაფიოდ მოწმობს მარქსის მიერ აღმოჩენილი და მეცნიერულად დასაბუთებული კაპიტალისტური დაგროვების შინაგანი წინააღმდეგობის კანონი, კანონი მოგების ნორმის ტენდენციისა შემცირებისაკენ. აქ მარქსმა ახსნა იმ მოჯადოებულ

წრეს რაობა, რომელშიაც შედის კაპიტალიზმი თავის ისტორიული განვითარების დროს და საიდანაც მისთვის გამოსავალი არ არსებობს, თუ შევიდეთ იქნებაში არ შევიდეთ მის აუცილებელ დამხობას პროლეტარული რევოლუციის გზით. ერთ-ერთ თავში — „კანონის შინაგან წინააღმდეგობათა განვითარება“ — მარქსმა მოგვცა კაპიტალიზმის ისტორიული მიჯნის განსაზღვრა, რომელსაც კაპიტალიზმი ვერ გადალახავს ისე, თუ არა თავისთავის უარყოფის გზით. „კაპიტალისტური წარმოების ნაბეჭდი საზღვარი, — წერს მარქსი, — თვითონ კაპიტალია, ეს ნიშნავს: კაპიტალი და მისი ღირებულების თვითზრდა წარმოადგენს წარმოების გამო-სავალ და საბოლოო პუნქტს, მოტივსა და მიზანს; წარმოება ირის მხოლოდ წარმოება კაპიტალისათვის და არა პირიქით: სეწარმოო საშუალებანი არ წარმოადგენენ უბრალო საშუალებებს მწარმოებელთა საზოგადოების სასიცოცხლო პროცესის მუდმივი გაუარათობისათვის“ („კაპიტალი“, ტ. III გვ. 171—2). წარმოება დაგროვებისა და გამდიდრებისათვის, და არა საზოგადოების მოთხოვნილების, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველაფერი აღნიშნულ მიზანს ემსახურება. საწარმოო ძალთა განვითარება დაგროვების გაძლიერების ინტერესებით, მოგების მაღალი ნორმის მიღების ინტერესებით განისაზღვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მარქსი შენიშნავს, არც ერთი კაპიტალისტი არ შეეცდებოდა გაეუმჯობესებია საწარმოო ძალები, აეწია შრომის ნაყოფიერება. კონკურენციის კანონის მოქმედების ძალით კაპიტალისტები იძულებული არიან შემოიღონ ახალი ტექნიკური გაუმჯობესებანი და ისწონ შრომის ნაყოფიერება. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესი ისწორედ ამ დარგში ეჯახება დაუძლეველ წინააღმდეგობას, წინააღმდეგობას დაგროვებისადმი მისწრაფებასა, მოგების საშუალო ნორმის მიღებისადმი მისწრაფებასა და იმ საშუალებებს შორის, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელია ამ მისწრაფების რეალიზაცია. სხვანაირად თუ ვიტყვი, ჩნდება გადაუჭრელი წინააღმდეგობა კაპიტალისტური წარმოების ძირითად მიზანსა და მისი განხორციელების საშუალებებს შორის. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის ეს შინაგანი წინააღმდეგობა კ. მარქსმა შემდეგნაირად გამოხატა: „წინააღმდეგობა, თუ მას უაღრესად ზოგად ფორმაში გამოვხატავთ, მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების კაპიტალისტური წესს თანდაყოლილი აქვს მისწრაფება საწარმოო ძალთა აბსოლუტური განვითარებისა ღირებულებისაგან და უკანასკნელში მოქცეულ ზედმეტ ღირებულისაგან დამოუკიდებლად... მის მიზანს წარმოადგენს არსებული კაპიტალური ღირებულების შენარჩუნება და მისი რაც შეიძლება მეტად გადიდება... მეთოდები, რომლებითაც ის აღწევს ამას, იწვევს მოგების ნორმის შემცირებას, არსებული კაპიტალის ფასის დაცემას და შრომის საწარმოო ძალთა განვითარებას უკვე წარმოებულ საწარმოო ძალთა ხარჯზე“ (იქვე, გვ. 171).

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების აწევა, კაპიტალის თვითზრდის უაღრესად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ მეორე მხრით, თვით ეს პირობები იწვევს მოგების ნორმის შედარებით შემცირებას. მიუხედავად წინააღმდეგ მომქმედი მოვლენებისა მოგების ნორმის ტენდენცია

შემციობებისავე მაინც განაგრძობს არსებობას. კაპიტალის ორგანიული შემადგენლობის აწვევის, ცვალებადი კაპიტალის შედარებითი შემციობების ხარჯზე მუდმივი კაპიტალის გადიდების წყალობით მოგების ნორმის შესწავლით ეცემა, ზედმეტი ღირებულების მაღალი ნორმის პირობებშია ცხელია სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ კაპიტალის დაგროვება მოგების ნორმის შემციობების პირობებშია ცხელია იზრდება თავის მასაში. სხვათაგან კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.

კაპიტალია ორგანიული შემადგენლობის გადიდების, ცვალებადი კაპიტალის შემციობების უშუალო შედეგს წარმოადგენს შედარებითი ჰარბი მოსახლეობა, უმუშევრობის ზრდა და მუშათა კლასის არა მარტო შედარებითი, არამედ აბსოლუტური გადატაკება. დაგროვების ზრდის კვლობაზე იზრდება კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაცია. დროგაშორებით შრომის ანაზღაურების ფასის ნაწილობრივ გადიდებასაც არაერთარი პრინციპიალური ცვლილებანი არ შეაქვს კაპიტალისა და შრომის ურთერთობაში, მოგების ნორმის ტენდენცია შემციობებისავე არამც თუ არ არბილებს კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციას, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას. კაპიტალისტები ექსპლოატაციის გაძლიერებით ცდილობენ აინაზღაურონ დანაკარგი მოგების ნორმაში, რაც გამოწვეულია კაპიტალის ორგანიული შემადგენლობის გაზრდით, რაც სულ უფრო იზრდება ტექნიკის განვითარებასა და წარმოების კონცენტრაციასთან ერთად. მარქსმა გამოაშკარაა მანქანების კაპიტალისტური გამოყენების წინააღმდეგობითი ხასიათი, რაც გამოინატება ერთი მხრით კაპიტალისტების მისწრაფებაში მათი საშუალებით გააძლიერონ კაპიტალის დაგროვება, ხოლო მეორე მხრით, ცოცხალი შრომის შედარებით შემციობებაში, რომლის ადგილს წარმოებაში მანქანები იკაებენ. „მანქანების გამოყენებაში ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის,—წერდა მარქსი,—მდგომარეობს ის იმანენტური წინააღმდეგობა, რომ იმ ზედმეტი ღირებულების ორი ფაქტორიდან, რომელსაც იძლევა მოცემული სიდიდის კაპიტალი, მანქანები ადიდებენ ერთ ფაქტორს, ზედმეტი ღირებულების ნორმას მხოლოდ იმგვარად, რომ ისინი ამცირებენ მეორე ფაქტორს, მუშების რიცხვს“ („კაპიტალი“, ტ. I, გვ. 370). ამის გამოც იზრდება უმუშევრობა, ძლიერდება მასების ექსპლოატაცია და სილატაკე. ამ პირობებში არ შეიძლება ადგილი არ ექნეს მასების არა საკმაო მოხმარებას. მოხმარება მცირდება. წარმოება სცილდება, აღარ შეესაბამება მოხმარება, საქონლის ჰარბი წარმოება, რაც კაპიტალის ჰარბწარმოებას ნიშნავს, მუდმივ მოყენად ხდება. კრიზისები აუცილებელი ხდება. მოხმარების შემციობება წარმოების კაპიტალისტური მეთოდის, საწარმოო საშუალებებზე კაპიტალისტური კერძო საკუთრების არსებობის შედეგია. საწარმოო ძალები, როგორც მარქსი ამბობს, ჯანყდება კაპიტალისტურ საწარმოო ურთერთობათა წინააღმდეგ, რომელთა პირობებშია ცხელია მათ აღარ შეუძლიათ შემდგომი თავისუფალი განვითარება. კაპიტალისტები ხელოვნური მეთოდებით აფერხებენ საწარმოო ძალთა განვითარებას, რათა შეარბილონ ის წინააღმდეგობა, რომელიც იქმნება საწარმოო ძალთა მოძრაობით წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში. მარქსი ჯერ კიდევ „ფილოსოფიის სილატაკეში“ წინასწარ ხედავდა თავისუფ-

ფალი კონკურენციიდან მონოპოლიის აღმოცენების აუცილებლობას. მონოპოლიების შესახებ მარქსის თვალსაზრისი შემდგომ განვითარა ლენინმა, თავის მონუმენტალურ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელიც მარქსის „კაპიტალის“ გაგრძელებას წარმოადგენს, ლენინმა მოგვცა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთადერთი სწორი განსაზღვრა. მან გვიჩვენა, თუ როგორ ცდილობენ კაპიტალისტები მონოპოლიების მეოხებით საქონელზე მონოპოლური ფასების დაწესების საშუალებით შეარბილონ საქონლისა და კაპიტალის ჭარბი წარმოება. მონოპოლიების არსებობის პირობებში კიდევ უფრო მკაფიოდ მკვლავდება კაპიტალიზმის რეაქციური როლი, რაც გამოიხატება მასების ექსპლოატაციაში, საწარმო ძალთა განვითარების და ტექნიკის გაუმჯობესების ხელოვნურ შეფერხებაში და სხვ. საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადია წარმოადგინს მარქსისტულ პოლიტიკური ეკონომიის სისწორის, კაპიტალიზმის დამბობის აუცილებლობის შესახებ მარქსის თეორიული პროგნოზების სისწორის სოფლ დადასტურებას. მარქსის მიერ აღმოჩენილი და დასაბუთებული შინაგანი წინააღმდეგობა კაპიტალიზმისა, წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის, ყველა მის კონკრეტულ გამოვლენაში, უაღრესად მწვევალება იმპერიალიზმის დროს. კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა, ამ ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, იღებს უმწვევეს ფორმას და მოითხოვს დაუყონებლივ გადაჭრას. კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის უფრო ღრმა ხასიათს იღებს იმის გამო, რომ იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადია, ნიშნავს წარმოის განსაზოგადოების პროცესის შემდგომ გაძლიერებას, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გაძლიერებას, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია მოითმინოს შითვისების კერძო ფორმა, ე. ი. საწარმოო საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების არსებობა, ლენინი, რომელმაც თანმიმდევრულად განავითარა მარქსის აზრები კაპიტალიზმის წინააღმდეგობითი ხასიათის შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმპერიალიზმი მოასწავებს არა მარტო უმაღლეს ფაზას, არამედ უკანასკნელ ფაზასაც კაპიტალიზმის განვითარებაში. რამდენადაც ყველა წინააღმდეგობა იმდენად გამწვევად, რომ მოითხოვს დაუყონებლივ გადაჭრას, მათი გადაჭრა კი გულისხმობს კაპიტალიზმის არსებობის მოსპობას. ამიტომ იმპერიალიზმი, როგორც ლენინი ამბობს, არის მომავლადი კაპიტალიზმი, პროლეტარული რევოლუციის წინამორბედი. კაპიტალიზმის ცდას მონოპოლიების საშუალებით, ხელოვნური ზომების საშუალებით შესუსტონ წინააღმდეგობანი, რომლებიც საყოველთაო კრიზისებში, ომებში და რევოლუციებში პოულობენ გამოხატულებას, ლენინი ახასიათებდა როგორც კაპიტალიზმის ლობობის თვალსაჩინო მაჩვენებელს. „რამდენადაც ზუნდ დროებით წესდება მონოპოლური ფასები, იმდენად ჭრება რამდენიმედ ტექნიკური და მაშასადამე ყოველგვარი სხვა პროგრესის, წინსვლის გამომწვევი მიზეზები; შემდეგ, იმდენად ჩნდება ტექნიკური პროგრესის ხელოვნური შეფერხების ეკონომიური შესაძლებლობა“ (ლენინი. ტ. XIX, გამოც. 3, გვ. 151) ეს ხელოვნური ზომები, რომლებიც გამოხატავენ კაპიტალიზმის ლობობის ტენ-

დენციას, უძლური აღმოჩნდა შეეჩერებია კაპიტალიზმის დამზობის აუცილებელი პროცესი. კაპიტალიზმის ახლანდელი მდგომარეობა, უფრო სწორად, ომის შემდგომი კაპიტალიზმის მდგომარეობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწორის საუკეთესო ფაქტიურ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს. კაპიტალიზმის თანამედროვე საყოველთაო კრიზისი მარქსის თეორიული პროგნოზების რეალური განხორციელების მაჩვენებელია. ამის დამალვა მარქსიზმის მოსისხლე მტრებსაც კი არ ძალუბთ, როგორც ეს ზომბარტის მაგალითზე დავინახეთ.

უკანასკნელი ეკონომიური კრიზისი, რომელიც არ განისაზღვრება მხოლოდ მრეწველობის ფარგლებით, არამედ სასოფლო მეურნეობის სფეროშიც მძინვარებს, კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის, ე. ი. კაპიტალიზმის უშუალო დამზობის პერიოდის გამოხატულებაა. კაუცკის თეორია კაპიტალიზმის განვითარების ახალს, მშვიდობიან ერას შესახებ, ე. წ. ულტრა-იმპერიალიზმის ერას შესახებ ისევე გაანიავა ცხოვრებამ, როგორც კონტრევოლუციონერის ტროცკის თეორია კაპიტალისტური განვითარების „დიდი ციკლების“ შესახებ. ამასთან ერთად, კაპიტალიზმის უკანასკნელი წლების პრაქტიკამ კიდევ უფრო აშკარად უკუაგდო და გააცამტყერა ამხ. ბუხარინის აშკარა ოპორტუნისტული „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სოციალ-ფაშისტურ რუდოლფ ჰილფერდინგის თეორიას. პრაქტიკამ გაამართლა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომ იმპერიალიზმი არის უკანასკნელი ეტაპი კაპიტალიზმის განვითარებაში, ერა პროლეტარული რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობისა. იმპერიალიზმმა ფეხი შესდგა თავისი არსებობის უკანასკნელ ფაზაში, თავისი უშუალო დამზობის ფაზაში. თანამედროვე კრიზისის სიმწვავე და სიღრმე კაპიტალიზმის ამ საყოველთაო კრიზისის უშუალო შედეგია. „ახლანდელი ეკონომიური კრიზისი, — აღნიშნავდა ამხ. სტალინი პარტიის XVI ყრილობაზე, — მღება კაპიტალიზმის იმ აერთო კრიზისის საფუძველზე, რომელიც ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის პერიოდში წარმოიშვა, რომელიც ნიადაგს აცლის კაპიტალიზმის საფუძვლებს და რომელმაც გადავიდა ეკონომიური კრიზისის დადგომა.“

რას ნიშნავს ეს?

ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გააძლიერეს კაპიტალიზმის ლპობა და ნიადაგი გამოაკალეს მის წონასწორობას, რომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, რომ კაპიტალიზმი უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთადერთ და ყოვლის შემცველ სისტემას, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც იზრდება, რომელიც იმარჯვებს, რომელიც უპირისპირდება კაპიტალისტურ სისტემას და რომელიც თვით თავის არსებობის ფაქტით ააშკარავებს კაპიტალიზმის სიღამულეს, არყვეს მის საფუძვლებს“ (ლენინიზმის საკითხებზე გვ. 493-4).

„კაპიტალის“ ყველა თეორიული დებულება პოულობს თავის დადასტურებას თანამედროვე კაპიტალიზმის პრაქტიკით.

ამაშია მისი ავტორის გენიალობა. მარქსმა იმდენად სწორად შესძლო კაპიტალიზმის არსობისა და მისი განვითარების ისტორიული მიმართულების

გაგება, რომ „კაპიტალის“ ისეთი ადგილების კითხვისას, სადაც უკანა მუშათა კლასის მდგომარეობაზე კაპიტალიზმის დროს, შედარებით უკარგო მოსახლეობაზე, უმუშევრობაზე, ფართო მასების შედარებით და უკარგო მოსახლეობაზე, შედარებით უკარგო მოსახლეობაზე, კრიზისებზე, საწარმოო ძალის განვითარების ხელოვნური შეფერხების ტენდენციაზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე, კაპიტალიზმის დამბობის აუცილებლობაზე და სხვ., ისეთი შთაბეჭდილება გრძობათ თითქმის ეს საკითხები ავტორის მიერ წამოყენებული და დასაბუთებულია არა რამდენიმე ათეული წლების წინათ, არამედ სულ ახლობან კაპიტალიზმის ახლანდელ საყოველთაო კრიზისთან დაკავშირებით. ამის შემდგომი კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის საფუძველზე აღმოცენებულმა უკანასკნელმა ეკონომიურმა კრიზისმა ისეთი გავლენა მოახდინა თვით ბურჟუაზიულ ეკონომისტებზე და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მოღვაწეებზე, რომ შრავალ მათგანს აღარ შეუძლია დამალოს კაპიტალიზმის გაკოტრება. ბურჟუაზიული ჟურნალისტების ისეთი ნაშრომები, როგორცაა „მ შ ი ე რ ი ი ნ გ ლ ი ს ი“ ბ რ ო კ უ ე ი ს ა, „ღ ა ტ ა კ ი ე ვ რ ო ჰ ა“ პ ი ლ ტ მ ე ნ ი ს ა და სხვ., რომლებიც გადმოგვცემენ მუშათა კლასის გალატაკების საშინელ სურათს, კაპიტალისტური სისტემის სრული გაკოტრების და მისი დაღუპვის აღიარებას წარმოადგენს. მარქსის მოძღვრება მუშათა კლასის შედარებით და აბსოლუტურ გალატაკების შესახებ ერთ მხარეზე დაგროვებისა, სიმდიდრის ზრდასთან ერთად, საესებით და მთლიანად გამართლდა, ისე როგორც მისი სხვა წინასწარმეტყველებანიც. ვარდა ამისა კაპიტალისტების მიერ საწარმოო ძალთა განვითარების ხელოვნური შეფერხება თითქმის საყოველთაო მოვლენად გადაიქცა. ბურჟუაზიული კლასის ყველაზე „შუბლმაგარი“ წარმომადგენლები აშკარად აღიარებენ ტექნიკის განვითარების შეჩერების აუცილებლობას. უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ტექნიკური გამოგონებანი გამოუყენებელი რჩება იმის გამო, რომ მათი გამოყენება ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის კაპიტალისტებისთვის. ხელოვნური მეთოდით ფერხდება ტექნიკური რევოლუცია, რომელსაც შეეძლო შრომის ნაყოფიერების აწევა, წარმოების გადიდება, მშრომელთა მასების ეკონომიური და მატერიალური უზრუნველყოფა, რადგან ყოველივე ეს ხელსაყრელი არ არის კაპიტალის ინტერესებისთვის. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას კონტექსტში შევხვით ლენინის და სტალინის მოძღვრებას იმპერიალიზმზე მთლიანათ, განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების არათანასწორობიერების კანონს და სოციალიზმის ერთ ჭეკყანაში აშენების პრობლემას. ეს სპეციალურ წერილს მოითხოვს.

ამრიგად კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი, როგორც კაპიტალიზმის უშუალო დამბობის პერიოდი, ყველაზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმ მოჯადოებულ, გამოუვალ წრეს, რომელშიაც შევიდა კაპიტალიზმი თავის ისტორიული განვითარების მსვლელობაში. კაპიტალიზმის ეს გამოუვალი მდგომარეობა შექმნილია მისი შინაგანი წინააღმდეგობის—საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის—მოქმედებითა და განვითარებით, ისე როგორც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს ლენინი, აბსოლუტურად გამოუვალი მდგომარეობა არ

არსებობს, რაც ძალიან კარგად იცოდა მერქსმაც. ამიტომ კაპიტალიზმის/დაღუპვის აუცილებლობის შესახებ მისი მომღვრების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს შეადგენს მოძღვრება პროლეტარულ რევოლუციაზე, როგორც კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობის გადაჭრის და, მაშასადამე, თვით კაპიტალიზმის მოსპობის ერთადერთ შესაძლებელ საშუალებასა და მეთოდზე. ამ ნაწილშიაც მარქსის პროგნოზი გამართლდა, ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით და მართლდება მსოფლიო ოქტომბრისთვის მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატის ყოველდღიური რევოლუციონური პრაქტიკით.

მარქსის თეორიის პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის შესახებ და სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში

მარქსის „კაპიტალი“ იმდენადვე არის პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის აუცილებლობის მეცნიერული დასაბუთება, როგორც კაპიტალიზმის დამბობის აუცილებლობისა, ვინაიდან მარქსისთვის ისინი ერთი მეორისაგან განუყოფელია. წარმოების კაპიტალისტური წესის გამოკვლევის შედეგად მარქსი კაპიტალისტური წყობილების დაღუპვის აუცილებლობამდე მივიდა. მაგრამ მარქსი ფატალისტი არ ყოფილა, რომ შესაძლებლად ჩაეთვალა კაპიტალიზმის ავტომატური კრახი. როზა ლუქსემბურგმა სრულიად არა სწორად გაიგო კაპიტალიზმის დამბობის მარქსის თეორია. ასეთ აუცილებლობად მას მიაჩნდა ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობა „წმინდა“ კაპიტალიზმის პირობებში. ამ შემცდარი თეორიიდან გამომდინარე, იგი მივიდა ნახევრად-მენშევიკურ დასკვნამდე კაპიტალიზმის ისტორიული ბედის შესახებ. როზა ლუქსემბურგის ამ უტოპიურ და ფატალისტურ თეორიას არაფერი საერთო არა აქვს მარქსის თეორიასთან კაპიტალიზმის რევოლუციური დამბობის შესახებ.

მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით აუცილებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს უკვე განხორციელებულ სინამდვილეს, რეალობას. მათ შორის არსებობს ერთგვარი მანძილი. აუცილებლობის განხორციელებულ რეალობად გადაქცევისათვის საჭიროა მთელი რიგი პირობები. უპირობოდ ეს გადასვლა შესაძლოა შენეღდეს ან სრულიადაც არ მოხდეს. კაპიტალიზმის განვითარების შინაგან ეკონომიურ კანონს ბუნებრივი აუცილებლობაში მიჰყავს იგი თავის გარდუვალ დამბობამდე. მაგრამ უკანასკნელი გარემოების რეალურ პირობებს წარმოადგენს მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება.

მარქსი და ენგელსი, რომელნიც უდიდესი ყურადღებით აღევნებდნენ თვალს ყოველი კრიზისის მსვლელობას, როგორც კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვის თვალსაჩინო მიჩვენებლებს, შორს იყვნენ იმ აზრისაგან, თითქოს ეკონომიურ კრიზისს თავის-თავად შეეძლოს კაპიტალიზმის დამბობამდე მიყვანა.

სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოსები, კონტრრევოლუციონერები კაუცკი, პილფერდინგი და სხვ., რომლებიც ეყრდნობიან „ორგანიზებული კაპიტალიზმისა“ და კაპიტალიზმში სოციალიზმის მშვიდობიანი „შეზრდის“ საკუთარ თეორიაზე, გულმოდგინედ მუშაობენ კაპიტალიზმის გადასარჩენად, ეხმარებიან რა ბურჟუაზიას

კრიზისიდან გამოსვლის საქმეში. სოციალ-ფაშიზმის მთელი იდეოლოგია და პრაქტიკა მდგომარეობს მარქსის რევოლუციური მოძღვრების უარყოფაში. მარქსიზმის რევიზიზმგან რევოლუციონერები გადავიდნენ მის ანტი-რევოლუციონერულ კაპიტალიზმზე. კაუცკი პირდაპირ უარყოფს კაპიტალიზმის რევოლუციური დამბობის აუცილებლობის მარქსისტულ თეორიას. ძირითადად კაუცკის თვალსაზრისზე დგას კონტრრევოლუციონერი ტროცკი, რომელმაც წამოაყენა იმპერიალიზმის დროს საწარმოო ძალთა განვითარების აბსოლუტური შეჩერების თეორია. ამ მეტაფიზიკური, მექანიკური თეზისიდან გამოვლინარე თეორია კაპიტალიზმის ავტომატიური კრახის შესახებ არსებითად არაფრით არ განსხვავდება სოციალ-ფაშისტური ხაზისგან, რამდენადაც ამ შემთხვევაშიაც პროლეტარიატი ვერასოდეს ვერ მიიღწევდა კაპიტალიზმის მოსპობას. მარქს-ენგელსის თანახმად ლენინი თვლიდა, რომ საბოლოო ანგარიშში კაპიტალიზმის ბედს კლასობრივი ბრძოლა წყვეტს, რომ კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისს თვითმდინარეობით არ შეუძლია კაპიტალიზმის მოსპობა. «ერთი მხრით ბურჟუაზიული გეონომისტები ამ კრიზისს საბაყენ როგორც უბრალო «შეშფოთებას»... მეორე მხრით რევოლუციონერები ზოგჯერ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კრიზისი აბსოლუტურად გამოუვალაიაო. ეს შეცდომაა. აბსოლუტურად გამოუვალაი მდგომარეობა არ არსებობს. ბურჟუაზია ისე იქცევა, როგორც გათავებულბული, გონებადაკარგული მჭკი, იგი სისულელეს სისულელეზე სჩადის, ამწვავებს მდგომარეობას, აჩქარებს თავის დაღუპვას. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება იმის დამტკიცება, თითქოს არ არსებობდეს არავითარი შესაძლებლობა, რომ მან არ მიაუჭოს ესა თუ ის ნიძრიაობა ან აჯანყება ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა ამა თუ იმ ნაწილისა, «აბსოლუტური» გამოუვალობის წინასწარ «მტკიცების» ცდა იქნებოდა ან ცარიელი პედანტობა ან ცნებებით დ სიტყვებით თამაში. ნამდვილი «დამტკიცება» ამდაგვარ საკითხებში შეიძლება იყოს მხოლოდ პრაქტიკა» (ლენინი, ტ. XXV, მე 3 გამოც. გვ. 340).

სხვანაირად რომ ვთქვათ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თვალსაზრისით საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის გადაჭრის ერთად-ერთ საშუალებას პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს. პროლეტარულმა რევოლუციამ უნდა გაახთავისუფლოს საწარმოო ძალები მათი თავისუფალი მოძრაობის შემოკლებულ საწარმოო ურთერთობისაგან. წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობათა შორის გადაიჭრება ძალდატანებით და არა ძალის გარეშე და თავისთავად. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა რომ პროლეტარიატის კლასობრივი ძალის გამოუყენებლად ყოფილიყო შესაძლებელი, ეს უნდა მომხდარიყო იმპერიალიზმის დროს, როდესაც კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობამ უმადლეს საზღვარს მიიღწია, რისი მიწვევებელიც არის კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი. სწორად რომ გავიგოთ მარქსის თვალსაზრისით პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობაზე, როგორც საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობებს შორის არსებულ წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებაზე, როგორც კაპიტალიზმის დაღუპვის საშუალებაზე, იმ კლასობრივ ურთერთობათაგან უნდა გამოვიდეთ, რომლებიც იქმნება კაპიტალისტურ საწარმოო ურთერთობათა საფუძველზე.

საწარმოო ურთერთობანი სრულიადაც არ ამოიწურება ტექნიკურ ურთერთობით, რომელიც მყარდება საწარმოებში მწარმოებლებს შორის, ცალკე მუშებს შორის, მუშებსა და ოსტატებსა, ტექნიკოსებსა, ინჟინერებსა და სხ. შორის. საწარმოო ურთერთობათა ტექნიკურ ურთერთობამდე დაუვანა, როგორც ამხ. ბუხარინი იტყევა, ნიშნავს მარქსიზმის სრულ გაუგებლობას და არსებითაც მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის მტრების, კაუცკის, ჰილფერდინგის, ტროცკის და სხვათა თვალსაზრისზე დადგომას.

საწარმოო ურთერთობანი მარქსს უსმის თავდაპირველად როგორც ქონებრივი, საზოგადოებრივი ურთერთობანი, რომელიც მყარდება იდეალიზმის შორის საწარმოო საშუალებებისადმი დამოკიდებულების საფუძველზე. ქონებრივი საწარმოო ურთერთობანი საფუძვლად უდევს საზოგადოების კლასობრივ დაყოფას და კლასობრივ ბრძოლას. კაპიტალისტური საწარმოო ურთერთობანი შეადგენს კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი კლასის—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის—ეკონომიურ საფუძველს. კაპიტალისტურ საწარმოო ურთერთობათა მატარებელია ბურჟუაზიული კლასი, რომელიც მთელი ძალდონით ცდილობს უზრუნველყოს მათი არსებობა, რამდენადაც მისი კლასობრივი ბატონობა მათზე ემყარება. ამ მიზანს, ე. ი. კაპიტალისტურ ქონებრივ ურთერთობათა რენარჩუნებას ემსახურება ბურჟუაზულ სახელმწიფოს მთელი მექანიზმი. ბურჟუაზია ძალდატანებით, სახელმწიფოებრივი ზომების საშუალებით ცდილობს უზრუნველყოს თავისი კლასობრივი ბატონობა პროლეტარიატზე, მათი საშუალებით იგი ხელოვნურად აფერხებს იმ საწარმოო ურთერთობათა აუცილებელ აფეთქებას, რომლის მიშართ სასტიკ წინააღმდეგობაში ჩავარდა საწარმოო ძალები; ამ საწარმოო ძალთა შემდგომი თავისუფალი განვითარება მოითხოვს მათგან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. მაგრამ ძალა ძალითვე უნდა იქნეს დამოზილი, როგორც მარქსი ამბობდა. ბურჟუაზიის კლასობრივ ძალას მუშათა კლასი თავის ძალას უპირისპირებს. ყველაფერს ბრძოლა სწყვეტს. პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობის ძალდატანებითი დამოზიის, მუშათა კლასის განთავისუფლების, კაპიტალიზმის მოსპობის და საწარმოო ძალების კაპიტალისტურ საწარმოო ურთერთობათა ხუნდებისგან განთავისუფლების აქტს. პროლეტარული რევოლუცია პოლიტიკურ, სახელმწიფო ხელისუფლებას აძლევს მუშათა კლასს, ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას, აწესებს საზოგადოებრივ საკუთრებას ყველა საწარმოო საშუალებაზე და ამით ჰქმნის პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს სოციალიზმის განხორციელებისათვის.

მარქსმა და ენგელსმა ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წამოაყენეს დებულება პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის შესახებ, დასახებს რა პროლეტარული რევოლუცია საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის გადაჭრის ერთადერთ მეთოდად, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის გაძლიერების ერთადერთ საშუალებად, რამდენადაც პროლეტარული რევოლუცია სპობს ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობის ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძველს, სპობს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას.

„მოგზაზეთ რა პროლეტარიატის განვითარების ყველაზე სწრაფი ფაზები, —სწორედნ მარქსი და ენგელსი,—ჩვენ განვიხილეთ ცოტად თუ ბევრად დამალული სამოქალაქო ომი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას წინაშეა დასწარმოებს, თვით იმ პუნქტამდე, როდესაც ეს ომი აშკარა რევოლუციად იქცევა, და პროლეტარიატი ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობით საფუძველს უყრის თავის ბატონობას“ („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, თხზ. კრებ. ტ. V, გვ. 494). ცხადია, რომ აქ მარქსსა და ენგელსს დადებითად აქვთ გადაჭრილი პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული ციტატიდან სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, რამდენადაც პროლეტარიატის ბატონობა ნიშნავს მხოლოდ-დამხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას. მეცნიერული სოციალიზმის შემომქმედთ საშუალება ჰქონდათ პარიზის კომუნის გამოცდილებებს საფუძველზე შეემოწმებიათ მათი რევოლუციური თეორიის სისწორე. ამ გამოცდილების საფუძველზე მათ მოგვეცა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შემდგომი დაზუსტება.

„გოთას პროგრამის კრიტიკაში“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და და სხვ. ნაშრომებში მარქსი შემდგომ აწვითარებს და ასაბუთებს პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას.

პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანას მარქსი ხედავდა არა ნარტო ბურჟუაზიული წყობილების დამხობაში, არა მარტო კაპიტალიზმის მოსპობაში, არამედ ამასთან ერთად სოციალიზმის აღმშენებლობაშიც.

თუ რა ამოცანები აქვს დასახული პროლეტარიატს ამ დარგში, მის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შემდეგ, ამის შესახებ მარქსი და ენგელსი „მანიფესტში“ წერდნენ: „პროლეტარიატი ისარგებლებს თავისი პოლიტიკური ბატონობით, რათა თანდათანობით წაართვას ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, რომ შრომის ყველა საშუალებას ცენტრალიზაცია უყოს სახელმწიფოს ხელში, ე. ი. გაბატონებული კლასის სახ. თ. ორგანიზებულ პროლეტარიატის ხელში, და, რაც შეიძლება სწრაფად გაადიდოს საწარმოო ძალთა მასა. რასაკვირველია, ჯერ ეს შეიძლება მოხდეს დესპოტიური შეჭრის გზით საკუთრების უფლებასა და წარმოების ბურჟუაზიულ პირობებში, მაშასადამე ისეთ ღონისძიებითა გზით, რომლებიც ეკონომიური თვალსაზრისით არასაკმაოდ და არასაიმედოდ მოსწიანან, მაგრამ რომლებიც მოძრაობის მსვლელობაში თავისთავს გადაეზრდებიან და აუცილებელი არიან როგორც წარმოების მთელი წესის გარდაქმნის საშუალება“ (იქვე, გვ 50.—502).

ამრიგად, მარქსს უბრალოდ კი არ აღუნიშნავს პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობა, არამედ მან მოგვეცა მისი მეცნიერული დასაბუთებაც თავის უკვდავ ნაწერებში, კერძოდ „კაპიტალში“, კონკრეტულად განსაზღვრა რა მისი ამოცანები. მარქსი იმიტომ მიეცება პარიზის კომუნს, რომ იგი მასში სოციალისტური წყობილების პირველსახეობას, პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის პირველსახეობას ხედავდა.

მისი საიდუმლოება გამოიხატება იმაში, — წერდა მარქსი, — რომ იგი თავის არსებით მუშათა კლასის მთავრობა იყო... ამიტომ კომუნა იმ გეონომიური საფუძვლების დამზობის იარაღს უნდა წარმოადგენდეს, რომელთაც ეყრდნობა თვით კლასების და, მაშასადამე, კლასობრივი ბატონობის არსებობა... კომუნას სურდა კლასობრივი საკუთრების მოსპობა, რომელიც შრავალთა შრომის მცირეოდენთა სიმდიდრეთ აქცევს. მას სურდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია (კ. მარქსი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, გამოც. 1926 წ. გვ. 66).

მარქსის გენიალურმა გონებამ გაითვალისწინა არა მარტო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, აუცილებლობა სიცილიზმის აშენებისა გამარჯვებულ მუშათა კლასის მიერ, არამედ ისიც, თუ რომელ საზოგადოებრივ ფენებს დაუკავშირდება და ვისთან ერთად განახორციელებს პროლეტარიატი თავის რევოლუციურ დიქტატურას და სოციალიზმის მშენებლობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, მარქსმა საფრანგეთის რევოლუციების გამოცდილების ნიადაგზე მოგვცა მითითება გლეხობის პროლეტარიატის მხარეზე გადმობირების შესახებ. მარქსის ეს იდეა დაწვრილებით განავითარა ლენინმა, მისცა რა ამით საერთაშორისო პროლეტარიატს მთელი მოძღვრება აგრარულ-გლეხურ საკითხზე მუშათა კლასის გამარჯვებისათვის გლეხობის რევოლუციური ენერჯის გამოყენებაზე, რაც არაფრით არ სურდა გაეგო კონტრევოლუციონურ ტროცკის. მარქსი შემდეგს წერდა თავის ნაშრომში — „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“ — „საფრანგეთის მუშებს არ შეეძლო ერთი ნაბიჯიც კი გადაედგათ წინ, არ შეეძლოთ შეხებოდნენ ბურჟუაზიული წყობილების ერთ ლერ თმასაც, ვიდრე რევოლუციის მსვლელობამ მის წინააღმდეგ, კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, არ აამხედრა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მდგომ ნაციის, გლეხებისა და წვრილი ბურჟუების მასა, და არ აიძულა ისინი მიმზრობოდნენ პროლეტარიატს, აღეარებიათ იგი მოწინავე მებრძოლად“ (თბზ. კრებ. ტ. VIII, გვ. 13). ასეთია მარქსის მიერ საფრანგეთში კლასობრივი ბრძოლის შესწავლის საფუძველზე გაკეთებული გენიალური დასკვნა.

ის, რაც მაშინდელი პირობების გამო ვერ განახორციელეს პარიზელმა მუშებმა, მიუხედავად მათი რევოლუციური გმირობისა, უკვე განხორციელებულია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ. ოქტომბრის პროლეტარული რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს მარქსის მოძღვრების რეალობის, პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის შესახებ მისი პროგნოზის საუკეთესო პრაქტიკულ დადასტურებას.

რუსეთის პროლეტარიატმა ლენინისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით გაგლიჯა იმპერიალიზმის ჯაჭვი. ოქტომბრის რევოლუციამ გადასჭრა წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთერთობათა შორის ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობით და მარქსის მითითების — ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის — სრული განხორციელებით. ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის შესახებ მარქსის დიად ანდერძთა განხორციელებას. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამ მხრივ ამით არ ამოიწურება. იგი წარმოადგენს მარქსის ანდერძთა მეორე ნაწილის განხორციელებას, სა-

ხელდობრ იმ ნაწილის, რომელიც ეხება უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას. საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის დიადი სოციალისტური რეკონსტრუქციით, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, სოციალისტური მეურნეობის კოლექტივიზაციით ჩვენმა პარტიამ შექმნა ეკონომიური საფუძველი კლასების სრული ლიკვიდაციისათვის, იმ პირობათა სრული მოსპობისათვის, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებებსა და კლასების არსებობას. საწარმოო ძალთა განვითარების დარგში ხუთწლედის ოთხწლედში განხორციელების საფუძველზე საბჭოთა კავშირს უდიდესი მიღწევები აქვს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებებმა სოციალისტურ საწარმოო ურთერთობათა დროს საწარმოო ძალების მალალი ტემპების შესახებ სრული დადასტურება ჰპოვეს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკით. სოციალისტური მეურნეობის ზრდის საფუძველზე საბჭოთა კავშირში მოსპობილია უმუშევრობა და წლითი-წლითი განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა მასების მატერიალური კეთილდღეობა, მაშინ როდესაც კაპიტალისტური ქვეყნებში მეფობს საშინელო, კაპიტალიზმის არსებობის ისტორიაში უნახავი უმუშევრობა, გაჭირვება და სიღატაკე მშრომელთა მასებისა.

კომუნისტურებში გლახურ მეურნეობათა 60%/6-ზე მეტის გაერთიანება მჭერმეტყველურად მოწივებს სოციალიზმის გამარჯვებას სოფლის მეურნეობის დარგშიც.

მაგრამ ყოველივე ეს კიდევ უფრო მკვეთრად აყენებს საკითხს კლასობრივი სიფხიზლის, პროლეტარიატის დიქტატურის ყოველმხრივი გაძლიერების შესახებ, ვინაიდან მომავლდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრა კიდევ უფრო ამწყვეტებს კლასობრივ ბრძოლას, უფრო ააქტივებს მუშათა კლასის შინაურსა და გარეშე მტრებს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის უკანასკნელ იანვრის პლენუმზე ამხ. სტალინმა აღნიშნა: „მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის დარგში ხუთწლედის განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ჩვენ განვამტკიცეთ სოციალიზმის პრინციპი, გავაძვეეთ რა იქედან კაპიტალისტური ელემენტები... საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გაძლიერებს მომავლდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმათ ერთი ფორმებისა გან გადავლენ თავდასხმათა მეორე უფრო მკვეთრ ფორმებზე, გამოიყენებენ რა მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ რა მათ საბჭოთა იელისუფლების წინააღმდეგ“. სწორედ იმიტომ მეორე ხუთწლედშიაც, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედშიაც, დღის წესრიგშია დასმული ჩვენი მუშაობის ყველა დარგში რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების საკითხი კლასები კლასობრივი ბრძოლის საშუალებით ისპობა, ასეთია მარქსის მიერ აღმოჩენილი და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების პრაქტიკით დადასტურებული ჭეშმარიტება.

ლენინური პარტია, მისი ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით თანმიმდევრობით ატარებს ცხოვრებაში მარქსის, ენგელსის, ლენინის ანდერძს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ

შეურიგებელი ბრძოლით კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, განუხრელი ბრძო-
ლით ყოველგვარ გადახრებთან მარქსისტულ-ლენინური ხაზიდან.

უდიდესი წარმატებათა სოციალიზმის მშენებლობის ყველა დარგში მიღ-
წეულია შეურიგებელი ბრძოლით მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ
საფრთხესთან ამ ეტაპზე „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან დამპალი ლიბერალიზმის
და შემრიგებლობის ყოველგვარ გამოხატულებასთან, და ტროცკიზმთან, რო-
შელიც კონტრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად გადაიქცა.



მარქსი, ჰაინე და ფრაილიბერტი

კარლ მარქსი ლიტერატურას და ხელოვნებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მისთვის ის იყო ქვეყნიერების შეცნობის და შეცვლის თავისებური გზა. მარქსი სამყაროს „მბატრულ ათვისებას“ ანსხვავებდა სამყაროს „ათვისების“ სხვა ფორმათაგან და ამით ხაზს უსვამდა ხელოვნების სპეციფიურობას.

მარქსი ამათუიშ ეპოქის შესწავლისას ისტორიულ დოკუმენტებთან ზრთად ყოველთვის მიმართავდა ლიტერატურის და ხელოვნების ძეგლებს. ეს იმიტომ, რომ ხშირად სწორედ ისინი არკვევდენ ეპოქის ისეთ მხარეებს, რომლის ვათვალისწინებაც არ შეიძლებოდა სხვა წყაროებით.

მარქსი სპეციალურად სწავლობდა ძველ და ახალ ხელოვნებას და ამაუდებდა განსაკუთრებულ „ტრაქტატს ქრისტიანულ ხელოვნებაზე“, მაგრამ სამწუხაროთ ამ შრომამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ცნობილ „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალში მარქსი მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ანტიური ხელოვნების შესახებ იძლევა გასაღებს იმის გასაგებათ, რომ ხელოვნება არ ვითარდება მექანიკურად, „წმინდა სახით“ ეკონომიკისაგან. მარქსის შეფასება საბერძნეთის ხელოვნებისა, გვაძლევს გასაღებს თანამედროვე ხელოვნების გასაგებადაც. მარქსი ძლიერ დაშორებული იყო იმ მოსაზრებიდან, რომ მოეწოდებია მთელი ძველი ხელოვნების მონური რესტავრაციისაკენ. ასევე, იგი სრულებით არ იზიარებდა ძველი, ბურჟუაზიული ხელოვნების ნილიისტურ უარყოფასაც. მარქსი საბერძნეთის ხელოვნებაში ხედავდა იმ მნიშვნელოვან ღირებულებას, რომ იგი ღრმად იძლეოდა „ნამდვილ არსს“, „ფილოსოფიას“ იმ ეპოქის, რომელსაც თვითონ უწოდებს „კაცობრიობის საზოგადოების ბავშობის ხანას“. ძველი ხელოვნების ამ განსაკუთრებულ მომენტის შეთვისებას ურჩევდა სწორედ მარქსი თავის დროინდელ ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლებს.

მარქსი კარგად იცნობდა არა მარტო ანტიურ ხელოვნებას, არამედ იგი მშვენივრად იცნობდა საშვალო საუკუნეების და თავის თანამედროვე ლიტერატურას და ხელოვნებას. მბატრული ლიტერატურის ნიმუშებს იგი კითხულობდა სხვადასხვა ენაზე.

მარქსი, ისევე, როგორც ფრ. ენგელსი დიდათ აფასებდა რეალისტურ ლიტერატურას და ხელოვნებას. ყველა თავის მოსაზრებებში მარქსი ფრ. ენგელსთან ერთად მუდამ ხაზს უსვამდა და მოითხოვდა მწერლებისაგან სინამდ-

ვილის მართალ, რეალისტურ გამოსახვის აუცილებლობას, ღრმად შესწავლას და სწორად გამოხატვას რეალური ურთიერთობის და გამოქვეყნების სინამდვილეში არსებულ რეალური ტენდენციების. მუშათა კლასთან ახლო მდებარე მწერლობისაგან მარქსი ყოველთვის მოითხოვდა, რომ მათ სინამდვილე გამოეხატათ არა მარტო-რათ, არა სტატიურათ და არა ფორტოკრაფიის წესებით. მარქსისათვის რეალიზმი არ იყო ზეკლასიური ობიექტივიზმის განხორციელება.

მარქსი სასტიკად ილაშქრებდა ყალბი ლიტერატურის და ხელოვნების წინააღმდეგ, ასე, იგი მთელი თავისი სიძლიერით თავს დაესხა ფრანგ კრიტიკოსის და ბელეტრისტის სენ-პევის წიგნს შატობრიანის შესახებ, იმით, რომ მასში არის, „ყალბი სიღრმე, ბიზანტიური გადაჭარბება და გრძობების ყალბადანობა“, რის გამოც მისი აზრით მივიღეთ „ყალბი დოზალი, რომლის მსგავსი ჯერ არაფერი შეუქმნია ქვეყანას არც თავისი ფორმით და არც შინა-არსით“ (წერილი ფრ. ენგელსთან).

თვითონ მარქსი თავისი პრაქტიკულ-იდეური, მეტად სერიოზული მითითებებით და რწევით უდიდეს დახმარებას უწევდა მწერლებს და პოეტებს. ჰაინე, ფრაილიგრატო, ვეერი, ჰერვერგი და სხვ. მარქსის გენიალური იდეების ძლევამოსილ გავლენის ქვეშ კმნიდენ სწორედ თავიანთ უდიდეს ნაწარმოებებს. ბევრ მათგანს სწორედ მარქსმა მიაცა ნათელი რევოლუციონური პერსპექტივა. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მარქსის დამოკიდებულება ჰაინესთან და ფრაილიგრატთან.

1843 წ. დეკემბერში არნოლდ რუგეს მეშვეობით მარქსმა გაიცნო ჰაინრიხ ჰაინე, რამაც შემდეგში მათ შორის მიიღო მეგობრობის ხასიათი. სწორედ ამ პერიოდში თვითონ მარქსის რევოლუციონური შემეცნება მკვიდრ საფუძველზე დგებოდა. მარქსმა უდიდესი გავლენა იქონია თავის უფროს მეგობარზე (ჰაინე უკვე 46 წ. იყო, ხოლო მარქსი კი—26 წ.). ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის იდეურ ნიადაგზე აღზრდილ ჰაინეს შემოქმედებაში მარქსმა დიდი ძეგრა მოახდინა. მარქსის უშუალო გავლენით იწყებდა უნაყოფიერესი პერიოდი ჰაინეს, როგორც პოლიტიკური პოეტის შემოქმედებაში. 1844 წ. გახდა ჰაინეს მებრძოლი პოეზიის გაფურჩქვნის ხანა.

მარქსს და ჰაინეს შორის მეგობრობა, როგორც გაცნობებს მშობლების გადმოცემის თანახმად—ელეონორა მარქს—ეველინგ,—მეტის-მეტად გულმხურვალე იყო. ამ ხანებში მარქსს და ჰაინეს ერთმანეთთან აახლოებდა უმთავრესად ლიტერატურის, ხელოვნების და ოჯახის საკითხები.

ჰაინე მთელი საღამოები იჯდა მარქსთან და მათი დაუსრულებელი საუბრის თემა იყო ლიტერატურა და ხელოვნება. ამ საუბრებმა პოეტს მისცეს ღფრო ნათელი წარმოდგენა საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალ მოვლენაზე. უბირველეს ყოვლისა, მარქსი მოუწოდებდა ჰაინეს, რათა მეტი პოლიტიკური სიმამხვილე მიეცა თავისი პოეზიისთვის და თავი დაეღწია ზოგიერთი უსაფუძვლო ილუზიისათვის. იყო დრო, როდესაც ჰაინე ყოველდღე დადიოდა მარქსთან, რომ წაეკითხა მისთვის თავისი ლექსები და მოესმინა მისი შენიშვნები მათ შესახებ. ჰაინე და მარქსი—რამდენიმეჯერ კითხულობდნენ თვით რვა სტრიქონიან ლექსებსაც კი, გაცხარებული კამათობდნენ ამათუიმ სიტყვის შესახებ, ამუშავებდ-

ნენ და ასწორებდნენ ერთად მანამდე, სანამ ყველაფერი უდავო არ გახდებოდა. ჰაინე მეტის-მეტად ენდობოდა თავის ახალგაზრდა მეგობრის მხატვრულ გემოვნებას.

მარქსი თავის პირად დამოკიდებულებაში ჰაინესთან იყო ძალზე ფრთხილი, ვინაიდან იგი ანგარიშს უწყევდა უკანასკნელის ხასიათს და ინდივიდუალობის თავისებურებას.

მარქსი ჰაინეს დიდი თავყვანისმცემელი იყო. მას უყვარდა პირადად პოეტი ისევე ძლიერად, როგორც მისი პოეზია და ამიტომ შებრალებით ეკიდებოდა მის პოლიტიკურ რყევებს და დაბნეულობას. თვით ჰაინეს ცნობილი წერილი მარქსისადმი (1844 წ. 21 სექტემბერი) ადასტურებს იმას, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა «კაპიტალის» ავტორი ჰაინეს შემოქმედებას. აი ეს წერილიც.

«ქვირფასო მარქს! მე კვლავ მტანჯავს ჩემი საბედისწერო თვალების ტყვილეები და გაჭირვებით ვვლახნი ამ სტრიქონებს. ყველაფერი ის, რაც საყურადღებო მინდა გითხრათ, ამას მოვახერხებ სიტყვიერადაც მომავალი თვის დასაწყისში, რადგანაც მე ვემზადები გამოსამგზავრებლად და ამიტომ უფრთხილდები ზევიდან ნიშანს—მე არ მინდა რომ მე შემბოკონ, ჩემს ფეხებს არ აქვს ნიჭი ატარონ რკინის რგოლები, როგორც მას ატარებდა ვაიტლინგი (მან მე მიჩვენა მისი კვალი). ჩემზე ფიქრი, რომ მე უფრო უახლოესი მონაწილეობა მივიღო „Vorwärts“-ში, მე რასაკვირველია შემიძლია ვიამაყო... ჩემი წიგნი დაბეჭდილია, მაგრამ იგი გამოვა მხოლოდ 10—14 დღის შემდეგ, იმიტომ, რომ უცაბედად არ შეიქნეს ხმაურობა. კორექტურული ფურცლები პოლიტიკური განყოფილების, —სწორედ ის, სადაც მოთავსებულია ჩემი დიდი ლექსი, მე დღეს თქვენ გიგზავნით სამზავი ბანდეროლით—სახელდობრ შემდეგისათვის: პირველ ყოვლისა, იმისათვის, რომ თქვენ გაერთოთ; მეორეთ—იმისათვის, რომ თქვენ ეხლავე დაიწყოთ მოქმედება წიგნის სასარგებლოთ გერმანულ პრესაში; მესამეთ იმისათვის, რომ თუ თქვენ შესაფერისად დაინახავდით, დაგებუქდათ ყველაფერი საუკეთესო ახალი ლექსიდან „Vorwärts“-ში.

მე მგონია, რომ დიდი ლექსი მე-16 თავის ბოლომდე სულ ვარგა დასაბეჭდათ,—მხოლოდ თქვენ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ ის ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია კელნზე, სახელდობრ მე-4, 5, 6 და 7 თავი არ დაიბეჭდოს ცალ-ცალკე, არამედ მოთავსდეს ერთდაიმავე ნომერში. ასევეა საჭირო იმ თავისათვისაც, რომელიც ეხება ძველ ბარბაროსას, სახელდობრ მე-14, 15 და 16 თავები,—ისინიც ერთდაიმავე ნომერში უნდა დაიბეჭდოს. მე გთხოვთ, რათა ამ ნაწყვეტებს თქვენ დაუწეროთ წინასიტყვაობა. წიგნის დასაწყის მე თქვენ ჩამოგიტანთ პარიზში, იგი შესდგება მხოლოდ რომანსებისაგან და ბალადებისაგან, რომლებიც მოეწონება თქვენს კოლს (ჩემი მეგობრული თხოვნაა—გადასცეთ ჩემგან მას გულმზურვალე სალამი; მე ბედნიერი ვარ, რომ მალე ვნახავ მას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი ზამთარი უფრო ნაკლებად მელანქოლიური იქნება, ვიდრე წარსული). კამპე ეხლა აკეთებს კიდეც ცალკე ამონაბეჭდს დიდი ლექსიდან, რომლიდანაც ცენზურამ ამოშალა ზოგიერთი ადგილი, მაგრამ რომელსაც მე დაუწერე წინასიტყვაობა—მეტად არა ორაზროვანი, სადაც მე გზდაპირით ვებრძვი ნაციონალისტებს. მე მას გამოგიგზავნი დამატებით, როგორც

კი ის დაიბეჭდებოდა... იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოაწერთ თქვენს სახელს იმ წინასიტყვაობას, რომელსაც მე გთხოვთ „Vorwärts“-ისათვის, ექვემდებარებით აღნიშნოთ, რომ მე გამოგიგზავნით ახლად დაბეჭდილი ფურცლები, თქვენ გაიგებთ განსხვავებას ე. ი. უკიდურეს შემთხვევაში მე ვამჯობინებდი თავი დამეღწია ასეთი შენიშვნისაგან... ნახვამდის, ძვირფასო მეგობარი, მაპატიეთ ჩემი უწყისრიგო ჯღაბნა. მე არ შემიძლია წაიკითხო ის, რაც დავწერე, მაგრამ თქვენთვის ხომ საკმარისია ერთი ნიშანიც კი, რომ გავიგოთ ერთმანეთი. თქვენი გულთაღი პ. ჰაინე“.

ეს წერილი მეტად საყურადღებოა თავისი საზოგადოებრივი და მეგობრული ტონით. იგი ბევრს რამეს ნათელყოფს მარქსისა და ჰაინეს დამოკიდებულებაში.

მარქსისა და ჰაინეს უახლოესი მეგობრობა არ გაგრძელებულა დიდხანს, მაგრამ ამ მცირე პერიოდშიაც კი მარქსის ზეგავლენით ჰაინეს პოლიტიკური ლირიკა განმტკიცდა, თითქოს „რკინა შეერია მის სისხლს“. ჰაინეს ლექსებში უკვე მოისმის რეალური ბრძოლის მოტივები, გერმანიის პოლიტიკური განათლებისაკენ მოწოდების აუცილებლობა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა ჰაინემ ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიაც მეტად მაღალ შხატვრულ ფორმებში ისახებოდა რევოლუციონური მსოფლმხედველობა. ამ ხანებში გამოაქვეყნა ჰაინემ თავისი ცნობილი „სიღვთიელი ფეიქრები“, რომელსაც სრულიად კანონიერად ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს დასავლეთ ევროპის რევოლუციონურ პოეზიაში. ამ დროს გამოქვეყნდა ჰაინეს პოემა „გერმანია“ („ზამთრის ზღაპრები“) და სხვ. ნაწარმოებები.

აღსანიშნავია, რომ ჰაინეს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მკვლევარები და ბიოგრაფები განზრახ ჩქმალავენ, ივიწყებენ ჰაინეს პოეზიის რევოლუციონურ შხარეს. მაგრამ ისინი ასევე ექცევიან იმ პერიოდს ჰაინეს ბიოგრაფიიდან, როდესაც იგი შეხვდა მეცნიერული კომუნისმის მამამთავარს—მარქსს. მათთვის ეს პერიოდი ჰაინეს ცხოვრებიდან თითქოს „ცარიელი“ წლები იყოს.

1845 წ. მოხდა მარქსის და ჰაინეს დაშორება. ამ წელს საფრანგეთის მთავრობამ მარქსი გადაასახლა პარიზიდან პოლიტიკურ—რევოლუციონური მუშაობისათვის. მარქსი გაემგზავრა ბრიუსელში. პარიზიდან წასვლის წინ მარქსმა ჰაინეს მისწერა პატარა ბარათი, რომელშიაც იგი იწვევდა მას თანამშრომლად თავის ახალ გამოცემაში, რომელიც უნდა გამოსულიყო დარმშტადტში. „ყველა იმ ადამიანებისაგან, რომელსაც ესტოვებ აქ,—სწერდა მარქსი,—ყველაზე უფრო არასასიამოვნოა ჰაინეს დატოვება. მე ძალიან მსურს წაგიყვანოთ თან“.

1840 წ. ჰაინემ გამოაქვეყნა პამფლეტი გერმანიის წვრილბურჟუაზიულ რადიკალიზმის ბელადის და იდეოლოგის დოქტორ ლუდვიგ ბერნეს წინააღმდეგ. ამ პამფლეტმა დიდათ აამხედრა ჰაინეს წინააღმდეგ გერმანიის საზოგადოების მემარჯვენე ნაწილი. ამ პამფლეტისათვის ჰაინეს კიდევ უფრო მეტად დაუწყეს დევნა, ლანძღვა, იგი „კანონს გარეშე“ გამოაცხადეს.

ჰაინეს გამოსვლას ბერნეს წინააღმდეგ გარკვეული სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა ჰაინემ გაბედულათ განაცხადა, რომ პოლიტიკური რევოლუცია არ არის ჩვენი მიზანი, არამედ იგი არის საშვალეობა, პოლიტიკურმა რევოლუციამ არაა საბოლოო სიმაღლეები, არამედ იგი მისავალი გზაა ამ სიმაღლესთან. „შონარქიასაც და რესპუბლიკასაც ერთი ფასი აქვს, მანამდე სანამ არ იწარმოებს ბრძოლა ცხოვრების საფუძვლების შესაცვლელად“. ეს არსებითი პრინციპი მაშინ გაუგებარი იყო იმ წვრილ-ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ მოღვაწეებისათვის, რომლებიც „თანაუგრძობდნენ“ რესპუბლიკას, მშობას და თანასწორობას. ჰაინეს თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთად-ერთი მარქსი იყო, რომელმაც კარგად გაიგო და გაითვალისწინა ამ დიდი პოეტის მისწრაფებანი, შეიგნო თუ რა საფუძველზე აღმოცენდა ჰაინეს წიგნი ბერნეს წინააღმდეგ და როგორი იყო მისი სოციალური მიმართება.

უფრო მოგვიანებით მარქსს განზრახული ჰქონდა გამოხმაურებოდა ჰაინეს და ბერნეს დამოკიდებულების გარკვევას და დაეწერა წერილი. ამის შესახებ მარქსი ერთ-ერთ ბარათში სწერს ჰაინეს: „ამ დღეებში შემთხვევით ხელში ჩამივარდა პასკილი თქვენზე—„ბერნეს სიკვდილის შემდეგ დროინდელი წერილები“. შე ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ იგი იქნებოდა ისეთი საძიგელი წვრილმანი და უგემური, როგორც ეს შავით თეთრზე დაწერილი შეიძლება წაიკითხოთ ამ წიგნში. რა უბადრუკობაა—გუტცოკოვის ბოლოსიტყვაობა. მე დაეწერ რომელიმე გერმანული გამოცემისათვის ვრცელ განხილვას თქვენი წიგნისა ბერნეს შესახებ“.

სამწუხაროდ მარქსმა ვერ შესძლო განეხორციელებია თავისი განზრახვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ახალ რეინის გაზეთის“ თითქმის ყოველ ნომერში მარქსს, როგორც ეპიგრამები, როგორც პოლიტიკურად მომქმედო-ბასრი არგუმენტი ყოველთვის მოჰყავდა ჰაინეს ლექსების სტრიქონები, რაც კიდევ შეტად ადასტურებს მარქსის გულმხურვალე და ღრმა დამოკიდებულებას ჰაინესადმი და მისი პოეზიისადმი.

საფრანგეთის მთავრობის მიერ განდევნილი მარქსი 1845 წ. ბრიუსელში შეხვდა და გაიცნო ფ რ ა ი ლ ი გ რ ა ტ ი. მათ შორის მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა გაცნობისთანავე.

ფრაილიგრატი შევიდა მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით არსებულ „ახალი რეინის გაზეთის“ რედაქციის შემადგენლობაში. პოლიტიკური ხაზით იგი დადგა სრულიად მარქსის პლათფორმაზე და რედაქციის შემადგენლობაში შესილასთან ერთად იგი გახდა „კომუნისტთა კავშირის“ წევრიც, რომლის რიგებშიაც იგი დარჩა მის არსებობამდე.

მარქსის უახლოესმა მეგობრობამ ძლიერ შეუწყო ხელი ფრაილიგრატის, როგორც რევოლუციონური პოეტის და ოსტატის ზრდას. მთელ რიგ მის ლექსებში, როგორც ლაპარაკობს ფ რ ა ი ლ ი გ რ ა ტ ი, შეიძლება უშუალოდ მიუთითოთ მარქსის იდეურ გავლენაზე. ყველა ლექსები, რომლებიც დასწერა ფრაილიგრატმა 1848 და 1849 წ. და დაიბეჭდა „ახალ რეინის გაზეთში“ ასე თუ ისე მთლიანად მარქსის აზრებია, რომელთაც მიცემული აქვს პოეტური სახე. ამგვარად, ფრაილიგრატის რევოლუციონური პოეზიის უაღრესად გამ-



ლის პერიოდი, დაკავშირებული იყო პროლეტარიატის რევოლუციური თეორიის შემქმნელთან—მარქსთან. ამ გარემოებას ადასტურებს სწორედ ის მდიდარი მიწერ-მოწერაც მარქსსა და ფრაილიგრატს შორის, რომლის ნაწილშიც ჩვენამდეც მოაღწია.

1852 წ. 26 იანვარს მარქსი სწერს წერილს ფრაილიგრატს. ამ წერილში იგი აფასებს ფრაილიგრატის ლექსს, რომელიც ამ უკანასკნელმა დასწერა წერილბურჟუაზიულ გერმანელ პოეტის გოტფრიდ კინკელის ამერიკაში გამგზავრების გამო: „სტროფები, რომლებიც შენ გამოიმგზავნე წასაკითხავად, შეტად კარგია და მხატვრულად გამოხატავს დანაშაულის არსს. მაგრამ იგი ზიანს მიიყენებს მთელი ლექსის შთაბეჭდილებას. უპირველეს ყოვლისა, ნუ თუ კინკელი მართლაც „გერმანიის პოეტია“, მე და ბევრი სხვა კეთილი ადამიანები ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ცოტა არ იყოს ეჭვი შეგვივიდეს იმაში. შემდეგ დაპირისპირება „გერმანიის პოეტის“ „ეკპარ“ ბაბილონის პოეტთან განა არ ასუსტებს შთაბეჭდილებას, თუ კი კვლავ ერთმანეთის წინ დგებიან „თავისუფალი“ და „მონათმფლობელი“ პოეტები?.. რადგანაც ჩემი შეხედულებით არ არის შინაგანი აუცილებლობა ლექსში შეტანილი იქნას კინკელი.—ეს მხოლოდ საბაბს მისცემდა მოწინააღმდეგეებს ესარგებლათ ამ გახსენებით, როგორც პირადი გაბოროტების ან შუღლის გამოხატულებად. მაგრამ რადგანაც სტროფი შეტად მოხერხებულადაა ნათქვამი და ამიტომ არ ღირს მისი უქმად დაკარგვა და რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ შენ დაეთანხმები ჩემს მიერ გამოთქმულ აზრს—პირველ შესაძლებლობისთანავე შეიტან ერთ-ერთ შემდეგში დაწერილ წერილში—ლექსებად. სურათი შეტად მომჯადოებელია“.

მარქსი ამ წერილში ფრაილიგრატის ლექსს არჩევს უმთავრესად შინაარსის, იდეის მხრივ (თუმცა ლექსის მხატვრულ-ფორმალურ მხარესაც არ ივიწყებს) და ნახულობს მასში არსებით წინააღმდეგობებს, რომელთაც შეუძლიათ აენონ საზოგადოებრივ საქმეს. მარქსი განსაკუთრებით მკაფიოდ მიუთითებს „თავისუფალ“ და „მონათმფლობელ“ პოეტებზე. მარქსი არაერთარ შემთხვევაში არ ეთანხმება ფრაილიგრატს იმაში, რომ თითქოს კინკელი იყოს „თავისუფალი“ შემომქმედი. მარქსისათვის ნათელი იყო, რომ კინკელი თავის შემოქმედებას კლასიურ კანონზომიერების საფუძველზე ჰქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ფრაილიგრატი სრულიად ღებულობდა მარქსის ამ უაღრესად საფუძვლიან და პოლიტიკურად სწორ კრიტიკას და პირღებოდა რომ მის საფუძველზე გადაამუშავებდა შემდეგში თავის ლექსს.

მთელ რიგ თავის წერილში მარქსი აძლედა ფრაილიგრატს „სოციალურ შეკვეთას“ (რასაკვირველია არა ლექსური გაგებით) დაეწერა ლექსი ამათუიმ განსახლერულ თემაზე.

1851 წ. ი. ვეიდემეიერმა დახონით მიმართა თავის მეგობრებს ლონდონში, რათა მიეღოთ მონაწილეობა მის მიერ ნიუ-იორკში დაარსებულ კოშუნზმის პროპაგანდის ორგანოში. ამ თხოვნის შესახებ მარქსი სწერდა ფრაილიგრატს: „მიაქციე ყურადღება და შეთხზი ახალწლის სიმღერა. ახლანდელ პირობებში მე მგონია უფრო ადვილი საქმეა სწერო ლექსებათ, ვიდრე პროზათ, სულერთია იქნება იგი პათეტიკურ თუ იუმორისტული განხრით. თუ შენ ოდეს-

მე მოიფიქრებდი მხატვრულად გამოხატო იუმორი, რომელიც ახასიათებს შენს აფრიკულ ბრწყინვალეობას პირად ცხოვრებაში, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ სფეროში მოიპოვებდი დიდ მნიშვნელობას—განა შენმა ცოლმა არ შენიშნა სწორედ, რომ შენ ტყუილად უბრალოდ არ გიბტუნავენ თვალეში ბავშვები“.

ფრაილიგრატმა შეასრულა მარქსის „სოციალური შეკვეთა“ და დასწერა ზემოთ აღნიშნული ლექსი კინკელის წინააღმდეგ.

„ახალ რეინის გაზეთის“ რედაქციაში მუშაობის პერიოდში შექმნა ფრაილიგრატმა „უნგრეთი“, „ვენა“, „ბლიუმ“, „ვინდიშგრეც“, „რობერტ ბლიუმ“, „ამომავალი ნზე“ და სხვ. მაგრამ განოჩენილი ადგილი უჭირავს ფრაილიგრატის ამ დროინდელ ლექსებიდან „მკვდრები—ცოცხლებს“ და „გამოსათხოვარს სიტყვა“. ამ უკანასკნელ ლექსში პოეტის ერთ პროლეტარული პარტიის გაზეთი „ახალი რეინის გაზეთი“ ეშვადობებოდა თავის მკითხველებს, ვინაიდან რევოლიუციის დამარცხებამ და რეაქციის გამარჯვებამ გერმანიიდან განდევნა მარქსი და გაზეთის სხვა რედაქტორებიც, გამოიწვია გაზეთის დაბურვა.

1852 წ. ნოემბერში „კომუნისტთა კავშირი“ დაიშალა. მარქსსა და ფრაილიგრატს შორის მეგობრობა კიდევ გრძელდებოდა რამდენიმე წელს, სანამ თვით ფრაილიგრატმა არ გასწყვიდა ის თავის შეუფერებელი, უტაქტო მოქმედებით თავის მეგობრის მიმართ.

ასეთი გზებით მიემართებოდა მარქსის დამოკიდებულება ლიტერატურის და ხელოვნების ფრონტისადმი. მაგრამ რაც მთავარია: მარქსი იყო არა მარტო უბრალო მკითხველი მხატვრული ლიტერატურის, არა მარტო უბრალო მკითხველი ხელოვნების ფაქტების, არამედ მან მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა რევოლიუციონურ — პროლეტარულ ესთეტიკას და ხელოვნების თეორიას. სამწუხაროდ დღემდე ჩვენ ვერ შევსძელით სრულიად შეგვეთვისებია, სრულიად გამოვეყენებოთ მეცნიერული კომუნიზმის მამათმთავრის გენიალური მოსახრებები ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ.

ლიტერატურის და ხელოვნების ფრონტზე მოვუშავეთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მარქსის და მისი საუკეთესო გამგრძლებლების ლენინის და სტალინის იდეების სრული დაუფლებისათვის და მისი გამოყენებისათვის თავის სპეციფიურ სფეროში.

კარლ მარქსი

ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ

ხელოვნების საკითხი

ხელოვნების სფეროში ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულიადაც არ არიან შეფარდებულნი საზოგადოების საერთო განვითარებასთან, ე. ი. ისინი არ არიან შეთანხმებულნი არც მის მატერიალურ საფუძვლებთან, რომელიც ვითამ ჩონჩხი იყოს მისი ორგანიზაციისა. მაგ., ბერძნები ახალ ხალხებთან შედარებით და აგრეთვე შექსპირიც. ხელოვნების ზოგიერთი დარგის, მაგალითად, ეპოსის შესახებ ცნობილია, რომ მას თავის კლასიკურ მსოფლიო ეპოქის შემქმნელ ფორმაში უკვე აღარ შეუძლია რამე წარმოშვას მას შემდეგ, რაც ნამდვილი მხატვრობითი შემოქმედება ჩაისახა. ამრიგათ, ხელოვნების სფეროში ცნობილი სახეები ხშირათ წარმოსდგებიან ხელოვნების ჯერ კიდევ დაბალი, განუვითარებელი საფეხურებიდან და თუ ასეა ხელოვნების სხვადასხვა დარგსა და სახის დამოკიდებულებას შორის, რაღა გასაკვირია, რომ ასეთი შეუსაბამობა არსებობდეს ხელოვნების მთელ საშეფოს და საზოგადოების განვითარების ზოგად ფორმას შორის. სიძნელე მხოლოდ იქ დაიწყება, სადაც საკითხი დაისმება ამ წინააღმდეგობის გაგების შესახებ. თვითულის სპეციფიკაციით კი შეიძლება მათი ახსნა. მაგალითისათვის ავიღოთ ბერძნული ხელოვნების, და შემდეგ შექსპირის დამოკიდებულება თანამედროვეობასთან. ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია იყო ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალი, არამედ მისი ჭიდაგიც. ნუ თუ ელექტრიული ტელეგრაფის, რკინის გზის, ორთქლმავალის და სელფაქტორის გვერდით შესაძლებელია არსებობდეს ბუნებაზე ისეთი შეხედულება და საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი გაგება, როგორც ბერძნულ ფანტაზიას (და აქედან ბერძნულ ხელოვნებას) საფუძვლად ედო? ნუ თუ ვულკანს შეუძლია იარსებოს Robets, et Co-ის გვერდით, იუპიტერს—მეხის საფარის, ხოლო პერმესს—Credit mobilier-ის გვერდით? ყოველი მითოლოგია საბავს და სძლევს ბუნების ძალას ფანტაზიის გზით და მხოლოდ ფანტაზიაში; რამ წაშს დაიწყება ნამდვილი ბატონობა ამ ძალებზე, იმ წამსვე გაქრება მითოლოგიაც. აბა რა არის ფაბა, როცა Printinghouses quare¹ არსებობს? ბერძნული ხელოვნების არსებობა ბერძნული მითოლოგიის წინასწარ არსებობას გულისხმობს; ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის ფანტაზიაში ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა

¹) გაზეთ „Times“-ის სტამბა ლონდონში.

უკვე ერთგვარი გაუცნობიერებელი ხელოვნების სახით გადამუშავებულია. ეს არის მისი მასალა და არა ყოველივე მითოლოგია, არა ყოველი გაუცნობიერებული მხატვრული გადამუშავება ბუნებისა (აქ ყოველი საზოგადოებრივი, საზოგადოებაც, თავისთავად იგულისხმება). ეგვიპტურ მითოლოგიას არ შეეძლო ნიადაგი ან საშო ყოფილიყო ბერძნული ხელოვნებისა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი ნიადაგი მითოლოგია უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ისეთს საზოგადოებრივ ურთიერთობას (საზოგადოებრივი ურთიერთობა კი ნიადაგია ბერძნული ხელოვნებისა), რომლისთვისაც უცნობი იყო ბუნებისადმი მითოლოგიური მიდგომა, რომელიც ხელოვნისაგან მოითხოვდა მითოლოგიისაგან განზანდობილ ფანტაზიას, არ შეეძლო ბერძნული ხელოვნების ნიადაგი ყოფილიყო.

მეორე მხრით: ნუ თუ აქილესი შესაძლებელია თოფის წამლისა და ტყვიის გვერდით? ან და საერთოდ მთელი ილიადა მაშინ, როცა საბეჭდი პრესი და საბეჭდი მანქანა არსებობს? ნუ თუ თანამედროვე პრესის ხმაურში არ ქრება ყოველი თქმულება, ლექსი და მუზა და მათთან ერთად ეპიური პოეზიის ყველა აუცილებელი პირობა?

მაგრამ სიძნელე იმისი გაგება კი არ არის, რომ ბერძნული ხელოვნება და ეპოსი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ფორმას ექვემდებარებიან; სიძნელე იმაშია (ე. ი. იმის გაგებაში), რომ ისინი დღემდე ჩვენ მხატვრულ სიამოვნებას გვგვრიან, ის კი არა — ზოგ შემთხვევაში ნორმისა და მიუწდომელი ნიმუშის სახეს ინარჩუნებენ.

ვაქაკს არ შეუძლია გახდეს ბავში, მაგრამ მას შეუძლია გახდეს ბავშური. ნუ თუ მას არ უნდა ახარებდეს ბავშვის გულუბრყვილობა? ნუ თუ არ უნდა ცდილობდეს იგი, რომ განვითარების მაღალ საფეხურზედაც განაახლოს მისი ნამდვილი ბუნება და ნუ თუ ბავშვის ბუნებაში თვითველი ეპოქა თავისი ნამდვილი ხასიათის და ქვეშარაობის სახის განცდას არ ნახულობს? კაცობრიობის იმ საზოგადოებრივ ბავშვობას, რომელიც უშვენიერესად გაიფურჩქნა ერთხელ, რათ არ უნდა გამოეწვია ჩვენში მარადი სიამოვნება? არსებობენ როგორც ბავშვები, ისე უღროვოდ დაევაკაცებული ბავშვებიც. ნორმალური ბავშვები იყვნენ ძველი ბერძნები. მათი ხელოვნების მიერ გამოწვეული სიამოვნება ჩვენთვის რასაკვირველია, ეწინააღმდეგება იმ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომელზედაც ისინი აღმოცენდნენ. ეს წინააღმდეგობა სწორეთ იმ მდგომარეობის შედეგია და ერთი ზედმეტი მოწმობა იმისა, რომ ის განუვითარებელი საზოგადოებრივი ურთიერთობა არას დროს აღარ გამეორდება...

მწერლის მუშაობა

მწერალი თავის მუშაობას სრულიად არ უცქერის, როგორც საშუალებას. ის თავისთავად მიზანი არის:

ის იმდენად არ წარმოადგენს საშუალებას არც მისთვის და არც სხვებისათვის, რომ მწერალი, როდესაც ეს საჭიროა, თავის პირად არსებობას მსხვერპ-

ლად სწირავს მის არსებობას სარწმუნეობის შედაგებლის შესავსად, თუმცა სხვა აზრით, ისიც ისახავს პრინციპს: „მორჩილი ეკმენეს უფრო ღმერთსა, ვიდრე ადამიანებს“, რომელთა შორის იმყოფება ისიც თავისი ადამიანურად... მყოფი მყოფლებითა და სურვილებით. წარმოვიდგინოთ, რომ ჩემთან მოსულიყო მკერავი, რომელსაც მე შევეუკვეთე პარიზული ფრაკი, და მოეტანა რომაული ტოგა, რომელიც მისი აზრით უფრო შეეფერება სილამაზის მარადიულ კანონს; ბეჭდვითი სიტყვის უმთავრესი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელოსნობა არ იქნეს.

კ. მარქსის—წერილიდან „რანის გაზეთში“

ვალტერ სკოტი

... მე საერთოდ გაცილებით უკეთესად ვგრძნობ თავს. ეს უკანასკნელი (ავადმყოფობის) შემოტევა საშინელი იყო. მან საზღვარი დაუდო არამც თუ (ჩემს) ყოველგვარ მუშაობას, არამედ ყოველგვარ კითხვასაც, ვალტერ-სკოტის გამოკლებით“...

კ. მარქსის წერილიდან ფ. ვენგელსისადმი, 2 მარტი, 1866 წ.

ბალზაკი

... ამჟამად მხოლოდ ორიოდ სტრიქონს გწერ, რადგან ეხლა ჩემთან ზის სახლისპატრონის აგენტი და მის მიმართ მე უნდა ვითამაშო მერკადეტის როლი. ბალზაკის კომედიიდან, რაც შეეხება ბალზაკს, მე უნ გირჩევ წაიკითხო მისი „უცნობი შედეგრი“ და „შერიკებული მელმონტი“. ეს არის ორი პატარა შედეგრი, საესე მომზიბლავი ირონიით.

მარქსის წერილიდან ვენგელსისადმი, 1867 წ. 25 თებ.

მოგონებებიდან მარქსის შესახებ

3. ლაფარცი

მარქსმა ზეპირად იცოდა ჰაინე და გოეტე და მათი თხზულებებიდან ზმირად მოყავდა ციტატები საუბრის დროს; საერთოდ მას ძალიან უყვარდა პოეზია. ეს ქილს კითხულობდა ბერძნულ დედანში და იგი და შექსპირი მიიჩნდა ორ უდიდეს დრამატურ გენიოსად, როგორც კი კაცობრიობას წარმოუშვია. შექსპირი, რომელსაც იგი უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდა, მარქსმა გაიხადა საფუძვლიანი შესწავლის საგნად და იცნობდა მისი დრამების სულ უმნიშვნელო მომქმედ პირთაც კი. მარქსის ოჯახში გაბატონებული იყო დიდი

ინგლისელი დრამატურგის ნამდვილი კულტი. მისმა სამმა ქალიშვილმა შექსპირი ზეპირად იცოდა. როცა მარქსმა 1848 წლის შემდეგ მოისურვა უფრო სრულად შეესწავლა ინგლისური ენა რომელზედაც იგი უფრო ადრე თავისუფლად კითხულობდა, იგი შეუდგა შექსპირის ყველა სპექტაკლური გამოთქმების შეგროვებას და განსაზღვრულ წესრიგით ჩაწერვას. გულდასმით სწავლობდა აგრეთვე ვილიამ კობეტის პოლემიკურ თხზულებათა ზოგიერთ ნაწილს, კობეტს იგი დიდად აფასებდა. მარქსის უსაყვარლესი პოეტების რიცხვს ეკუთვნოდნენ აგრეთვე დანტე და ბერნსი, და მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა მისი ქალიშვილების მიერ შოტლანდიელი პოეტის სატირების ხმამაღლა კითხვა ან ბერნსის საყვარელი ლექსების ტექსტზე დაწერილი რომანსების მღერა.

დარვინის მსგავსად, ის რომანების დიდი მოყვარული იყო.

მარქსს უმთავრესად უყვარდა XVIII საუკუნის რომანები, განსაკუთრებით კი ფილდინგის რომანები: მერმინდელი მწერლებიდან მას ყველაზე უფრო მოსწონდა პოლ დე-კოკი, ჩარლზ ლივერი, ალექსანდრე დიუმა-მამა და ვალტერ-სკოტი. ის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თავგადასავლით და იუმორისტული ელემენტით მდიდარ მოთხრობებისადმი, ყველა რომანისტებზე მაღლა იგი სერვანტესს და ბალზაკს აყენებდა. დონკიხოტში ის ხედავდა გადაშენებულ რაინდობის ეპოსს, რომლის სიქველე ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიაში გადაქცეული იყო დაცინვის და აბუჩად აგდების საგნად. ბალზაკს ისე მაღლა აყენებდა, რომ ფიქრობდა მის შესახებ კრიტიკული წერილის დაწერას, როცა დაასრულებდა თავის თხზულებას პოლიტიკურ ეკონომიაში, დიდი ეკონომისტის აზრით ბალზაკი იყო არა მარტო თავის დროის ყოფაცხოვრების მწერალი, არამედ იმ პროტოტიპების შემოქმედიც, რომლებიც ლიუდოვიკ-ფილიპეს დროს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ და რომლებიც მხოლოდ შემდეგ, ნაპოლეონ III დროს, განვითარდნენ.

მარქსი კითხულობდა ყველა ევროპულ ენებზე და სწერდა სამ ენაზე: გერმანულს, ფრანგულს და ინგლისურზე. ეს ენები მან ზედმწევნით იცოდა და ხშირად იმეორებდა ფრაზას: „უცხო ენა იარაღია საარსებო ბრძოლაში“. მას ჰქონდა დიდი ლინგვისტური ნიჭი, რომელიც მემკვიდროებით მიიღეს აგრეთვე მისმა ქალიშვილებმა. როცა მარქსი უკვე 50 წლის იყო, იგი შეუდგა რუსული ენის შესწავლას და ამ ენის სიძნელის მიუხედავად, რალაც ექვსიოდე თვის შემდეგ ისე დაეუფლა მას, რომ კმაყოფილებით კითხულობდა რუს პოეტებს და პროზაიკოსებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, გოგოლს და შჩეღრიანს.

მარქსი არ კმაყოფილდებოდა საკუთარი, ათაზე მეტი ტომის შემცველი ბიბლიოთეკით, რომელიც მან მზრუნველობით შეაგროვა თავისი ხანგრძლივი და განსაცდელით მდიდარი ცხოვრების განმავლობაში, — ის გულმოდგინედ დადიოდა ბრიტანეთის მუზეუმში, რომლის წიგნთსაცავს დიდად აფასებდა. მისი მოწინააღმდეგეებიც კი იძულებული იყვნენ აღეარებიათ, რომ მას ჰქონდა უაღრესად ფართო და ღრმა ცოდნა არა მარტო თავის სპეციალობაში — პოლიტიკურ ეკონომიაში: არამედ ფილოსოფია, ისტორიასა და მსოფლიო ლიტერატურაშიც კი.

... ფლობერისა და გონკურის სკოლის ბელეტრისტები სწივიან იმაზე, რომ ძალიან ძნელია ზუსტად გადმოსცე ის, რასაც ხედავ... მათი ლიტერატურული შრომა — ბავშვის თამაშია მარქსის მუშაობასთან შედარებით. მაქსიმალური იყო გონების არაჩვეულებრივი ძალბ, რომ ასე ღრმად ყოველმხრივ განსჯილი სინამდვილე; და საჭირო იყო არა ნაკლებ იშვიათი ხელოვნება, რომ მას გადმოეცა ის, რასაც ხედავდა და რაც უნდოდა ეთქვა. არაოდეს არ იყო ის კმაყოფილი თავისი ნაშრომით, შემდეგში ის ნიადგ სცვლიდა მას და ფიქრობდა, რომ მის მიერ დაწერილი გაცილებით დაბლა დგას მის ნააზრევზე. ბალზაკის ფსიქოლოგიური ეტიუდი „უცნობი შედეგები“, რომლის პლაგიატიც ისე საცოდავად გააკეთა ზოლამ, მარქსზე ახდენდა ულრმეს შთაბეჭდილებას, ვინაიდან ამ ნაწარმოებში აღწერილია იგივე გრძნობები, რასაც თვით მარქსი ვანიცდიდა. ამ მოთხრობაში გენიოსი მხატვარი ცდილობს დახატოს საგნები ისე, როგორც ისინი ისახებიან მის გონებაში, დიდხანს იტებს თავს ნაწარმოებზე, ასწორებს და აკეთებს მას, სანამ დაბოლოს თავის სურათს არ გადააქცევს ფერების რაღაც უფორმო მასად, რომელიც მხატვრის არეულ მხერას ეჩვენება სინამდვილის უსრულყოფილეს ასახვად...

...მარქს შეუდარებელი პოეტური ფანტაზია ჰქონდა. მის პირველ სალიტერატურო ცდებს წარმოადგენდენ ლექსები. მარქსის ცოლი მზრუნველობით ინახავდა თავის ქმრის ქაბუკობის დროინდელ ლექსებს, მაგრამ მათ არავის აჩვენებდა, მარქსის მშობლები შეილისთვის სალიტერატურო ან საპროფესორო კარიერაზე ოცნებობდენ; მათი აზრით მან თავი დაიმცირა მით, რომ სოციალისტურ აგიტაციას შესწირა თავი და აირჩია საგნად პოლიტიკური ეკონომია, რომელსაც იმ დროინდელ გერმანიაში ჯერ კიდევ აგდებულად უცქეროდენ...

... მარქსი თავის ასულებს შეჰპირდა დრამის დაწერას, რომელსაც სიუჟეტად გრაკხების ისტორია ექნებოდა. სამწუხაროდ მას არ დასცალდა თავისი პირობის შესრულება...

ლვ. შერანტი

... მარქსი დაჯილდოებული იყო დიდი მხატვრული ნიჭით, რომელსაც ამჟღავნებდა თავის სამეცნიერო ნაწერებშიც. სიტყვის სიძლიერით და ენის სურათოვნებით მარქსს შეეძლო შედაეებოდა გერმანიის ლიტერატურის საუკეთესო ოსტატებს. თავის ნაწარმოებში იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა აგრეთვე ესთეტიური გრძნობის ზომიერებას, ამ მხრივ იგი არ ჰგავდა, ზოგიერთ ვიწრო გონების სწავლულებს, რომლებიც აზრების მოსაწყენ გამოთქმას მეცნიერების ძირითად საწინდრად სთვლიან.

...მარქსის ნაწარმოებში გვხვდება მრავალი უცხო სიტყვა და აგრეთვე ინგლისური და ფრანგული გამოთქმები; მაგრამ ამასთან იგი გერმანული სიტყვის

ისეთი ოსტატია, რომ სხვა ენაზე გადათარგმნის დროს ბევრ რასსე პუნტაგაჟ მარქსის დახვეწილი სტილი.

...მარქსს შეეძლო თავისი მხატვრული შედარებებით განსაზღვროდა "შე-
დარებების უდიდეს ოსტატებს"—ლესინგს, გოეტეს, ჰეგელს.

ვილჰელმ ლიბუნჯცი

...მარქსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა აზრების ფართო, სწორ გამოთქმას. გოეტეში, ლესინგში, შექსპირში, დანტეში, სერვანტესში იგი ხედავდა უმაღლეს ნიბუშებს—კითხულობდა მათ ყოველ დღე.

ენის სიწმინდისა და სისწორის მიმართ იგი იყო კეთილ-სინდისიერი პედა-
ნტობამდე..

...მარქსი სასტიკი პურისტი იყო: ხშირად იგი დიდხანს ეძებდა რომელი-
მე მოხერხებულ გამოთქმას და ამაზე ის მცირე შრომას არ ხარჯავდა.

...მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების ორი მესამედი მარქსმა გაა-
ტარა უცხოეთში, მან უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს გერმანულ ენას; იგი
წარმოადგენს ამ ენის ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატს და გამამდიდრებელს*.

როგორ მუშაობდა ლენინი მარქსზე

ლენინმა უაღრესად ბევრი შრომა გასწია იმისათვის, რომ მარქსიზმის შექმნით გაენათებინა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის გზა. ორმოცდაათმა წელსა განვლო მარქსის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მარქსიზმი ჩვენი პარტიისათვის მაინც რჩება მოქმედების სახელმძღვანელოდ. ლენინიზმი მხოლოდ შემდგომი განვითარებაა მარქსიზმისა, მისი გაღრმავება.

ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდ ინტერესს შეიცავს საკითხი თუ როგორ მუშაობდა ლენინი მარქსზე.

ლენინი საუცხოოდ იცნობდა მარქსის შრომებს. როდესაც 1893 წელს იგი პიტერში ჩაძოვიდა, ყველა მაშინდელი მარქსისტები მან განცვიფრებაში მოგვიყვანა მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა შესანიშნავი ცოდნით.

90-ან წლებში, როდესაც მარქსისტულ წრეების ჩამოყალიბება დაიწყო, საზოგადოება უმთავრესად „კაპიტალის“ პირველ ტომს სწავლობდა. ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა „კაპიტალის“ შოვნა. რაც შეეხება მარქსის სხვა ნაწარმოებთ, აქ კი საქმე ძალიან ცუდათ იყო. წრის წევრთა უმეტესობას „კომუნისტური მანიფესტიც“ კი ბრ ჰქონდა წაკითხული. მაგალითად მე ის წავიკითხე მხოლოდ 1898 წელს, გადასახლებაში ყოფნისას, გერმანულ ენაზე. ვლადიმერ ილიჩმა ენები იცოდა და ცდილობდა რაც შეეძლო ყველაფერი ეშოვნა მარქსისა და ენგელსისა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ანა ილიჩიშნა გვიამბოს, რომ ლენინი მარქსის „ფილოსოფიის სილატაკეს“ თავის დასთან, ოლდასთან ერთად ფრანგულ ენაზე კითხულობდა, უმეტეს ნაწილად მას გერმანულ ენაზე უბეჭდებოდა კითხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან, მისთვის საინტერესო ადგილებს მარქსისა და ენგელსის ნაწერებიდან იგი სთარგმნიდა თავისთვის რუსულ ენაზე.

ვლადიმერ ილიჩის პირველ დიდ შრომაში, რომლიც მან 1894 წელს არალეგალურად გამოსცა, „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი ს. დ-ის“ - მოიპოვება მითითებანი „კომუნისტურ მანიფესტზე“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“-ზე, „ფილოსოფიის სილატაკეზე“, „გერმანულ იდეოლოგიაზე“, მარქსის რუგესადმი 1843 წლის წერილზე, ენგელსის წიგნებზე — „ანტი-დიურინგზე“ და „ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაზე“.

მაშინდელი მარქსისტების უმეტესობას, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად იცნობდნენ მარქსის ნაწერებს, „ხალხის მეგობრებმა“ ძალიან გაუფართოვა მარქსისტული თვალთახედვის არე, ახალი მხრიდან გაუნათა საკითხების მთელი რიგი და ამიტომ ამ წიგნს ხელიდან ხელში იტაცებდნენ.

ლენინის შემდეგ შრომაში: „ხალხოსნობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში“, ჩვენ ვნახულობთ უკვე მიფითებებს „მე 18 ბრუმერზე“, „სამოქალაქო ომზე საფრანგეთში“, „გოთას პროგრესული ეკონომიკაზე“ და „კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომზე.

შემდეგში, ემიგრაციაში ცხოვრებამ ლენინს საშუალება მისცა საცესებით გაეცნობოდა მარქსისა და ენგელსის ყველა ნაწერებს და ზედმიწევნით შეესწავლა იგი.

მარქსის ბიოგრაფია, რომელიც ლენინმა 1914 წელს, გრანატის „ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის“ დასწერა, საუკეთესოდ ამტკიცებს თუ როგორ ღრმად ჰქონდა მას შესწავლილი მარქსის ნაწერები.

ვლადიმერ ილიჩ უამრავ ამონაწერებს აკეთებდა, რომლითაც სარგებლობდა თავის მუშაობის დროს, ხშირად ვადიკითხავდა ხოლმე მათ, აკეთებდა მათ შესახებ თავის შენიშვნებს. ლენინი არა მარტო იცნობდა მარქსს, მას ღრმად ჰქონდა გააზრებული მთელი მისი მოძღვრება. ლენინი სწავლობდა არა მარტო იმას, რაც მარქსმა დაწერა, არამედ იმასაც, რასაც მარქსისა და მარქსიზმის წინააღმდეგ სწერდენ მისი მოწინააღმდეგენი ბურჟუაზიული ბანაკიდან. მათთან პოლემიკაში ლენინი არკვევდა მარქსიზმის ძირითად დებულებებს.

პირველი მისი დიდი შრომა იყო „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი ს.დ.-ს“? (პასუხი „რუსსკოე ბოგატსტვოში“ მოთავსებულ მარქსისტების საწინააღმდეგოდ მიმართული წერილებისა), სადაც ხალხოსნების (მიხაილოვსკის, კრივენკოს, იუჯაკოვის) თვალსაზრისს უპირისპირებდა მარქსის თვალსაზრისს. წერილში „ხალხობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში“ იგი მიუთითებდა იმ განსხვავებაზე, რომელიც სტრუვეს თვალსაზრისსა და მარქსის თვალსაზრისს შორის არსებობდა.

აგრარული საკითხის განხილვისას ლენინი სწერს შრომას „აგრარული საკითხი და მარქსის «კრიტიკოსები» (ტ IV), სადაც გერმანელ ს.დ. დავიდის პერცის, და რუს კრიტიკოსთა—ჩერნოვის და ბულგაკოვის წვრილ ბურჟუაზიულ თვალსაზრისს უპირისპირებს მარქსის თვალსაზრისს.

ლენინისთვის მარქსის მოძღვრება დოგმა კი არ იყო, არამედ სახელმძღვანელო მოკმედებისათვის. მას ეროვნულ წამოცდა ასეთი კამოქმა: „ვისაც სურს მარქსს რჩევა ჰკითხოს...“ გამოთქმა მეტად დამაზასიათებელია. თითონ ლენინი ხშირად იღებდა რჩევას მარქსისგან. რევოლუციის ურთულეს გადატეხის მომენტებში იგი ხელახლა ჩაუჯდებოდა ხოლმე მარქსის კითხვას. ხშირი მაგალითი იყო მის კაბინეტში: შეხვალ, გარშემო ყველა ღელავს, ილიჩი კი მარქსს კითხულობს და ხშირად ძლივს ძლივობით წაართმევს ხოლმე თავს მის კითხვას. ლენინი მარქსს წერვების დასამწვიდებლად როდი ჩაუჯდებოდა ხოლმე, არც მისთვის რომ შეიარაღებულიყო რწმენით მუშათა კლასის ძალეში, რწმენით მის საბოლოო გამარჯვებაში, —ასეთი რწმენა ილიჩს საკმარისად ჰქონდა, —არამედ იმისთვის, რომ „რჩევა გკითხა“ მარქსისთვის, მის ნაწერებში ეპოუა პასუხი. მუშათა მოძრაობის საჭირობოროტო საკითხებზე. წერილში „ფრ. მერანჯი მეორე სათათბიროს შესახებ“ ლენინი სწერდა: „ასეთი ადამიანების არგუმენტაცია ციტატების უხეირო შე-

რჩევაზე დაუფიქრებელი: მათ აღებულნი აქვთ ზოგადი დებულებები მსახილი ბურჟუაზიისთვის მხარის დაჭერის შესახებ რეაქციონური წერილი ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ და უკრიტიკოდ უფარდებენ მათ რუს კადეტებს, რევოლუციას. მერინგი კარგ ვაკვეთილს აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც მარქსის რჩევა პკითხოს (ხაზი ჩემია. ნ. კ.). პროლეტარიატის ამოცანათა შესახებ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, მან უნდა გაიცნოს მარქსის აზრები, რომელიც ეხება სწორედ გერმანული ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქას. ტყუილად კი არ ერიდებოდენ შიშით ამ აზრებს ჩვენი მენშევიკები. ამ აზრებში ჩვენ ვხედავთ ყველაზე დასრულებულს, ყველაზე მკაფიო გამოხატულებას, იმ უღმობელი ბრძოლისა შემრიგებელ ბურჟუაზიასთან, რომელსაც ეწვეიან რუსი „ბოლშევიკები“ რუსულ ბურჟუაზიულ რევოლუციაში“ (ტ XI).

ანალოგიური სიტუაციების განხილვისათვის მიძღვნილი მარქსის ნაწერების აღება, მათი ზედმიწევნითი ანალიზი, შედარება მიმდინარე მომენტთან, განორკვევა მსგავსებისა და განსხვავებისა, — აი ასეთი იყო ლენინის მეთოდი. მისი გამოყენება 1905-1907 წლის რევოლუციაში, საუკეთესო ილუსტრაციას გვაძლევს იმისას, თუ როგორ მუშაობდა ამ მხრივ ლენინი.

1905 წლის რევოლუციამ დღის წიგნში დააყენა მთელი რიგი ახალ აქტუალურ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტის დროს ლენინი უფრო ღრმად სწავლობდა მარქსის ნაწერებს. რევოლუციის ცეცხლში მარქსის მოძღვრებიდან იჭედებოდა ლენინური მეთოდი (ქეშმარიტად მარქსისტული).

მარქსის შესწავლის ამ მეთოდმა შეაიარაღა ლენინი მარქსიზმის დამახინჯებებთან ბრძოლისათვის, მარქსიზმიდან რევოლუციონური შინაარსის გამოცხრილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ჩვენ ვიცით, თუ როგორი უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში ლენინის წიგნმა „სახელმწიფო და რევოლუცია“-მ. ეს წიგნი მთლიანად დამყარებულია სახელმწიფოს შესახებ მარქსის რევოლუციონური მოძღვრების ღრმა შესწავლაზე.

ამხ. სტალინი „ლენინიზმის საფუძვლებში“ სწერდა: „მხოლოდ შემდგომ პერიოდში, პროლეტარიატის აშკარა გამოსვლების პერიოდში, პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიის ჩამოგდების საკითხი პირდაპირი პრაქტიკის საკითხად იქცა, როდესაც საკითხი პროლეტარიატის რეზერვების შესახებ (სტრატეგია) გადაიქცა ერთ უსაჭირობოროტესო საკითხად, როდესაც ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმებმა, — როგორც საპარლამენტო, ისე პარლამენტს გარეშე (ტაქტიკა), — მთელი თავისი გარკვეულობით იჩინეს თავი, — მხოლოდ ამ პერიოდში იყო შესაძლებელი პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგიისა და დამუშავებული ტაქტიკის ჩამოყალიბება.

მარქსისა და ენგელსის გენიოსური აზრები ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ, რომელიც მიჩქმალული იყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ, ლენინმა გამოათრია მზის სინათლეზე სწორედ ამ მომენტში (ხაზი ჩემია — ნ. კ.). მაგრამ ლენინი არ დაკმაყოფილდა მარქსისა და ენგელსის ცალკეულ ტაქტიკურ დებულებათა აღდგენით. მან ისინი განავითარა და შეაქსო

აზრებითა და დებულებებით, და ყველაფერი ეს გააერთიანა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელო წესებისა და სახელმძღვანელო საწყობების სისტემად (ი. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“).

მარქსი და ენგელსი სწერდნენ, რომ „მათი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“. ამ სიტყვებს ნიადაგ იმეორებდა ლენინი. მეთოდმა, რომლითაც ის სწავლობდა მარქსსა და ენგელსს, და რევოლუციონურმა პრაქტიკამ, პროლეტარულ რევოლუციითა ეპოქის მთელში გარემოებამ, ლენინს საშუალება მისცა სწორედ მარქსის რევოლუციონური თეორიები ექცია მოქმედების ნამდვილ სახელმძღვანელოდ.

შეფერდები ერთ საკითხზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას წინად ჩვენ ვიდღესასწაულებთ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის თავი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიგონებდით, თუ როგორ მოეწყობა ლაუფლების ხელში აღება 1917 წლის ოქტომბერში. ეს სტიქიურად კი არ მომხდარა, არამედ ღრმად იქნა მოფიქრებული ლენინის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობდა მარქსის პირდაპირი მითითებებით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს აჯანყება.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც პროლეტარიატს გადასცა ხელში დიქტატურა, ძირფესვიანად შესცვალა ბრძოლის ყველა პირობები; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ლენინი ხელმძღვანელობდა მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა არა დოგმით, არამედ მათი რევოლუციონური შინაარსით, მას შეეძლო მარქსიზმის გამოყენება სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში.

მე შეფერდები მხოლოდ ზოგიერთ მომენტებზე. აქ საჭიროა ძალიან დიდი კვლევითი მუშაობის ჩატარება, უნდა გამოჩნდეს იქნას, თუ რას იღებდა ლენინი მარქსისაგან და როგორ იღებდა, რომელ პერიოდებში, რევოლუციონურ მოძრაობის რომელ ამოცანებთან დაკავშირებით. მე აგრეთვე არ შევხებივარ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ნაციონალური საკითხი, იმპერიალიზმი და სხვ. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, ლენინის კრებულების გამოცემა აადვილებს ამ საუშაოს. ლენინის მიერ მარქსის შესწავლის გზა, რევოლუციონური ბრძოლის ყველა ეტაპებზე, თავიდან ბოლომდე, დაგვეხმარება უფრო უკეთესად, უფრო ღრმად გავიგოთ არა მარტო მარქსი, არამედ თვით ლენინიც, მისი მეთოდი მარქსის შესწავლისა და მეთოდი მარქსის მოძღვრების ცხოვრებაში გატარებისა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მხარე ლენინის მიერ მარქსის შესწავლის საქმეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ლენინი სწავლობდა არა მარტო იმას, რასაც მარქსი და ენგელსი სწერდნენ, და იმას, რასაც მარქსის შესახებ სწერდნენ მისი „კრიტიკოსები“, — ის სწავლობდა აგრეთვე იმ გზასაც, რომლითაც მიდიოდა მარქსი ამა თუ იმ შეხედულებებისაკენ. იმ ნაწარმოებებს, იმ შრომებს, რომლებიც აღვივებდნენ და წარმართავდნენ მარქსის აზრს გარკვეული მიმართულებით; სწავლობდა თუ შეიძლება ასე ითქვას, მარქსისტულ მსოფლმხედველობის სათავეებს; სწავლობდა, თუ სახელდობრ რას და სახელდობრ როგორ იღებდა მარქსი ამა თუ იმ მწერლისაგან. განსაკუთრებით ის ცდილობდა რაც შეე

ქლება ღრმად ჩასწვდომოდა დიალექტიკური მატერიალიზმის მეშვეობით. 1927 წელს, სტატიის „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ ლენინი სწერდა, რომ საჭიროა ჟურნალ „Под знаменем Марксизма“-ს თანამშრომლებს მოავჯარონ სისტემატიური მუშაობა ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური თვალსაზრისით სისტემატიურად შესასწავლად. მისი შეხედულებით სერიოზული ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე შეუძლებელი იყო ბრძოლის წარმოება ბურჟუაზიულ იდეების შემოტევასთან და ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის აღდგენასთან. თუ როგორ უნდა მოგვარებულყო ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური თვალსაზრისით შესწავლის საქმე, ამის შესახებ ლენინი საკუთარი გამოცდილების მიხედვით სწერდა.

ესა გამოცემულია ლენინის მე-IX და მე-XII კრებული, სადაც ნაჩვენებია ლენინის აზროვნების მთელი პროცესი მის მიერ ჰეგელის ნაწარმოებთა დაშუშავების დროს, ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებდა იგი დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდს ჰეგელის შესწავლაში, როგორ მკიდროდ უკავშირებდა იგი ამ შესწავლას მარქსის შეხედულებათა საფუძვლიან შესწავლასთან, იმის ცოდნასთან, თუ როგორ უნდა გადაიქცეს მარქსიზმი მოქმედების სახელმძღვანელოდ სხვადასხვა პირობებში.

მარტო ჰეგელზე როდი მუშაობდა ლენინი. მან წაიკითხა მავალითად მარქსის წერილი ენგელსისადმი (1 58 წლის 1-ლ თებერვლის თარიღით), სადაც მარქსი მკაცრ დასკვნას იძლევა ლასალის წიგნს „ჰერაკლიტოს ბნელის ეფესელის ფილოსოფია“-ს (2 ტ.), და უწოდებს მას „მოწაფურ“ შრომას. ლენინი თავდაპირველად იძლევა მარქსის დასკვნის მოკლე ფორმულიროვნება: „ლასალი პირდაპირ იმეორებს ჰეგელს, იწერს მისგან, მილიონჯერ ლეკვას ერთსა და იმავეს ჰერაკლიტოსის ცალკე ადგილების შესახებ და გადატვირთული აქვს თავისი შრომა წარმოუდგენლად უსაზღვრო, უმეცნიერულეს, გელერტერულ არქიბალასტით“. მაგრამ ლენინი მიიხედავს ჰეგელს ლასალის ამ შრომის შესწავლას, ადგენს მის კონსპექტს, აკეთებს ამონაწერებს, სწერს თავის შენიშვნებს ამ წიგნის შესახებ და ბოლოს გამოაქყავს ჯამი: „საერთო ჯამში მარქსის დასკვნა სწორია. ლასალის წიგნის კითხვა არ ღირს“. მაგრამ თვით ლენინს ამ წიგნზე მუშაობამ შესძინა მარქსის უფრო გაღრმავებული გაგება, გაგება იმისა, თუ რატომ არ მოეწონა მას ასე ლასალის წიგნი.

და ბოლოს აღვნიშნავ კიდევ ლენინის მარქსზე მუშაობის ერთ ფორმას — ეს არის მარქსის მოძღვრების პოპულარიზაცია მის მიერ. თუ პოპულარიზატორი „სერიოზულად“ ჰკიდებს ხელს თავის შრომას, თუ მას დასახული აქვს მიზნად უაღრესად მარტივს, გასაგებს ფორმაში გადმოსცეს ამა თუ იმ თეორიის დედააზრი, — ეს შრომა თვითონ მას მეტისმეტად დიდ სარგებლობას მოუტანს.

ლენინი ასეთ შრომას მეტი რომ არ შეიძლება, სერიოზულად ეკიდებოდა. „ისე არაფერი არა მსურს, როგორც ვისწავლო წერა მუშებისათვის“, — სწერდა იგი გადასახლებიდან პლებანოვსა და აქსელროდს.

მარქსის მოძღვრება მას სურდა გაეხადა მუშებისათვის ახლობელ და გასაგებ მოძღვრებად. 90-იან წლებში, წრეებში მეკადნიერობის, დროს იგი ცდილობდა შეესწავლებინა მათთვის უწინარეს ყოვლისა „კაპიტალის“ პირველი ტომ-

მი, და იქ მოყვანილ დებულელებს ასურათებდა თავის მსმენელთა სტრუქტურის მაგალითებით. 1911 წელს ლონჯონის (პარიზთან) პარტიულ კონფერენციადაც ლენინი მუშაობდა რევოლუციონური მოძრაობის ხელმძღვანელ კლასის მოსამზადებლად, იგი მუშებს ლექციებს უკითხავდა პოლიტიკური ეკონომიიდან და ცდილობდა რაც შეიძლება მორტივად გადაეცა მათთვის მარქსის მოძღვრების საფუძვლები. „პრაქსისში“ მოთავსებულ წერილებში ილიჩი ცდილობდა პოპულარიზაცია გაეკეთებინა მარქსის მოძღვრების სხვადასხვა მომენტისათვის. პოპულარიზაციის ნიმუშებს წარმოადგენს ლენინის მიერ 1921 წელს პროფკავშირების შესახებ კამათის დროს მოცემული დახასიათება იმისა, თუ როგორ უნდა საგნის, მოვლენის შესწავლა დიალექტიკის მეთოდის გამოყენებით. ლენინი ამბობდა: „თუ გვინდა ნამდვილად ვიცოდეთ საგანი, საჭიროა შევისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა ურთიერთობა და „განპირობებანი“. ჩვენ ამას საკმარისად ვერაოდეს ვერ მივიღწევთ, მაგრამ ყოველმხრივობის მოთხოვნა გაგვაფრთხილებს ჩვენ შეცდომებისგან და მოდუნებისგან. ეს უპირველეს ყოვლისა. მეორე: დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს იმას, რომ საგანი აღებული იქნეს მის განვითარებაში, „თვითმოძრაობაში“ (როგორც ამბობდა ჰეგელი); ცვალებადობაში. მესამე: ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში“, როგორც კემშარიტების კრიტერიუმი, როგორც პრაქტიკული გამსაზღვრელი საგნის დამოკიდებულებისა მასთან, რაც სჭირდება ადამიანს. მეოთხე: დიალექტიკური ლოგიკა გვასწავლის, რომ „აბსტრაქტული კემშარიტება არ არსებობს“, „კემშარიტება მუდამ კონკრეტულია“, როგორც ჰეგელის შემდეგ უყვარდა ამის თქმა განსვენებულ პლენხანოვს“.

ეს რამდენიმე სტრიქონი კვინტესენციაა იმისა, რასაც დაადგა ლენინი ფილოსოფიურ საკითხებზე მრავალწლოვანი მუშაობის შედეგად, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით მუდამ შეიარაღებული, მუდამ „რჩევაში“ მყოფი მარქსთან. ეს დაწურულ ფორმაში მოცემული სტრიქონები გვითითებენ იმ არსებობაზე, რაც უნდა წარმოადგენდეს მოქმედების სახელმძღვანელოს მოვლენათა შესწავლის დროს.

ლენინის მუშაობა მარქსზე გვასწავლის ჩვენ, თუ როგორ უნდა შევისწავლოთ თვით ლენინი. მისი მოძღვრება განუწყვეტლად დაკავშირებულია მარქსის მოძღვრებასთან, ეს არის მარქსიზმი მოქმედებაში, ეს არის მარქსიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციითა ეპოქისა.



ქართველნი

ა. ბიბიჩიშვილი

მარქსიზმის გავრცელება მსოფლიოში

ა/წლ. 14 მარტს შესრულდა ნახევარი საუკუნე მას შემდეგ რაც „იყო ბრიობა მთელი ერთი თავით დადაბლდა და ისიც ისეთი თავით—რომელიც ველაზე გენიალური იყო მათ შორის, რომლებიც კი კაცობრიობას უკანასკნელ ხანებში მოეპოებოდა“ (ენგელსი)—ნახევარი საუკუნე შესრულდა პროლეტარიატის დიადი მოძღვრის, მისი განთავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლ-რევოლუციონერის კარლ მარქსის გარდაცვალებიდან.

განვლილი ეპოქა არაჩვეულებრივი იყო და ამ ხნის განმავლობაში მრავალ ღირებულებათა ხელახალი გადაფასება მოხდა. რუსეთ-იაპონიის ომი, რუსეთის პირველი რევოლუცია (1905 წლ.) მსოფლიო იმპერიალისტურ სახელაწიფოების გრანდიოზული შეჯახება, ცარიზმის დაშობა, ოქტომბრის რევოლუცია გერმანიის, ავსტრიის რევოლუციები და სხვა, — აი, მოკლე ნუსხა იმისა, რასაც სულ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ თავი მოიყარეს პროლეტარების ათეულმა მილიონებმა. მარქს-ენგელსის საქმის გამგრძელებელმა ლენინმა მარქსის მოძღვრება შეზღოვმ განავითარა და აიყვანა ახალ საფეხურზე, ამ მოძღვრებას შემდგომ განაგრძობს და აწვითარებს საუკეთესო მარქსისტ-ლენინელი ამხ. სტალინი. დღეს ჩვენ ვეცდებით იმ საქმის გამარჯვებას დედამიწის ერთ მეექვსედზე, რომლისათვისაც მარქსი იბრძოდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. სსრ კავშირის პროლეტარიატმა უკვე დაამთავრა სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენება, საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალიზმის გზაზე და შეუდგა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას. ეს მოხდა და ხდება მარქს-ენგელს-ლენინის დროშით და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, და ეს არის უდიდესი გამარჯვება მარქსისა, როგორც მოაზროვნის და რევოლუციონერის.

ერთ-ერთი ბურჟუაზიულ-ლიბერალური მწერალი (ანენკოვი) ასე ახასიათებს მარქსს: „მარქსი წარმოადგენდა ისეთი ადამიანის ტიპს, რომელიც შესდგებოდა ენერჯის, ნებისყოფის და გაუტეხელი რწმენისაგან — ეს იყო ფრიალ შესანიშნავი ტიპი გარეგნობითაც კი. ხშირი, შავი თმა, მანჯგულიანი ხელები, ირიბად შებნეული პალტო. მაგრამ მას ჰქონდა შეხედულობა ისეთი ადამიანისა, რომელსაც უფლებაც აქვს და ძალაც, რომ თავისადმი პატავისცემა მოითხოვოს, რასახთანაც გნებავთ წარმოდგებოდეს თქვენს წინაშე და რასაც გნებავთ აკეთებდეს. ყოველი მისი მოძრაობა ოდნავ მოუხეშავი იყო, მაგრამ გაბედული და ამპარ-

ტაენული. ყოველი მისი ზნე ჩვეულება ეწინააღმდეგებოდა ადამიანთა ურთიერთობაში მიღებულ წესებს. მაგრამ ამაყური და თანაც რალაც ქვეყნის სიღარიბე იყო, ხოლო ცივი, ლათონივით მბგერი ხმა საკვირველად ეგუებოდა ამ რადიკალურ განაჩენებს პიროვნებათა და საგანთა შესახებ, რომლებიც მას გამოჰკონდა. მარქსი უკვე აღარც ლაპარაკობდა სხვანაირად. თუ არა უაპელაციო განაჩენებით. ამასთანავე ყველაფერს, რასაც ის ლაპარაკობდა ფარავდა ერთი ფრიად შკაცური ნოტა. ეს ნოტა გამოხატავდა იმის ღრმა რწმენას, რომ იგი მოწოდებულია წარმართოს ადამიანთა გონება. უკანონმდებლოს მათ და გაიყოლიოს ისინი.

მაგრამ მარქსი ასეთი იყო მხოლოდ უცხოთათვის. იგი მართლაც დაუნდობლად ებრძოდა ყოველგვარ მეშინაობას, და ფრანკობობას, შეუბრალებელი იყო მათ წინააღმდეგ ვინც სახალხო საქმეს ებოტინებოდა, ხოლო მისი გაკეთების შნო და უნარი არ ქონდა ან რაიმე ქვენაგრძობებით გატაცებული მოქმედებდა. თავისი ახლობლებისა, პროლეტარიატის საქმისათვის მებრძოლებისადმი კი იგი სიყვარულით და ყურადღებით აღსაქვს იყო.

მარქსი მშვენივრად იცნობდა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ლიტერატურას. საუკეთესოდ იცოდა ესქილის, შექსპირის. გოეტეს ნაწარმოებნი. (მარქსი ანკეტაში ამათ ასახელებს, როგორც თავის საყვარელ მწერლებს) პირველი ორი მას მსოფლიოს უდიდეს დრამატიულ გენიოსებად მიიჩნდა. კარგად იცნობდა მარქსი აგრეთვე დანტეს, უკვადა პოლდე-კოკის, ალ. დიუმა-მამის და ვალტერ-სკოტის ნაწარმოებთა კითხვა, ხოლო განსაკუთრებით მაღლა აყენებდა სერვანტესსა და ბალზაკს. რაც შეეხება ჰაინეს, ეს უკანასკნელი მარქსის ოჯახის ახლობელი იყო და მეკობარი. ჰაინე 1843-44 წლებში თანამრომლობდა მარქსის ფრანგულ-გერმანულ ჟურნალში რომლის ერთად ერთი ნომერი გამოვიდა 1844 წლ. დასაწყისში, პარიზში. ჰაინე თითქმის ყოველ დღე დადიოდა მარქსის ოჯახში. უკითხავდა ცოლქმარს თავის ახალ ნაწარმოებთ და მათს მსჯავრს უდიდეს ანგარიშს უწევდა. თავის მხრით მარქსი ანგარიშს უწევდა ჰაინეს, როგორც დაუდგრომელს პოეტს და შედარებით რბილად ეპყრობოდა მის პოლიტიკურ შეცდომებს, ცდილობდა დაეძარებოდა მათს გამოსწორებაში.

საყურადღებოა ის გენიოსური წინასწარ-განჭვრეტაც, რომელსაც მარქს-ენგელსი იჩენდენ ევროპის რეფოლუციური მოძრაობის შესახებ. მათი პროგნოზი ხშირად პირდაპირ წინასწარმეტყველური აღმოჩნდებოდა ხოლმე, ამ მხრით ფრიად საინტერესოა ახლახან გამოსული „Архив Маркса и Энгельса“ (6). რომელშიაც მარქს-ენგელსის მიმოწერაა მოთავსებული. აი, საინტერესოდ ერთი ადგილი, სადაც გათვალისწინებულია ოპორტუნიზმის კრახი. 1879 წელს ენგელსი თავისი და მარქსის სახელით სწერდა ბეზელს; „მსოფლიო ისტორია თავისი გზით მიიმართება და სრულიადაც ანგარიშს არ უწევს ბრძენ და ზომიერ ფილისტერებს. რუსეთში საქმე რამდენიმე თვის შემდეგ გადაიმწყვეტ ხასიათს მიიღებს. ორში ერთი: ან დაემხოვა თვითმპყრობელობა და რეაქციის მთავარი ბურჯის დამხობისთანავე მთელ ევროპაში სხვა სიო დაპბერავს, ან ატყდება ევროპული ომი და... ეს ომი დამარბავს გერმანიის ახლანდელ პარტიას. ახალი პარტია... განთავისუფლებული იქნება ევროპის ყველა ქვეყანაში, ყოველ-

გვარ რყევითა და წერილმანობისაგან. რაიც ახლა ყველგან აბრკოლებს მოძრაობას“.

იგივე ითქმის ვლენტა საკითხზედაც. აქ გათვალისწინებულია მსხვილი მეურნეობის კოლექტივიზაცია. ენგელსი 1886 წელს სწერდა: „როგორც კი ხელისუფლებას ჩავიგდებთ ხელში, ჩვენ თიფონვე უნდა მოვაწყოთ მსხვილი მიწათმოქმედება: აქ ლაპარაკი გვაქვს იმაზე, რომ გადავცეთ,—თავდაპირველად საიჯარო წესით— მსხვილი მიწები დამოუკიდებელ კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომელნიც მეურნეობას გაუძღვებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელობით და იმ პირობით, რომ სახელმწიფო დარჩეს მიწის მესაკუთრედ... კომუნისტურ მეურნეობაზე გადასვლის დროს ჩვენ რომ ფართო მასშტაბით მოგვიხდება კოოპერატიული წარმოების, როგორც შეათანა რგოლის გამოყენება. მარქსი და მე არასოდეს არ დავეცვებულვართ“.

საინტერესოა აგრეთვე, რომ მარქსი, მტრულად უცქეროდა რა რუსეთის დესპოტიას, ხშირად ესარჩლებოდა იმ ერებს, რომელნიც თვითმპყრობელობის კლანკებში იტანჯებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, პოლონეთი, რომლის განთავისუფლებისათვის მარქს-ენგელსს დიდი პროპაგანდა გაუწევიათ. მაშინდელი რუსეთი მათ მიაჩნდათ რეაქციის ბურჯად და მისი დანგრევა, ვისგანაც გნებავთ ყოფილიყო ეს, მათთვის სასურველი იყო. ყირიმის ომის დროს, როდესაც რუსეთს ებრძოდნენ ოსმალეთ-ინგლის-საფრანგეთი, მარქსი თვითმპყრობელი რუსეთის დამარცხების მომხრე იყო...

მარქსი მთელ რიგ სტატიებში,—სულ ხშირად ძალიან დაწვრილებითაც კი,—ტყუბა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ—სტრატეგიულ და პოლიტიკურ მდგომარეობას და იჩენს უკანასკნელის განსაცვიფრებელ ცოდნას. ის სამარცხენო ბოძზე აკრავდა ინგლისის (ჰალმერსტონის) სამინისტროს, რომ იგი ვერ სარგებლობდა მდგომარეობით და არ ეხმარებოდა თავის მოკავშირე ოსმალეთს, რომლის სამხედრო გეგმას შეადგენდა საქართველოში შესვლა, ტფილისის აღება და ამ გზით ალყაშემორტყმული ყარსის განთავისუფლება. ის ერთ ვრცელ სტატიასი, რომელიც მიძღვნილია უმთავრესად საქართველოს და კავკასიის მდგომარეობის ანალიზისადმი, სარკასტიულად დასცინის ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობას და, სხვათა შორის, ამბობს: ლორდ პანმიური (სამხედრო მინისტრი) „სავსებით იზიარებს კლარენდონის (გარეშე საქმეთა მინისტრი) მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამხედრო ხელოვნების კემპარტი არსება მდგომარეობს თავის საკუთარი ჯარების ზურგის ვამაგრებაში და არა მტრის ზურგში მოწყობილ ოპერაციებში, თუნდაც მას ამ მხრით არ ეთანხმებოდეს ნაპოლეონ პირველი, ეომინი და მრავალი სხვა დიდებული სტრატეგები. ის იმაშიაც ეთანხმება კლარენდონს, რომ ომის დროს არმიამ არასოდეს არ უნდა გადაიაროს მტრულ ქვეყანაზე, არამედ მხოლოდ მეგობრულ ქვეყანაზე, „სადაც არის პროვიანტი და არაა დიდი გაქირვება“,—მსუნაგობის ნამდვილი ფილოსოფიაა. მაგრამ ხუმარას მასიამოვნებელ ბავშობაში ჩვენ ვაპწვეთ იმ სულას ბრწყინვალეობას, რომელიც მას ამოქმედებს! ვინაიდან თუ დაუჯერებთ საწყალ მასხარას, მის გამოკვლევებში, გამოდის, რომ საქართველო მტრულ

ლი ქვეყანა და არა მეგობრული, საქართველო — ეს არ უნდა იყოს პოლონეთი კავკასიაში.

და აი, იმ პატარა ქვეყანაში, რომელსაც მარქსი ოთხმოცდაათი წლის წინ აღმოაჩინა, როდესაც მისი სიკვდილიდან ორმოცდაათი წლის თავზე გამოცემულია თითქმის ყველა მისი მთავარი ნაწარმოები. საქართველოს სახელგამმა ამ მხრით უდიდესი მუშაობა გასწია მარქსის ქართული თარგმანების რედაქტორ ანზ. შალაქია ტოროშელიძესთან ერთად; როგორც ვიცით, „კაპიტალი“-ს პირველი ტომი ქართულად გამოიცა 1930 წელს, ხოლო მე-III ტომის პირველი ნაწილი 1932 წლ. ამ წამად თავდება მე-II ტომისა და III ტომის მე-2-ე ნაწილის ბეჭდვა.

დღემდე ქართულად სულ გამოცემულია მარქსის და ენგელსის შემდეგი ნაწარმოები:

1) კაპიტალი ტ. 1-ი, 2) ფილოსოფიის სილატაქე, 3) სამოქალაქო ომი საფრანგეთში, 4) პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის; 5) თვრამეტი ბრიუშერი ლუი ბონაპარტისა, 6) გოთას პროგრამის კრიტიკა, 7) კლასთა ბრძოლა საფრანგეთში, 8) პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალი, 9) საქირაო შრომა და კაპიტალი, 10) სამუშაო ჭირა, ფასი და მოგება, 11) საწარმოო ურთიერთობა, 12) კლასთა ომი გერმანიაში, 13) მარქსი და ენგელსი „წერილები, თეორია და პოლიტიკა მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერაში, 14) მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (მეექვსე გამოცემა), 15) კაპიტალი ტ. 2-ე, კაპიტალი ტ. 3-ე — ნაწილი მეორე, 16) ზედმეტი ღირებულების თეორია ტ. 1-ი, 17) მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ შეშვიდე გამოცემა, 18) დაქირავებული შრომა და კაპიტალი, 19) ხელფასი, ფასი და მოგება (მეორე გამოცემა).

თარგმნილია და დასაბეჭდათ მზადდება: „ზედმეტი ღირებულების თეორია ტ. II, III. „მარქსის წერილები კუგელმანთან“

ენგელსის ნაწერებიდან გამოსულია: „ლუდვიგ ფეიერბახი“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, იბეჭდება — „ანტიდიურინგი“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

სახელგამმა გამოსცა ცალკე წიგნად ლენინის „ქარლ მარქსი“ და წერილების კრებული მარქსის შესახებ.

ფოიად სინტერესოა, რომ ყველა ზემოხსენებულ წიგნს საქართველოსათვის არაჩვეულებრივად დიდი ტირაჟი აქვს — 10000-დან 15 ათასამდე. აქ მახსენდება ის შებედრა, რომელიც გვქონდა მე და ანზ. შ. ტოროშელიძეს დ. რიაზანოვთან „კაპიტალის“ 1-ი ტომის გამოცემის შესახებ, მე, როგორც სახელგამის ხელმძღვანელს, ხოლო შ. ტოროშელიძეს, როგორც თარგმანის მთავარ რედაქტორს, მაშინ რიაზანოვი ჯერ კიდევ არ იყო მხილებული და მარქს-ენგელსის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ითვლებოდა. დ. რიაზანოვი უცნაურად შეგვხვდა. რატომ ქართველები ჯერ კიდევ არ გადასულხათ ლ. თინურ ანბანზე? „კაპიტალს“ 15000 ცალად ბეჭდავთ? რას ლაპარაკობთ, როგორ შეიძლება, რად გინდათ მაგდენი ქალაქი გააფუჭოთ, ვინ იქნება მაგდენის გამსაღებელი? მეტის გამოცემა თქვენ არ გინდათ, მეორე ტომის წამკითხველი სულ ერთია არ გეყოლებათ. — გვეუბნებოდა რიაზანოვი.



მართლაც პატარა საქართველოსთვის 15000 თითქოს ზევით უნდა ყოველიყო, რადგან რუსულადაც კი „კაპიტალის“ III გამოცემა (1885 წელი) ამდენზე ტირაჟი გამოვიდა! მაგრამ სცდებოდა რიაზანოვი: მისი გამოცემის ტირაჟი გადააჭარბა. „კაპიტალის“ პირველი ტომი პირველ წელსვე სრულიად გაიყიდა და უკვე ორი წელიწადია აღარსად იშოვება. ჩვენ მალე მოგვიწევს მეორედ მისი გამოცემა.

მარქსის მოძღვრების გავლენის გაძლიერების საუკეთესო მაჩვენებელია მარქსის ნაწერების გავრცელება. საქროა აქვე აღვნიშნოთ, რომ მარქსის ნაწერების შეფუთვებზედ გავრცელება მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მარქსის მთავარი ნაწარმოებიდან „კაპიტალი“ გადათარგმნილია 22 ენაზე. გერმანულად გამოცემულია 22 ჯერ. პირველად 1867 წლ. რუსულად 36 ჯერ, პირველად 1872 წლ.; ფრანგულად 5-ჯერ, პირველად 1873 წლ. პოლონურად 3-ჯერ, პირველად 1874 წლ.; ბნგლისურად 15 ჯერ, პირველად 1886 წლ. იტალიურად 4-ჯერ, პირველად 1886 წლ.; ესპანურ ენ. 2-ჯერ, პირველად 1918 წლ.. ვენგრულად 1-ჯერ, პირველად 1921 წლ.. პოლანდურ ენაზე 6-ჯერ, დანურ ენაზე 1-ჯერ, ბოლგარულ ენაზე 3-ჯერ, ფინურ ენაზე 1-ჯერ, ლათინურ ენაზე 1-ჯერ, ებრაულად 1-ჯერ, ჩინურ ენაზე 2-ჯერ, იაპონურ ენაზე 2-ჯერ ბერძნულ ენაზე 2-ჯერ და ქართულად 1-ჯერ.

რუსულად გამოცემულ „კაპიტალი“-ს საერთო ტირაჟი უდრის 124258, მათ შორის 1917 წლამდე 79580, 1917 წლ. შემდეგ კი 1163000,

„კომუნისტური მანიფესტი“ — გადათარგმნილია 40 ენაზე რუსულად კი გამოცემულია 97-ჯერ (პირველად გამოიცა 1882 წლ.) 3,000,000 ტირაჟით, (1917 წლ.—მდე 74000) „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ გადათარგმნილია — 20 ენაზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ 13 ენაზე; „ფილოსოფიის სილატაკე“ 11 ენაზე დ. ა. შ.

ოქტომბრის რევოლუციამ საშუალება მისცა საბჭოთა კავშირში შემაჯავალერებს თავიანთ ენაზე გამოეცათ მარქსის და ენგელსის უმთავრესი შრომები. „კაპიტალი“ დღეს ჩვენ მოგვეპოება ქართულ და უკრაინულ ენებზე, „კომუნისტური მანიფესტი“ უკვე ნათარგმნია ქართულ, სომხურ, უკრაინულ, ბელორუსულ, თათრულ, ებრაულ, ტურკმენურ, თურქულ, უზბეკურ, ჩუკაშურ, იაკუტურ ენებზე. ითარგმნება ოსურ, აფხაზურ ენებზე და ბეგრულ დილგეტზე. —

ამ გვარად მარქს-ენგელსის ძირითადი ნაწარმოების გამოცემის საქმეში, საქართველოს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს, საბჭოთა კავშირში კი მეორე.

საინტერესოა აგრეთვე აქ მოვიყვანოთ ის დადგენილება, რომელიც რუსეთის საცენზურო კომიტეტმა გამოიტანა როდესაც გამოცემლებს ნება დართო „კაპიტალის“ პირველი ტომი რუსულად გამოეცათ. ამ ამბავს გადმოგვცემს თითონ მარქსი 1872 წლ. 21 ივნისს ზორგესადმი მიმართულ წერილში:

რუსეთიდან ჩემი წიგნის რუსული თარგმნის (რომელიც ბრწყინვალედ არის შესრულებული) შესახებ შემდეგს მატყობინებენ: წიგნი შეისწავლა ორმა ცენზორმა, რომელთაც თავისი ჯრი წარუდგინეს საცენზურო კომიტეტს. ჯერ კიდევ წიგნის განხილვამდე გადაწყვეტილი იყო ავტორის მხოლოდ სახელის

გამო არ დაებრკობინათ წიგნის გამოსვლა და ზუსტად გამოერკვირათ, წიგნის სახელწოდება მართლა შეეფერება თუ არა შინაარსს. ამ რუსულმა კომიტეტმა დასამტკიცებლად ბეჰვდითი სიტყვის მთავარ სამართველოსადმი: თუკია ავტორი თავისი რწმენით სოციალისტია ამ სიტყვის კეშპარიტი მნიშვნელობით და მთელ მის ნაშრომს აქვს გარკვეული სოციალისტური ხასიათი, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მისი თხრობის წესი სრულადაც არაა ყველასათვის მისაწვდომი და რომ იმავე დროს მას აქვს სასტიკად მათემატიკური მეცნიერულ დამტკიცებათა ხასიათი, კომიტეტი აცხადებს, რომ მას არა აქვს საფუძველი სასამართლოს წესით ხსენებული თხზულების დევნისათვის“. ამის შემდეგ ჩემს წიგნს რუსეთში ფართოდ გაეხსნა გზა. 27 მარტს წიგნი პირველად გამოვიდა გასაყიდად ბაზარზე 3000 ცალად, ხოლო 15 მაისისათვის უკვე 1,000 ცალი იყო გაყიდული.“

როგორც ცნობილია, წიგნი შემდგომ მაინც აკრძალულ იქნა, მაგრამ მამამდე ბლომად გავრცულდა. შესცდენ თვითმპყრობელური რუსეთის ენდარმები და აზროვნების ჩამშობნი: მარქსის თხზულებანი ხელმისაწვდომი გახდა სსრკ-ს (ყოფ. რუსეთის—იმპერიის ტერიტორიის) ყველა მშრომელთათვის და დაიბეჭდა ისეთ ენებზედაც, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამდე საკუთარი დამწერლობაც არ ჰქონიათ. საბჭოთა კავშირი პროლეტარიატის მოძღვარ-მასწავლებლის გარდაცვალების 50 წლისთავს ხედება შუბლგაშლილი და ამაყი იმით, რომ ნან მოახერხა განხორციელება მარქსის იდეებისა, ამაყი იმით, რომ მას ჰყავდა დიდი ლენინი, რომელმაც ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი რომ მას ჰყავს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის და პრაქტიკის ისეთი განგრძობი როგორც არის კომინტერნისა და საკ. კომპარტიის ბელადი ამხ. სტალინი. საბჭოთა კავშირი ამაყობს იმით რომ ჩვენში მარქსს ედგმება უდიდესი ძეგლი—ძეგლი ჩვენში ამჟამად წარმოებული დიადი სოციალისტური მშენებლობის სახით.

კ. მარქსი პარტულ ინაზი

ბიბლიოგრაფია

1905 წ.

1) მარქსი კ. და ენგელსი ფ.—„მანიფესტი კომუნისტურ პარტიისა“ (ბ. დ.). გამოც. „სოციალ-დემოკრატი“. შთარგმნელის წინასიტყვაობით. 1905 წ. II. 64 გვ.

1906 წ.

2) მარქსი კარლ—„საწარმოო ურთიერთობა“. თარგმანი. რა. რაეღენიძისა. ბათუმი. 1906 წ. გამომც-ბა ს. პ. ჭელიძისა, № 22, 48 გვ.

1917 წ.

3) მარქსი კ. და ენგელსი ფ.—„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. გამომც. ა.-კ. სოც. დემ. ორგანიზაც. საოლქო კომიტ: 1917 წ. III, 48 გვ.

1919 წ.

4) მარქსი კ. და ენგელსი ფ.—„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. თარგმანი მეექვსე გერმანული გამოცემიდან მ. ტოროშელიძისა ტფ. გამომცემლობა „ინტერნაციონალი“. 1919 წ. 63 გვ.

1922 წ.

5) მარქსი კარლ—„საქირაო შრომა და კაპიტალი“ (საწარმოო ურთიერთობა) ტფ. საქ. კომ. პ.ც.კ. აგიტ-პროპაგანდ. გამომც-ბა 1922 წ. 37 გვ.

1923 წ.

6) მარქსი კ.—„კრიტიკა ვოთას პროგრამისა“, შესავალი წერილით (კარლ კორშისა) და 4 დანართით. ტფ. სახელგამი 1923 წ. 69 გვ. ტირაჟი 2.000.

7) მარქსი კ.—„ვოთას პროგრამის კრიტიკა“, შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის 1875 წლის პროგრამის შესახებ, მ. ტოროშელიძის რედაქციით. თარგმანი გერმანულიდან გ. ვამყრელიძის მიერ. ტფ. სახელგამი 1923 წ. 56 გვ. ტირაჟი 15000.

8) მარქსი კარლ.—„კლასთა ბრძოლა საფრანგეთში (1848—1850 წლები). ფ. ენგელსის წინასიტყვაობით თარგმან. გერმანულიდან კ. გამსახურდიას მიერ ტფ. სახელგამი 1923 წ. 147 გვ.

9) მარქსი კ. და ენგელსი, ფ.—„კომუნისტური მანიფესტი“ დ. რიანაონის შესავლით და შენიშვნებით. ფ. მახარაძის წინასიტყვაობით. ტფ. გამომც-ბა „წითელი წიგნი“ 1923 წ. გვ. 73.

10) მარქსი კარლ.—„სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (1870—71 წ.წ.) ფ. ენგელსის წინასიტყვაობით. თარგმანი. რ. კალაძისა. ტფ. სახელგამი 1923 წ. 86 გვ. ტირაჟი 1.000.

11) მარქსი კარლ.—„სამუშაო ქირა, ფასი და მოგება“. ტფ. სახელგამი 1923 წ. 55 გვ.

12) მარქსი კ. და ენგელსი ფ.—„წერილები, თეორია და პოლიტიკა მარქსისა და ენგელსისა—მიმოწერაში“. წინასიტყვაობა. სტატია და შენიშვნები გ. ვ. აღორატსკისა. ტფ. სახელგამი. 1923 წ. 374 გვ. ტირაჟი 10.000.

1924 წ.

13) მარქსი კარლ.—„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალი“. ტფ. 1924 წ. (ცალკე ამონაბეჭდი) „ჩვენი მეცნიერების“ წელი მე-II, № 1 (13 გვ.).

1926 წ.

14) მარქსი კარლ.—„საჭიროა შრომა და კაპიტალი“ (ფ. ენგელსის შესავლით და პ. დუნკერის წინასიტყვაობით (თარგმან. გ. ქიქოძის მიერ. ს. ჩიხლაძის რედაქციით. ტფ. გამომც-ბა: „ეკონომისტი“ 1926 წ. 38 გვ.

1928 წ.

15) მარქსი კ. და ენგელსი ფ.—„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ თარგმანი მეექვსე. გერმანული გამოცემიდან მ. ტოროშელიძისა ტფ. სახელგამი. 1928 წ. 64 გვ. ტირაჟი 5.000.

1929 წ.

16) მარქსი კარლ.—„საჭიროა შრომა და კაპიტალი“. კ. ორაგველიძის წინასიტყვაობით (ტფ.) „შრომა“. 1929 წ. 105 გვ. ტირაჟი 3.000.

1930 წ.

17) მარქსი კარლ.—„კაპიტალი“. ტომი I. თარგმ. გერმანულიდან. დავით ონიანიშვილის მიერ, მ. ტოროშელიძის რედაქციით, ტფ. სახელგამი. 1930 წ. XII. 804 გვ. ტირაჟი 15.000.

18, მარქსი კარლ.—„შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თარგმ. გერმანულიდან. გ. ქიქოძისა. კ. ორაგველიძის წინასიტყვაობით. ტფ. ჟურნ. „საქ. ეკონომისტი“ გამომც-ბა 1930 წ. 55 გვ. 1.500 ტირაჟი.

19) მარქსი კარლ — „სამუშაო ქირა, ფასი და მოგება“ მოხსენება წაკითხული 1865 წ. ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს სხდომაზე. თარგმანი რედაქციით და წინასიტყვაობით. ტფ. „შრომა“ 1930 წ. 84 გვ. ტირაჟი 3.000.

1931 წ.

20) მარქსი კ. და ენგელსი ფ. — „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ თარგმანი მეექვსე გერმანული გამოცემიდან მ. ტოროშელიძისა. ტფ. სახელგამი 1931 წ. 68 გვ. ტირაჟი 10.000.

21) მარქსი კარლ — „ფილოსოფიის სილატაკე“ თარგმან. ფრანგულიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მ. ტოროშელიძის რედაქციით. ტფ. სახელგამი 1931 წ. VII, 394 გვ. ტირაჟი 10 000.

22) მარქსი კარლ — „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ მ. ტოროშელიძის რედაქციით. თარგმანი გ. ჭიქოძის მიერ. ტფ. სახელგამი 1931 წ. 143 გვ. ტირაჟი 15.000:

1932 წ.

23) მარქსი კარლ — „გლეხთა ომი გერმანიაში“, მ. ტოროშელიძის რედაქციით თარგმ. გერმანულიდან გ. ჭიქოძის მიერ. ტფ. სახელგამი. 1932 წ. 179 გვ. ტირაჟი 15.000. ფასი 1 მან.

24) მარქსი კარლ — „კაპიტალი“, კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა. ტომი III, ნაწილი 1. მ. ტოროშელიძის რედაქციით, თარგმანი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. ტფ. სახელგამი 1932 წ. XXV. 457 (4) გვ. ტირაჟი 15.000. ფასი 2 მან.

25) მარქსი კარლ. — „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ მ. ტოროშელიძის რედაქციით. თარგმანი გერმან. გ. გამყრელიძის მიერ. ტფ. სახელგამი 1932 წ. 183 გვ. ტირაჟი 15.000.

26) მარქსი კარლ — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მ. ტოროშელიძის რედაქციით. თარგმან. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. ტფ. სახელგამი. 1932 წ. XII, 386 გვ. ტირაჟი 10.000.

იხმედება და მოკლე ხანში გამოსვა:

1. მარქსი კ. — „კაპიტალი“ ტომი II.
2. მარქსი კ. — „კაპიტალი“ ტომი III, ნაწილი II.
3. მარქსი კ. — „ზედმეტი ღირებულების თეორია“ ტომი I.

დასაგებდათ მზადდება:

1. მარქსი კ. — „ზედმეტი ღირებულების თეორია“ ტომი II.

ლიბერალის ეპოქა

(დავით კლდიაშვილი — „მემუარები“)

დავით კლდიაშვილის „მემუარები“, რომელიც სახელგამის უპასუხისმგებლო გამოცემით ეხლახან გამოვიდა და უკვე გავრცელდა მკითხველთა მასაში, განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს. „მემუარებში“, ავტორისათვის ჩვეულებრივი მხატვრობით, აღწერილია მწერლის მიერ თებერვლის რევოლუციამდე განვლილი ნახევარი საუკუნე, — პირადი ცხოვრება და ამ ცხოვრებასთან ცოტად-თუ ბევრად დაკავშირებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მომენტები.

„მემუარების“ ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ატარებს წმინდამ „ავტობიოგრაფიულ“ ხასიათს. მწერალი პირადი ცხოვრების გარდა ეტება ი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს, რომელიც ანაც მწერლის ცხოვრებას მცირედი კავშირი მაინც ჰქონია, და ცდილობს ამ მოვლენების საკუთარი თვალსაზრისით „ახსნას“, ან უფრო სწორედ თავისი დამოკიდებულების გადმოცემას.

ამასთან ერთად „მემუარებში“ მოთხრობილია ზოგიერთი ისეთი ისტორიული ფაქტის შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობის და ქართველი სოციალ-გამყიდველების ბელადების ოპორტუნისმის სათავეების შესწავლისათვის. ეს ფაქტები უნდა გახდენ, როგორც ლიტერატურული კრიტიკის, ისე ისტორიკოსის კვლევის ობიექტად.

* * *

ყოველგვარ ცერემონიის გარეშე უნდა ითქვას, რომ დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ღრმა მარქსისტული განხილვა ჯერ კიდევ არ მოგვეპოება, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის დროც არის და საშუალებაც. ის საიუბილეო წერილები, რომლებიც დაიწერა სამი წლის წინ, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ ამ მხრივ მოთხოვნილებებს, ვერ იძლევიან მწერლის შემოქმედების მხატვრულ და განსაკუთრებით იდეოლოგიურ მხარის ნამდვილ სურათს. ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკამ ყალბი შეხედულება შექმნა მწერლის მსოფლმხედველობაზე.

კრიტიკა, რომელიც ამათუმი მწერლის შემოქმედების ანალიზის დროს არ ვერდნობა თვით მწერლის ცხოვრებასაც, არ არის იგი მარქსისტული და სასტიკად ამახინჯებს სინამდვილეს, თვალზე ახეული უსურებელი მწვერულებს და იმ პარალელურ ხაზებს, რომლებსაც ჰქმნის ხშირად შემოქმედების დახმარება და ზოგჯერ ისტორიაც.

სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ ზოგიერთმა ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა აიღო რა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალურ მწერალთა შემოქმედება დამოუკიდებლად მათი საქმებისა და ცხოვრებისა, გამოაცხადა ისინი ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ მებაიარახტრეებად.

დ. კლდიაშვილი მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლის წარმომადგენლებშიც აღწერეს ის უდიდესი საზოგადოებრივი ცვლილებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, — ბატონყმობის ფორმალურად გაუქმებისა, კაპიტალიზმისა და მისი შესაფლავე კლასის წარმოშობის შემდეგ, — და რომელიც ამავე დროს მტკიცედ იდგენ თავიანთი, — სასიკვდილოდ მისუსტებული კლასის თვალსაზრისზე.

დ. კლდიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა კაპიტალიზმის გაძლიერების პერიოდში. კაპიტალიზმის განვითარებამ ფეოდალური არისტოკრატია და თავადაზნაურობა უფსკრულისაქენ გააქანა. ცხოვრების დიალექტიკამ უღმობლად გააშიშვლა მომაცდელი კლასის დაქინებელი, დაჩაჩანაკებული „პერსონაჟები“. ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ თითქმის სრული გამოხატულება ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურაში. მწერლები სხვადასხვანაირად იძლეოდნენ ჯიუტ ფაქტებს, რომელთა გვერდით ჩავლაც შეუძლებელი იყო, და ამკლავებდნენ თავიანთ ნამდვილ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებთან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბევრი დიდი მოღვაწე „წინ აღუდგა“ კაპიტალიზმის განვითარებას და ორგანიზულად განიცადა ყველა ის ტანჯვა და სულიერი ტკივილები, რომელსაც მისი (მომაცდელი) კლასი განიცდიდა. ამიტომ, ამ პერიოდის გამოჩენილ მწერალთა ერთი ნაწილი ცდილობდა როგორმე შეეღამებია, შეესწორებია ფეოდალური კლასის ცხოვრება, შეეგუებია ეს უკანასკნელი ახალი ვითარებისათვის და ამ რიგად „ეხსნათ“ იგი ისტორიულად აუცილებელი სიკვდილისაგან.

ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ბურჟუაზიული რეალიზმის განვითარება. ეს მეთოდი გადაიქცა ბურჟუაზიული მწერლობის შემოქმედებით ძალათ; მაგრამ, ეს პროგრესიული მეთოდი კლასობრივი ბრძოლისა და წინააღმდეგობის ზეგავლენით ინტიუიტურად „შეიპრა“ ფეოდალურ მწერალთა შემოქმედებაში, და როგორც ხშირად უყვარდა გამოთქმა ფრ. ენ გელს, მკლავნდებოდა იგი დამოუკიდებლად მწერლისაგან. სწორედ ამით უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ 60-ან წლების მწერალთა მხატვრულ სიტყვასა და საქმეს შორის ერთგვარ „წინააღმდეგობის“ ელემენტებს ვხვდებით.

დ. კლდიაშვილი მონუმენტალურ ტილოებს იძლეოდა. ამ ტილოებზე დახატული იყო ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი კლასის ტრალიკული ცხოვ-

რება. კლდიაშვილის შემოქმედების ძირითადი თემა მომავალი კლდის ცხოვრება იყო, მისი მოთხოვნების გმირები ცხოვრების ისტორიული განვითარებით დაკნინებული, უსაქმოდ მოხეტიალე თავდაზნაურები იყვნენ. კლდიაშვილის სატირა სასტიკად ამათრახებს ამ „რაინდებს“, მაგრამ, ვერცხლფეხეც არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი ებრძოდა თავის კლასს. კლდიაშვილის სატირა ქვეყანაში არსებული თვითკრიტიკა იყო, მაგრამ, იმდენად სასტიკი და პირდაპირი, რომ დამოუკიდებლად მწერლის მსოფლხედველობისა იძლეოდა ცხოვრების ნამდვილ სურათებს, რომლებიც იწვევდნენ მკითხველში ზიზღს ცხოვრებისაგან გაკოტრებულ „რაინდებისადმი“.

ამ დებულების სისწორეს ისიც ამტკიცებს, რომ კლდიაშვილი „ვერ“ ამწვედა ახალი ეპოქის ზრდის პროცესში მყოფ ჯანსაღ ძალას, „ვერ“ ერკვეოდა ცხოვრების შინაგან კონფლიქტების ეკონომიურ და პოლიტიკურ არსში. ყველაფერ დანარჩენს, რაც მისი მოთხოვნების თემას არ შეადგენდა, ლიბერალის თვალთ უტყუროდა, „იტანჯებოდა“ მუშების ბრძოლით, მეფის მთავრობის „გარუსების“ პოლიტიკით და ქართველი ჯარისკაცის ტანჯვა-წამებით (!). (იხ. „მემუარები“). „მემუარები“ იძლევა საუკეთესო მასალას მწერლის მსოფლხედველობის გასაგებად. „მემუარები“, რომელიც წარმოადგენს პატრიოტული გრძნობებით აღჭურვილი ლიბერალის ეპოპეიას, საშუალებას იძლევა ახლოს გავიცნოთ მწერლის ძველი ცხოვრება და მისი მხატვრული შემოქმედება განვიხილოთ ამ ცხოვრებასთან კავშირში, რაც ნამდვილ შესაძლებლობას მოგვცემს სწორად გავიგოთ და დავაფასოთ კლდიაშვილის მოთხოვნების იდეოლოგიური მხარე.

კლდიაშვილი სამხედრო პირი იყო, მაგრამ ბრძოლა მის ბუნების ეწინააღმდეგებოდა. ის არ იყო ბუნებით მეტროლი ადამიანი. ამასთან ერთად კლდიაშვილი იმით განსხვავდებოდა ქვეყანაში და მისი მიმდევრებისაგან, რომ მას არ ჰქონდა „დაწმენდილი“ მსოფლხედველობა; ეწეოდა თავისი კლასის, წოდების თვითკრიტიკას, მაგრამ ერთგვარი სითბოთი ხედებოდა აგრეთვე ქართული ბურჟუაზიის განვითარებას. პატრიოტული გრძნობები ბუნებრივად აკავშირებდა ორ „მოწინააღმდეგე“ შეხედულებას, უქმნიდა საერთო „სარბიელს“.

კლდიაშვილი იტანჯება ბათუმის მუშებისა და მშრომელი გურული გლეხების ბრძოლით. მაგრამ, ამ ბრძოლაში ის ხედავს არა ჩაგრულთა და ექსპლოატატორთა ბრძოლას მხაგვრელებთან, არამედ ქართველების ბრძოლას მეფის მთავრობის „გარუსების“ პოლიტიკის და ცალკეულ ბოროტი მოხელეების წინააღმდეგ. ამიტომ, მწერლის სიმპატია იხრება მეტროლითა მხარეზე იმდენად, რამდენადაც ამ ბრძოლაში ის ხედავს არა მეფის მთავრობის (რადგან „მემუარების“ ავტორისათვის ძველი რეჟიმის უბედურება მის პოლიტიკაში კი არ მდგომარეობს, არამედ ბოროტ მოხელეებში, რის გამოც მწერალი ცდილობს გვიჩვენოს ცუდი და კარგი მოხელე (!) და ამით დავანახავს მეფის რეჟიმის „ნამდვილი“ უბედურება!), არამედ ცუდ მოხელეების—ცალკეულ ჩინოსან ადამიანების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას...

ამის თვით მწერალიც აშკარად ლაპარაკობს. კლდიაშვილი, იმისათვის რომ ამ ცულდ მოხელეებს და ნაწილის უფროსებს „ებრაძოდა“, თვალში ჰყავდათ ამოღებული, მაგრამ, „უბედურებისაგან“ სამსახურისადმი იდიოლოგიური ერთგულება (იხ. გვ. 156) იხსიდა ხოლმე. მიუხედავად ამისა მას ყოველთვის უწინოდა მეფისადმი წინააღმდეგობა არ დაეწამებიათ:

„ნაწილის უფროსი ავად გახდა. ნაწილი მე ჩამბარდა, როგორც უფროსი აფიცერს. ეს არ იყო სასიამოვნო, რადგან შესაძლებელი იყო თავზე მოეხვიათ ისეთი რამ, რისიც მთელი არსებით წინააღმდეგი ვიყავი“ (გვ. 235. ხაზი ჩვენია, ე. ა.).

ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით ცხადად არის გატარებული იქ, სადაც მწერალი აგვიწერს ჯარის ცხოვრებას. მწერალი გადაქარბებით ალაშქრებს მეფის მთავრობის პოლიტიკას ჯარში, როდესაც ჯარისკაცების აუტანელი მდგომარეობის მიზეზებს პიროვნებებში ხედავს. არც ის არის სწორი, თითქოს მეფის ჯარში ერთგვარი „დემოკრატია“ შეეძლოთ მოეპოვებიათ ჯარისკაცებს, „თავისუფლად“ წარმოეყენებიათ მოთხოვნილებები და ჰყოლოდათ ისეთი ამორჩეული კაცები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ მათ ცხოვრებას.

„მემუარები“-ს მთელი გარჩევა აქ შეუძლებელია. „მემუარების“ გარჩევა საჭიროებს სპეციალურ და სერიოზულ შრომას, რაც უნდა მოხდეს მწერლის მთელი მხატვრულ შემოქმედების მარქსისტულ ანალიზთან ერთად კავშირში.

დ. კლდიაშვილის „მემუარები“ საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია. რომლის გამოცემაც უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას საჭიროებდა ვინემ გამოიჩინა ეს სახელგამმა. წიგნს აკლია მკოდნე რედაქტორის ხელი, კომენტარიები და შენიშვნები. ეს კი აუცილებელი იყო: ერთი იმიტომ, რომ იგი უფრო მისაწვდომი და მიზანშეწონილი ყოფილიყო მასიური მკითხველისათვის და მეორე—იმიტომ, რომ აგვეცდინა თავიდან ის ისტორიული შეცდომები, რაზედაც უკვე მიუთითეს.

ქალთა მკობი

საპარტიველო.

კარლ მარქსის ხსოვნის ხალაგო.

მარტის 14-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში კ. მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად შესდგა საქ. ცაკისა და ტფ. საქალაქო საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რაისაბჭოს დებუტატებისა, პარტიულ, პროფესიულ და ლენინურ კო კავშირის აქტივთან ერთად.

კარლ მარქსის გარდაცვ. 50 წლის თავის შესრულების შესახებ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ. კარლ მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. შალაქია ტოროშე-ლიძემ.

სხდომის დასასრულს ამხ. ფ. მახარაძემ წაიკითხა საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება მარქსისა და ენგელსის ნაწერების ქართულ ენაზე გამოცემის ხელმძღვანელობისათვის ამხ. შალაქია ტოროშელიძის საქ. ცაკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების და აგრეთვე მთარგმნელების: დ. ონიაშვილის, ფ. გოგოჩაიშვილის, გერონტი ქიქოძის და გიორგი გამყრელიძის და ასოთ-ამწყობების დაჯილდოვების შესახებ.

კარლ მარქსის ხალაგო მწერალთა კლუბში

23 მარტს მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავთან დაკავშირებით საქართვე. საბჭოთა მწერლების კლუბში გაიმართა საღამო. მოხსენებები წაიკითხეს ი. ვაშაყმაძემ („მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა“) და შალვა-რადიანმა („მარქსი და მხატვრული ლიტერატურა“). მარქსისათვის მიძღვნილი ლექსი წარმოსთქვა პოეტმა-გ. ქუჩიშვილმა.

„მარქსიზმის განვითარება საპარტიველოში“

საქართველოს პარტგამომცემლობა უახლოეს მომავალში გამოსცემს ამხ. ფილიპე მახარაძის ახალ შრომას: „მარქსიზმის განვითარება საქართველოში“.

„კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომები

მარქსის

პარტგამომცემლობაში გამოდის „კაპიტალის“ მეორე ტომის მესამე ტომის მეორე ნაწილი.

მარქსის-ლენინის ინსტიტუტის კაბაული

მარქსის-ლენინის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით პარტგამომცემლობაში გამოდის სპეციალური კრებული, სადაც მოთავსებული იქნება წერილები კ. მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სტალინის ბანკოში საბაკთვალის კავშირების მუშაობა

21 მარტიდან საქართველოს რევოლუციის მუზეუმში გაიხსნა მუდმივი განყოფილება რომელიც მიძღვნილია აშხ. სტალინის რევოლუციონური მოღვაწეობისადმი ა. იაკვასიაში 1909 წლამდე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აშხ. სტალინის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიაში (1896—1899) მოწყობილ მარქსისტულ წრის ბიბლიოთეკა, რომელიც აღადგინა მუზეუმმა. ეს ბიბლიოთეკა შეიცავს 400-ზე მეტი ავტორის თხზულებას და შესდგება მ განყოფილებისაგან. განსაკუთრებით ს-უ-ლად არის წარმოდგენილი პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება, რომელიც შეიცავს ლენინის თხზულებებს, მარქსის „კაპიტალს“, მისივე პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი დებულების კრიტიკას, პლენანოვის, ბულგაკოვის, გიბინის და სხვ. ნაწერებს. სულ 66 ავტორის შრომებს.

მუშათა საკითხზე ბიბლიოთეკაში შეგროვილია შრომები მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ დასავლეთსა და რუსეთში, სულ 23 ავტორის. ბიბლიოთეკა შეიცავს აგრეთვე წიგნებს ისტორიული მატერიალიზმის და რევოლუციური მოძრაობის საკითხებზე, ქალთა საკითხზე, ფილოსოფიის საკითხებზე (არისტოტელი, პეგელი, დიურინგი, კანტი, ლამარკი, ლოკი, ავენარისი, სპინოზა, ფეიერბახი, შოპენჰაუერი და სხვ.). საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიის, ხელოვნების ისტორიის და ლიტერატურის კრიტიკის და სხვა საკითხებზე. არის აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა და პერიოდიკა. მთელი რიგი ფოტოგრაფიული სურათები ცხადყოფენ აშხ. სტალინის მოღვაწეობას თბილისის მუშათა წრეებში (1899-1901 წ.). განსაკუთრებით ვრცლად არის წარმოდგენილი აშხ. სტალინის მოღვაწეობა პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907) და რეპრესიის წლებში (1907-1909 წ.). რუსეთის ს.-დ. მ. პ. კავკასის საკავშირო კომიტეტის პლაკატი გვიჩვენებს აშხ. სტალინის ხელმძღვანელ როლს პირველი რევოლუციის პერიოდში. ამ პლაკატზე გამოფენილია რუსეთის ს.-დ. მ. პ. საკავშირო კომიტეტის პროკლამაცია საკავშირო კომიტეტის მიერ რუსეთის ს.-დ. მ. პ. თბილისის ორგანიზაციის მენშევიკური კომიტეტის დაშლის და ბოლშევიკებისაგან თბილისის ახალი კომიტეტის დანიშვნის შესახებ. პლაკატი რ.-ს.-დ. მ. პ. (ბ) იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისა, რომელიც აშხ. სტალინის მეთაურობით

ხელმძღვანელობას უწევდა დიდ აგრარულ მოძრაობას ქუთაისის გუბერნიის (1904-1905 წ.) მოგვითხრობს, რომ კომიტეტის შემადგენლობის სტალინის წინადადებით გარიცხულ იქნა მენშევიკი ს. კილაძე.

განყოფილებაში წარმოდგენილია თბილისის ბოლშევიკების საბრძოლო ბეჭედითი სიტყვის ორგანოები, რომლებიც რეაქციის პერიოდში გამოდიოდნენ აშხ. სტალინის ხელმძღვანელობით: „დრო“, „ახალი დროება“ „ახალი ცხოვრება“.

„დრო“-ს ფურცლებზე დაბეჭდილია აშხ. სტალინის მთელი რიგი თეორიული წერილები ანარქიზმის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლებიც, როცა ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში, თავისი ბეჭედითი ორგანოებში „ანადგურებდნენ“ მარქსიზმს, რასაც „მკერმეტყველური“ ღუმლით ხვდებოდნენ მენშევიკი პუბლიცისტები.

ვრცლად აღნუსხულია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ბოლშევიკების მუშაობაში 1907 წელს—აშხ. სტალინის არჩევა პარტიის ლონდონის ყრილობაზე მიუხედავად მენშევიკების ყოველგვარი ხრიკისა და ოინისა.

მთელი რიგი საბუთები აშუქებენ აგრეთვე აშხ. სტალინის არალეგალური მუშაობის პერიოდს თბილისში. 1909 წელს ციმბირიდან გაქცევის შემდეგ, როცა თბილისის ენდარმერის ყოველგვარი ცდის მიუხედავად შეუძლებელი გახდა მისი დაპატიმრება.

გამოფენილია დასათვარიელებლად აშხ. სტალინის ისტორიული სტატია— „წერილი კავკასიიდან“.

სპეციალური ადგილი დათმობილი აქვს ავღაბრის ბოლშევიკურ სტამბის ისტორიას (ფოტოგრაფიული სურათები, გეგმები, და სხვ.).

გამომცემლობები

სახელგამი

„შახნავაზიანი“

სახელგამის მხატვრული ლიტერატურის სექტორი უახლოეს ხანში გამოსცემს კლასიკური ლიტერატურის სერიიდან „შახნავაზიანს“. წიგნს რედაქტორობენ გიორი ლეონიძე და სოლომონ იორდანიშვილი.

დანახ „ღვთაებრივი კომედია“

სახელგამი უკვე შეუდგა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ პირველი ნაწილის— „ჯოჯოხეთის“ ბეჭდვას. წიგნი ნათარგმნია პოეტების—კონსტანტინე გამსახურდიას და კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ.

„ბათა ქანია“

სახელგამი სცემს ღმნა შენგელიას რომანს „ბათა-ქეჩია“-ს.



ტიციან ტაბიძის წიგნი

გარკონესული

ახლო მომავალში სახელგამი გამოსცემს ტიციან ტაბიძის „ჩემი ქვეყნის კრებულს“.

„ლიბერალური საქართველო“

სახელგამი ბეჭდავს პლატონ ქიქოძის კრიტიკულ წერილების კრებულს „ლიბერალური საქართველო“.

თურქ მწერალთა კრებული

სახელმწიფო გამომცემლობაში მოკლე ხანში გამოვა თურქ მწერალთა ანტოლოგია. წიგნში შევა თანამედროვე თურქულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

გ. კაპახიძის და კ. ზობოხიძის წიგნები

სახელგამის მხატვრ. ლიტერ. სექტორი სცემს ახალგაზრდა პოეტების გიორგი კაპახიძის და კალე ზობოხიძის ლექსთა კრებულებს.

„ფედერაცია“

ივანე ნინოშვილის თხზულებანი

მწერალთა გამომცემლობა „ფედერაციაში“ გამოსცა ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის მეორე ტომი.

ამ ტომში შესულია ნინოშვილის შემდეგი მოთხრობები: ქრისტიანე, კაცია და გუნება, პარტაბი, განკიცხული ოჯახი, მონადირე, ჩვენი ქვეყნის რაინდი, მოსე მწერალი, სხვამ რაც უნდა თქვას, განკარგულება, სოფლის გმირები, ცოლი და ქმარი. დამატება: „მუშათა თავშესაფარი“.

წიგნს დართული აქვს თ. კიკვაძის მიერ შედგენილი ვრცელი ლექსიკონი და რედაქტორის სიმონ ხუნდაძის შენიშვნები.

ილუსტრაციები: ეგ. ნინოშვილის 1892 წლის სურათი, ეგ. ნინოშვილის ავტოგრაფები და სხვ.

ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი

„ფედერაცია“-ამ გამოსცა ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი სიმონ ხუნდაძის რედაქციით. ამ ტომში შესულია ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები 1870-1877 წ. წ. პერიოდისა, —ახალი ახალგაზრდობის, სასოფლო მეურნეობის, გლეხთა საკითხისა და საბანკო საკითხის შესახებ.

წიგნს დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა „70-იანი წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრამა“, ნიკო ნიკოლაძის წინასიტყვაობა „ქრონოლოგია და ვრცელი შენიშვნები.“

საქართველოს მაცხოვრებელი

თეატრები

რუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრი ამჟამად ამზადებს გერცელ ბააზოვის პიესას „ხავაი“-ს. პიესას სდგამენ სანდრო ახმეტელი და კ. პატარიძე.

სეზონი მთავრდება კომედია „ქოლიფა“-ს (ავტორი ქანთარია) დადგმის შემდეგ შაისის შუა რიცხვებში. თეატრი აპირებს საგასტროლო მოგზაურობას მოსკოვში, ხარკოვში და სხვა ქალაქებში.

კ. მარჯანიშვილის სახელ. თეატრი

თეატრმა დასდგა ზარხის პიესა „ჯოი სტრიტ“ (მხიარული ქუჩა). პიესა სთარგმნა კ. ანდრონიკაშვილმა. სდგამს დ. ნაკაშიძე. მხატვარი ლალო გუდიაშვილი.

თეატრის შემდეგი დადგმა იქნება შალვა დადიანის ახალი პიესა „ნინოშვილის გურია“. პიესა წარმოადგენს ნინოშვილის რამდენიმე ნაწარმოების დრამატურგიულ მონტაჟს. პიესის დადგმა მინდობილი აქვს ნიკ. გოძიაშვილს.

სეზონის დამლევს თეატრი აღნიშნავს მსახიობ ე. დონაურის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის თავს.

ზაფხულში თეატრი მოაწყობს ტურნეს საქართველოს ქალაქებში.

სომხეთი

(საქუთაირო კორესპონდენტისაგან)

ოპერის თეატრი სომხეთში

საბჭოთა სომხეთის უკანასკნელი თვეების მიღწევას შეადგენს სომხური საოპერო თეატრის გახსნა. ოპერა გაიხსნა მიმდ. წლის იანვარში სპენდიაროვის „ალმასტ“-ით. მზადდება „სეველიელი დალაქი“ სომხურად.

სომხური ღრავა ერევანში

მიმდინარე სეზონში ერევნის სახ. დრამის თეატრმა დასდგა დრამატურგ დემირჩიანის ახალი პიესა „ფოსფორული ბრწყინვა“.

თეატრი ამზადებს „მაკბეტს“. მაკბეტის როლს შეასრულებს ვ. ფაფაზიანი.



სომხეთის კინემატოგრაფია

მომავალ აპრილში ათი წელიწადი შესრულდება სომხეთის კინოს დარსებობისათვის. ამ თარიღის აღსანიშნავად მზადდება ხმოვანი სურათი „პეპო“—სუნდუკიანის პიესის მიხედვით. რეჟისორი ბეკ-ნაზარბაიანი.

ოვანეს თუმანიანის თხზულებანი

სომხეთის სახელგამი ამზადებს გამოსაცემად კლასიკოსების სერიიდან ოვანეს თუმანიანის თხზულებათა სრულ კრებულს ე. ჩარენცის რედაქციით და მის „საუბრებს“, რომელიც ჩაწერილია პოეტის ქალიშვილის ნ. თუმანიანის მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში.

სუნდუკიანის თხზულებანი

სომხეთის სახელგამი სცემს ცნობილ დრამატურგ ე. სუნდუკიანის თხზულებათა სრულ კრებულს. წიგნს რედაქტორობს ს. არუთინიანი.

ახალი გამოცემები

სომხეთის სახელგამშივე გამოდის თხზულებათა სრული კრებულები: სახალხო მწერლის ნარ-დოსის და შ. მეცარენცის და რჩეული ნაწერები ე. ოტიანისა.

მეკოვული კლასიკოსები სომხურად

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს ევროპული კლასიკოსთა სერიას. ამ სერიაში შედიან: სვიფტის ვულიფერის მოგზაურობა (თარგმანი კ. მიქიელიანისა), „დონ-კიხოტი“—თარგმანი პ. მაკინციანისა, გოეტეს „ვერტერი“—თარგმანი ესთერ ზონაიანისა და სხე.

ამჟამად ითარგმნება შემდეგი კლასიკოსები: ჰაინეს რჩეული ლექსები—თარგმნის გ. მაარი; აბატ პრევეოს—„მანონ ლესკო“—თარგმნ. ფაფაზიანი; ვარდა ამისა განზრახულია გადაითარგმნოს:

გოეტეს—ფაუსტი, სტენდალის „წითელი და შავი“, ბალზაკის „მამა გორო“, როლანის „კოლა ბრენიონი“ და სხვ.

ომარ ხაიაში და ფირდოუსი სომხურად

სომხ. სახელგამი ამზადებს გამოსაცემად ომარ-ხაიაშის რჩეულ ლექსთა კრებულს (თარგმანი ათაიანისა) და ფირდოუსის „შახ-ნამეს“.

მოსკოვი



მარტის ბარდს. 50 წლის თავისათვის

სამხატვრო, საისტორიო-სარეგოლუციო და სხვა ცენტრალური მუზეუმები აწყობენ სპეციალურ გამოფენებს ქარლ მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად.

მარტის-ენგელს-ლუნიის ინსტიტუტი

მართავს დიდ გამოფენას. იგი მიძღვნილი იქნება მარქსისა და ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის.

რუსულუცის მუზეუმი

14 მარტიდან მართავს გამოფენას, მთლიანად მიძღვნილს მარქს-ენგელსისადმი.

ცრუციაკოვსკის გალერეა, სასაფილო სკოლაში და დასავლეთის ასალ სკოლაში მუზეუმი

მართავენ ხელოვნებათ მეტყველების დარგში მარქსისტული ლიტერატურის გამოფენას. ტრეტიაკოვსკის მუზეუმში მომზადებულია მოძრავი ფოტო-გამოფენა „მარქსის ბიოგრაფია“. დასავლეთის ახალი ხელოვნების მუზეუმში იუბილესთვის სცემს კრებულს: „დასავლეთის რევოლუციონური ხელოვნება“-ს. აღმოსავლეთის კულტურათა მუზეუმში ხსნის გამოფენას თემაზე: „რევოლუციონური მოძრაობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“.

ანტროპოლოგიური მუზეუმში მართავს გამოფენას: „მარქსიზმი-დარვანიზმი“-ს თემაზე.

„მარქსიზმი-დარვანიზმი“ დარვანიზმი

14 მარტს ამხ. ი. გრონსკის თავმჯდომარეობით შესდგა სსრკ-ს მწერალთა ორგანიზაციის პრეზიდიუმისა და „მარქსიზმი-დარვანიზმი“ გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც გაიჩნა უკანასკნელის რეორგანიზაციის საკითხი.

სხდომამ დაადგინა: საჭიროდ იქნას ცნობილი „მარქსიზმი-დარვანიზმი“ რეორგანიზაცია და დრამატურგების შესვლა წევრებად სსრკ-ს საბჭოთა მწერლების გაერთიანებულ კავშირში; კავშირის ორგანიზაციის მოეწყოს დრამატურგთა ავტონომიური სექცია.

ამ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებელი ზომების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიდაც შევიდენ: სუბოცკი, სერგო ამალალობელი, კირილი, აფინოგენოვი, ზარხი, პოგოდინი და სხვ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობა ოკუპირებულ ტერიტორიაში

გერმანული

მწერალთა კავშირში მიმღეში კომისიის მდივანი

საბჭოთა კავშირის მშვიდობა ორგანიზაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა რ. ს. ფ. ს. რ. მშვიდობა კავშირში წევრთა მიმღეში კომისია შემდეგი შემადგენლობით: კირპოტინი, სუბოცკი, ფადეევი, ჟიგა, გლადკოვი, კირშონი, ვს. ივანოვი, ლეონოვი, ტიხონოვი, პოგოდინი, ბაგრიცკი, მალიშკინი, მარშაკი, ბეზიმენსკი, პანფე-როვი და ბახმეტიევი.

საქართველო თათბირი საბავშვო ლიტ-რის შესახებ

საკ. მშვიდობა ორგანიზაციის პრეზიდიუმმა დაადგინა მიმდინარე წლის 10 აპრილისათვის მოიწვიოს პირველი საქავშირო თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე.

ცენტრალური საბავშვო ბიუროს პრეზიდიუმმა დაადასტურა თათბირის დღის წესრიგი: თათბირის ძირითადი საკითხები იქნება: 1) მხატვრული ლიტერატურის ამოცანები ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, 2) საბჭოთა საბავშვო დრამატურგიის ამოცანები, 3) საბჭოთა საბავშვო ზღაპრის პრობლემა 4) ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის საბავშვო წიგნების შექმნის გზები.

თათბირისათვის სამზადისის პეროოდში მოსკოვში ჩატარდება საბავშვო მშვიდობა თათბირები, მოხსენებები და ათდღიურები. უახლოეს ხანაში შესდგება კ. ჩუკოვსკის მოხსენება „ზღაპრის შესახებ“, მეიერხოლდის მოხსენება „საბავშვო საბჭოთა დრამატურგიის შესახებ“, მარშაკის—„საბავშვო ლექსების შესახებ“ და სხვ.

ცენტრ. ბიურომ დაადგინა იშუამდგომლოს ორგანიზაციის წინაშე თათბირის 5 მაისისათვის გადადების შესახებ.

იძ, სადაც ცხომარობა მაიაკოვსკი

მოსკოვის პროლეტარულ რაისაბჭოს პრეზიდიუმმა მწერლებთან ერთად განიხილა საკითხი ვლ. მაიაკოვსკის ყოფილი ბინის (ტავანკა, გენდრიკოვის შესახვევში № 13(15) სალიტერატურო მუზეუმ-ბიბლიოთეკად გადაკეთების შესახებ. მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენებები მწერლების: ნ. ასე-ევის, ს. კირსანოვის, ვს. ვიშნევსკის და იონოვის ამ საქმესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ. პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდ. წლის 1-ლ მაისისთვის სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქნეს მდგმურებისაგან სახლი, სადაც მოთავსებულია მაიაკოვსკის ბინა, რომელშიცაც მოეწყობა მაიაკოვსკის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი. ამ დროისთვის გაკეთებულ იქნება სახლის ახალი ფასადი, რისთვისაც გადადებულია 10 ათასი მანეთი.

ა. კუზინის სრული თხზულებანი

ქართული

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია შეუდგა ა. კ. კუზინის სრული თხზულებათა სრული კრებულის ახალ გამოცემას თითხმეტ ტომად. პირველი ორი ტომი გამოვა მიმდინარე წლის განმავლობაში, მთელი გამოცემა დამთავრებული იქნება 1937 წლისათვის.

აკადემიკოს ნ. მარის გამგზავრება თურქეთში

აკადემიკოსები ნიკო მარი და სამოილოვიჩი გაემგზავრენ თურქეთში თურქეთის რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან მუდმივი კავშირის გასაბმელად. აკადემიკოსები გაგზავნილი იქნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით.

უცხოეთი

ჯონ გელსუორსი

მიმდინარე წლის თებერვალში გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ გელსუორსი.

ჯონ გელსუორსი დაიბადა 1867 წელს, შეძლებულ ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში. თავისი პირველი თხზულება დაბეჭდა 1897 წელს, ხოლო 1911 წელს უკვე ოთხი მოზრდილი რომანის ავტორად ითვლებოდა (მისი ფსევდონიმი იყო—ჯონ სენჯონ); 1904 წელს გამოვიდა ჯონ გელსუორსის რომანი „ფარისეველთა კუნძული“; ამ წიგნში გამოყვანილია აროსტოკრატის შელტონი, რომელიც გულდასმით სწავლობს თანამედროვე ცხოვრებას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ევროპული ცივილიზაცია ჰკლავს ადამიანში ბუნებრივ ინსტიქტებს და რომ ის კაცობრიობის განვითარების შემფერხებელ მოვლენას წარმოადგენს.

1906 წელს დაიწყო ბეჭდვა ჯონ გელსუორსის ბელეტრისტული ნაწერების ახალი სერიისა. პირველად გამოქვეყნდა რომანი „ადამიანი—მესაკუთრე“, ეს თხზულება იქცა საწყისად მთელი რიგი რომანებისა, რომლის საერთო სახელწოდებაა—„თქმულებანი ფორსაიტების შესახებ“. იგი აერთიანებს სამ რომანს: „ადამიანი—მესაკუთრე“ (1906), „In Chancery“ (1920), „გამოფხიზლება“ (1920); მასში შედის აგრეთვე „ქვე რომანები“—„ზაფხული“ და „ინდური ზაფხული ფორსაიტებისა“ (1921).

„ფორსაიტები“ იძლევა ბურჟუაზიული მორალისა და ყოფის მონუმენტალურ სურათს, იგი წარმოადგენს ამ კლასის მეშინური, მესაკუთრული და მეშვეილრობითი ზნეწვეულებების გამოიშუურებას. ავტორის ისტორიული პერსპექტივით კაპიტალისტური საზოგადოება განწირულია სასიკვდილოდ.

„ფორსაიტების“ ტრილოგიის მეორე ციკლში შედის სამი რომანი: „თეთრი მაიმუნი“ (1924), „ვერცხლის კოვზი“ (1926) და „გედის სიმღერა“ (1928). ამ ციკლის საერთო სათაურია: „თანამედროვე კომპლექსი“. ხორევე ტრილოგიაში გადმოცემულია ფორსაიტების ტიპური ბურჟუაზიული ოჯახის რევოლუცია. მიდრეკილება საკუთრებისადმი, ბირჟებითა და საქმონსობით გატაცება, ეგოიზმი და მოპირისპირე ინტერესების კონფლიქტი—აი მთავარი დამახასიათებელი მხარტები ფორსაიტების საქმიანობისა და მოქმედების, მათი ოჯახური ყოფისა და სოციალური მისწრაფებების. ჯონ გელსუორსი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით იძლევა ამ კლასის ზნეობრივი და ფსიქოლოგიური გადაგვარების სურათს.

თავისი სამწერლო მანერით ჯონ გელსუორსი—რეალისტია. როგორც თვითონაც აღნიშნავს, „ფორსაიტების“ წერისას მას გამოუყენებია „ფოტოგრაფიული მეთოდი“, თუმცა ეს ტერმინი წარმოადგენს მისი შემოქმედების ბუნების ამომწურავ ცნებას. გელსუორსი ოსტატურად ფლობს მომქმედი პირობისა და აღწერილ მოვლენათა შინაგანი დინამიკის გადმოცემის ხერხებს. ავტორი მოხერხებულად ფარავს ამათუმი გმირისადმი თავის სიმპატიასა თუ ანტიპატიას და აღწევს შესაფერ ლიტერატურულ ეფექტს: მის რომანებში სუბიექტური იმპრესიონიზმის ნაცვლად ბატონობს ობიექტური დაკვირვება და ეპიური თბრობის მანერა.

„ფორსაიტების“ ციკლის გარედ დგას მთელი რიგი მისი რომანებისა, რომლებიც „ფარისეველთა კუნძულის“ თემატიურ გავრცელებას წარმოადგენენ და რომლებშიაც კაპიტალისტურ სისტემაში მოქცეული არისტოკრატიული ნარჩენების ყოფაა აღწერილი. რომანების ამ რიგს ეკუთვნის: „პატრიციები“ (1911), „სოფლის სახლი“ (1907), „ძმობა“ (1919), „ბნელი ყვავილი“ (1913), „ფრილენდების ოჯახი“ (1915), „ბრწყინვალე პროგრესი“ და სხვა. ამ რომანებში დახატული არისტოკრატიის თვისებებს წარმოადგენენ—კასტური კარჩაკეტილობა, მლიქვნელობა, ფსიქოლოგაური განკერძოება, მოწყვეტა რეალურ ცხოვრებიდან და სხვა. კონფლიქტების მიზეზი აქ მდგომარეობს სოციალური საფუძვლების რღვევისა და დაშლაში.

როგორც პირველი, ისე მეორე ციკლში კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა სფერო განსაზღვრულია, არ არის დასახული ამომავალი საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია დეგრადაციის გზაზე მდგარი სოციალური ფენების შესაცვლელად. აქ ძვეს ჯონ გელსუორსის იდეოლოგიური უპერსპექტივობის მიზეზი, ამიტომაც მთელი ის გრანდიოზული ეპოპეა, რომელიც ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა გადაუშალა კულტურულ მსოფლიოს, წარმოადგენს ბურჟუაზიული და არისტოკრატიული თვითკრიტიკის უდიდესს ცდას. მას, რასაკვირველია არ აკლია შინაგანი სარკაზმი და სატირული სიმწევავე.

გარდა ბელეტრისტული თხზულებებისა, ჯონ გელსუორსის კალამს ეკუთვნის საქმაოდ დიდი რიცხვი ნოველების, პიესებისა და კრიტიკული წერილების. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გელსუორსი დრამატურგიაში—დაწერილი აქვს

26 პიესა. აგრეთვე—მრავალი მოთხრობა და ნარკვევი, ლექსების კრებული „ძველი და ახალი ლექსები“ და სხვ.

ახალ ინგლისურ ლიტერატურაში ბერნარდ შოუს ავტორტული უელსთან ერთად, ჯონ გელსუორსი უაღრესად მნიშვნელოვანი ავტორიტეტული მწერალი იყო.

Georgica

სომხეთი

„აბესალომ და ეთერი“ სომხურად

მოპავალი სეზონის გეგმაში ერევნის სომხურ საოპერო თეატრს შეტანილი აქვს ზ. ფალიაშვილს ოპერა—„აბესალომ და ეთერი“—სომხურ ენაზე.

„ვეფხისტყაოსანი“ სომხურად

გ. მურადიანმა დამთავრა „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანი სომხურად. წიგნს გამოსცემს სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა ელიშე ჩარენცის რედაქციით.

ინგლისი

საპარტიზლოს ისტორია ინგლისურ ენაზე

ლონდონში გამოვიდა ინგლისელი მეცნიერის ჰელენის კაბიტალური ნაშრომი სათაურით „ისტორია ქართველი ხალხისა“. ამ წიგნის დაწერილებითი აღწერილობა მოთავსებული იქნება ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.

გერმანია

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად

მიმდინარე წლის დასაწყისში, მოქ. არჩილ მეტრეველის თაოსნობით, ბერლინს გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-ს გერმანული თარგმანი.

წიგნის წინასიტყვაობა (XIII—XV) და სულხან-საბას ბიოგრაფია (1—10 გვ.) დაწერილია დოქ. მ. წერეთლის, ხოლო შესავალი (11—53 გვ.) დოქტ. ზ. ავალიშვილის მიერ. მიხ. წერეთელსავე ეკუთვნის იგავ-არაკების ტექსტის თარგმანი.

თარგმანს საფუძვლად დასდებია გიორგი ლეონიძის მიერ 1928 წ. გამოქვეყნებული ტექსტი. თარგმანის ხელნაწერი გადაუთვალეირებია პროფ. რიპარდ მეკელიანს.

მთარგმნელი და შესავლის დამწერი არ ეთანხმებიან პროფ. ალ. ცაგარელს წიგნის სათაურის აზრს: „სიბრძნე სიცრუისა“ — Книга Мудрости и Лжи; მათ სამართლიანად მიაჩნიათ პროფ. კ. ქეკელიძის შენიშვნა: სახელწოდება კრებულისა: „სიბრძნე სიცრუისა“ გულისხმობს „ჩვენი წიგნი იცავს სიბრძნეს ე. ი. გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას სიცრუისა, ანუ ცრუ, მოგონილ ზღაპრისა და იგავებისას“ (ნ. პროფ. კ. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია II ტ., საერო მწერლობა XI—XVIII ს. გამ. თ. ჩიქვანიძე, ტფ. 1924 წ. გვ. 301.), აქედან გამომდინარეობს წიგნის სათაურის თარგმანი; „Die Weisheit der Lüge.“

მთარგმნელს არ გაუზიარებია აგრეთვე ტექსტის ცაგარელისებური დაყოფა და დასათაურება (162 სახელწოდების არაკი-მოთხრობა). ტექსტი დაყოფილია და დასათაურებული გიორგი ლეონიძის გამოცემის მიხედვით (152 სახელწოდების იგავ-არაკი).

თარგმანი ზედმიწევნით იცავს საბას სტილის ლაკონიურობას და მის შეუდარებელ ელიპსურ გამოთქმების ხერხებს.

გარეგნულად გამოცემა სანიმუშოთაგანია. დაბეჭდილია კარგს ქალაღზე თავფურცელი მოჭკეულია ლამაზ, ქართულ ჩუქურთმიან ჩარჩოში, რომელიც იცავს ქართველი მწერლის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ჩუქურთმითა სტილს. თავფურცელს წინ უძღვის მთელ გვერდზე დაბეჭდილი საბას ბერობის პორტრეტი.

წიგნი მთლიან ტილოს ყდაშია. ყუასა და შუბლზე—ოქრობეჭდილობით წარწერილი. ღირს 6 შარკა.

ს. ი.

„მნათობი“ № 3-ის შინაარსი



კ. მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა 35- V

მხატვრული ლიტერატურა

ვ. გაფრინდაშვილი—კარლ მარქსი (ლექსი)	3
ვ. ქუჩიშვილი—კარლ მარქსი (ლექსი).	8
როდონ ქორქია—მწვერავი (მოთხრობა)	10
აღ. გომიაშვილი—ისევ ეძახიან გერმანიას! (ლექსი)	14
პანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები (რომანი)	19
გ. შატერაშვილი—ამილახვრიანთ მუხის ქვეშ (თავეები პოემიდან)	67
კონსტ. გამხახურდია—გოეტეს ცხოვრების რომანი.	76

50 წლის თავი კ. მარქსის გარდაცვალებიდან

მ. ტოროშელიძე—კ. მარქსის სოციალისტური მოძღვრება	86
კ. გორდელაძე—კარლ მარქსი და თანამედროობა	98
შ. რადიანი—მარქსი, ჰაინე და ფრაილიგრატი	132
კ. მარქსი—ლიტერატ. და ხელოვნების შესახებ (ნაწყვეტები)	139
ნ. კრუპსკაია—როგორ მუშაობდა ლენინი მარქსზე	145
ბ. ბიბინიშვილი—მარქსიზმის გავრცელება მსოფლიოში	151
კ. მარქსი—ქართულ ენაზე (ბიბლიოგრაფია)	157

ახალი წიგნები

დავ. კლდიაშვილის მემუარები	160
კულტურის მატინე	164



შეცდომის გასწორება

112 გვერდზე: ამხ. კ. გორდელაძის წერილში დაბეჭდილია: „...კლასობრივი წინააღმდეგობა ბურჟუაზია და კაპიტალიზმს შორის და ამ ნიადაგზე აღმოცენებული კლასობრივი ბრძოლა“.

უნდა იყოს: „...კლასობრივი წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და ამ ნიადაგზე აღმოცენებული კლასობრივი ბრძოლა“.